ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით
ფასი: 1 ლარი
№35
28.VIII–3.IX 2013

# სარკე





რამ გაწყვიტა ირაკლი ფირცხალავას და მამამისს შორის ურთიერთობა

ნუკრი ქსნელაშვილი: „ირაკლიში ჩემს თავს ხშირად ვხედავ"

გვ.30

## რჩება თუ არა დიტო სერიალში

„რომ აღარ დავლიო, ორგანიზმში 6 თვიანი კაფსულა ჩავიყენე"

### კოტე თოლორდავა ახალ ფილმში ილია ჭავჭავაძის როლს ასრულებს გვ.14



სალომე ჭაჭუა: „ჩემს პირად ცხოვრებაში სიახლეა"

გვ.39



გიგი გაჩეჩილაძეს ვარსკვლავებთან ცეკვა კატეგორიულად აღარ სურს

გვ.38



მარიამ კუკუნაშვილი მილიონერად უშვილობის პრობლემამ აქცია

გვ.10



გიორგი ნაზღაიძე და თამუნა მუსერიძე თურქმა პოლიციელებმა სცემეს

გვ.8



შეყვარებული ნოდიკო ტატიშვილი საბერძნეთის ძვირადღირებულ კურორტზე ისვენებს

გვ.40

სარკე
+
„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა"
მე-9 ტომი
ფასი ჟურნალთან ერთად
10 ლარი

„ბავშვი დახრჩობას გადავარჩინე და დედამისმა მადლობაც არ მითხრა" გვ.28

ISSN 1987-9369
9 771987 936002




**სალომე ფაღავა: „ჩემი შვილი მკერდზე რომ დამიწვინეს, ტირილი ამივარდა“**





**კოტიკო თოლორაიას ბიჭი ამერიკაში გაჩნდა**




**მარინა კახიანი: „ჩემი ძველი ნაკვთები მომენატრა“**





**ბაჩო ქაჯაია: „მესამეც გოგო მყავს და ბიჭის მამობა ვეღარ წარმომიდგენია“**




**ზურაბ აბაშიძე: „პოლიტიკოსი ქალებისგან უფრო ჭკვიანური აზრები მსმენია, ვიდრე კაცებისგან“**




**შეცვლის თუ არა ეკა მიშველაძე ინგა გრიგოლიას „პირველ არხზე“**


# თამაშდება 5 ახალი ავტომობილი

2013 წელს 5 ავტომობილი უკვე გათამაშდა

**ყოველ 20 ლარზე მიიღე გათამაშების ბილეთი**

PSP №1




**გახდი მორიგი გამარჯვებული**

გათამაშება შედგება 29 სექტემბერს რუსთავი 2-ზე

# ნომერშია


### მეოთხე ხელისუფლება
ვინ ვის ატყუებდა „მე-9 არხზე“ 6

### ამბები ზღვისპირეთიდან
■ გიორგი ნაზღაიძე და თამუნა მუსერიძე თურქმა პოლიციელებმა სცემეს 8
■ სალომე ქათამაძე: „შვილი გვინდა, მაგრამ ჯერ არ ვჩქარობთ“ 8

### საქმიანი ქალი
მარიამ კუკუნაშვილი: — ქალი, რომელიც მილიონერად უშვილობის პრობლემამ აქცია 10

### გულახდილი საუბრები 12

### ეკრანული გმირი
კოტე თოლორდავა ახალ ფილმში ილია ჭავჭავაძის როლს ასრულებს 14

### პოლიტიკა
■ კახა კუკავა: „მარგველაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება თუ არა, საბოტაჟი ნამდვილად არის“ 16
■ ვახტანგ ძაბირაძე: „პრემიერსა და პრეზიდენტს შორის აუცილებლად დაიწყება ბრძოლა ძალაუფლებისთვის“ 17
■ აკაკი ასათიანი: „ცეზარსაც და რობინ ჰუდსაც ჩემსავით ვალები ჰქონდათ“ 19

### ზარალი
ზურაბ ცინცქილაძე: „აკაკი ასათიანმა ამ ხნის ცოლ-ქმარი ქუჩაში გამოგვყარა“ 21

### ოჯახური სიხარული
■ კოტიკო თოლორაიას ბიჭი ამერიკაში გაჩნდა 23
■ ბაჩო ქაჯაიამ თავისი გოგონები „ცოცხალი თოჯინით“ დაასაჩუქრა 24
■ სალომე ფაღავა: „ჩემი შვილი მკერდზე რომ დამიწვინეს, ტირილი ამივარდა“ 25

### ცვლილებების დრო
სად იპოვა თავისი ადგილი ზაალ ჩიქობავამ რუსთაველის თეატრიდან წასვლის შემდეგ 25

### თვალსაზრისი
ცოტნე გამსახურდია: „შეისწავლონ, რა გააკეთა ზვიადზე უკეთესად იმან, ვისაც დღეს გრძელი ენა აქვს“ 26

### მოზარდები 28

### მათი მშობლები
რამ გაწყვიტა ირაკლი ფირცხალავას და მამამისს შორის ურთიერთობა 30

### რამპის ჩირაღდნები
ბორის წიფურია — ტკივილი კაცისა, რომელიც იცინოდა 32

### ცხოვრების გაკვეთილები
ნანა კაკაბაძე: „დედაჩემმა ორჯერ სცადა თვითმკვლელობა“ 34

### ტელესახე
შეცვლის თუ არა ეკა მიშველაძე ინგა გრიგოლიას „პირველ არხზე“ 36

### ეტაპი
■ გიგი გაჩეჩილაძის ცხოვრებაში ახალი სიყვარული გამოჩნდა 38
■ სალომე ჭაჭუა: „ჩემს პირად ცხოვრებაში სიახლეა“ 39
■ შეყვარებული ნოდიკო ტატიშვილი საბერძნეთის ძვირადღირებულ კურორტზე ისვენებს 40



№ 35 (801) 28 აგვისტო — 3 სექტემბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 19.08.2013, 21.00 სთ-ზე.



### სარკის წინ
მარინა კახიანი: „ჩემი ძველი ნაკვთები მომენატრა“ 42

### ცხოვრება ჩემოდნებზე
გია ხუხაშვილი: „შვეიცარიის უპრობლემო სამოთხეში ცხოვრება გამიჭირდა“ 43

### მეგზური
ბილუნდი — დანიის სურნელოვანი ფუნთუშა 44

### მხოლოდ ქალებისთვის 48

### დედიკოების სკოლა 49

### ჩემი მშვენიერი ლედი
ზურაბ აბაშიძე: „პოლიტიკოსი ქალებისგან უფრო ჭკვიანური აზრები მსმენია, ვიდრე კაცებისგან“ 50

### სპორტის მიღმა 51

### ადამიანის ინსტიტუტი 52


## მამის ღალატმა ქალიშვილს მომავალი წაართვა

### „ბავშვობის წლები სიძულვილში გავატარე“

ცოლქმრული ღალატი, ოჯახური სკანდალები მოზარდი შვილის ფსიქიკაზე, შემდგომ კი მთელ მის ცხოვრებაზე მძიმე, წარუშლელ დაღად რჩება. ბავშვობიდან გამოყოლილმა ტვირთმა ადამიანს ხასიათიც კი შეიძლება შეუცვალოს, ხასიათი კი, თავის მხრივ, ბედს განსაზღვრავს. ჩვენი რესპონდენტი, ქალბატონი მარინე, ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითია. მამის ულირსმა საქციელმა, ოჯახში დატრიალებულმა დრამამ ზოგადად მამაკაცების მიმართ დაუკარგა ნდობა, ვერავის შეყვარება შეძლო. ქალი, რომელიც ალბათ შესანიშნავ ოჯახს შექმნიდა, დღეს სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს...




დაწვრილებით ქალბატონი მარინეს ცხოვრების შესახებ იხ. გვ.46



### სახალისო 56

### იყავით ჯანმრთელი 58

### ქალური მოთხრობები
■ თინათინ ბონი — „ბედნიერების ძიებაში“ (გაგრძელება, დასაწყისი №30-34) 66
■ ლელა ცუცქირიძე — „საომარი მდგომარეობა“ 68

### წმინდანები
ჩვენი საქციელი გადამდებია, ამიტომ ჩვენი საქციელი უნდა იყოს კეთილშობილური — ცხოვრება წმინდისა დიდმოწამისა თალალესი 72

### კითხვები მოძღვარს
„ღმერთი აქ ან იქ კი არ არის, ყოველი ადამიანის სულის სიღრმეშია“ 74

### გზა ტაძრისაკენ
მამა გიორგი: „ნელ-ნელა ვეჩვევი იმ ფაქტს, რომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი“ 75

### საბავშვო გვერდი 76

### ხელსაქმე 78

## გიორგი მარგველაშვილს 53% ენდობა, დავით ბაქრაძეს — 9%, ნინო ბურჯანაძეს — 7%

„ქართული ოცნების“ დაკვეთით, საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრმა „ფსიქოპროექტმა“ საპრეზიდენტო კანდიდატებსა და მთავრობის საქმიანობაზე საზოგადოებრივი აზრი გამოიკვლია და შედეგიც დადო. კვლევა აგვისტოში ჩატარდა და მთელი საქართველო მოიცვა. სულ 2028 რესპოდენტი გამოიკითხა.



კვლევის შედეგებით, „ოცნების“ კანდიდატი ლიდერობს, მას გამოკითხულთა 53% მისცემდა ხმას. მეორე ადგილზე დავით ბაქრაძეა 9%-ით, სამეულს ნინო ბურჯანაძე ხურავს 7%-ით, მეოთხე ადგილზე შალვა ნათელაშვილია 4%-ით. სალომე ზურაბიშვილს გამოკითხულთა 3% უჭერს მხარს, გიორგი თარგამაძეს — 2%, ხოლო ნესტან კირთაძეს — 1%.

კვლევის ავტორები ასევე დაინტერესდნენ, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა ახალი ხელისუფლების საქმიანობას. გამოკითხულთა 41%-ის შეფასება დადებითია, 11% უკმაყოფილოა, 40%-ის დამოკიდებულება კი ნეიტრალურია.

საინტერესოა ისიც, რომ კვლევის შედეგების თანახმად, პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა გამოკითხულთა 35%-ს მოსწონს.

კითხვაზე — რამდენად კმაყოფილი ხართ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობით, 17%-ის პასუხია — „ძალიან მომწონს“, 31%-ის დამოკიდებულება — ნეიტრალური, 9% აცხადებს, რომ პრემიერის საქმიანობა არ მოსწონს, 4%-ს კი ძალიან არ მოსწონს. კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 5%-ს.

რესპონდენტებმა ხელისუფლების 3 დიდი მიღწევა და 3 შეცდომაც დაასახელეს. გამოკითხულთა 13,6% ხელისუფლების მთავარ მიღწევად არაფერს მიიჩნევს, 9,1% — სოფლის მეურნეობის რეფორმას, ხოლო 6,4% — დაზღვევას.

რაც შეეხება შეცდომებს, რესპონდენტთა 12,6%-ის აზრით, ხელისუფლებას შეცდომები არ დაუშვია, 8,9% — ხელისუფლების ყველაზე დიდ შეცდომად ტყუილ დაპირებებს მიიჩნევს, 8,7% კი — ამნისტიას.

## პუტინი ანქვაბს ბიჭვინთაში ესტუმრა

ოკუპირებულმა აფხაზეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა 26 აგვისტოს რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის აღიარების 5 წლისთავი იზეიმეს. საზეიმო თარიღთან დაკავშირებით ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც იმყოფებოდა. ის ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს, ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა. შეხვედრა ბიჭვინთაში გაიმართა, სადაც თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტს ბიჭვინთაში პროვოკაციად აფასებს და დასძენს, რომ საქართველოს მხარემ შესაბამისი საპროტესტო ნოტა შვეიცარიის გავლით უკვე გაუგზავნა რუსეთის ფედერაციას.

— რასაკვირველია, ეს არის ჩვენ მიერ დაგმობილი. ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის კიდევ ერთხელ ხელყოფა, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

## გიგი კალანდაძე თეა წულუკიანს და ირაკლი ალასანიას სასამართლოში უჩივის

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილმა უფროსმა, გენერალმა გიგი კალანდაძემ საქალაქო სასამართლოში იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ის მინისტრებისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

— ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა, საჯაროდ მოიხადონ ბოდიში ალასანიამ და წულუკიანმა, რადგან ისინი ყველანაირად ეცადნენ, რომ ზეგავლენა მოეხდინათ სასამართლოზე. ავრცელებდნენ უსაფუძვლო ინფორმაციას, რომელიც ეხებოდა იმას, რომ თითქოს მე მივიტაცე 500 ათასი ლარი და თითქოს მოწმეებზე ვახორციელებდი ზეწოლას სამეგრელოს რეგიონში, — აცხადებს კალანდაძე.

პარალელურად ალასანიას უწყება ყოფილი მაღალჩინოსნების, გიორგი კალანდაძისა და ზურაბ შამათავასთვის ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფომ თბილისში, ონიაშვილის ქუჩის №2-ში მდებარე ორი საცხოვრებელი ბინა კალანდაძეს და შამათავას სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადასცა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინფორმაციით, „დადგინდა, რომ 2011 წლის 24 ნოემბერს, შპს „თბილავიამშენმა“, თავდაცვის სამინისტროს თანხებით, იურიდიული პირისგან შეიძინა ქ. თბილისში, ონიაშვილის ქ. 2-ში მდებარე ორი საცხოვრებელი ბინა — 152 და 147 კვადრატული მეტრი ფართის. შენაძენის საერთო ღირებულებამ შეადგინა 364.694 ლარი. ზემოაღნიშნული უძრავი ქონება საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის 13/07/01 განკარგულებით, სიმბოლურ ფასად (1 ლარი) საკუთრებაში გადაეცა თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს — გაერთიანებული შტაბის ყოფილ უფროსს — გიორგი კალანდაძესა და IV ქვეითი ბრიგადის ყოფილ მეთაურს — ზურაბ შამათავას. შეძენილი ბინები გარემონტდა, მოწყობილ იქნა ავეჯით, საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და სხვადასხვა ინვენტარით, რაზედაც საბიუჯეტო სახსრებიდან დაიხარჯა 315.150 ლარი.

მასალებიდან ირკვევა, რომ ბინების შეძენა-მოწყობა ემსახურებოდა წინასწარ განზრახულ მოტივს — ზემოაღნიშნულ პირთათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას“, — ნათქვამია განცხადებაში.

## დიმიტრი შაშკინი იუსტიციის ყოფილი მინისტრის დაკითხვას ითხოვს



საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი იუსტიციის ყოფილი მინისტრის, გია ქავთარაძის დაკითხვას ითხოვს. ამის შესახებ ის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს. დიმიტრი შაშკინი სასჯელაღსრულების დაწესებულებების ირგვლივ შექმნილი სიტუაციის თაობაზე პროკურატურაში დაკითხვაზეა დაბარებული. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ის გამოძიებას ჩვენებას მისცემს, მაგრამ მისთვის გაუგებარია, რატომ არ ინტერესდება გამოძიება გია ქავთარაძით.

„... გაუგებარია, რატომ არაფერს ამბობს პროკურატურა იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ბატონი ქავთარაძის დაკითხვის შესახებ. თუ შეკითხვები არსებობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ უფროს ბაჩო ახალაიასთან, ბუნებრივია, ეს შეკითხვები უნდა დაისვას მისი უფროსის, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ქავთარაძის მიმართაც (სასჯელაღსრულების დეპარტამენტი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შექმნამდე იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა). ბატონი ქავთარაძის მეგობრობა ენერგეტიკის მინისტრ კალაძესთან არ უნდა იყოს ინდულგენციის ნიშანი, რადგან ეს გამოძიებას უკვე დასაწყისშივე აძლევს პოლიტიკურ ელფერს“, — წერს შაშკინი.


სარკე

ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჟღენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია. სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.




Cyan Magenta Yellow Black

## ჟურნალისტს წინასწარი დაკავების იზოლატორში ფიზიკურად გაუსწორდნენ




■ ილია ჩაჩიბაია

ჟურნალისტი ილია ჩაჩიბაია მარჯანიშვილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე 25 აგვისტოს აიყვანეს და 26 აგვისტოს, დილით გაათავისუფლეს. როგორც თვითონ ამბობს, დაკავების მიზეზი არ განუმარტავთ, სამაგიეროდ წინასწარი დაკავების იზოლატორში ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამის შესახებ ის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

„არ იდარდოთ, ნამდვილო მეგობრებო, უკვე გარეთ გახლავართ, მხოლოდ იმის გამო, რომ თავისით აღმოაჩინეს, თუ რა პროფესიის ვარ. სამმართველოდან გამოსულმა ტელეფონი სიმწრისგან და შეურაცხყოფისგან ბეტონს მივახეთქე, ნაწილების ძებნა არ დამიწყია, ამიტომ ვერ დამიკავშირდებით. დაიმსხვრა ყველაფერი ის, რისთვისაც მრავალი წელი ვიბრძოდი, გული მტკივა, სული მტკივა! მივდივარ, გავრბივარ, მაგრამ არ ვიცი, სად! თუნდაც კრიმინალი ან ტერორისტი ვყოფილიყავი, პოლიციის მხრიდან სასტიკ მოპყრობას არ ვიმსახურებდი, არა!!! ხალხის მიერ დაფინანსებული ორგანოები ხალხს არ უნდა გვცემდნენ, არა! ვიცი, ტრადიციულად ყველა გამამტყუნებთ, მეტს არც ველი. ცამდე მართალი არც მე გახლავართ, მაგრამ 9 წლის განმავლობაში პოლიციის ძველი ზონდერების მიმართ გაჩენილი სიძულვილი ნაწილობრივ გამოვხატე მაშინ, როდესაც მაკავებდნენ. ისევ ინტრიგანი და პროვოკატორი შეგიძლიათ მეძახოთ, როგორც ადრე, მაგრამ წარსულის ყველა ფაქტი ხომ დამტკიცდა! შემინდეთ, აღელვებული ვარ“, — წერს ჩაჩიბაია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს განცხადებას, სადაც ის თბილისის მოსახლეობას მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის და ამასთანავე ბოდიშს უხდის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროს შექმნილი უხერხულობისათვის.

„ასევე გვსურს, გაცნობოთ, რომ რამდენიმედღიანი პრევენციული ღონისძიებების შედეგად ამოღებულია ათეულობით უკანონო ცეცლხლსასროლი და ცივი იარაღი. მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ პოლიციის დისკრედიტაციისკენ მიმართული განცხადებებისგან. პოლიცია მოტივირებულია, 24 საათიან რეჟიმში დაიცვას მოქალაქეების უსაფრთხოება, მოქმედებს კანონის ფარგლებში და ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

## ნიკა რურუა ხალხს დასავლური ღირებულებების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს

კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს, რომ პუტინის რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობის ძირგამომთხრელ მუშაობას თავს არც ერთ შემთხვევაში დაანებებს და იქვე გამოსავალსაც გვთავაზობს — საყოველთაო არჩევანი თავისუფალი და დასავლური ფასეულობების ერთგული კანდიდატის სასარგებლოდ.

— ორიოდ სიტყვა ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების თაობაზე, იმათთვის, ვისაც ჰგონია, რომ პუტინის რუსეთთან „ურთიერთობის დალაგება“ რაღაც ტიპის მშვიდობის მომტანია საქართველოსთვის: პარადოქსი ისაა, რომ ყველაზე უარესი სცენარის განხორციელების შემთხვევაშიც, როგორი უკიდურესად პრორუსული კანდიდატიც უნდა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, პუტინის რუსეთი მაინც არაფრით დაანებებს თავს საქართველოს დამოუკიდებლობის ძირგამომთხრელ მუშაობას და დეზინტეგრაციული (დაშლაზე ორიენტირებული) პროცესების ხელშეწყობას ჩვენს ქვეყანაში. დღევანდელ რუსეთს დანაწევრებული, ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ქართველების ხილვა სურს...

ერთადერთი გამოსავალია ჩვენი საყოველთაო არჩევანი თავისუფალი და დასავლური ფასეულობების ერთგული კანდიდატის სასარგებლოდ. სხვა გზა არ არსებობს, რადგან ამას გვკარნახობს გამოცდილება და საღი აზრი“, — წერს რურუა.

## პატიმარმა თავი მოიკლა

სოზარ სუზარის უწყებაში სუიციდის შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროს გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, პირველადი ინფორმაციით, სასჯელაღსრულების №6 დაწესებულებაში მსჯავრდებული გ.ჯ. საკანში მექანიკური ასფიქსიით გარდაცვლილი იპოვეს. როგორც ირკვევა, მსჯავრდებული სასჯელს 2009 წლიდან იხდიდა და ამ ხნის განმავლობაში მან თვითდაზიანება არაერთხელ მიიყენა.

„2013 წლის იანვრის შემდეგ მსჯავრდებული გ.ჯ. თვითდაზიანებების გამო სამოქალაქო საავადმყოფოებში 5-ჯერ გადაყვანეს, სადაც მას დროული და ადეკვატური დახმარება აღმოუჩინეს. მსჯავრდებულს არაერთხელ გაეწია ფსიქიატრის კონსულტაცია, რის საფუძველზეც სათანადო მკურნალობა ჩაუტარდა. მასთან მუშაობდა ფსიქოლოგიც“, — ნათქვამია განცხადებაში.

## ლავროვმა ივანიშვილის ნათქვამი ცუდად გაიგო

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან“ დიალოგის შესახებ საქართველოს ახალი ხელისუფლების განცხადებებს მიესალმება.

— რუსეთი მიესალმება საქართველოს ხელისუფლების განცხადებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობისა და მათთან პირდაპირი დიალოგის მზადყოფნის შესახებ. დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ ყველა ჩვენგანის ინტერესებშია, უპირველესად კი, აფხაზების, ოსებისა და ქართველების, რომ ამ რეგიონებში კეთილმეზობლური ურთიერთობები დამყარდეს. ჩვენ მივესალებით საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს და მივიჩნევთ, რომ, თუ უბრალო ადამიანების ინტერესებიდან გამოვალთ, დავეხმარებით მათი ინტერესების განხორციელებაში, ყველა გეოპოლიტიკური ამბიცია გვერდზე დარჩება, მით უმეტეს, რომ ამ ამბიციებს, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, განხორციელება არ უწერია, — განაცხადა ლავროვმა „აფხაზეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე კი განმარტავს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადება აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით არასწორად გაიგო.

— მას, როგორც ჩანს, არასწორად გაუგია პრემიერის განცხადება. ის არ ლაპარაკობს იმ კონტექსტზე, რომელსაც ბატონი ლავროვი გულისხმობს. იქ ლაპარაკია ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენაზე. ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენც უნდა ვაღიაროთ ჩევნი შეცდომები და ერთმანეთთან მისასვლელი გზების პოვნა ვცადოთ. მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება იმის საშუალება, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს დავუდასტუროთ, რომ მათთან ერთად ცხოვრება გვინდა და ერთიან ქვეყანაში ცხოვრების მომავალი დავსახოთ. სწორედ ამაზე იყო პრემიერის განცხადებაში საუბარი და არა იმაზე, რომ საქართველო მათთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, ისე დაამყარებს პირდაპირ დიალოგს, — აცხადებს ფანჯიკიძე.

სერგეი ლავროვის განცხადებას — რომ „დასავლეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხთან მიმართებაში კვლავ ორმაგი სტანდარტები აქვს“, ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე პასუხობს:

„ცხადია, რომ რუსეთი ჯერაც არ ცვლის პოზიციას სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში. ეს გამაღიზიანებელი საკითხია რუსეთის დასავლეთთან ურთიერთობებში და მისი მეზობლების მღელვარებას იწვევს, ასევე ძირს უთხრის ევროპის გარშემო შეიარაღების კონტროლს. ამ საკითხთან დაკავშირებით კომპრომისი უნდა შედგეს, რომელიც საერთაშორისო კანონების შესაბამისი იქნება“.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ვინ ვის ატყუებდა „მე-9 არხზე“

## ტელეკომპანიისთვის ბრძოლა გრძელდება

19 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი ოჯახის მფლობელობაში მყოფი ტელეკომპანია „მე-9 არხი“ სრულიად მოულოდნელად „გასაყიდად“ გამოიტანა. კომპანიაზე, რომელიც მის ოჯახს უხერხულობას უქმნიდა და თანაც წამგებიანი იყო, ივანიშვილმა ფასდაკლება გამოაცხადა და საწყისი ღირებულების მესამედი ფასი დაადო. მისი გადაწყვეტილებით, „მე-9“ არხს 1 სექტემბრამდე უნდა ემუშავა, მაგრამ მისმა განცხადებამ ისეთ შოკში ჩააგდო თანამშრომლები და ჟურნალისტთა კორპუსი, რომ 1 სექტემბრამდე ვერ მიატანეს და ტელეკომპანიამ მუშაობა იმ დღესვე შეწყვიტა.

ასეთი რეაქცია, თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილისთვის აღმოჩნდა მიუღებელი და ჟურნალისტებს არაპროფესიონალიზმად ჩაუთვალა.

„ძალიან სამწუხარო იყო, როგორც მოიქცნენ ჟურნალისტები და ტელევიზიის ხელმძღვანელობა. ჩემი განცხადებიდან მალევე დახურეს ტელევიზია... ტელევიზიას რომ ჩრდილი არ მიყენებოდა, მე ვახერხებდი ყველა პოტენციურ მყიდველთან საუბარს. ყველა მყიდველმა უარი თქვა, რის შემდეგაც მოველაპარაკე ქალბატონ ლუბა ელიაშვილს, რომ ამაზე გვიან უკვე უხერხული იქნებოდა ტელევიზიის დახურვა და გავაკეთე განცხადება. ჩემთვის ძალიან უცნაური იყო ჟურნალისტების და ხელმძღვანელობის რეაქცია. ადგნენ და გათიშეს არხი. ამ დროს შეიძლებოდა 10 დღის განმავლობაში მყიდველი გამოჩენილიყო...

შევახსენებ მათ, რომ არც ერთი გადმოსულა „ბიბისიდან“ და „სიენენიდან“ ჩვენთან, უმეტესობა იყო უმუშევარი, უმეტესობა არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები და ჩვენთან ისწავლეს... მათ, როგორც სტუდია, ისე გაიარეს ჩვენთან... მე მქონდა ძალიან კარგი სურვილები, რომ ჟურნალისტები უმუშევრები არ ყოფილიყვნენ და ეს აპარატურაც გადამეცა არხებისთვის, მაგრამ კარგად ნახეთ, ამას როგორი რეაქციაც მოჰყვა. ამის შემდგომ ვცდილობდი, ისე გამეკეთებინა, რომ არავინ დაზარალებულიყო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე. დაახლოებით 1.000.000 დოლარი ჯდებოდა თვეში ამ ტელევიზიის შენახვა და ამას ვაკეთებდი მხოლოდ ჟურნალისტებისთვის. როდესაც განცხადება გავუგზავნე, ლუბა ელიაშვილმა მთხოვა, ამომეღო ის, რომ „ინფო 9“ იყო დროებითი პროექტი და ამოვიღე. მეორედ დამირეკა და მთხოვა, ამომეღო ის ფრაზა, რომ მე ამას ჟურნალისტების გულისთვის ვაკეთებდი. ვკითხე, რატომ უნდა ამოვიღო, ეს ხომ სიმართლეა-მეთქი. ახლა უნდათ, რომ გაბრაზებულები იყვნენ... მამადლიან, გამოგვიყენაო. რა, უხელფასოდ იმუშავეს ან სხვა ტელევიზიებში მომუშავეებზე ნაკლები ხელფასი ჰქონდათ?! მგონი, უმეტეს შემთხვევაში უფრო მეტი ხელფასიც ჰქონდათ და ჭარბი თანამშრომლები იყვნენ... 10 მილიონი დოლარი მხოლოდ ჟურნალისტებისთვის დავხარჯე... ასე არ მოიქცეოდნენ პროფესიონალები. ადგნენ და არხი მიახურეს. თუ პატივს სცემენ თავიანთ პროფესიას და ჟურნალისტები არიან, ასე არ უნდა მოქცეულიყვნენ!“ — ასეთი შეფასება მოჰყვა ბიძინა ივანიშვილისგან ტელეკომპანიის დროზე ადრე დახურვას.

■

ამ ამბებიდან მეორე-მესამე დღეს ერთ-ერთმა სააგენტოს ინფორმაცია გავრცელდა, რომ „მე-9 არხი“ აღარ გაიყიდება, მის ბაზაზე არსებული ტექნიკური აღჭურვილობა კი პრემიერმინისტრის შვილის, ბერა ივანიშვილის კუთვნილ ტელეკომპანიას გადაეცა და აპარატურა უკვე გადააქვთ კიდეც. თუმცა ინფორმაცია „მე-9 არხის“ უკვე ყოფილმა დირექტორმა, ლუბა ელიაშვილმა, არ დაადასტურა. მისი თქმით, ტექნიკა საწყობში გადააქვთ, ხოლო ჟურნალისტებმა ეს სხვა კომპანიაში გადატანად აღიქვეს.



■ ლუბა ელიაშვილი

**ლუბა ელიაშვილი: „დახურვის მომენტში ჩვენ ძალიან ემოციურები ვიყავით და ვერ გავითვალისწინეთ გარკვეული დეტალები, რამაც, საბოლოო ჯამში, პრემიერის გაფიცხება გამოიწვია. მგონია, მიხვდება, რა სიტუაციაში მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და ბოროტი მიზნები არ გვქონია".**

■

„მე-9 არხის“ მხოლოდ აპარატურა 47 მილიონად არის შეფასებული. ამ ქონების იაფად, თუნდაც მესამედ ფასში ყიდვის მსურველი ბევრი არ არის. ერთ-ერთი, ვინც სურვილი გამოთქვა, ცნობილი ბიზნესმენი, წარსულში ტელეკომპანია „იბერიის“ მფლობელი, ზაზა ოქუაშვილი გახლდათ. მის ბიზნესს სახელად „ომეგა“ ერქვა. ვარდების რევოლუციიდან მოკლე დროში მას „იბერიის“ დახურვა და საქართველოდან წასვლა მოუწია.

ზაზა ოქუაშვილმა „მე-9 არხის“ ყიდვა მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც გაიგო, რომ შეიქმნა საზოგადოებრივი ჯგუფი, სახელწოდებით „ვყიდულობთ „მე-9 არხს“ და ვქმნით სააქციო საზოგადოებას“, სადაც ცნობილი ტელესახეები და მედიაექსპერტები გაერთიანდნენ. თავის საჯაროდ გამოქვეყნებულ განცხადებაში ოქუაშვილმა განმარტა, რომ პატივს სცემს მათ გადაწყვეტილებას, ვინც სააქციო საზოგადოება დააარსა იმ მიზნით, რომ დამოუკიდებელი და პოლიტიკურად თავისუფალი ტელეკომპანია არსებობდეს და ამიტომ მართებულად არ მიაჩნია, რომ მათი კონკურენტი იყოს.

■

ჟურნალისტი ეკა ბერიძე „მე-9 არხის“ ერთ-ერთი სახე იყო. ტელეკომპანიის დახურვის შემდეგ მან საკუთარი პოზიცია „ფეისბუქის“ საშუალებით გამოხატა: „შვებულებაში ყოფნის გამო არ ვიყავი ჩართული „მე-9 არხის“ გარშემო განვითარებულ პროცესებში. მინდა, გამოვხატო ჩემი პოზიცია. პრემიერმინისტრის გადაწყვეტილება „მე-9 არხთან“ დაკავშირებით ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა, რადგან მოყოლებული 2012 წლის დეკემბრიდან, როდესაც არხზე მენეჯმენტი შეიცვალა, ის საჯაროდ მუდმივად აცხადებდა, რომ სურდა არხის დახურვა ან გასხვისება, მაგრამ ანგარიშს უწევდა ჟურნალისტებს. თუ ვინმესთვის ეს სიახლე იყო, ნიშნავს, რომ შეცდომაში იქნა შეყვანილი მათ მიერ, ვინც გრძელვადიან გეგმებს აწყობდა, მიუხედავად მფლობელების გაცხადებული მიზნისა არხის დახურვის ან გასხვისების შესახებ.

მაუწყებლობის შეჩერება მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრის განცხადება გავრცელდა, პირველ სექტემბრამდე „მე-9 არხის“ შესაძლო გაყიდვის ან შემდგომ დახურვის შესახებ, იყო ძალიან დიდი შეცდომა, რომელსაც მე არ ვიზიარებ, თუმცა ჩემთვის აზრი არავის უკითხავს. ამით დაზარალდა ჩვენი მაყურებელი და შესაძლოა, გაყიდვის პროცესიც, რადგან მოქმედი არხის გაყიდვა გაცილებით ადვილია, ვიდრე დახურულის. ვფიქრობ, რომ დღეს, როდესაც მედიასივრცე გათავისუფლებულია, როდესაც სიახლეები იგეგმება „მაესტროზე“, „იმედზე“, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, არხზე მომუშავე პროფესიონალებს დასაქმების გაცილებით მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მე მქონდა 2004 წელს, როდესაც თამარ კინწურაშვილმა საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემა დამიხურა ყოველგვარი ახსნის გარეშე და ჩემთვის ყველა ტელევიზია დაიკეტა 2010 წლამდე, ვიდრე „მაესტრო“ შეძლებდა საინფორმაციო სივრცის გარღვევას. პროფესიონალმა ამ მედიასივრცეში, სადაც პოლიტიკური წნეხი უკვე მოხსნილია, საკუთარი თავის პოვნა უნდა შეძლოს“.

მასში, ვისაც ჟურნალისტები შეცდომაში შეჰყავდა არხის გრძელვადიანი გეგმების დასახვით, ეკა ბერიძე, სავარაუდოდ, ლუბა ელიაშვილს გულისხმობს. თავად ქალბატონი ლუბა ეკა ბერიძეს — უპასუხიმგებლობაში, ხოლო მის ქმარს, კახა ბექაურს, სიცრუეში ადანაშაულებს. ტელეკომპანიის დახურვა საკუთარ თავზე ლუბა ელიაშვილმა აიღო. „სარკესთან“ იგი განმარტავს, რატომ გადაწყვიტა, აღარ დაეცადა 1 სექტემბრამდე და ტელეკომპანია დახურულად გამოეცხადებინა:

— იმიტომ, რომ თანამშრომლები დეპრესიულ მდგომარეობაში იყვნენ, ძალიან ღელავდნენ. აქედან გამომდინარე, არხი ველარ იქნებოდა ისეთი კარგი, როგორიც მანამდე იყო. სულ ორი კვირა იყო გასული, რაც დეციმეტრული მაუწყებლობით გავედით და ბოლოს და ბოლოს დაგვინახა დიდმა აუდიტორიამ, რომელიც



Cyan Magenta Yellow Black

ამდენი ხანი გველოდებოდა. ზუსტად ამის გამო არ გავედით შვებულებაში და არ დავხურეთ, მაგალითად, დილის და სხვა გადაცემები. უმეტესობა პირდაპირ ეთერში გადიოდა და დეციმეტრულ არხზე რომ გავედით, გვინდოდა, ყველას დავენახეთ. თუ დაგვინახავდნენ ასე ყურებჩამოყრილებს და მოწყენილებს, ალბათ დამეთანხმებით, რომ არ იქნებოდა ლამაზი. მინდოდა „მე-9 არხი“ ყველას ისეთი კარგი დამახსოვრებოდა, როგორიც იმ ორი კვირის განმავლობაში ნახა.

**— და პასუხად მიიღეთ პრემიერმინისტრის განცხადება, რომ არხზე არაპროფესიონალები მუშაობდნენ.**

— მე ასე არ მიმაჩნია. ვხვდები, რამაც გამოიწვია პრემიერმინისტრის ეს განცხადებები. დახურვის მომენტში ჩვენ ძალიან ემოციურები ვიყავით და ვერ გავითვალისწინეთ გარკვეული დეტალები, რამაც, საბოლოო ჯამში, მისი გაფიცხება გამოიწვია. მაგრამ მგონია, რომ მიხვდება, რა სიტუაციაში მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და ბოროტი მიზნები არ გვქონია.

**— „სარკის“ წინა ნომერში ამბობდით, ჟურნალისტებმა იცოდნენ, რომ არხი შეიძლებოდა ნებისმიერ წუთს დახურულიყოო. ახლა კი ამბობთ, ამით ისეთი შოკი მიიღეს, მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი იყოო.**

— მიუხედავად იმისა, რომ „დაიხურებით“, „დაიხურებით“ სულ იყო, მაინც გვეძლეოდა იმის სახსარი და საშუალება, რომ განვვითარებულიყავით. ვვითარდებოდით კიდეც და საწყენი ის იყო, როცა ავფრინდით, არ დაგვცალდა, გავმხდარიყავით ისეთები, როგორებიც გვინდოდა ვყოფილიყავით. წარმატებული არხი კი უფრო კარგად გაიყიდებოდა. ამაზე დაგვწყდა გული. ამის მიუხედავად, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არჩევნებისთვის ეს ბატონი ბიძინასთვის დიდი ტვირთი იქნებოდა. ასეთ სიტუაციაში მთავარია ხოლმე, თუ როგორ მოიქცევა მფლობელი. ეს მფლობელი აცხადებს, მათ მივცემ კომპენსაციებსო და ა.შ. თან, ახლა კარგი დროა — მოცარიელდა მედიაბაზარი. აგერ, „მაესტრო“ ჩიოდა, აღარ მყავს ხალხიო. კიდევ სხვებიც არიან და ეს ხალხი, რომლებმაც ამდენი რამ ისწავლეს ჩვენთან და ასეთი რთული ტექნოლოგიები აითვისეს, სამსახურს იშოვიან.

ნებისმიერი კომპანიის დახურვის გადაწყვეტილება შოკისმომგვრელია და საუბარი არ არის იმაზე, რომ ის ამ ადამიანებს ცუდად მოექცა. პრემიერმინისტრს აბსოლუტურად ვეთანხმები იმაში, რომ ეს არხი მისთვის პრობლემა იქნებოდა. ჩვენ ალბათ ვერ შევიკავებდით თავს, რომ სერიოზული საპრეზიდენტო მარათონის დროს არ ვყოფილიყავით მიკერძოებულნი, მაგალითად, პირადად ჩემი მეგობარი გიორგი მარგველაშვილის მიმართ.

**— მას შემდეგ, რაც პრემიერმინისტრმა საჯაროდ გაგკიცხათ, მის შესახებ აზრი არ შეგიცვლიათ?**

— არა! როცა მან არასწორად დაგვახასიათა, მაშინვე ვუპასუხე და ვთქვი, რომ ასე არ მივიჩნევ და ამ არხზე მუშაობენ პროფესიონალები. შესაბამისად, ვერავინ დამწამებს მონურ მორჩილებას. ისიც ავიღე ჩემს თავზე და ვთქვი, რომ მე მივიღე მაუწყებლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება. ისეთი ბედნიერი და კარგი პერიოდი გამოვიარეთ, როგორ შეიძლება ჩემი მისდამი დამოკიდებულება რამემ შეცვალოს?!

**— თურმე ურეკავდით და სთხოვდით, თავისი განცხადებიდან გარკვეული ფრაზები ამოეღო. მაგალითად, ის, რომ „ინფო 9“ დროებითი პროექტი იყო, ის რომ ტელეკომპანიას ჟურნალისტების გამო ინარჩუნებდა...**

— ამ კითხვებზე უკვე ვუპასუხე და შეგიძლიათ ტელეკომპანია „კავკასიაზე“ ნახოთ. იყო ასეთი ფაქტები და ამას არ უარვყოფ.



ეკა ბერიძე

**— ეკა ბერიძე წერს, თუ არხის დახურვა ვინმესთვის მოულოდნელი იყო, ნიშნავს, რომ შეცდომაში იქნა შეყვანილი მათ მიერ, ვინც გრძელვადიან გეგმებს სახავდაო. ალბათ თქვენზეა საუბარი.**

— არ მინდა, ეკა ბერიძეს პასუხი გავცე. კი იყო თავიდან მოაზრებული „ინფო 9“ დროებით პროექტად, მაგრამ მერე სხვა პროექტად იქცა. ყველამ ყველაფერი იცოდა. უბრალოდ, მე ჩავთვალე, რომ იმ პერიოდში ეს ყველაფერი უადგილო იქნებოდა და ამაზე ბატონი ბიძინა დამეთანხმა. ახლა რატომ არის სალაპარაკო?! მე არავის არაფერს ვუმალავდი. თუ ვინმე რამეს მალავდა, ეს ეკა ბერიძის ქმარი, კახა ბექაური იყო, რომელიც მალავდა, რომ ნაციონალების მეგობარი იყო და მათი დახმარებით რადიო „აახია“ კერძო მესაკუთრეს. ნაციონალების მმართველობის პერიოდში რადიოს 60% გაუფორმეს და ეს რას ნიშნავდა?! ბექაური მალავდა იმას, რომ გათავისუფლებული იყო სამსახურიდან. დადიოდა ტელევიზიაში, ვითომ ისევ მუშაობდა. მე კი ჩემს თანამშრომლებს სიმართლეს ვეუბნებოდი! ბოლოს მთხოვა, იქნებ სახე შევინარჩუნოო და ამიტომ, მე ხმას არ ვიღებდი...

**ვასილ მაღლაფერიძე: „მედიაექსპერტების და ჟურნალისტების ერთი ნაწილი გაიძახის, რომ ტელევიზია ვერ იარსებებს საკუთარი შემოსავლებით და მას სჭირდება დამატებითი შემოსავლები. უპრიანი იქნება, დავსვათ კითხვა — როცა ტელევიზიაში დამატებითი შემოსავლები შემოდის, ამას მოჰყვება თუ არა დამატებითი პოლიტიკური შეკვეთები? რა თქმა უნდა, მოჰყვება“.**

რა არის დროებითი და რა — მარადიული, ამას ცხოვრება გვიჩვენებს. გრძელვადიან გეგმებში ჩვენ დაფინანსებას ვიღებდით, რადგან თუ არხი გაიყიდებოდა, ახალი მეპატრონის ხელში უფრო კარგი ტელეკომპანია გადავიდოდა. ეკა ბერიძე ისე წავიდა შვებულებაში და ისე გამოაცხადა ეთერში, სეზონს ვხურავთო, არც განცხადება დაუწერია და არც დირექტორს ან სხვა ვინმეს მიუცია შვებულებაში გასვლის უფლება. ასეთი რამე გაგიგიათ?!

**— რა არის ამ ტელეკომპანიის რეალური ღირებულება?**

— აპარატურა შეძენილია 47 მილიონად. ხარჯი, რომელიც ამ წელს აქვს გაწეული, ნამდვილად 10 მილიონია. ეს 10 მილიონი არამხოლოდ სახელფასო ფონდი, არამედ გარკვეული აპარატურის ფულიც არის, გადასახადების ფულიც და ა.შ. გარდა ამისა, სარეკლამო ხელშეკრულებებია გაფორმებული, რომლებიც მომენტალურად, იმ ორ კვირაში გაიზარდა, როცა ჩვენ დეციმეტრულ არხზე გავედით. კიდევ იყო ზრდის ტენდენცია, მაგრამ დრო არ მოგვეცა, დაგვედო ის შედეგი, რაც გვინდოდა.

**— მესამედ ფასში მხოლოდ 47 მილიონის მესამედი შედის?**

— დიახ.

**— არხის სააქციო საზოგადოებად გადაკეთების ინიციატივაზე რას ფიქრობთ?**

— არაფერს, ვერ აღვიქვამ სერიოზულად, სრული სისულელეა. კომპანიას აქციები არ გაუყიდია და ისინი საიდან იღებენ ამ აქციებს, ვერ გავიგე. ამ წუთას ასეა და თუგაყიდის აქციებს, გამოჩნდებიან აქციონერები.

**— მართალია, რომ „მე-9 არხის“ აპარატურა ბერას ტელევიზიაში გადაიტანეს?**

— არსად არაფერი გადაუტანიათ. ყველაფერი ისევ „მე-9 არხს“ ეკუთვნის. გარკველი ნაწილი საწყობში შეიტანეს, რომ მიგდებული არ ყოფილიყო და შეიძლება ეს ამბავი ამიტომ გავრცელდა.. იყო აპარატურის ნაწილი, რომელსაც ორივე ტელევიზია მოვიხმარდით. რაღაც მიჰქონდათ ხოლმე. შეიძლება ასეთ აპარატურაზეა საუბარი, ალბათ ისევ დასჭირდათ.

■

სოციალურ ქსელში ჯგუფი შეიქმნა — „ვყიდულობთ „მე-9 არხს“ და ვქმნით სააქციო საზოგადოებას“. იდეა „მე-9 არხის“ დირექტორის ყოფილ მოადგილე ვასილ მაღლაფერიძეს ეკუთვნის. მედიაექსპერტ ია ანთაძესთან ერთად მიმართვაც შეიმუშავეს ბიძინა ივანიშვილის სახელზე. ჯგუფში ათასობით ადამიანი გაწევრდა. რა მოლაპარაკებებს აწარმოებს ახალშექმნილი ჯგუფი, რამდენს გადაიხდიან და რა საშუალებით, ამ კითხვებით „სარკემ“ ვასილ მაღლაფერიძეს მიმართა.

**— ბატონო ვასილ, თქვენს წინადადებასთან დაკავშირებით პრემიერმინისტრის პოზიცია იცით?**

— არა, რადგან ეს სიახლე იყო მისთვის ისევე, როგორც ჩვენთვის. სამწუხაროდ, არაკეთილმოსურნე ადამიანებმა აჟიოტაჟი ატეხეს, უამრავ ჭორს და მართალს ავრცელებენ. ვაპირებთ, შევხვდეთ ბატონი ბიძინას წარმომადგენელს და განვიხილოთ ვითარება. ჩვენი მოლაპარაკება შეიძლება შედგეს და შეიძლება არ შედგეს. კომერციული ბიზნესწინადადებაა და ასეთები ზოგი გამოდის და ზოგი — არა. ჩვენ კონკრეტული, მკაფიო წინადადებები გვაქვს და ეს ყველაფერი ჩამოაყალიბეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ძალიან კარგად ერკვევიან მედიის მართვის საკითხებში. ეს არის ამ ადამიანების ბიზნესრისკი და თვითონ გადაწყვეტენ, როგორ მოიქცნენ. ასეთივე კომერციული წამოწყებაა თქვენი ჟურნალი და ნებისმიერი მედიასაშუალება. თუ გაინტერესებთ, ტელევიზიის მენეჯმენტს ვინ გაუძღვება, ამას

→71



Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი ნაზღაიძე და თამუნა მუსერიძე თურქმა პოლიციელებმა სცემეს



■ თამუნა და გიორგი

შოუბიზნესის პოპულარული სახეების, გიორგი ნაზღაიძისა და თამუნა მუსერიძის დასვენება ზღვისპირეთში ხიფათიანი აღმოჩნდა. ისინი აჭარაში იყვნენ მეგობრებთან ერთად, თურქეთში საყიდლებზე წავიდნენ და იქიდან დაბრუნებისას დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდნენ, თურქულ პოლიციასთან სერიოზული პრობლემები შეექმნათ. წესრიგის დარღვევის გამო სარფის საზღვრიდან ისინი პოლიციის ახლომდებარე განყოფილებაში გადაიყვანეს. მათზე ფიზიკური ზეწოლაც იყო და საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ ბოლო მომენტში თურქმა სამართალდამცავებმა გიორგი და თამუნა გამოუშვეს.

თუ რა მოხდა სარფის საბაჟოზე, ამის შესახებ სოციალური ქსელით ბევრი ვერსია გავრცელდა. პირველი — ის, რომ გიორგი ნაზღაიძე თურქი მესაზღვრეების წესებს არ ემორჩილებოდა, რომ თითქოს მას საქართველოში ნარკოტიკი შემოჰქონდა... რა მოხდა რეალურად, დეტალურად თავად გიორგი ნაზღაიძე და თამუნა მუსერიძე გვიამბობენ.

**გიორგი ნაზღაიძე:**

— თურქეთში საშოპინგოდ ვიყავით გადასული. უკან რომ ვბრუნდებოდით, სარფის საბაჟოზე მანქანების რიგი იყო. ვერ გავერკვიეთ, სად უნდა დავმდგარიყავით მანქანით და თურქ მესაზღვრეს თუ პოლიციელს ვკითხეთ. მას თურქულის გარდა არაფერი ესმოდა, გვიყვიროდა და ხელებს გვიქნევდა. ვხვდებოდით, რომ გვეუბნებოდა, აქედან გადითო. მერე ნაცნობი ვნახეთ, რომელმაც რიგი დაგვიკავა და აგვიხსნა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. როცა რიგში ჩავდექით, ახლა ის პოლიციელი იქ მოვიდა და ისევ გვიყვიროდა. გვიბრძანებდა, რომ მანქანა რიგიდან გვერდზე გადაგვეყენებინა. ასეც მოვიქეცით. ამის შემდეგ ნამდვილი შტურმი

**გიორგი ნაზღაიძე: „თამუნა ტელეფონზე ტირილით ლაპარაკობდა, ერთმა პოლიციელმა ისეთი დაარტყა, რომ მობილური ხელიდან გაუვარდა".**

განხორციელდა. თურქი პოლიციელები და რიგითი მოქალაქეები მოცვივდნენ, ჩვენს მანქანას ხელ-ფეხს ურტყამდნენ. ბუნებრივია, მდგომარეობიდან გამოვედი და ვყვიროდი.

ბოლოს მანქანიდან ძალით გადმომიყვანეს, პერანგი სულ შემომახიეს და ცემა დამიწყეს. მოვასწარი და მანქანის გასაღები თამუნას მივეცი. ახლა იმას დაუწყეს ჭიდაობა.

გვინდოდა, რომ ამ უსამართლობის შესახებ თბილისში ჩვენი მეგობრებისთვის და სხვა საჭირო ადამიანებისთვის ხმა მიგვეწვდინა. თამუნა ტელეფონზე ტირილით რომ ლაპარაკობდა, ერთმა თურქმა პოლიციელმა მას ისეთი დაარტყა, რომ მობილური ხელიდან გაუვარდა. ამის შემდეგ მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

**თამუნა მუსერიძე: „ვიცი, რომ ბევრ ქართველს სცემენ თურქეთის პოლიციის განყოფილებებში და შემდეგ საზღვართან აგდებენ".**

სასაცილოა, რომ თურქმა პოლიციელებმა დამსვეს ჩემი მანქანის საჭესთან და ასე წამიყვანეს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში. მე და თამუნა ცალ-ცალკე ოთახებში მოგვათავსეს და აბსოლუტურ ვაკუუმში ვიყავით. მეორე დღეს სასამართლო უნდა შემდგარიყო.

— **საბოლოოდ როგორ მოხდა თქვენი გათავისუფლება, საქართველოს საელჩოს ჩარევით?**

— თვითონ ასე ამბობენ და იბრალებენ. როცა საელჩოში დავრეკეთ, იქ დაწყნარება დაგვიწყეს და გვითხრეს, დაემორჩილეთ, რასაც თურქი პოლიციელები გეტყვიანო. პოლიციის განყოფილებაში არც თარჯიმანი მოსულა და არც რომელიმე წარმომადგენელი. ჩვენდა ბედად, იქ ერთი ქართველი ქალი აღმოჩნდა, რომელმაც სახეზე გვიცნო და დაგვეხმარა. აგვიხსნა, რომ ბრალი გვედებოდა პოლიციის მიმართ დაუმორჩილებლობაში, სისწრაფის გადაჭარბებასა და პოლიციელების ცემაში. ყველაზე კარგ ვარიანტში, სასამართლოზე 4000 ლირას (დაახლოებით 4300 ლარი) გადავიხდიდით და ერთთვიანი ციხეც ჩვენზე იქნებოდა. სასაცილო იყო, რა ცემა და რა სისწრაფის გადაჭარბება!

ბოლოს იმ ქალმა თურქებს უთხრა, ესენი ცნობილი ტელესახეები არიან და ამაზე ერთი ამბავი ატყდებაო. ამის შემდეგ ჩვენ მიმართ ტონი შეიცვალეს. მაშინვე გვითხრეს, გაგიშვებთ, აღარც სასამართლო გვინდა, ოღონდ ამის სანაცვლოდ ახსნა-განმარტებას დავწერთ და ხელი მოაწერეთო. იქ კი დაწერეს, რომ ჩვენ არავის ვუცემივართ, რომ ჩვენ ამ გაუგებრობის შესახებ არსად ვიტყვით და არ ვიჩივლებთ. ამ დროს დაგვირეკეს საელჩოდან და გვითხრეს, გავიგეთ, შეთანხმებას მიაღწიეთ და კარგს იზამთ, ხელს თუ მოაწერთო. აი, საელჩოს დახმარება მხოლოდ ეს იყო და არა ის, რასაც იბრალებენ, რომ თითქოს მათ გვიპატრონეს. ერთი სული გვქონდა, ეს ყველაფერი დასრულებულიყო, ამიტომ მე და თამუნამ ხელი მოვაწერეთ.

— **მაინც გაუგებარია, თუ თქვენ არ მიეცით საბაბი, რას გერჩოდნენ თურქი პოლიციელები?**

— როგორც შევიტყვეთ, ჩვენ პირველები არ ვიყავით ამ სიტუაციაში. თურმე ჩვენს საზღვართან ქართველებს უმიზეზოდ ხშირად აკავებენ და იქაური პოლიციის განყოფილებებში სცემენ. თურქები ძალიან აგრესიულად იქცევიან და ამის მიზეზიც გავიგეთ. თურმე აჭარაში გადმოსულ თურქებს ქართული პატრული აგრესიულად ექცევა და ამის სანაცვლოდ, თუ ვინმე ქართველს თავიანთ ტერიტორიაზე დაიმარტოხელებენ, უფრო საშინლად ექცევიან.

— **გავრცელდა ხმა, თითქოს ნარკოტიკები შემოგქონდათ თურქეთიდან.**

— რა სისულელეა! ვიცი, ეს ჭორი რატომაც დაგვიყარეს. ცოტა ხნის წინ მე და თამუნამ ვიმაიმუნეთ და სოციალურ ქსელში დავდეთ ვიდეო, სადაც დები იშხნელების სიმღერაზე ვცეკვავთ. ყველამ ჩათვალა, რომ მაგარი „დაბოლილები“ ვიყავით. შემამოწმონ, სადაც უნდათ, ჩემს ორგანიზმში ნარკოტიკის კვალს ვერასდროს იპოვიან.

როცა გაიგეს, რომ თურქულმა პოლიციამ დაგვიჭირა, „ფეისბუქზე“ შოუბიზნესის ბევრმა წარმომადგენელმა გული მოიფხანა ჩემზე. პირდაპირ მწერდნენ, შენი დრო დასრულდაო. მაგრამ, ნურას უკაცრავად! ჩემი დრო არასდროს წავა! ახლა ისევ ზღვაზე ვარ და მშვენივრად ვისვენებ.

**გიორგი ნაზღაიძე: „ჩვენს საზღვართან ქართველებს უმიზეზოდ ხშირად აკავებენ და თურქეთის პოლიციის განყოფილებებში სცემენ. თურმე აჭარაში გადმოსულ თურქებს ქართული პატრული აგრესიულად ექცევა და ამის სანაცვლოდ, თუ ვინმე ქართველს თავიანთ ტერიტორიაზე დაიმარტოხელებენ, უფრო საშინლად ექცევიან".**

„სარკე“ **თამუნა მუსერიძესაც** დაუკავშირდა.

— **თამუნა, რა არის თქვენი ვერსია, რას გერჩოდნენ თურქი სამართალდამცავები?**

— ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ საზღვართან რიგის შუაში ჩავდექით. ჩვენს მეგობრებს რიგი უკვე დაკავებული ჰქონდათ და თურქმა პოლიციელებმა ეს ვერ გაიგეს. ყველა გვეუბნება, ბოლო დროს თურქი პოლიციელები ქართველების მიმართ ძალიან აგრესიულები არიანო. თითქოს ამას შურისძიებით ხსნიან, რომ აჭარაში ქართველი პოლიცია თურქებს აგრესიულად ექცევა. არ ვიცი, მე ეს არასოდეს შემინიშნავს, ამიტომ, არა მგონია, რომ ამის მიზეზი მართლაც ჰქონდეთ.

ვცდილობდი, ბოლომდე შემენარჩუნებინა სიმშვიდე. გიორგი უფრო იყო მდგომარეობიდან გამოსული, რადგან მან კარგად იცის თურქეთის „კაპეზე“-ს ამბები, იქ



Cyan Magenta Yellow Black

რა არაადამიანური ამბები ხდება, ადამიანებს აწამებენ, ცემაში ხდიან სულს. ეს რომ იცოდა, წინააღმდეგობას უფრო უწევდა. საბოლოოდ, ყველაფერი რომ დასრულდა და საქართველოს მიწაზე დავდგი ფეხი, ემოციები მაშინ შემომაწვა და ავტირდი. ახლაც ვგრძნობ, რომ ნერვული სისტემა ძალიან დაძაბული მაქვს, ყველაფერზე ვღიზიანდები და ვჩხუბობ.

— **მაინც როგორ ფიქრობთ, რა გააკეთეთ ისეთი საზღვარზე, რამაც პოლიციის აგრესია გამოიწვია?**

— ის, რომ არ დავემორჩილეთ მათ მითითებებს და არ დავიცავით მანქანების რიგის ის წესი, როგორც თვითონ წარმოედგინათ; ის, რომ არ მივეცით მათ საბუთები, რადგან, როგორც გავიგეთ, 4 ათასი ლირას ჯარიმის გამოწერა უნდოდათ. შემდეგ პოლიციის განყოფილებაში ქართველმა ქალმა, რომელიც თარჯიმნად მოგვიყვანეს (გვერდით მაღაზიაში მუშაობდა), გვითხრა, პოლიცია იმიტომ გირტყამდათ, რომ უნდოდათ, მათზე თქვენც აგეწიათ ხელიო. ალბათ ასეთ შემთხვევაში სულ სხვანაირად განვითარდებოდა მოვლენები.

— **საქართველოს საელჩოს მუშაობით თქვენც უკმაყოფილო ხართ?**

— არა, პირიქით, რაც შეიძლებოდა, ყველანაირად გვერდში დაგვიდგნენ. კვირადღე არასამუშაო იყო, მაგრამ ისინი ჩვენს ზარებს მაინც პასუხობდნენ. უბრალოდ, ჩვენ თვითონ არ ვიცოდით, სად და რომელ განყოფილებაში გადაგვყავდით. როცა თვითონ გაარკვიეს, ამასობაში ჩვენც გაგვათავისუფლეს. მინდა, რომ ჩვენმა საელჩომ ყველა იმ ქართველს უპატრონოს, რომელმაც შეიძლება ამხელა ამბავი ვერ ატეხოს ასეთი გაუგებრობის გამო. ვიცი, რომ ბევრ ქართველს სცემენ თურქეთის პოლიციის განყოფილებებში და შემდეგ საზღვართან აგდებენ.

✓ **ავთო ჩიტიძე**

# სალომე ქათამაძე: „შვილი გვინდა, მაგრამ ჯერ არ ვჩქაროვბთ“

მომღერალმა სალომე ქათამაძემ იურმალას კონკურსის ვნებათაღელვის შემდეგ ბათუმს მიაშურა დასასვენებლად, თუმცა სიმღერა იქაც მოუწია. 23 აგვისტოს იქ გამართულ საოპერო ფესტივალში „ტენორების და ბარიტონების დუელი“ მიიღო მონაწილეობა, სადაც სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა და თავისი ნამღერით კმაყოფილი დარჩა. მის შესახებ გავრცელებული ბოლო ცხელ-ცხელი ჭორი ორსულობას შეეხებოდა, თუმცა სალომემ „სარკესთან“ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა. ის კი გაგვიმხილა, რომ შვილი მას და მის ქმარს ძალიან უნდათ. მანამდე კი, სანამ ეს სურვილი აუხდებათ და მშობლები გახდებიან, კარიერაზე ზრუნავენ.

სალომე „სარკეს“ ბათუმიდან ესაუბრა.



— **სალომე, რა სიახლეები გაქვთ იურმალას შემდეგ, გამოჩნდა წინადადებები და ახალი პერსპექტივები?**

— გარკვეული შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მნიშვნელოვანი რამ ხდება ჩემს ცხოვრებაში. საზღვარგარეთიდან ჯერ არანაირი წინადადება არ მიმიღია. სექტემბერს ველოდები, რადგან ახლა ისეთი სეზონია, პროდიუსერები დაკავებულები არიან, ზოგიც ისვენებს. როგორც გითხარით, სერიოზული შემოთავაზებები არ მაქვს, სხვა დეტალების დაკონკრეტებისგან კი მაინც თავს შევიკავებ, საიდუმლოდ დავტოვებ. მინდა გითხრათ, რომ ჩემს გულშემატკივრებს ბევრ სიახლეს ვპირდები. ვფიქრობ, რომ საზოგადოება ჩემგან ახლა ბევრს ელოდება და არ უნდა მივიძინო.

**„ბავშვობიდან კლასიკას ვმღერი. საოპერო ფესტივალზე შესრულებული სიმღერა ნოსტალგიის ბრალი იყო“.**

— **იურმალას კონკურსზე მიღებული ფულადი პრიზი ჯერ არ გამოგიყენებიათ?**

— ამ თანხასაც აუცილებლად კარიერისთვის გამოვიყენებ.

— **ბათუმში გამართულ საოპერო ფესტივალშიც მიგიღიათ მონაწილეობა. ამის შესახებ გვიამბეთ.**

— ფესტივალი „ტენორების და ბარიტონების დუელი“ 23 აგვისტოს ჩემი მეგობრის, დავით ბენიანიძის ორგანიზატორობით ჩატარდა. მასთან ერთად ნიუ იორკიდან კიდევ რამდენიმე პროდიუსერი მუშაობდა, შემოთავაზება ძალიან მომეწონა და მონაწილეობა სტუმრის სტატუსით მივიღე. კლასიკა გავიხსენე და ვფიქრობ, რომ მსმენელს საკუთარი თავი საინტერესოდ შევთავაზე. ბავშვობიდან კლასიკას ვმღერი, ესტრადაზე რამდენიმე წელია, რაც გადავერთე და მივხვდი, რომ საოპერო ფესტივალზე შესრულებული სიმღერა ნოსტალგიის ბრალი იყო, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საოპერო კარიერას გავაგრძელებ. ეს ნამდვილად არ მინდა, რადგან ესტრადას ძალიან მივეჩვიე, თან უკვე აღიარებაც მაქვს და სხვა განხრით კარიერის კეთება რთული იქნება.

საბოლოო ჯამში, ბათუმში გამართული საოპერო ფესტივალით ძალიან კმაყოფილი ვარ. იმის კვალობაზე, რომ კლასიკა დიდი ხანია არ მიმღერია და თან ამ სფეროში უკვე არაპროფესიონალი ვარ, საკუთარი ნამღერით მაინც კმაყოფილი დავრჩი.

— **რომელი არია შეასრულეთ ფესტივალზე?**

— ლაურეტას არია პუჩინის ოპერიდან „ჯანინი სკიკი“ და ცნობილი ნეაპოლური სიმღერა „კე ბელა კოზა“.

— **პროექტ „ახალი ხმის“ პერიოდი როგორ გახსენდებათ?**

— „ახალი ხმით“ საქართველოს ჩემი შესაძლებლობები დავანახე, ჩემი სიყვარული გადავეცი და მათი სიყვარული მივიღე. ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად დარჩა.

— **მალე „ახალი ხმის“ მეორე სეზონი იწყება, რა რჩევებს მისცემდით მონაწილეებს?**

— თითოეულ მონაწილეს ვურჩევ, მაქსიმალურად დაიხარჯოს, დაუჯეროს თავის მწვრთნელს, რომელზეც ძალიან ბევრია დამოკიდებული. იმიჯი მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, „ახალი ხმის“ მონაწილეებმა უფრო მეტი ყურადღება ვოკალს უნდა მიაქციონ, რადგან ეს ხმის კონკურსია და არა — ფიზიკური მონაცემების. მწვრთნელების წინაშე როგორებიც არიან, ისეთები უნდა წარდგნენ და ხალხიც შეიყვარებს. როცა სცენაზე გამოგონილი პერსონაჟი არ ხარ, უფრო თავისუფლად მღერი.

— **ახალ სეზონზე ამ პროექტში თქვენი მეგობრებიდან ვინმე თუ მონაწილეობს?**

— კი, ამ პროექტში ჩემი სამი მეგობარი მონაწილეობს — მარიამ პავლიაშვილი, ნინუცა ნიქაბაძე და გოგა მესხი. ყველას თანაბრად ვგულშემატკივრობ, კონცერტებზეც აუცილებლად ვივლი. თუ დასჭირდებათ, რჩევებსაც მივცემ.

— **როგორც ცნობილია, ხმის იოგებისთვის გარუჯვა არცთუ ისე კარგია. ეს გაითვალისწინეთ ბათუმში დასვენებისას?**

— კი, ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ვერ მოგატყუებთ, რომ მზეს ვერიდები, რადგან გარუჯვა ძალიან მიყვარს. აქ მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად ვიმყოფები, საღამოობით სად აღარ დავდივართ. მაგალითად, ახლა სადღაც მთაში ვართ, სადაც მდინარის ნაპირას რესტორანია. მთის ჰაერი განსაკუთრებული სიამოვნებაა.

— **გავრცელდა ხმა, რომ ორსულად ხართ. ეს მართალია?**

— ეს ნამდვილად არ გახლავთ სიმართლე. ორსულად რომ ვიყო, რატომ დავმალავდი? ვფიქრობ, ჯერ პატარები ვართ, მაგრამ, თუ ორსულად დავრჩები, არც ეს იქნება პრობლემა. შვილი კი გვინდა, მაგრამ ჯერ არ ვჩქარობთ. ჯერჯერობით არც ჩემი ქმარი ჩქარობს, რადგან კარიერაზე უფრო ვართ გადართული.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

საქმიანი ქალი

# ქალი, რომელიც მილიონერად უშვილობის პრობლემამ აქცია



**მარიამ კუკუნაშვილი: „ცეკვების“ ვარსკვლავი აუცილებლად გავხდები!“**

დაახლოებით ორი თვის წინ „ფეისბუქზე“ ასეთი შეტყობინება მივიღე:

„გამოჟონა ინფორმაციამ, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავები“-ს კონკურსში მონაწილეობის მსურველ მოქალაქეებს სულ ტყუილად აგზავნინებენ ვიდეოებს საცეკვაო ნომრის შესრულებით. მათ ცეკვას არც არავინ ნახულობს. ეს არის ფარსი და ის ერთი დამატებითი ადგილი იმთავითვე სპეციალურად შექმნეს ვინმე მილიონერი მარიამ კუკუნაშვილისთვის, რომელიც ქართველ სუროგატ დედებს ამუშავებს — აჩენინებს ბავშვებს და უცხოელი გეი წყვილები ათობით ათასებს უხდიან იმ ბავშვებში.

საინტერესოა, „მოცეკვავე“ მარიამ კუკუნაშვილს რა უჯდება ეს ყველაფერი და ვის ჯიბეში მოხვდება ეს თანხა? ამ ნათქვამს დაადასტურებს სექტემბერში მაგ ქალბატონის გამოცხადება გამარჯვებულ კონკურსანტად... თქვენ რაც უნდა დაწეროთ, საქმე გადაწყვეტილია და მაინც არაფერი შეიცვლება“.

ინფორმაციის გადამოწმება მაშინვე ვცადეთ. მარიამ კუკუნაშვილმა, რომელიც სუროგაციის ცენტრ „ნიუ ლაიფ ჯორჯიას“ დამფუძნებელი და მეპატრონე გახლავთ, უარყო, რომ ამ პროექტში მონაწილეობის მიღებას აპირებდა. ცოტა ხნის წინ კი ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მარიამ კუკუნაშვილი პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავები“-ს მონაწილე მართლაც იქნება.

ვინ არის მილიონერი ქალი, რომელიც გეი წყვილებისთვის ბავშვების გაჩენაზე მუშაობს და მართლა იქნება თუ არა პოპულარული პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილე? ყველაფერს ქვემოთ შეიტყობთ.

მარიამ კუკუნაშვილი: თელავში დავიბადე და გავიზარდე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქოთერაპიის ფაკულტეტი დავამთავრე. რეზიდენტურაც გავიარე. მაგისტრატურა ჯანდაცვის მენეჯმენტსა და ეკონომიკაში გავაკეთე. სტუდენტობის პერიოდში რეანიმაციაში ექთნად ვმუშაობდი. ღამის ცვლაში საავადმყოფოში ვიყავი და დღისით ამერიკის საელჩოს პროექტებში ვიყავი ჩართული. ასევე — ჯანდაცვის სამინისტროსა და ევროკომისიის ერთობლივი რეფორმის კოორდინატორი გახლდით. მერე კი ამ ბიზნესით დავკავდი. მე თვითონ არ მყავდა შვილი და ამ სფეროსთან ურთიერთობა მომიწია. მჭირდებოდა სუროგატი დედა, რომლის შერჩევა პრობლემა იყო. დავუახლოვდი კლინიკის ექიმს და მან შემომთავაზა, სუროგაციისა და დონაციის კლინიკა გაგვეხსნა, რადგან მე უცხოელებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მქონდა.

— **უშვილობის პრობლემა მოაგვარეთ?**

— დიახ, სუროგატებმა გამიჩინეს სამი ბავშვი.

— **სხვადასხვა სუროგატებმა?**

— დიახ. ერთი ასაკის ემბრიონები გადავიტანეთ სამი სუროგატის საშვილოსნოში. ერთმა ვერ შეინარჩუნა. ორიდან კი ერთმა ორი გამიჩინა, მეორემ — ერთი. ახლა 2 წლის და 7 თვისანი არიან — მათე, გიორგი და ელენე. მესამე სუროგატს სამი ბავშვი უნდა გაეჩინა და სულ 6 ტყუპი მეყოლებოდა. ერთი 9 კვირის თავზე დაკარგა და ორი — 4 თვის ორსული რომ იყო, მაშინ. მე ენდომეტრიოზის პრობლემა მქონდა და ვერ ვფეხმძიმდებოდი. უამრავი ექიმი მოვიარე, ვიმკურნალე, მაგრამ ამაოდ. 5 ოპერაცია გავიკეთე. ინვიტრო განაყოფიერება 10-ჯერ გავიკეთე, რომ თვითონ გამეჩინა, მაგრამ არ გამოვიდა. ბოლოს უკვე ემოციურად აღარ შემეძლო. მეთერთმეტედ სუროგატი დედის დახმარებით ვცადე და გამოვიდა.

**„სუროგატებმა გამიჩინეს სამი ბავშვი... ინვიტრო განაყოფიერება 10-ჯერ გავიკეთე, რომ თვითონ გამეჩინა, მაგრამ არ გამოვიდა".**

— **სამი სუროგატი დედის ერთდროულად აყვანას ძალიან დიდი ფული სჭირდება.**

— მქონდა ფული, რადგან უკვე ჩემი ბიზნესი გამაჩნდა. 2008 წელს ჩემი ორგანიზაცია დავაარსე საქართველოში. მერე კლინიკები გავხსენი უკრაინაში, ინდოეთში და ამის მერე, 2011 წელს, დაიბადნენ ჩემი შვილები.

— **4 წელიწადში მილიონერი გამხდარხართ. ასეთი შემოსავლიანია სუროგაცია?**

— 4 წელიწადშიც შოულობენ მილიონებს და აგერ ცუკერბერგმა რამდენიმე თვეში იშოვა მილიარდები. გასაკვირი, მგონი, არაფერია.

— **ცუკერბერგი ამ საქმის ნოვატორი იყო. ხელოვნური განაყოფიერება და სუროგაცია კი უკვე კარგა ხანია არსებობს და უამრავი კლინიკაცაა.**

— ცუკერბერგი ნოვატორი იყო, მაგრამ არანაკლები ნოვატორი ვარ მე და არანაკლები უნარები მაქვს. ჩემს სფეროში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნამდვილად ვარ ცუკერბერგი. არ არსებობს მსოფლიოში კლინიკა, სადაც მე არ მიცნობენ. კონფერენცია სადაც ტარდება, ყველგან მე მიწვევენ. არ არსებობს ექსპერტი ამ დარგში, რომ რჩევა მე არ მკითხოს. უზარმაზარი ქსელის გაკეთება 4 წელიწადში შევძელი. 50 ქვეყანა მოვიარე და ჩემი კლინიკა გავხსენი ინდოეთში, ტაილანდში. ისრაელშიც გვაქვს წარმომადგენლობა, პოლონეთში, სომხეთში, უკრაინაში, სამხრეთ აფრიკაში... ადვილი ხომ არ არის?!

ადამიანები მიღწევებში იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ვიღაცას გაუჭირდება და ვიღაცას — არა. ჩემი ტვინი ისეა მოწყობილი, რომ ჩემთვის სიტყვა „შეუძლებელი“ არ არსებობს. ახლა რომ მითხრან, აკრობატიკას ან კოსმონავტობას დაეუფლეო, ამასაც გავაკეთებ. ფსიქოლოგიური ფაქტორია მთავარი. რომ ვიტყვი, ამას გავაკეთებმეთქი, ვაკეთებ.

მხოლოდ ერთ ქვეყანაში პატარა ორგანიზაცია არაფერია და ის უნდა განვითარდეს. იმასაც მივხვდი, რომ სუროგაცია და დონაცია არ არის მყარი სფერო. ბევრ ქვეყანაში აკრძალულია, აზრთა სხვადასხვაობაა და ა.შ. ამიტომ უცხოეთში ხელოვნური განაყოფიერების კლინიკების კეთება დავიწყე. ახლაც მიმდინარეობს ტაილანდში ჩვენი კლინიკის რემონტი და სექტემბერში მექსიკაში უნდა გავხსნა კლინიკა. წელიწადში ერთ კლინიკას ვხსნი. სანამ ჩავალ, ინტერნეტით იურისტებს ვუკავშირდები. იქაურ ვებპორტალებზე ვაკანსიებს ვაცხადებ. მერე ჩავდივარ და გასაუბრებას ვატარებ. ბუღალტრულ კომპანიებს ვუკავშირდები და ა.შ.

ინდოეთსა და ტაილანდში უამრავი მოსახლეა და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ფინანსურად კარგად ვარ.

— **ისრაელსა და უკრაინაში მსოფლიოში ცნობილი ხელოვნური განაყოფიერების ცენტრებია და ქართველები მსგავსი პრობლემის დროს ყველაზე ხშირად სწორედ ამ ქვეყნებს სტუმრობენ. გინდათ თქვათ, რომ მათ კონკურენციას უწევთ?**

— არამარტო უკრაინასა და ისრაელში, არამედ ინდოეთში, ტაილანდშიც ცნობილი ცენტრებია, ასევე — მექსიკაში, სადაც ნახევარი ამერიკა დადის. არ არსებობს ისეთი ბრენდი, როგორიც მე შევქმენი. დიდხანს ვმუშაობდი ევროპელებთან და ამერიკელებთან და მათი ფსიქოლოგია კარგად ვიცი. მათ ურჩევნიათ, ისეთ ბრენდს დაუკავშირდნენ, რომელსაც ყველა ქვეყანაში თავისი წარმომადგენლობა აქვს და თანამშრომლებად ამერიკელებიც ჰყავს და ევროპელებიც. წარმატების კოეფიციენტი მაღალი გვაქვს და კარგი რეპუტაცია მოვიპოვეთ. მარტო საქართველოში ამ წუთში 48 პაციენტი გვყავს ორსულად, 90 — ტაილანდში და ა.შ. ჩვენი კლინიკები ქართველებზე არ არის გათვლილი, უცხოელებზე ვმუშაობთ. დიდი შეცდომაა, ქართველები რომ იქ მიდიან. თბილისში ორი ისეთი კლინიკაა, ისრაელისას და სხვა ქვეყნებისას რომ სჯობია. რადგან მე მქონდა უშვილობის პრობლემა, პაციენტები რომ მიკავშირდებიან, კარგად მესმის მათი ტკივილი. ალბათ ამან მოიტანა კარგი ხარისხიც. მიყვარს ეს საქმე.

— **ჰომოსექსუალები სუროგაციით შვილის გაჩენაში დიდ თანხებს იხდიან?**

— ჩვენ სტანდარტული ფასები გვაქვს. ერთნაირი ფასია როგორც ჰომოსექსუალისთვის, ისე ჩვეულებრივი წყვილისთვის. ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ჰომოფობია და არ მოსწონს ჰომოსექსუალი წყვილები, მაგრამ მე ბევრი ასეთი მეგობარი მყავს და ისინი გადასარევ ოჯახებს ქმნიან. რამდენიმე ქვეყანაში მათი ქორწინება დასაშვებია და რა უფლება მაქვს, როცა მომმართავენ, უარი ვუთხრა, მათი დისკრიმინაცია მოვახდინო?!

— **როგორ ჩაისახება ჰომოსექსუალი წყვილის შვილი — სპერმაც და კვერცხუჯრედიც დონორისაა?**

— კვერცხუჯრედის დონორი და სუროგატი დედა აჰყავთ, სპერმა კი მათია. თანხმდებიან. ჯერ ერთისას აჩენენ, მერე — მეორისას, რომ ორივეს ჰყავდეთ გენეტიკური შვილი. ევროპელი ჰომოსექსუალები ოჯახზე ორიენტირებული არიან, აქვთ ბავშვების გაზრდის საშუალებაც. ქართველ ჰომოსექსუალებს კი არ უნდათ შვილი, არ არიან ამისთვის მზად და ალბათ ისევ და ისევ ეკონომიკური ფაქტორების გამო.

— **მარიამ, რა ქონების პატრონი ხართ, შეიძლება გვითხრათ?**

— როცა ქვეყანაში ასე უჭირს ხალხს და



Cyan Magenta Yellow Black



■ მარიამი ქმართან ერთად

შენ იძახი, მილიონერი ვარო, არ არის ლამაზი, პროვინციალიზმია. რადგან მეკითხებით, გთხოვთ, დააფიქსირეთ, რომ მაიძულებთ, ამაზე გიპასუხოთ. კი, ამდენ ქვეყანაში მაქვს კლინიკა და შეიძლება ითქვას, რომ მილიონერი ვარ. უშვილობის პრობლემა რომ არა, ეს ბიზნესი არ მექნებოდა, მაგრამ ალბათ სხვა რამით დავკავდებოდი.

**— თქვენი სიმდიდრის შესახებ „ფეისბუქის“ თქვენივე გვერდიდან შეიძლება შეიტყოს ადამიანმა — აღწერთ, როგორ მოგზაურობთ, როგორ ერთობით.**

— „ფეისბუქზე“ ამის გამო ძალიან ბევრი მლანძღავს. მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას ნაკლები აქვს და მე — მეტი, დიდი აგრესია მოდის ჩემზე. „შე, ბავშვების გამყიდველო“, „რითი იშოვე ფული“, „ვინ „გკრიშავდა“, „შე მაფიოზო“, „ყველაფრის გამკეთებელო“, „რას ჰგავს შენი სიმღერა“... — ასე მწერენ. ეს გასაკვირი არც არის. მაგალითად, ანგელოზივით გოგოს, სალომე ღვინიაშვილის სტატიის ქვეშ 90 კომენტარიდან 80 იყო — ვაი, შენს პატრონს, შე მახინჯოო. ნორმალურია ეს საზოგადოება?!

ვაპირებ, საცხოვრებლად ინგლისში წავიდე, რომ ჩემი შვილები ამ აგრესიაში არ გავზარდო. ყველას ვუსურვებ, ჩემზე მეტი ჰქონდეს. გასაგებიცაა, როცა ელემენტარული პრობლემები გაქვს, მდიდრის მიმართ აგრესია გიჩნდება. ეკონომიკური მდგომარეობა რომ დალაგდება, ალბათ მენტალიტეტიც შეიცვლება. მეც მიჭირდა ერთ დროს. ზოგჯერ 5 კაპიკს ვეძებდი, რომ ტრამვაიში დავმჯდარიყავი.

**— თქვენი ქმარი ვინ არის?**

— დავით ბეჟუაშვილი. ბიზნესი აქვს — მედიკამენტები შემოაქვს, მაგალითად, ბოტოქსები პლასტიკური ქირურგიის კლინიკისთვის და ა.შ. პროფესიით ფინანსისტია. რამდენიმე წელი ბანკში მუშაობდა დეპარტამენტის უფროსად. სამშენებლო ბიზნესიც ჰქონდა და მერე სამედიცინო სფეროში გადმოერთო.

**— და საქართველოში მედიკამენტებს კი არა, მარილსაც რომ ვერ შემოიტანდი „კრიშის“ გარეშე?**

— შესაძლებელმა ჰკითხა შეუძლებელს — სად დაგივანიაო და შეუძლებელმა უპასუხა, ბრიყვის გონებაშიო. ბრიყვებს ჰგონიათ, რომ „კრიშის“ და სხვების დახმარების გარეშე დიდი წარმატება შეუძლებელია. ადამიანის, ამ შემთხვევაში ჩემი შესაძლებლობები, უსაზღვროა და მხოლოდ იქ გადის ჩემი შესაძლებლობების ზღვარი, სადაც მე ვაწესებ. ეს კი უსასრულობაშია და იქ „კრიშები“ არ ბინადრობენ!

**— თურმე წიგნიც დაწერეთ სილამაზესა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე. მთელი „ფეისბუქი“ აიკელით ამის დალაიქებით. ხალხი კითხულობს, ვინ არის მარიამ კუკუნაშვილი, წარამარა რომ ამოგვიხტება ხოლმეო.**

— ძალიან საინტერესო წიგნია. დაბერების ფსიქოლოგიაზე, პლასტიკურ ქირურგიაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე, კვების მეცნიერებაზე და ა.შ. ბევრი მცდარი წარმოდგენა გვაქვს, თუნდაც ვარჯიშზე. „ფეისბუქიდან“ ალბათ სიკეკლუცეც შემატყვეთ. ამ რაღაცეებით გატაცებული ვარ, ბევრს ვკითხულობ, თავს ძალიან ვუვლი. საკუთარი გამოცდილებით სიბერის გადავადებაზე ვერ ვიმსჯელებ, რადგან იმხელა ასაკი არ მაქვს, რომ ვთქვა, 60 წლის ვარ და 20 წლისას ვგავარ-მეთქი, მაგრამ ბევრი რამ ვიცი.

წიგნსაც ვწერ, ვცეკვავ, ვმღერი, ბიზნესსაც ვაკეთებ, ბავშვებსაც ვზრდი... ეს წიგნი ძირითადად თვითმფრინავში დავწერე, რადგან იქ მრავალ საათს ვატარებ. ზოგჯერ 18 საათი ვმგზავრობ. შემოქმედებითი ადამიანი ვარ და სულ რაღაც ახალს ვაკეთებ. დარწმუნებული ვარ, ჩემი წიგნი კომერციულად მომგებიანი იქნება.

**— სიმღერა როდის დაიწყეთ?**

— სახლში სულ ვმღეროდი. ცეკვის და სიმღერის ხასიათზე ყოველთვის ვარ. მამაჩემი კარგად მღერის. „გარიგების“ ორივე სერიაში მღერის. მიტოს მეგობრებში, გიტარაზე ვინც უკრავს, ის არის. ბოლო დროს დავიწყე სიმღერის ჩაწერა. პირველი და მეორე არ მომეწონა, მესამეს არა უშავს, გამოვიდა რაღაც. დილით ტანვარჯიშის დარბაზში დავდივარ — ჰაერში სალტოებზე ვვარჯიშობ. საღამოს ცეკვა მაქვს. ახლა ერთი სიმღერის არანჟირება გამიმზადეს და ანრი ჯოხაძემ უნდა გამავარჯიშოს.

**— ახლა კი თურმე პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილეობთ.**

— არ ვმონაწილეობ, ჭორია. ისე წერენ, არც მეკითხებიან. ჯერ ერთი, არავის შემოუთავაზებია და ასეც რომ ყოფილიყო, უარს ვიტყოდი, რადგან ჯერ მზად არ ვარ. დილით ყირაზე გადავდივარ სალტოების კეთებისას და, იცით, როგორი ორგანიზმი მაქვს? 7 საათი რომ ვიცეკვო, ფეხი არ ამტკივდება. ამ პროექტში კი გამაყუჩებლებით გაბრუებულები გადიან სცენაზე, რამაც შეიძლება სერიოზული გართულება გამოიწვიოს. როცა დატვირთვას არ ხარ მიჩვეული, შეიძლება კუნთი დაგიზიანდეს. ახლა ვივარჯიშებ და მომავალ წელს მივიღებ მონაწილეობას.

**„არ ვიცი, წელს პროექტში ვინ შეარჩიეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათზე დიდი ვარსკვლავი ვარ, რადგან მთელი მსოფლიო მიცნობს. როგორ არ ვარ ვარსკვლავი, როცა ასეთი წარმატებული ვარ?!".**

**— არადა, თქვენზე ამბობენ, მილიონი გადაიხადა, რომ ამ პროექტში მოხვედრილიყოო.**

— პეტრე ცისკარიშვილი ხომ იცით? მისმა ბიძაშვილმა მომწერა ამ დღეებში, გავიგე, ღვინის ქარხანას ყიდულობ და კარგ რჩევებს მოგცემო. არადა არასოდეს მქონია სურვილი ღვინის ქარხნის შეძენის. მილიონს რატომ გადავიხდი ამ პროექტში, როცა უფასოდაც მიმიწვევენ და მადლობლებიც იქნებიან, რადგან გადასარევად ვიცეკვებ?

**— ვარსკვლავის სტატუსით გინდათ მონაწილეობა?**

— დიახ, ვარსკვლავის სტატუსით. არ ვიცი, წელს ვინ შეარჩიეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათზე დიდი ვარსკვლავი ვარ, რადგან მთელი მსოფლიო მიცნობს. როგორ არ ვარ ვარსკვლავი, როცა ასეთი წარმატებული ვარ და ევროპის ბიზნესასამბლეამ დამაჯილდოვა, როგორც წლის საუკეთესო მენეჯერი და ლიდერი?! ცეკვა მიყვარს და იმიტომ ვცეკვავ. ერთი თვე კუბაში ვიყავი და სალსაში ვმეცადინეობდი კუბელთან ერთად. ახლა არგენტინაში მივდივარ და არგენტინული ტანგო იქ უნდა გავაშალაშინო. თუ მონაწილეობას მივიღებ, გავიმარჯვებ კიდეც, რადგან, რაც მინდა, ყველაფერს ვაღწევ!

**— მოგეხსენებათ ქართველი ხალხის დამოკიდებულება მათ მიმართ, ვინც ჰომოსექსუალებს იცავს. ფიქრობთ, დაგიმესიჯებენ?**

— ამ პროექტში ჰომოსექსუალებიც მონაწილეობდნენ და მათ ამით ხელი არ შეუშლიათ, მშვენივრად უმესიჯებდნენ. ჰომოსექსუალი იჯდა ჟიურიში და ა.შ.

**— რადგან წიგნი დაგიწერიათ ჯანმრთელობასა და სილამაზეზე, ისიც გვითხარით, თავად როგორ უვლით თავს.**

— როგორც უნდა გაგიკვირდეთ, თავის მოვლა ჩემი ძირითადი საქმიანობაა. 2 საათი ტანვარჯიშზე ვარ და, შესაბამისად, ძალიან მოქნილი გახლავართ. როცა გაწელვებს აკეთებ, სიბერის პირველი ნიშანი, ოსტეოპოროზი საერთოდ არ მოდის შენამდე. კარგად ვცურავ. ბოტოქსსაც ვიკეთებ და მეზოთერაპიასაც. ყველაზე ძვირადღირებულ კრემებს ვყიდულობ. როცა ქლორიან წყალში, აუზში ვბანაობ — ქლორი აბერებს და აზიანებს კანს — მერე სპეციალური საშუალებით ვიბან კანს, რომ მთელი ქლორი გამოვიდეს და არ დარჩეს. თმის ნიღბებს ვიკეთებ. ყოველდღე სალონში ვარ. ამ ყველაფერს მთელი დღე უნდება. 3-4 საათი ბიზნესის საქმეზე ვმუშაობ და ეს მყოფნის, რადგან გადასარევი თანამშრომლები მყავს. მსოფლიოს ყველა ცნობილი დიზაინერის ვიაიპი კლიენტი ვარ და ყოველ სეზონზე მიგზავნიან მოწვევებს. მივფრინავ და ვყიდულობ ყველაფერს, რაც მინდა.

ქართველმა ქალებმა უნდა ვისწავლოთ თავის დაფასება. მსხვერპლის გაღებას არავინ არსად აფასებს. რაც უფრო მეტად აფასებ შენს თავს, მით მეტად გაფასებენ ოჯახში, ქმარი, შვილი და ა.შ. ასე რომ, ამ მხრივ, ცოტა ეგოისტი ქალი ვარ.

**— თქვენი დღის რეჟიმში შვილები არ გიხსენებიათ. მათთვის ვერ იცლით?**

— სულ მენატრებიან, რადგან ხშირად მიწევს საქართველოდან წასვლა. ადრე ორ თვეში მხოლოდ 4 დღე ვიყავი თბილისში. ახლა ორ თვეში მხოლოდ ერთი კვირით მივდივარ, რადგან ბავშვების გარეშე აღარ შემიძლია. როცა ვიცი, ღვიძავთ, სულ ვცდილობ, შევუარო და მათთან ვიყო. ნერვიულობენ და განიცდიან უჩემობას. საზღვარგარეთიდან „სკაიპით“ რომ ვურეკავ, მეც ვნერვიულობ და ისინიც. ამის გამო საქართველოდან ჩემი წასვლა შევამცირე.

✓ **რუსუდან ადვაძე**


**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივითერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:**

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. **ქ-ნი ქეთევანი.**

☎ 577-29-37-41, 247-58-83




Cyan Magenta Yellow Black

# „სიღარიბემ უცოლოდ დამტოვა“

46 წლის ასაკში ჩემი ცხოვრების გადაფასებას ვიწყებ. საღამოობით ხშირად ვფიქრობ, სად დავუშვი შეცდომა, რისი გაკეთება შემეძლო და რისი — არა. ჩემი ცხოვრების განვლილ წლებს რომ ვუყურებ, ბევრი არაფრის შეცვლა შემეძლო. ქვეყანაში ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, ვერაფერს გახდებოდი. რაც ჩემს შესაძლებლობებში შედიოდა, იმას სინდისიერად ვაკეთებდი. სკოლაში საუკეთესო მოსწავლე ვიყავი, უნივერსიტეტში — საუკეთესო სტუდენტი. ჩემი სპეციალობით ცოტა ხანს ვიმუშავე და მერე იქიდანაც გამომიშვეს. ფიზიკურად ვშრომობდი, რომ მოხუცი მშობლები მერჩინა. დედა მძიმე ავადმყოფი იყო. ექიმები, ძვირადღირებული წამლები სჭირდებოდა. წელებზე ფეხს ვიდგამდი, რომ მისთვის სიცოცხლე გამეხანგრძლივებინა. ერთადერთი, რითიც კმაყოფილი ვარ, ის არის, რომ დედისთვის არაფერი მომიკლია. მისთვის ყველაფერი გავაკეთე და სიცოცხლის



წლები ვაჩუქე, რა თქმა უნდა, უფლის დახმარებით. მერე ისიც გამომეცალა ხელიდან, რამდენიმე წლის შემდეგ კი მამაც დავასაფლავე.

მიუხედავად იმისა, რომ სულ ვშრომობ, სიღარიბეს თავი ვერაფრით დავაღწიე. მეუბნებოდნენ, ცოლი უნდა მოიყვანო, კაცისთვის ასე ცხოვრება არ შეიძლებაო. ჩემი მშობლებიც ამ ნატვრით წავიდნენ იმქვეყნად. დედა ცუდად რომ ხდებოდა, სულ იმას ამბობდა, შენი ჯავრი მიმყვება საფლავშიო. ჩემს ცხოვრებაში იყო დიდი სიყვარულიც, მაგრამ ოჯახი ვერ შევქმენი. ცოლს ვერაფერს შევთავაზებდი, შვილების რჩენას ვერ შევძლებდი. არ მინდოდა, მათაც სიღარიბეში ეცხოვრათ. სულ ვფიქრობდი, რამე მეშველება, ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორდება, ოჯახს ფეხზე დავაყენებ და ცოლსაც შევირთავ-მეთქი. ეს დრო კი არა და არ დადგა. ამასობაში შეყვარებულიც გამითხოვდა და...

ახლა სრულიად მარტო ვარ ოთხკედელშუა გამომწყვდეული. სახლში მოსვლა აღარ მინდა. ან რა აზრი აქვს, ვინ მელოდება? მხოლოდ ცარიელი კედლები. არც კი ვიცი, რა აზრი ჰქონდა ჩემს ცხოვრებას ან ახლა რა აზრი აქვს. ზოგი მეუბნება, უნდა დაქორწინებულიყავი და ყველაფერი თავისით მოგვარდებოდა, შვილები ასე თუ ისე გაიზრდებოდნენო. ახლაც ვერ ვხვდები, „ასე თუ ისე“ როგორ უნდა გაზრდილიყვნენ. ზოგი მეუბნება, რომ ოჯახის შექმნა არც ახლაა გვიანი, მაგრამ ამაზე სულ უფრო და უფრო ნაკლებად ვფიქრობ. ახლა მხოლოდ ერთადერთი კითხვა მიტრიალებს თავში: რა აზრი ჰქონდა ჩემს ცხოვრებას? ამაზე პასუხს ვერ ვპოულობ.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

გამოხმაურება

## „რძლის გული ვერაფრით მოვიგე“

ჟურნალ „სარკის“ 34-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „ჩვენს ქალიშვილს სამი შვილი გავუზარდეთ და მაინც უმადური დაგვრჩა“. ამ ქალის შვილი ჩემი რძლისნაირი ყოფილა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი რამ გავუკეთეთ, მაგრამ სულ იმას გაიძახის, არაფერი მოგიციათ, არაფერი გაგიკეთებიათო.

მე და ჩემი ქმარი მთელი ცხოვრება ვმუშაობდით. კარგი ოჯახი შევქმენით, არაფერი გვაკლდა. ვფიქრობდი, რძალს რომ მოვიყვან, მას არაფრის ყიდვა დასჭირდება, უზრუნველი ცხოვრება ექნება-მეთქი, მაგრამ შევცდი. გაგიკვირდებათ და, საბჭოთა კავშირის დროს შეძენილ ჭურჭელს, საოჯახო ნივთებს, მე რომ შეკოწიწებული ფულით ვყიდულობდი, ირონიულად უყურებს. თვითონ რაღაც პლასტმასის თეფშები მოიტანა, ეს სჯობიაო.

თავის ნებაზე მივუშვი, შვილიშვილების გაზრდაზე გადავერთე. ორი შვილიშვილი მაჩუქა და ამისთვის ვცემ პატივს, თორემ შეიძლება არც კი დაველაპარაკებოდი. სამშობიაროდან რომ გამოგვყავდა, ბავშვებს პირველივე ღამეს ჩემთან ვაწვენდი, მე ვუვლიდი. შვილიშვილები მართლა მე გავზარდე. თვითონ ჯერ სწავლობდა, მერე მუშაობა დაიწყო. თავისი ხელფასი თვითონაც არ ჰყოფნის, გზის და საჭმლის ფულს ხშირად ქმარს ართმევს, მაგრამ სულ იმას გაიძახის, ვმუშაობ, ვმუშაობო. არაფერს ვამბობ. ახალგაზრდა ქალია და უნდა გავიდეს სახლიდან, რაღაცას უნდა ეწიოს, მომავალი შეიქმნას, მაგრამ სხვისი შრომაც ხომ უნდა დააფასოს?

ყველაფერზე ცხვირს იბზუებს. არ მახსოვს, რამისთვის მადლობა გადაეხადოს. თითქოს ვალდებულები ვართ, რომ მის წინაშე ვიხოხოთ. ამას წინათ უმცროსი შვილიშვილის დაბადების დღე იყო. სტუმრები მოვიდნენ, სუფრა გავშალეთ. ერთ-ერთმა ნათესავმა მადლეგრძელა და თქვა, საოცარი ქალი ხართ, ყველაფერი გადადეთ და შვილიშვილებს თავი მიუძღვენით, დედასავით გაზარდეთო. ჩემმა რძალმა ამაზე ფერი დაკარგა. მკვახედ გამოსცრა კბილებიდან, თვითონ სიამოვნებდა და ერთობოდა, თორემ ბავშვებს დედაც კარგი ჰყავთ და როგორმე გავზრდიდიო. სუფრასთან უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ისევ მე გამოვასწორე რძლის ნათქვამი.

ჩემს შვილიშვილებს შრომას როგორ დავაყვედრი, მაგრამ რძლისგან ასეთი სიტყვები მაინც მეწყინა. უმადურობა საშინელი ასატანია.

**თქვენი მკითხველი**

## „მოძალადე ქმარმა ანჩხლ ქალად მაქცია“

ჟურნალ „სარკის“ 34-ე ნომერში ქალი წერდა, ქმრის სისასტიკე შვილების გამო ავიტანე და ახლა ინვალიდი ვარო. საქართველოში ალბათ ბევრია ასეთი ქალი, ვინც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ოჯახი შეინარჩუნოს, შვილებს მამა ჰყავდეთ, ამას კი მათი ჯანმრთელობა ეწირება.

ჩემს ქმარს სახლში ცოლი კი არა, ოჯახის მომვლელი ჰყავდა. არაფრად მაგდებდა, სხვაზე გაბრაზებული ჩემზე იყრიდა ჯავრს. ცემასაც არ ერიდებოდა. 21 წელია ამ მდგომარეობაში ვარ. მის სისასტიკეს საზღვარი არ აქვს. ანჩხლ, ნევროზიან ქალად ვიქეცი. შვილები მეუბნებიან, ვერ გვიგებო. ბავშვები სიმართლეს მეუბნებიან, მათ მოსასმენად ნერვები არ მყოფნის, ვერც ისეთ სიყვარულს და სითბოს ვჩუქნი, შვილებს რომ სჭირდებათ. ალბათ ჯობდა, ქმარს გავშორებოდი და ჩემი ცხოვრება ამეწყო, თუმცა ახლა ამაზე ფიქრიც კი სასაცილოა.

**„სარკის“ მკითხველი**

## „მარტოხელა დედობის სიმძიმეს შვილი დაგავიწყებთ“

მინდა, გამოვეხმაურო ქალს, რომელიც „სარკის“ №34-ში წერდა, მარტოხელა დედობის ტვირთს ველარ ვუძლებო. ქალბატონო, მეც მარტოხელა დედა ვიყავი. შვილი ისეთი წვალებით გავზარდე, ახლაც მიკვირს, როგორ შევძელი. ჩემი ვაჟიც იხსენებს, ნეტა, თავი როგორ გაგვქონდაო. დედაშვილობამ ყველაფერი შემაძლებინა. ღვთის წყალობით, ისეთი შვილი გავზარდე, ყველა მე შემომნატრის. ახლა არაფერი გვაკლია. ჩიტის რძე რომ მოვისურვო, შვილი ალბათ იმასაც გამიჩენს. ჩემს ერთადერთ შვილს შევხარი და ბედნიერი ქალი ვარ.

დამშვიდდით, ფარ-ხმალი არ დაყაროთ, შვილისთვის ყველაფერი გააკეთეთ და ის ამაგს აუცილებლად დაგიფასებთ. მარტოხელა დედობის სიმძიმეს თქვენი თვალისჩინი, შვილი დაგავიწყებთ.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru
ანონიმურობა დაცულია



Cyan Magenta Yellow Black

# „ბიძაშვილმა თავისი შვილი გამაზრდევინა და ახლა მართმევს“

ჩემი ოჯახის ისტორიას ცოტა შორიდან მოვყვები. მინდა, მკითხველი უკეთესად მიხვდეს ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობას. ბიძაჩემს შვილი არ ჰყავდა და გოგონა იშვილა. ჩვენ თანატოლები ვიყავით და ერთად ვიზრდებოდით. ნათესავები ცდილობდნენ, ნაშვილები ბავშვისთვის სითბო და მზრუნველობა არ მოეკლოთ. მას ასმაგად ეფერებოდნენ. ჩემს მშობლებს შეიძლებოდა ჩემთვის არ შეესრულებინათ რამე, მაგრამ მას ყველაფერს უკეთებდნენ. რა უნდა მოეთხოვა, რომ მისთვის არ ეყიდათ.

მე და ჩემი ბიძაშვილი დებივით ვიყავით, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, მაგრამ ეს ურთიერთობა 17 წლამდე გაგრძელდა. მერე, არ ვიცი, მის ტვინში რა მოხდა, მაგრამ ერთბაშად შეიცვალა. ზოგჯერ ისეთ თვისებას ამჟღავნებდა, რომ გაოცებული ვუყურებდი. 17 წლის რომ გახდა, ზუსტად თავის დაბადების დღეზე გაიპარა და გათხოვდა. იმ დღეს ბიძაჩემმა თითქმის მთელი სანათესაო შეკრიბა, კარგ დროს ვატარებდით, ჩემი ბიძაშვილი კი უცებ სადღაც გაძვრა და დაიკარგა.

მერე გავიგეთ, რაც ჩაიდინა. ქმრად საშინელი პიროვნება აირჩია, ორჯერ ნაციხარი, მასზე ბევრად უფროსი. ბიძაჩემმა ეს ამბავი რომ გაიგო, გულის შეტევა დაემართა, ლამის ხელებში ჩაგვაკვდა. მერე კი ის და მისი ცოლი ბედს შეურიგდნენ. უკვე ასაკში იყვნენ შესული და ფიქრობდნენ, გვერდით დავუდგებით, შვილები ეყოლებათ და გავაზრდევინებთო. იმედი ჰქონდათ, სიძე კარგ ოჯახს შეიფერებდა და კაცად იქცეოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიები იყო. იმ კაცმა ცოლიც რაღაც ცუდ საქმეში გაება და ციხისგან მამაჩემმა და ბიძაჩემმა იხსნეს. მათი ოჯახი მალევე დაინგრა.

ისევ გაგვიჩნდა იმედი, რომ გოგო გონს მოეგებოდა და ცხოვრებას თავიდან დაიწყებდა, მაგრამ შევცდით. მის ცხოვრებაში ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ მამაკაცები. თანაც საოცარი ის იყო, რომ ყოველთვის უღირს პიროვნებას ირჩევდა. მერე ისე გათავხედდა, რომ მოხუც მშობლებს ფიზიკურადაც ეხებოდა. ჩემებმა სახლიდან ბევრჯერ გააგდეს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოიგლიჯეს გულიდან. მან ჯერ ბიძაჩემი შეიწირა, მერე მას საცოდავი ბიცოლაჩემიც მიჰყვა. ისეთი ქალი იყო, მისგან ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ გაიგონებდი. შვილმა კი სიცოცხლე გაუმწარა.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ სახლი გაყიდა. გვითხრა, პატარა ბინა ვიყიდე და დარჩენილი ფულით საქმე უნდა წამოვიწყოო. მისი ამბავი საერთოდ აღარ გვაინტერესებდა. მამაჩემმა გამოუცხადა, კარგ ბედს და იღბალს გისურვებ, მაგრამ ჩვენ ახლოს აღარ გაგვეკარო, შენი ნამდვილი მშობლები და სისხლით ნათესავები მოძებნე და ახლა იმათ აუშალე ნერვები, ჩვენ თავი დაგვანებეო. მართლაც, წლების განმავლობაში ჩვენთან აღარ მოსულა. მის ამბავს ხანდახან შორიდან ვიგებდით, მისი სახელის ხსენებაც კი არ გვსიამოვნებდა.

ასე გავიდა დრო და წლების განმავლობაში ჩემს ცხოვრებაშიც ბევრი რამ შეიცვალა. სამწუხაროდ, არც მე გამიმართლა. გავთხოვდი, შვილიც მეყოლა, მაგრამ ქმართან ურთიერთობა ვერ ავაწყვე, უფრო სწორად, უამრავმა ადამიანმა იზრუნა იმაზე, რომ ოჯახი დამნგრეოდა.. შვილთან ერთად მშობლების სახლში დავბრუნდი. მაშინ მამა უკვე გარდაცვლილი მყავდა. ახლაც მგონია, ის რომ გვერდით მყოლოდა, ქმარი და მისი ოჯახის წევრები ამდენ რამეს ვერ გამიბედავდნენ. ბურჯი რომ გამოგეცლება, ხომ იცით, მერე ყველა გიბრიყვებს. მეც ასე მომექცნენ. კიდევ კარგი, ჩემი დედიკო დამიდგა გვერდით, დამაც ნამდვილი დედობა გამიწია, სიძეც თან გადამყვა და ეს ტკივილი დამიამეს.

ცხოვრება თავიდან რომ დავიწყე, ამ დროს ჩემი ბიძაშვილი გამოჩნდა. დამირეკა და მითხრა, შვილი მყავს, გოგონა და მინდა, გაჩვენოთო. უარს როგორ ვეტყოდით, მოვიპატიჟეთ. რომ მოვიდა, შეცვლილი გვეჩვენა. სახე დაწყნარებოდა, დინჯად საუბრობდა, შვილს კი სულში იძვრენდა. დედაჩემმა უთხრა კიდეც, ახლა კი მიხვდები, მშობლისთვის შვილი რას ნიშნავს და შენი დედ-მამა რა დღეში ჩააგდეო. ტირილი დაიწყო, უჭკუო გოგო ვიყავი, შვილმა ყველაფერი სხვანაირად დამანახაო. გვითხრა, რომ ბავშვის მამა უცხოეთში იყო წასული და იქიდან ყველანაირად ეხმარებოდა. ამბობდა, ჩვენც იქ უნდა წაგვიყვანოს ან აქ ჩამოვა და საქმეს წამოიწყებსო. ოჯახის ქალივით გველაპარაკებოდა, ყველა მოგვთაფლა. დავიჯერეთ, რომ ადამიანის გადასხვაფერება შესაძლებელი იყო.



ჩემს გულში მის მიმართ სიყვარულმა თავიდან გაიღვიძა და ურთიერთობა ავაწყვეთ. დედას ვეუბნებოდი, პირველად ვნახე, ადამიანი ასე შეცვლილიყოს-მეთქი. ისიც დანანებით ამბობდა, მის კარგ ქალობას ნეტა ჩემი რძალი და მაზლიც მოსწრებოდნენო. ამ „კარგმა“ ქალმა კი ერთ დღეს მითხრა, ჩემი ქმარი უკრაინაში დააკავეს, სასწრაფოდ უნდა ჩავიდე, ადვოკატი ავუყვანო და მალევე ჩამოვალო. ბავშვი ათი დღით ჩემთან დატოვა. ყოველი ათი დღის შემდეგ მირეკავდა და მეუბნებოდა, ჩემი ქმრის სასამართლო პროცესი ჭიანურდება, ვერ მივატოვებო. ნათესავები მეუბნებოდნენ, ბავშვი მოგიგდო და წავიდაო, მაგრამ ვერ ვიჯერებდი, რადგან შვილს ისე დაემშვიდობა, ისე ტიროდა... ვერ წარმომედგინა, დედაშვილობაში ასეთი რამ თუ შეიძლებოდა მომხდარიყო...

ბიძაშვილის ბავშვი მე გავზარდე. ის ჩემი შვილია. ჩემი გოგონასგან არ ვასხვავებ, პირიქით, შეიძლება უფრო მეტადაც კი მიყვარს, რადგან მეცოდება, ასეთმა დედამ რომ შობა. 11 წელია მკერდზე მყავს მიკრული. ამ ხნის განმავლობაში დედამისმა სულ რამდენჯერმე მოაკითხა. ბოლო რამდენიმე თვეა, ძალიან გააქტიურდა. ჩვენს ნათესავებს ეკონტაქტება, ვითომ ბავშვის ამბავი აინტერესებს. ბოლოს მომწერა, ჩემს შვილს ვერ მიისაკუთრებო. ვუპასუხე, უფლებას არ მოგცემ, ბავშვი წამართვა და შენნაირი გაზარდო-მეთქი.

ეტყობა, მარტოობა მოსწყინდა და გასართობად შვილი სჭირდება. მერე მასაც აურევს გონებას და ისევ სადმე მიაგდებს. ამ წერილით ვაფრთხილებ, რომ უფლებას არ მივცემ, ბავშვი წამართვას! ეყოს ჩვენი ოჯახის გაუბედურება. ბიძაჩემის ოჯახი ხომ მოსპო და მშობლები მიწაში ჩააწვინა, ახლა იმავეს უფლებას არ მივცემ. ჩემს ოჯახს ვერ დაანგრევს! გეფიცებით, საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ და შეიძლება მოვკლა. ჩემს გოგონას საკუთარი სისხლის ფასად დავიცავ, რომ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და მშობლების მკვლელი დედის ხელში არ ჩავარდეს.

„სარკეს“ წინასწარ ვუხდი მადლობას იმისთვის, რომ ჩემი პრობლემის დაწერის საშუალება მომცა.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# რჩება თუ არა დიტო სერიალში

## კოტე თოლორდავა ახალ ფილმში ილია ჭავჭავაძის როლს ასრულებს



**„რომ აღარ დავლიო, ორგანიზმში 6 თვიანი კაფსულა ჩავიყენე"**

მსახიობმა კოტე თოლორდავამ და მისმა ცოლმა, განო მელითაურმა, მთელი ზაფხული მუშაობაში გაატარეს. ბავშვები დასასვენებლად გაუშვეს, თვითონ კი საქმეს შეებნენ. მათი მიზანი ახალ წლამდე ბინის ყიდვაა და ამისთვის თავს არ ზოგავენ. კოტემ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები წარსულში დატოვა და სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების" მორიგი სეზონის, ასევე ახალი ფილმის გადაღებების დაწყებას ელოდება. ეს ფილმი მისთვის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქართველი ერის განმანათლებლის, დიდი მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის — წმინდა ილია მართლის როლს განასახიერებს.

საქმეზე, გეგმებსა და მოლოდინებზე, ოჯახზე და მის გარშემო გავრცელებულ ჭორმართალზე მსახიობი „სარკეს" ესაუბრება.

— **კოტე, პერიოდულად ვრცელდება ხმები, რომ სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები" მიდიხართ. ახლაც, სეზონი რომ დამთავრდა, თქვეს, რომ დიტო სერიალში აღარ იქნება. ამ ვარაუდების საფუძველი რა არის?**

— წარმოდგენა არ მაქვს. უკვე იმდენად მივეჩვიე ჭორებს, რომ ყურადღებას აღარ ვაქცევ. ცოტა ხნის წინ ჟურნალისტები მირეკავდნენ, მეკითხებოდნენ, მართალია თუ არა, რომ გაჩკა (მსახიობი ნინო გაჩეჩილაძე) ბრუნდება და ლელა მებურიშვილი მიდისო. გავრცელდა ხმა, სერიალში დიტომ ისე მაგრად დაარტყა კატოს, რომ ლელა ფიზიკურად დაშავდა და მის მაგივრად გაჩკა დაბრუნდებაო. ადრე იმაზეც იყო ლაპარაკი, რადგან ნინო სერიალიდან წავიდა, პროტესტის ნიშნად ვითომ მეც მივდიოდი.

**„დიტო მე გამოვძერწე, ამიტომ ბევრი რამ გვაქვს საერთო".**

— **პარტნიორის შეცვლამ თქვენზე როგორ იმოქმედა?**

— გული დამწყდა, გაჩკა რომ წავიდა, მაგრამ მე პროფესიონალი მსახიობი ვარ. დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩემი პარტნიორი ვინ იქნება. ლელა კი არაჩვეულებრივი პარტნიორი, ნიჭიერი გოგოა. ლელა რომც არ ყოფილიყო და ვიღაც ქუჩიდან მოეყვანათ, „ფორმულა კრეატივთან" მაინც გავაგრძელებდი თანამშრომლობას.

მე მაკლია ნინო, დარწმუნებული ვარ, რომ გადასაღებ მოედანსაც აკლია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ლელა საკმაოდ ნიჭიერი გოგოა, მან აბსოლუტურად განსხვავებული კატო გააკეთა.

— **ამჯერად თქვენი წასვლა ალბათ იმიტომ ივარაუდეს, რომ ინფორმაცია გავრცელდა, ახალ ფილმში გიღებენ.**

— ფილმის და სერიალის გარდა, თეატრშიც ვარ. ჩემთვის ნომერი პირველი საქმე სწორედ თეატრია. ვმუშაობ გახმოვანებაზე... უამრავი გეგმა მაქვს, შემართებით ვარ სავსე, მიუხედავად იმისა, რომ წელს ვერ დავისვენე. დასვენება საავადმყოფოში გამომივიდა. მე და ჩემს მეუღლეს დიდი მიზნები გვაქვს და თუ ღმერთი მოწყალე თვალით გადმოგვხედავს, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.

— **საავადმყოფოში რატომ მოხვდით?**

— თირკმელში კენჭი მაქვს და შეტევა დამემართა. მკურნალობის კურსს გავდიოდი, მე და მამაჩემს წამლების ერთნაირი კოლოფები გვაქვს, ვვარაუდობ, რომ ჩემი მის წამალში ამერია და წნევის დამწევი დავლიე. ამიტომ კენჭის გავლასთან ერთად წნევაც დაეცა... საბოლოოდ ისე მოხდა, რომ სასუნთქ აპარატზე შემაერთეს. თვალები რომ გავახილე და მიმოვიხედე, ძალიან შემეშინდა, რადგან ვერ მივხვდი, სად ან რატომ ვიყავი.

**„დარწმუნებული ვარ, ფილმი, რომელშიც ილია ჭავჭავაძის როლს შევასრულებ, ეკრანზე გამოჩნდება თუ არა, მაშინვე დაინგრევა მითი, რომ მე ვარ დიტო".**

გადავწყვიტე, უარი ვთქვა სასმელზე, ლოთი არასოდეს ვყოფილვარ, „ზაპოიც" არასოდეს მქონია, მაგრამ ყველაფერში მაქსიმალისტი ვარ, საკუთარი თავისგანაც ბევრს ვითხოვ, ოჯახის წევრებისგანაც და, სამწუხაროდ, დალევაშიც მაქსიმალისტი გამოვდექი. იქამდე ვსვამდი, სანამ არ გავითიშებოდი. ამ ყველაფერმა ბევრ რამეში ხელი შემიშალა. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება და ორგანიზმში 6 თვიანი კაფსულა ჩავიყენე. საავადმყოფოში თვალები რომ გავახილე, ყველაზე მეტად იმის შემეშინდა, ხომ არ დავლიე-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, ეს არაფერ შუაში იყო.

— **ახლა როგორ გრძნობთ თავს, საბოლოოდ გამოჯანმრთელდით?**

— აბსოლუტურად შემართული, მომზადებული და სამუშაოს მოწყურებული ვარ. მოუთმენლად ველოდები როგორც თეატრში სეზონის გახსნას, ასევე სერიალის გაგრძელებას და იმ ფილმზე მუშაობის დაწყებას, რომელზე საუბრის უფლებაც, სამწუხაროდ, არ მაქვს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ილია ჭავჭავაძის როლი უნდა შევასრულო. ველოდები ამ გადაღებებს და იმედი მაქვს, პროექტი შედგება.

— **დიტოს შემდეგ ილია დიდი „ნახტომი" გამოდის.**

— ჩემს გადაცემას „ფრაგმენტს" თუ გადახედავთ, ერთ-ერთი ილია ჭავჭავაძეზე მაქვს გაკეთებული. თან წამყვანი ვიყავი და თან — პერსონაჟი. გადაცემის ავტორმა რუსიკო ძნელაძემ ასეთი წინადადება რომ შემომთავაზა, სწორედ ამ ფაქტორმა აღმაფრთოვანა. ძალიან საინტერესო სამუშაო, პროექტი იყო და გული მწყდება, რომ აღარ გრძელდება.

— **სერიალზე მუშაობას როგორ აფასებთ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს?**

— ადრე ვთვლიდი, რომ სერიალში თამაში მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი შემოსავლის წყარო იყო, შემოქმედებაზე საუბარი ზედმეტი იყო და უბრალოდ პოპულარობა მოჰქონდა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქართველი საზოგადოების უმეტესი ნაწილი ტელეეკრანს არის მიჯაჭვული და მსახიობებს სწორედ იქიდან იცნობენ, ვიდრე თეატრებიდან. თეატრში მაყურებლის დეფიციტია. დარწმუნებული ვარ, თეატრის მმართველები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს პრობლემა გამოასწორონ. ეს ჩემი სალაპარაკო თემა არ არის.

სერიალში გიორგი ლიფონავას შევხვდი. ვთვლი, რომ დღეს ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორია ქართულ კინოსივრცეში. ჩვენი სერიალის ხიბლი, რაც ჩემთვის ყველაზე ფასეულია, ისაა, რომ გიორგის გადაღებული სერიები პატარა ფილმებია. საკმაოდ რეალურ ამბებს იღებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მაყურებლის უმეტესობა საკუთარ თავს ხედავს სერიალის პერსონაჟებში. სწორედ ეს სძენს ხიბლს ჩვენს სერიალს. ამ წლების განმავლობაში მართლაც ბევრი რამ ვისწავლე და, როგორც მსახიობი, გავიზარდე. სერიალმა ბევრი რამ შემძინა.

— **ის ფაქტი, რომ დიტოსთან ხართ გაიგივებული, გამაღიზიანებელი არ არის?**

— სერიალს აქვს ერთი საშიშროება, შეიძლება მსახიობის განვითარება შეწყდეს და შტამპი დაედოს. საბედნიეროდ, ის მაყურებელი, ვინც თეატრიდან მიცნობს, მიხვდება, რომ მე რადიკალურად განსხვავებული როლები მაქვს შესრულებული — სახასიათო, არასახასიათო, ტრაგიკული... დარწმუნებული ვარ, ფილმი, რომელშიც ილია ჭავჭავაძის როლს შევასრულებ, ეკრანზე გამოჩნდება თუ არა, მაშინვე დაინგრევა მითი, რომ მე ვარ დიტო. მე მხოლოდ სერიალში ვარ დიტო, მაგრამ ასევე წარმატებით შემიძლია ვითამაშო პეტრეს, პავლეს როლი. მსახიობობა ესაა, ამას ვსწავლობდი თეატრალურში 4 წელი. თუკი მე დიტოსთან მაიგივებენ, ამით ბედნიერიც ვარ, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს როლს წარმატებულად გავართვი თავი.

— **ხალხისგან დიდი ინტერესი და ყურადღება იგრძნობა თქვენ მიმართ?**

— ყოველ წამს ვგრძნობ მაყურებლის ყურადღებას და სითბოს. მათი ყურადღება არასოდეს მბეზრდება და ყოველთვის მზად ვარ, ანალოგიურად თბილად გავცე ყველას პასუხი. არასოდეს დავზარდები არც ავტოგრაფების გაცემას, არც მათთან ერთად ფოტოების გადაღებას და არც დალაპარაკებას. სამწუხაროდ, ისეთი მაყურებელიც არის, რომელიც საზღვრებს გადადის და ზედმეტი მოსდის, მაგრამ უმეტესობა უსაყვარლესი ხალხია. მათი დიდი მადლობელი ვარ.

— **ალბათ იცით, რომ თქვენი გმირი დიტო გოგონებში ძალიან პოპულარულია. ბევრი ამბობს, რომ მისნაირ ქმარს ისურვებდა. როგორ ფიქრობთ, რა მოსწონთ ამ პერსონაჟში ქალებს?**

— გენიალური ნათქვამია — არ არსებობს მახინჯი ქალი, მამაკაცი კი მაიმუნზე ოდნავ უფრო სიმპათიური უნდა იყოსო. კაცისთვის ვიღაც ქალი დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზია და ქალისთვის ვიღაც კაცი — ყველაზე სიმპათიური. რას ნიშნავს დიტოსნაირი? მოდი, ვთქვათ, როგორია დიტო. ის არის ადამიანი, ვისთვისაც გადაუჭრელი პრობლემა რეალურად არ არსებობს. სხვა მხარეა მისი ხასიათი და ლექსიკა მეუღლესთან მიმართებაში. ეს ვიღაცეებს აღიზიანებთ, ვიღაცეებისთვის მისაღებია, ბევრს იზიდავს მამაკაცური კაცები. ამას გარდა, ფინანსურად საკმაოდ შეძლებულია, მყარ ნიადაგზე დგას.

ასევე რომანტიკოსია, სიურპრიზები უყვარს. ძალიან უყვარს ცოლი, მაგრამ თუ უყვარს, აბა, რატომ ღალატობს, სხვა ქალებისკენ რატომ გაურბის თვალი?

იმ მომენტში, როცა ვთამაშობ, დიტოს

**„კატოსნაირი ცოლი არ მეყოლებოდა, თუმცა ვთვლი, რომ მოურჯულებელი ქალი არ არსებობს. მთავარია, ადამიანს სწორად მიუდგე და ყველას მორჯულება შეიძლება".**

თავიდან ბოლომდე ვამართლებ. ვთვლი, რომ მისი ყოველი საქციელი სწორია. სხვანაირად პერსონაჟს ვერც გავაკეთებდი. მაგრამ, როცა დიტოს, როგორც მაყურებელი, ისე ვუყურებ, ზოგჯერ რაღაცეებში არ ვეთანხმები და ზოგჯერ ჩემს პერსონაჟთან კონფლიქტში ვარ.

**— დიტოს თქვენგან რა თვისება აქვს?**

— რეჟისორის და სცენარისტის მითითებებით, დიტო მე გამოვძერწე, ამიტომ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გვაქვს საერთო, მაგრამ, თუ რა გვაერთიანებს, ჩემთვის საიდუმლოდ შევინახავ.

**— კოტე თოლორდავა როგორი ქმარია?**

— მაგ კითხვით გაიანა მელითაურს უნდა მიმართოთ. დარწმუნებული ვარ, ის გაცილებით უკეთესად გიპასუხებთ.

**— მაშინ ის მითხარით, ცოლს რა შეზღუდვები აქვს თქვენგან და რა დოზით აძლევთ თავისუფლებას?**

— ისეთი მეორე ნახევარი მყავს, რომელსაც არც შეზღუდვა სჭირდება და არც ჩარჩოებში ჩასმა. ოჯახი არის ჩემი განძი, ჩვენ არანაირი შეზღუდვა არ გაგვაჩნია, ვიცით ერთმანეთის ფასი, ვიცით ერთმანეთის ყველა თვისება და იმ დონეზე ვცემთ ერთიმეორეს პატივს, რომ შეზღუდვებსა და რაღაც სისულელეებზე საუბარი ზედმეტია.

**— კატოსნაირ ქალთან ოჯახის შექმნას შეძლებდით?**

— კატოსნაირი ცოლი არ მყავს და არც მეყოლებოდა, თუმცა ვთვლი, რომ მოურჯულებელი ქალი არ არსებობს. მთავარია, ადამიანს სწორად მიუდგე და ყველას მორჯულება შეიძლება, მათ შორის — ძალიან ჭირვეულისაც კი.

**— ახლა ვხვდები, რა გაქვთ საერთო თქვენ და დიტოს.**

— კატო დიტომ მოარჯულა.

**— სერიალის მსახიობებიდან ვისთან მეგობრობთ?**

— აბსოლუტურად ყველასთან ვმეგობრობ. ლევან ყოჩიაშვილი ჩემი ჯგუფელი იყო. მე და ლელას ერთ სპექტაკლში გვაქვს ნათამაშევი, მე და გაჩკასაც მოგვიწია სპექტაკლებში ერთად თამაში. გიორგი ყიფშიძესთან და კაბუსთან (კახა აბუაშვილი) მანამდეც ვმეგობრობდი, ერთმანეთს თეატრალურიდან ვიცნობდით. მაკა ძაგანიასთან და ანი ტყებუჩავასთან დავმეგობრდი. ბატონი ლეო ანთაძის სპექტაკლშიც მაქვს ნათამაშევი... ასე რომ, თითქმის ყველასთან ვმეგობრობ. ბედნიერი ვარ და ვამაყობ, ასეთ მსახიობებთან რომ მიწევს თამაში.

**— სხვათა შორის, თავიდან ისე ჩანდა, რომ ლელას მიერ შექმნილი კატოს მიმართ მაყურებელი ძალიან კრიტიკული იქნებოდა. საბოლოოდ კი მისი კატო კარგად მიიღო.**

— ასეც იყო, მაყურებელმა საკმაოდ მძაფრად მიიღო, ლელამ ბევრ შემოტევას გაუძლო, მაგრამ მაინც ადვილად შეეგუვნენ. სამწუხაროდ, შეუცვლელიარავინაა. ეს მწარე რეალობაა. რასაც ცხოვრება გვთავაზობს, იძულებულები ვართ, შევეგუოთ.

**— საზოგადოებაში არის კატეგორია, ვისაც დიტოსნაირი „ბაბულიკა" ტიპები აღიზიანებს და თქვენ მისნაირების პროპაგანდაში გადანაშაულებენ.**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ პროპაგანდა ხდება, პირიქით, ჩემი გადმოსახედიდან, სცენარისტი ვერ იტანს ამ კატეგორიის ადამიანებს, ვერც გიორგი ლიფონავა იტანს დიტოსნაირ ტიპებს, ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ, რომ დიტო დააკნინონ და ცუდი კუთხით გამოაჩინონ. ყველანაირად ვცადე, მისი უარყოფითი თვისებების მიუხედავად, ისეთი გმირი შემექმნა, რომელსაც ხალხი შეიყვარებდა და ამან გაამართლა.

დიტო არის ადამიანი, რომელმაც გამოიარა ქუჩა. ქუჩაში ის საკმაოდ წარმატებული იყო, შეიძლება აგრესიულიც და უარყოფი-



■ განო და კოტე

**„ისეთი მეორე ნახევარი მყავს, რომელსაც არც შეზღუდვა სჭირდება და არც ჩარჩოებში ჩასმა. ოჯახი არის ჩემი განძი, ჩვენ ვიცით ერთმანეთის ფასი".**

თიც, ცოტა მოკრიმინალო ტიპი, მაგრამ რაღაც პერიოდში მიხვდა, რომ ეს იყო ასაკობრივი. არ გამოვრიცხავ, რომ მან საზღვარგარეთ განათლება მიიღო და თავის მიმართულებად ბიზნესი აირჩია. ალბათ წინაპრების ფულმა მისცა საშუალება, ბიზნესი წარმატებით ემართა, არაერთი კაფე-რესტორნის პატრონია. ამაში მიბაძონ დიტოს ახალგაზრდებმა, კარგიც იქნება, თუ წარმატებული ბიზნესმენები გამოვლენ.

არ ვიცი, დღევანდელ ქუჩაში რა ხდება, სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ბიჭმა ქუჩის პერიოდი უნდა გაიაროს. გული მწყდება, რომ გაუთავებლად სროლები და ვიღაცეების დაჭრის ამბავი მესმის. ძალიან ვნერვიულობ, რადგან 13 წლის ბიჭი მყავს და მის გამო ვდარდობ. ჩემს დროს ასეთი რამ არ ხდებოდა, მაშინ სულ სხვა ფასეულობები, სულ სხვა რომანტიკა იყო. ჩვენს უბანში ყველაზე მოსისხლე მტერი გოგოსთან ერთად რომ დაგვენახა, არათუ გავეკარებოდით, კაცურად გავაცილებდით.

იმ დროის ქუჩა ძალიან მიყვარს. ასეთი ქუჩა დღესაც რომ იყოს, ჩემს შვილს სიამოვნებით გავუშვებდი რაღაც პერიოდამდე. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღე და ღამე ქუჩაში უნდა იყოს და სწავლა უნდა დაივიწყოს. თან ვსწავლობდი, თან საქმეს ვაკეთებდი და ქუჩაში დგომასაც ვახერხებდი. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერს თავისი დრო ჰქონდა და დღესაც ასეა. მამაკაცი აუცილებლად ვაჟკაცური უნდა იყოს, პირველ რიგში, საკუთარი თავის დაცვა უნდა შეეძლოს. ახლა მეოჯახე ადამიანი ვარ, მაქვს ჩემი საქმე, რომელიც ცხოვრებაზე ძალიან მიყვარს, მყავს არაჩვეულებრივი ოჯახი.

**— სიმამრთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ფანტასტიკური. სერიალში მბურღავი, „მაზალო" სიმამრი მყავს. ნუგზარ ერგემლიძეს თავად ისეთი რაღაცეები აქვს მოფიქრებული, სცენარში არ ეწერა. არ მოველოდი, თუ ასეთი მსახიობური ნიჭი აღმოაჩნდებოდა. ძალიან კარგი სახე შექმნა.

**— ისე იწყებთ სამუშაო სეზონს, რომ დასვენება ვერ მოასწარით?**

— ასეა, მეც და ჩემი ცოლიც მთელი ზაფხული ვმუშაობთ. არ ვიცი, სამწუხაროა თუ საბედნიერო, ორივე შრომაში ვართ, საყვარელ საქმეს ვაკეთებთ. ძალიან გვინდა, სახლი ვიყიდოთ. ისე მოხდა, რომ იმ სახლის შენებაც კი არ დაწყებულა, რომელიც უნდა აშენებულიყო და რაშიც ფულის ნაწილი გადახდილი გვქონდა. გამოვიდა, რომ ჰაერი გვაქვს ნაყიდი. ფულის დაბრუნებაზე ყველანაირად ვიბრძვი, გვპირდებიან, რომ მოგვცემენ. ვნახოთ. კანონსაც გადავხედე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ კანონით ვერ შევებრძოლებით, რადგან არანაირი ბერკეტი არ გვაქვს. ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, იქ წერია, რომ გარკვეული თანხა ჩადებული გვაქვს. ყველაზე დიდი, დაიჭირონ და ქონება დაუყადაღონ, მაგრამ ჩვენ რა? არც არაფერი, ფულიც დავკარგეთ და არც სახლი გვაქვს. ჩვენი ოჯახის ნომერი პირველი მიზანია, ახალ წელს ახალ სახლში შევხვდეთ. მერე იქ დაგპატიჟებთ.

**— იქაც აუცილებლად გესტუმრებით. შვილები სად არიან?**

— ორი თელავშია, მესამე — მუხათწყაროში. თელავში ჩემი მეუღლის პაპისეული ადგილია, იქ მელითაურის სახელობის ქუჩაცაა და ამ ქუჩის მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობენ, თუ არ ვცდები, კვიპაროსებს ეძახიან მაგ უბანს. ძალიან ძველი სახლია. თელავი ძალიან შემიყვარდა. იქ ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს დრო იყინება. ყველაფერი ძალიან დინჯად და მშვიდად მიედინება. სასიამოვნოა იქ ყოფნა, დღისით გრილა და საღამოს ცივა.

**— თბილისში შვილების გარეშე გაძლება არ გიჭირთ?**

— თან ვისვენებ და თან ძალიან მენატრებიან. ჩემი შვილები ცხოვრებაზე მეტად მიყვარს, არაჩვეულებრივები არიან. ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ მათზე. რომ გაიზრდებიან, მერე როგორ გავუშვებ, არ ვიცი. ეს განსაკუთრებით გოგოს ეხება. დარწმუნებული ვარ, ძმებიც მიხედავენ. უფროსი, ბუკა, 13 წლისაა (კოტეს პირველი ქორწინებიდან. რედ.), გოგო, ტასიკო — 29 აგვისტოს 5 წლის გახდება და უმცროსი, თარაშ-თომა თოლორდავა, წლინახევრისაა.უფროსში ისეთ თვისებებს ვამჩნევ, მის ასაკში წარმოუდგენელი იყო, მე მქონოდა. ჩემთვის 13 წლის ასაკში ბავშვი რომ ჩაებარებინათ, წარმოუდგენელი იყო. მაშინ ხულიგანი ვიყავი. ბუკა უკვე დალაგებული კაცია. მისი და ტასიკოს ურთიერთობას რომ ვუყურებ, აღფრთოვანებული ვარ, როგორ არიგებს ჭკუას, რაღაცეებს უკითხავს, ასწავლის.

✓ ქეთი დინოშვილი


ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

# კახა კუკავა: „მარგველაშვილის წინააღმდეგ შეთქმულება თუ არა, საბოტაჟი ნამდვილად არის“

## „ხელისუფლებაში ნაციონალების კლანი მოვა, სააკაშვილის გამოკლებით"



„ჩვენი დამჯერი ბიჭი! საყვარელი! მიშა ისეთი დემოკრატი გახდა, გაგიჟდები პირდაპირ!“ — მსგავსი მოსაზრებები სოციალურ ქსელებში მას შემდეგ გავრცელდა, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებს ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატის წამოყენება შესთავაზა. მესამე სექტორმაც მყისვე უპასუხა და კანდიდატად თამარ ჟვანია წარადგინა. არადა სააკაშვილს კოჟორიძე, ლომჯარია ან გიგაური სდომებია გულში. თამარ ჟვანიას საერთოდ არ ვიცნობო, თქვა.

არასამთავრობოები ირწმუნებიან, რომ თამარ ჟვანიას შერჩევის კრიტერიუმებად ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში საარჩევნო საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის სპეციფიკის კარგი ცოდნა, კანდიდატის არაპარტიული წარსული და პიროვნული ღირსებები გამოიყენეს. ის არასამთავრობო სფეროში 2000 წლიდანაა ჩართული. რას ფიქრობს მასზე პოლიტიკური სექტორი? ამ კითხვით მის ერთ-ერთ გამოკვეთილ წარმომადგენელს, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას მივმართეთ.

— **ბატონო კახა, ალბათ იცნობთ ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატად დასახელებულ თამარ ჟვანიას. როგორ აფასებთ მის პიროვნებას?**

— ვიცნობ და საკმაოდ კარგი კანდიდატურაა, უდავოდ აქვს გამოცდილება, კარგი რეპუტაცია პოლიტიკურ პარტიებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ცნობილია, როგორც საარჩევნო პროცესების კარგი სპეციალისტი, მაგრამ არა მგონია, პრეზიდენტმა წარადგინოს.

— **რატომ?**

— სწორედ იმიტომ, რომ ზედმეტად კარგი კანდიდატურაა, თუმცა შეიძლება წარადგინოს კიდეც, რადგან ახლა აწყობს, რომ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მიუკერძოებელი პიროვნება იყოს. გაყალბების რესურსი მას არ აქვს, დღევანდელ ხელისუფლებას კი აქვს და სააკაშვილი დაინტერესებულია, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამით ვერ ისარგებლოს.

— **„ოცნება“ დაუჭერს მხარს?**

— იძულებული იქნება, მხარი დაუჭიროს, რადგან არასამთავრობოებისგან არის წარდგენილი.

— **ზურაბ ხარატიშვილის წასვლას ცესკო-ს თავმჯდომარეობიდან როგორ შეაფასებთ?**

— პოლიტიკური პირები ხშირად იღებენ ალოგიკურ გადაწყვეტილებას გარკვეული ეიფორიის ქვეშ. რაც ხარატიშვილმა გააკეთა, იმას პოლიტიკური ხარაკირი ჰქვია. მას წარმატების კი არა, პოლიტიკაში მუშაობის დაწყების შანსიც არ აქვს.

— **ამას პაატა დავითაიას პარტიასა და ქდპ-სთან მისი ურთიერთობა გაფიქრებინებთ?**

— არამხოლოდ. ამ არჩევნებზე ზურა ხარატიშვილის ელექტორატი ვინ შეიძლება იყოს? მიიღებს ძალიან დაბალ პროცენტს. დაბალი პროცენტი მეც ამიღია, მაგრამ სულ სხვაა, როცა რეიტინგი თამაშობს და სულ სხვაა, როცა ამით იწყებ. პოლიტიკური ვითარება ყოველთვის გკარნახობს რაღაც აუცილებლობას. მე ვერ ვხედავ, რომ ხარატიშვილს რაიმე ბედი გაეხსნება ამ არჩევნებზე. მგონია, რომ ის უბრალოდ მოატყუეს.

— **ვინ მოატყუა?**

— ადამიანებმა, რომლებიც მასზე ზეგავლენას ახდენდნენ და ეუბნებოდნენ, კარგი შანსი გაქვსო. მასზე გამოცდილი პოლიტიკოსებიც მინახავს, როგორ ექცევიან გარშემომყოფების ზეგავლენის ქვეშ. რომ გეუბნებიან, მიდი, შანსი გაქვსო, გგონია, რომ ეს არის საზოგადოებრივი აზრი, სინამდვილეში კი არის ჩაკეტილი წრე. საზოგადოებისთვის რომ ეკითხა, ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

> **„რაიონებში ყველა მეუბნება, რომ მარგველაშვილის შანსი ნულია. საჯარო მოხელეებსაც ვკითხე და მათაც იგივე მითხრეს. ისიც თქვეს, „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა — გამგებლებმა და ასე შემდეგ, არჩევნებში მარგველაშვილისთვის ხმის მიცემა აგვიკრძალესო. ამ ფონზე ნათელაშვილს და ბურჯანაძეს უფრო მეტი მხარდაჭერა აქვთ, ვიდრე მარგველაშვილს".**

— **მისი იქ ყოფნა ვის არ აწყობდა, ეს იყო ჩამოშორება თუ ვიღაცეების მიერ მისი გამოყენების მცდელობა?**

— ჩამოცილება — არა, უფრო გამოყენება.

— **რამდენად შესაძლებელია, რომ ახალი ცენტრი შექმნას?**

— გამორიცხულია. ამ არჩევნებზე გამოკვეთილია რამდენიმე პარტიის ლიდერი — შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე, კობა დავითაშვილი, ნინო ბურჯანაძე, გიორგი მარგველაშვილი და რა ცენტრზეა საუბარი, გაუგებარია.

— **რამდენიმე დღის წინ „ფეისბუქზე“ დაწერეთ — ინფორმაცია, რომ ივანიშვილი აპირებს არამარტო თავად წავიდეს პოლიტიკიდან, არამედ წააგებინოს მარგვლაშვილსაც, ადრინდელთან შედარებით ბევრად უფრო სერიოზულად გამოიყურება. უფრო კონკრეტულად გვითხარით, რას გულისხმობდით.**

— ეს პერიოდი სხვადასხვა რეგიონში მიწევს სიარული და პრაქტიკულად ყველგან ვეკითხები ადამიანებს, რომელ კანდიდატს რა შანსი აქვს. ყველა მეუბნება, რომ მარგველაშვილის შანსი ნულია. სხვათა შორის, საჯარო მოხელეებსაც ვკითხე და მათაც იგივე მითხრეს. ისიც თქვეს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა — გამგებლებმა და ასე შემდეგ, არჩევნებში მარგველაშვილისთვის ხმის მიცემა აგვიკრძალესო. „ქართული ოცნების“ შტაბი ყველა რაიონში გახსნილიც კი არ არის და პრაქტიკულად ნულოვანია მარგველაშვილის მხარდაჭერა. ანუ არც შტაბი მუშაობს და არც — პიარი. ამ ფონზე ნათელაშვილს და ბურჯანაძეს უფრო მეტი მხარდაჭერა აქვთ, ვიდრე მარგველაშვილს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ მარგველაშვილის გამარჯვებისთვის არ იბრძვის. ამასთან ერთად, ამ საარჩევნო კამპანიაში არამარტო ბიძინა ივანიშვილი, თვითონ უმრავლესობის დეპუტატებიც კი არ არიან ჩართული.

— **რისი თქმა გინდათ, მარგველაშვილს შიგნიდან ებრძვიან? იქნებ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ერიდებიან, როგორც შეგვპირდნენ.**

— უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ არც წინააღმდეგნი არიან და არც — მომხრენი. რაც შეეხება ადმინისტრაციულ რესურსს, იყენებენ. ვხედავთ, რომ მინისტრებთან ერთად დადის, მაგრამ რეალურ მხარდამჭერებზე როცა მიდის საქმე, რწმუნებულები, გამგებლები, ისინი არ არიან ჩართული ამ კამპანიაში, ანუ ისინი, ვინც რეალურად ხმები უნდა მოიტანონ.

— **საბოტაჟთან გვაქვს საქმე?**

— შეთქმულება თუ არა, მინიმუმი, საბოტაჟი ნამდვილად არის, რომ საპრეზიდენტო არჩევნები არ დამთავრდეს მარგველაშვილის გამარჯვებით. სიმართლე გითხრათ, სკეპტიკურად ვუყურებ ამ სტილის ვერსიებს, მაგრამ მომიწია კახეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში ჩასვლა და ყველგან ერთსა და იმავეს მეუბნებიან.

— **მაგრამ მარგველაშვილს პიარად შალვა რამიშვილი დაუნიშნეს, შტაბის უფროსად — დავით საგანელიძე. როგორ გგონიათ, მათ ამდენი არ იციან?**

— ცალკე რამიშვილი არ არის ცუდი პიარი და ცალკე საგანელიძეც — შტაბის ცუდი უფროსი, მაგრამ ისინი არ არიან პოლიტიკოსები. საარჩევნო შტაბი როცა იქმნება, პირველ რიგში, უნდა იყოს პოლიტიკური გუნდი. რამიშვილიც და საგანელიძეც არიან ტექნიკური პერსონალები და ტექნიკური პერსონალი არჩევნებს როგორ მოიგებს? ვხედავთ, რომ აბსოლუტურად გაჩუმებულია პროცესების მიმართ გუბაზ სანიკიძე, ირაკლი ალასანია, კახა შარტავა, გოგი თოფაძე.... ამას ხედავს ამომრჩეველი და ამას ვერც საგანელიძე უშველის და ვერც — რამიშვილი.

— **ბურჯანაძესა და ნათელაშვილზე რას ამბობს ხალხი?**

— არც მათ მიმართ არის დიდი ეიფორია, მაგრამ მათი მხარდამჭერები ჩანან. მარგველაშვილის მიმართ არის გაუგებარი დამოკიდებულება. საპრეზიდენტო არჩევნებზე მთავარია ცნობადობა. ნათელაშვილს და ბურჯანაძეს მთელი საქართველო იცნობს, მაგრამ მარგველაშვილს — არა. მით უმეტეს, ივანიშვილი მიდის და ხალხისთვის ძნელი წარმოსადგენია, მარგველაშვილის და კვირიკაშვილის ხელში დარჩეს საქართველო.

— **ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ ოცნებელების სატელეფონო საუბარი გამოაქვეყნა, სადაც ერთი ამბობს, მირჩევნია, რებრენდინრებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვოს, ვიდრე ბურჯანაძემო. ეს განწყობა მართლა არის?**

— ასეთი საუბრები ნამდვილად არის. ნაცმოძრაობას ფართო მხარდაჭერა არ აქვს,



Cyan Magenta Yellow Black

მაგრამ თავისი სექტა ჰყავს. არჩევნებზე ის არ მოხდა, რასაც ბევრი ელოდა, რომ ნაცმოძრაობა განულდებოდა. მართალია, მათი რეიტინგი ძალიან დაეცა, მაგრამ არ განულდა და ეს სხვადასხვა რამეა. იმავე ნაძალადევის არჩევნებში 15 პროცენტი აჩვენა და ეს უბანი მისთვის ყველაზე რთული იყო, ანუ ჩავთვალოთ, რომ 20-25 პროცენტი შეუძლიათ აიღონ, მით უფრო — ახლა. 6 თვის წინ ნაცმოძრაობა იყო ცალსახა ნეგატივში და „ოცნება“ — პოზიტივში. დროთა განმავლობაში რეგიონებში, სადაც მოსახლეობა ნაკლებად პოლიტიზებულია, დამოკიდებულება შეიცვალა. მაგალითად, ბათუმში ბევრი ობიექტი დამანახეს, შენდებოდა და 1 ოქტომბრის შემდეგ აღარ შენდება. ამის წინააღმდეგ „ქართული ოცნება“ ვერანაირ არგუმენტს ვერ იტყვის. ჩივიან კრიმინალის მატებაზე, ელექტროენერგიის გათიშვაზე... ანუ „ქართულმა ოცნებამ“ ამ ერთ წელიწადში ვერ დადო არგუმენტები, რატომ უნდა მისცენ ხმა გიორგი მარგველაშვილს.

**— გაკეთებული საქმეების გრძელი ჩამონათვალი აქვთ — სოფლის მეურნეობა, უფასო წიგნები, საყოველთაო დაზღვევა, მომატებული პენსიები...**

— წიგნებსა და ვაუჩერებს სააკაშვილიც არიგებდა, მართალია, ნაკლები ღირებულებისას, მაგრამ — ხშირ-ხშირად. წიგნები და ვაუჩერები არ არის რეფორმა, რეფორმა არის, რაღაცსაკითხი გამოასწორო. დავდივარ სოფლებში და ჩემთვის მოულოდნელი იყო, რომ ყველაზე მეტი უკმაყოფილება სწორედ გლეხებშია, მიუხედავად იმისა, რომ ის 300 ლარიანი ვაუჩერები აიღეს.

**— არც ივანიშვილია კმაყოფილი. ეს 14 აგვისტოს კრებაზეც უთქვამს და ტელეკომპანია „მე-9 არხის“ და „ინფო 9“-ის დახურვის დროს ხმამაღლაც თქვა.**

— ბიძინა ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს წასვლა და „მე-9 არხი“ არაფერში სჭირდება. ის გახსნა საარჩევნო კამპანიის დაწყებისას და დამთავრების შემდეგ უნდა დაეხურა.

**— და რატომ გახდა ეს კინკლაობის საგანი თვით ლუბა ელიაშვილთან?**

— გაუგებარი აქ არაფერია, ყველაფერს კარგად ვხვდებით. უბრალოდ მატრაკვეცა ერი ვართ და რაღაცეების შელამაზება გვიყვარს. ბევრი ამბობდა, უი, ბიძინასნაირი ადამიანი გამოჩნდა და ჩვენ მხარს ვუჭერთ, ეს არის საქართველოს იმედიო. რომ გადაგითარგმნოთ, არის ასე — უი, ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, ბევრი მილიარდი აქვს და ცოტას ჩვენც დაგვირიგებსო. მის გვერდით აღმოჩნდნენ კარიერისტები, რომლებიც ზოგი დეპუტატი გახდა, ზოგი — მინისტრი, ზოგმა ტელევიზია ჩაიგდო იაფად და ზოგმა — ბენზინი. აი, ეს ხალხი მოიყვანა ივანიშვილმა და თუ თვითონ გადადგება და ამ ხალხს დაუტოვებს ქვეყანას, ძალიან შავი ასოებით ჩაეწერება საქართველოს ისტორიაში.

**— მიდის, მაგრამ შორს — არა, საზოგადოებრივ მოძრაობაში.**

— არანაირ საზოგადოებრივ მოძრაობაში არ მიდის. თუ არ იქნება პრემიერი, საქართველოში ცხოვრებაც კი გაუჭირდება.

**— რატომ?**

— ამ ქვეყანაში ასეა და იმიტომ. ან ხარ ხელისუფლებაში, ან ხარ დევნილი და არა მგონია, რომ დევნილად ცხოვრება შეძლოს.

**— თუ თავის კადრებს დატოვებს?**

— თავისი გუნდი ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს. „ქართული ოცნება“ არის დაშლილი, ეს რომ ვთქვი პირველად, თავს დამესხა უმრავლესობა, რომელსაც ეზარება ტვინის განძრევა. ჩათვალეს, რომ ეს ჩემი სურვილი იყო. დღეს უკვე თვითონაც ხედავენ, რომ „ქართული ოცნება“ აღარ არსებობს, მოკვდა! არც კოალიცია არსებობს და არც — პარტია. ივანიშვილი უახლოეს პერიოდში პარტიის დაშლის შესახებ გამოაცხადებს და თვითლიკვიდაციაზე წავა. კოალიციის დაშლა 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე გამოცხადდება.

**— პარტიის წევრების გადინება მართლა ხდება?**

— რა თქმა უნდა. აბა, რატომ უნდა დარჩეს ხალხი იქ? იდეალები არ არის, ფულს აღარ არიგებენ და მარგველაშვილის იმედზე რატომ უნდა დარჩნენ?

**— არმაზ ახვლედიანი ირწმუნება, ორი კაცი თუ გადავიდა, ეს ნორმალური პროცესიაო.**

— არმაზს ვიცნობ და პატივს ვცემ, როგორც დირექტორს, მაგრამ ის რომ აირჩიეს ამ გუნდის ლიდერად, ესეც უკვე მეტყველი ფაქტია. არმაზი ვერ გახდება „ოცნების“ ლიდერი, რადგან 1 ოქტომბრამდე ვინც იყო იქ, ისაა ხალხისთვის „ქართული ოცნება“. არმაზი კი იქ არ ყოფილა.

> **„ივანიშვილი უახლოეს პერიოდში პარტიის დაშლის შესახებ გამოაცხადებს და თვითლიკვიდაციაზე წავა. კოალიციის დაშლა 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე გამოცხადდება“.**

**— რატომ მოხდა, რომ მხარდამჭერები და მებრძოლები, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ?**

— არ იცოდნენ, ხმას ვის აძლევდნენ? მათ ამას ვეუბნებოდი და ისიც მახსოვს, როგორ მიპასუხეს — აგრესიით და შეურაცხყოფით. ახლა კი „ქართულმა ოცნებამ“ უთხრა, გამოგიყენეთ და აღარ მჭირდებითო. აი, ასე! ამის მერე უნდა იცოდნენ, თუ არაპატიოსან ხალხთან იწყებ პოლიტიკის კეთებას, შენც გახდები არაპატიოსნების მსხვერპლი.

**— ივანიშვილის მოსვლის და წასვლის უკან რა დგას?**

— ეს არის საქართველოს ფარგლებგარეთ გადაწყვეტილი გეგმა, რითიც უნდა მომხდარიყო საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი ტრანსფორმაცია. საქართველოში ისეთი ვითარება იყო, რომ სააკაშვილის პოლიტიკიდან გაყვანა გარდაუვალი იყო. ამიტომ, ეს ოპერაცია უნდა დასრულებულიყო უსისხლოდ და ივანიშვილმა ერთგვარი ტრანზიტის ფუნქცია შეასრულა. მაგრამ იმისთვის, რომ ხელისუფლების პოლიტიკური კურსი შეიცვალოს, ჩვენი პატრონები მზად ჯერ არ არიან. გაიხსენეთ, 2003 წელს რა მოხდა, „მოქალაქეთა კავშირი“ დაბრუნდა რევოლუციის გზით, ოღონდ ერთი კაცის — შევარდნაძის გამოკლებით. დღეს იგივე უბრუნდება სააკაშვილს — რა მახვილითაც თვითონ მოვიდა, იმავეთი გაიყვანეს. იგივე მოხდება, ისევ ის კლანი დარჩება ხელისუფლებაში სააკაშვილის გამოკლებით.

**— ანუ იმის თქმა გინდათ, რომ სახეშეცვლილი ნაცები მოვლენ?**

— მოსულები არ არიან?! უბრალოდ შეიძლება ნაცმოძრაობა არ ერქვას, ალასანია, უსუფაშვილი, ბაქრაძე შექმნიან ახალ კოალიციას და ერქმევა არა ნაციონალური მოძრაობა, არამედ, მაგალითად, მოძრაობა ევროპული რეფორმებისათვის.

# ვახტანგ ძაბირაძე: „პრემიერსა და პრეზიდენტს შორის აუცილებლად დაიწყება ბრძოლა ძალაუფლებისთვის“

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვეღა რჩება, გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანია კი ისე მდორედ მიმდინარეობს, რომ ჭორები აფუთფუთდა, „ქართული ოცნება“ ნინო ბურჯანაძეზე მუშაობსო. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრს, კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ძაბირაძეს ამაზე საუბარი ნაადრევად მიაჩნია. თვლის, რომ ჯერ ეს ყველაფერი მოთელვა, ურთიერთდაზვერვა და საზოგადოების ზომბირების მცდელობა უფროა, ვიდრე აქტიური საარჩევნო კამპანია. რეალური კონტურების გმოკვეთას კი სექტემბრის ბოლოსთვის ელოდება.

**— ბატონო ვახტანგ, საარჩევნო კამპანია ძალიან მდორედ მიმდინარეობს, სიტუაციაც უცნაურად ლაგდება. რაშია საქმე?**

— საარჩევნო კამპანია ჯერ არ გახურებულა, მაგრამ სექტემბრის პირველი რიცხვებიდან სიტუაცია ალბათ შეიცვლება. ამჯერად შეიმჩნევა, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ გარკვეული იმედგაცრუება არსებობს მოსახლეობაში და შესაძლოა პარტიის წევრებშიც, რასაც მოწინააღმდეგეები პროპაგანდისთვის იყენებენ, თუმცა მაინც მგონია, რომ „ქართულ ოცნებას“ საკმარისი რეიტინგი აქვს იმისთვის, რათა ეს საპრეზიდენტო არჩევნები მოიგოს. აქვე უნდა დავაზუსტო ისიც, რომ, თუ საარჩევნო კამპანია ამ ტონალობაში გაგრძელდა, შესაძლოა, სიურპრიზებთან გვქონდეს საქმე.

> **„ეჭვი მეპარება, ვინმემ შეძლოს, ივანიშვილი ჩაანაცვლოს ისე, რომ ამას გართულებები არ მოჰყვეს ხელისუფლებაში. სიმართლე გითხრათ, მის შემცვლელ ფიგურას, რომელიც არ დაარღვევს ბალანსს, ვერ ვხედავ“.**

**— სიურპრიზი ვისთვის იქნება, „ოცნებისთვის“?**

— კი, ამ არჩევნებში „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ერთადერთია, რომელიც პოლიტიკოსი არ არის, ის ივანიშვილის ხელდასმულია. მართალია, მას, რო-

→18

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

გორც მინისტრს, წარმატება ჰქონდა, მაგრამ მისი სახელი მაინც სკანდალებთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე წარმატებასთან. ფართო მასები კარგად არ იცნობენ. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, სახელისუფლებო გუნდი რამდენად იქნება ჩართული საარჩევნო კამპანიაში. რა თქმა უნდა, მე პოლიტიკურ გუნდსაც ვგულისხმობ და პრემიერსაც.

**— ბოლო დღეებში სოციალური ქსელები წალეკა ინფორმაციამ, რომ „ოცნება“ ბურჯანაძეზე მუშაობს. ეს ხმები რატომ აგორდა, აქვს რაიმე საფუძველი?**

— ამ ეჭვების საფუძველი არის სწორედ ის, რაზედაც უკვე ვილაპარაკე, ანუ მარგველაშვილის საარჩევნო კამპანიაში პოლიტიკური გუნდის წევრები არ ფიგურირებენ. ამასთანავე, მარგველაშვილის მხრიდან საჭიროა თემების გადახალისება და მათი მორგება ამომრჩეველზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახლა პოლიტიკურად მკვდარი სეზონია, ამ ყველაფერმა კი ეჭვების საბაბი გააჩინა. რამდენად მოიხსნება ან გააქტიურდება ეს ხმები, იმაზეა დამოკიდებული, „ქართული ოცნება“ როგორ იაქტიურებს.

**— რატომ არ ერთვება კოალიციის პოლიტიკური გუნდი საარჩევნო კამპანიაში?**

— ვერ გეტყვით. ვიცი, რომ შტაბი ახლა შექმნეს, მაგრამ წინა არჩევნებიდან ისიც ვნახეთ, რომ „ოცნება“ ინერტულად იწყებს კამპანიას და სიჩქარეს შემდეგ უმატებს. აგვისტოს ბოლოა, პარლამენტი ახლა გავიდა შვებულებაში, ამოსუნთქვა სჭირდებათ და სექტემბრის ბოლოსთვის უფრო გამოიკვეთება, ვის რა შანსი აქვს. ჯერჯერობით ეს ყველაფერი მოთელვა, მორგება, მესიჯების გაგზავნა, ურთიერთდაზვერვა და საზოგადოების ზომბირების მცდელობა უფროა, ვიდრე აქტიური საარჩევნო კამპანია. სექტემბრის ბოლოსთვის უნდა ჩამოყალიბდეს თითოეული კანდიდატის რეალური საარჩევნო სტრატეგია.

**— „ქართული ოცნება“ რომ მართლა ბურჯანაძეზე მუშაობდეს, ამ ვერსიაში ლოგიკას ხედავთ?**

— ასეთი რამ თუ უნდოდა ივანიშვილს, პირდაპირ რომ ბურჯანაძე დაესახელებინა, ხელს ვინ შეუშლიდა? ივანიშვილის პოზიციები, კოალიციაშიც და ქვეყანაშიც, ჯერჯერობით მყარია. შეეძლო უამრავი არგუმენტი ეთქვა, რატომ ჯობდა, ის ყოფილიყო მათი კანდიდატი, მაგრამ ეს არ გააკეთა.

**— მინიშნება საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლაზე კეთდება.**

— კი, შეიძლება ამის დასახელება, მაგრამ საგარეო ურთიერთობებში ბურჯანაძეს თავისი წვლილი აქვს შეტანილი. რაღაც არ მახსენდება, ბურჯანაძეს ოდესმე უარი ეთქვას ნატო-სა და ევროკავშირზე. სიტყვიერად ასეა, ყველა ვთანხმდებით, რომ ჩვენი გზა არის ევროპული და მოკავშირე — ნატო. რა ხდება, უფრო რეალურად გამოჩნდება არა ბურჯანაძესა და „ქართული ოცნების“, არამედ მარგველაშვილისა და „ოცნების“ ურთიერთობაში. ჯერ კი არაფერი ჩანს.

**— ამბობენ, რომ რეგიონებში „ოცნების“ მხარდამჭერებს პირდაპირ ეუბნებიან, ხმა ბურჯანაძეს მიეცითო. ვითომ შიგნითაა დაპირისპირება?**

— მე არ ვიცი, ვინ როგორ შეხვდა მარგველაშვილის კანდიდატურის წამოყენებას, მაგრამ ვთვლი, რომ ამ მოცემულობაში ის მართლა ჰარმონიულად ჯდება სახელისუფლებო კონფიგურაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კონსტიტუციური დეტალი გასარკვევ-დასარეგულირებელია.

**— მაგრამ ივანიშვილმა თქვა, პოლიტიკიდან მივდივარო, ანუ კონფიგურაცია აუცილებლად შეიცვლება.**

— მაშინ დიდი მნიშვნელობა ექნება, ვინ იქნება პრემიერი, იმ დროსაც კი, თუ პრეზიდენტი არა მარგველაშვილი, არამედ ბურჯანაძე გახდება. პრემიერი არის წამყვანი ფიგურა და ამიტომ ის არის მნიშვნელოვანი. სამწუხაროდ, ჩვენთან მუშაობენ არა ინსტიტუტები, არამედ პიროვნებები.

**„ივანიშვილი თუ მართლა პოლიტიკიდან წასვლას და საზოგადოებრივ საქმიანობას აპირებს, მით უფრო აუცილებელი იყო ტელეკომპანიის შენარჩუნება. რომ ვიცოდე, საქართველოში მედიაგარემო თავისუფალია, ამას მივესალმებოდი, მაგრამ, როცა ასე არ არის და ტელევიზიას ხურავ, პრობლემები ჩნდება. პოლიტიკაში რომ მოვიდა, დასჭირდა და ტელეკომპანია გახსნა, ახლა მიდის და დახურა კიდეც".**



**„თუ საარჩევნო კამპანია ამ ტონალობაში გაგრძელდა, შესაძლოა, სიურპრიზებთან გვქონდეს საქმე".**

**— ვის დატოვებს თავის პოსტზე ივანიშვილი, ვის ვარაუდობთ?**

— ივანიშვილი არის საკმაოდ არაორდინარული პიროვნება და სანამ მარგველაშვილს დაასახელებდა, მის გარდა, ყველაზე იყო საუბარი. უყვარს მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღება და მოულოდნელი სვლები. ამიტომ დღეს საუბარი იმაზე, თუ ვინ იქნება მისი შემცვლელი, მკითხაობას უფრო ჰგავს.

**— მაგრამ მოულოდნელი სვლა რამდენად გაუმართლებს მარგველაშვილის შემთხვევაში?**

— ამ მოცემულობით, სწორი სვლაა, მაგრამ წასვლის შემთხვევაში უკვე ისევ პრემიერზე იქნება დამოკიდებული, ისეთი ვინმე დანიშნოს, რომ ჰარმონია არ დაირღვეს. თუმცა ეჭვი მეპარება, ვინმემ შეძლოს, ივანიშვილი ჩაანაცვლოს ისე, რომ გართულებები არ მოჰყვეს ხელისუფლებაში. სიმართლე გითხრათ, მის შემცვლელ ფიგურას, რომელიც არ დაარღვევს ბალანსს, ვერ ვხედავ.

**— გართულებებში რა იგულისხმეთ?**

— პრემიერსა და პრეზიდენტს შორის აუცილებლად დაიწყება ბრძოლა ძალაუფლებისთვის, ასევე მოსალოდნელია, რომ კოალიციაში დაიწყოს რყევები და რაღაც ჯგუფებმა დროზე ადრე დაიწყონ საკუთარი თამაში. მთავრობაშიც აუცილებლად იქნება რყევები, რადგან ვინც უნდა იყოს პრემიერი, მაინც შეეცდება, ფიგურები გადასწიოს და გადმოსწიოს. აღარაფერს ვამბობ ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სტრუქტურებში დარჩენილ ძველ ხალხზე, რომლებიც ჰარმონიულად ვერ მუშაობენ ახალ ხელისუფლებასთან. თუ ამას დაემატება ის, რომ უმაღლესი რანგი ვერ იმუშავებს, ეს იქნება კრიზისი და მაშინ ჯობია, ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ მგონია, ქვეყანას არჩევნები ახლა არ სჭირდება, პირიქით, სტაბილურობაა მთავარი. საჭიროა პრემიერის ხელმძღვანელობით ამ ხელისუფლების შენარჩუნება ერთი-ორი წელი მაინც და მიზანმიმართული მუშაობა, ქვეყანაში ჩამოყალიბდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, რომ შემდეგ გადავიდეთ სისტემურ დემოკრატიაზე და არ ვიყოთ დამოკიდებული პიროვნებების გუნება-განწყობაზე.

**— „მე-9 არხის“ დახურვას როგორ ხსნით?**

— დღეს გავრცელებული ინფორმაციით, ეს ტელეკომპანია არ იყო მომგებიანი. მე არ ვარ ჩახედული ამაში, მაგრამ საქართველოში ტელევიზია კომერციულად მომგებიანი რომ ვერ იქნება, ცხადია. ივანიშვილისთვის კომერციული თვალსაზრისით აქცენტის გაკეთება არ ღირდა, რადგან საქართველოში ტელევიზია არც არავისთვის არის კომერცია. ტელევიზია საქართველოში არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის საგანი. დღეს საზოგადოება ინფორმაციას ძირითადად ტელევიზიიდან იღებს, ამიტომაც ელექტრონული მედია არის შეუცვლელი. ალბათ 15 წელი მაინც დასჭირდება, რომ მას ინტერნეტმა კონკურენცია გაუწიოს. ამიტომ ტელევიზიის გაყვანა ამ სივრციდან ზოგადად ქვეყანას არ წაადგება. მესმის, რომ უხერხულობას უქმნიდა, მაგრამ შეიძლებოდა რაიმე მოეფიქრებინათ და შენარჩუნებულიყო.

ივანიშვილი თუ მართლა პოლიტიკიდან წასვლას და საზოგადოებრივ საქმიანობას აპირებს, მით უფრო აუცილებელი იყო ტელეკომპანიის შენარჩუნება. რომ ვიცოდე, საქართველოში მედიაგარემო თავისუფალია, ამას მივესალმებოდი, მაგრამ, როცა ასე არ არის და ტელევიზიას ხურავ, პრობლემები ჩნდება. პოლიტიკაში რომ მოვიდა, დასჭირდა და ტელეკომპანია გახსნა, ახლა მიდის და დახურა კიდეც.

**— ანუ დემოკრატიული ღირებულებების დასახელება მხოლოდ შირმაა?**

— მხოლოდ ეს რომ ყოფილიყო მიზეზი, შეეძლო, გაეჩერებინა ეს ორი თვე და ეთქვა, გადაიარაღება მიდისო. ფორმა მოიძებნებოდა.

**— ცესკო-ს თავმჯდომარეობის შესაძლო კანდიდატ თამარ ჟვანიაზე რას ფიქრობთ?**

— მას არ ვიცნობ, ამიტომ შეფასება გამიჭირდება. ამ სექტორიდან კანდიდატის დასახლება ცუდი არ არის, მაგრამ მაინცდამაინც არასამთავრობოების მიერ შეთავაზებული კანდიდატი რომ უნდა იყოს ცესკო-ს თავმჯდომარე, სწორი არ მგონია. ზოგადად პრინციპზე ვსაუბრობ და არა — პიროვნებაზე. იქ კიდევ სხვა ბევრი კრიტერიუმია დასამატებელი იმისათვის, რომ განისაზღვროს, ცესკო-ს თავმჯდომარე ვინ უნდა იყოს.

**— არჩევნების მეორე ტური იქნება?**

— თუ ასე მოხდება, კარგი იქნება, მაგრამ თუ გააქტიურდება „ქართული ოცნება“ მთელი სპექტრით, მეორე ტური ალბათ აღარ ჩატარდება.



Cyan Magenta Yellow Black

# „ცეზარსაც და რობინ ჰუდსაც ჩემსავით ვალები ჰქონდათ“

## აკაკი ასათიანის საარჩევნო კამპანია ფინანსური სკანდალით დაიწყო



ტრადიციონალისტმა აკაკი ასათიანმა საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე ცესკო-ში განაცხადი უკვე შეიტანა. მიაჩნია, რომ ქვეყანა გზაჯვარედინზეა და სწორედ ახლა მისი გამოცდილება სჭირდება.

დასახელდა თუ არა პრეზიდენტობის კანდიდატად, მის ირგვლივ ამ დღეებში სკანდალი ატყდა — ბანკის ვალების გამო თბილისში, სულთანიშვილის ქუჩაზე მდებარე ოთხსართულიანი სახლიდან გამოასახლეს. ამ ფაქტის გახმაურებისთანავე უამრავი ადამიანი გამოჩნდა, ვინც აკაკი ასათიანის ფინანსურ ოპერაციებშია მოყოლილი და ახლა ქონება ეკარგება. პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიისთვის ასეთი „პიარი“ ნამდვილად არ არის მომგებიანი, არადა ტრადიციონალისტების ლიდერი, არც მეტი, არც ნაკლები, მეორე ადგილს უმიზნებს და მეორე ტურის იმედიც აქვს. თავად ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი და ირწმუნება, რომ ყველაფერი გამოსწორდება. საზოგადოებაში კი ფიქრობენ, რომ სწორედ მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო „შეაფარა თავი“ პოლიტიკოსმა საპრეზიდენტო კამპანიას.

**— ბატონო აკაკი, საპრეზიდენტო მარათონში თქვენს ჩართვას არავინ ელოდა. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?**

— ამის რამდენიმე მიზეზია. პირველი — ის, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა ჩემთვის ყოველთვის მისაღები იყო. მეორე — ის, რომ ვინც არიან კანდიდატები, ყველა ღირსეულია, მაგრამ ალტერნატივა არ ჩანს. ისევ არის ატლანტიკურ სივრცეზე ლაპარაკი, ისევ — „ოცნება“ და ნაციონალები არიან. ჩვენ კი დიდი ხნის განმავლობაში ჩამოგვიყალიბდა ჩვენი დამოკიდებულებები, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის მიმართულებით და მე ხალხს უნდა შევთავაზო ალტერნატივა.

**— რას სთავაზობთ ალტერნატიულს?**

— ეს არის ნეიტრალიტეტი, რომელიც საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, შენარჩუნებულ იქნეს ყველა სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობა და ვისთანაც არ არის, იგულისხმება რუსეთი, მასთან შესაძლებელი გახდეს პირდაპირი, რეალური დიალოგის წარმოება. მეორე, აფხაზებთან და ოსებთან უნდა დავილაპარაკოთ, რადგან ისინი პრორუსული და ნატო-ს მოწინააღმდეგეები არიან. მესამე — ნატო ისედაც არ მიგვიღებს ძალიან დიდი ხანი და შესაძლო საუბრები, რომ გავწევრდეთ ან ევრაზიულ, ან სხვა სამხედრო კავშირში რუსეთის გარშემო, ესეც დამთავრდება. დაბოლოს, ყველაზე მთავარი, ჩვენ თვითონ დავმშვიდდებით და მოვიცლით ჩვენი ქვეყნის მოწესრიგებისთვის. ვირჩევთ პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობას, მაგრამ ბოლომდე არ ვიცით, რა წყობაა. ეკონომიკა, სოციალური სფერო კატასტროფულ მდგომარეობაშია. ამას უნდა მოცლა ისე, რომ საფრთხეების ქვეშ აღარ იყოს ქვეყანა.

**— დააკონკრეტოთ, როგორი ტიპის ნეიტრალიტეტს გვთავაზობთ.**

— ფინეთის, ავსტრიის და არა — შვეიცარიის. ჩემი ამოსავალია ფინეთის ტიპის ნეიტრალიტეტი, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის ფაქტორს და ასე იქცეოდა საბჭოთა პერიოდშიც. ჰქონდა ხელშეკრულება, რომ არ შევიდოდა არც ვარშავის ბლოკში და არც — ნატო-ში. შვეიცარია ევროკავშირის წევრია, ნატო-ს წევრი არ არის. ვის მიმართ არის ნეიტრალური, ნორვეგიის ეშინია, დანიის თუ გერმანია დაესხმება ზღვით? ამჯობინა, რუსეთთან დაპირისპირებაში არ ყოფილიყო. ავსტრია არც ერთი ორგანიზაციის წევრი არ იყო, ევროკავშირის წევრი გახდა, ნატო-ს წევრი არ არის. აი, ამას ჰქვია თავისუფალი არჩევანი, როცა იარლიყებს კი არ აწებებენ ერთმანეთს, არამედ გამოდიან თავიანთი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

**— ნეიტრალიტეტზე საუბარი ადრეც იყო, მაგრამ შემდეგ შეწყდა იმ არგუმენტით, რომ ისეთი ტიპის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს უტოპიაა.**

— რატომ? რა არის შეუძლებელი? ოთხი მეზობელი გვყავს. ომს ვაპირებთ ან გვიპირებენ აზერბაიჯანი და სომხეთი? მათ ერთმანეთში პრობლემა აქვთ და უკვე ნეიტრალური ვართ მათ მიმართ. თურქეთთანაც ძალიან კორექტული ურთიერთობა გვაქვს, მხოლოდ მასთან გვაქვს გარკვეული საზღვარი. იმედია, ისე არ გავგიჟდებით, რომ მათთან ომი წამოვიწყოთ, საბაბს კი ისინი არ იძლევიან. დაგვრჩა ერთი — რუსეთი. ის ამბობს, აგერ მედვედევის ბოლო ინტერვიუ, ჩვენ არ მივესალმებით ნატო-ში თქვენს გაწევრებასო. თუ ნატო-ს არ შემოვიყვანთ და ნეიტრალიტეტს გამოვაცხადებთ, იქაც მოიხსნება პრობლემა.

**„გაგიკვირდებათ, ისე ცოტა ჯდება საარჩევნო კამპანია. მე არ ვაპირებ გრანდიოზული რალიების მოწყობას და, როგორც ჩანს, არც არავინ. მხოლოდ ტრანსპორტით მოძრაობას სჭირდება ფული".**

ამათ წარმოუდგენიათ, რომ მთელი კაცობრიობა დაჯდება და იტყვის, საქართველოს ვენაცვალეო და შემოგვიერთებენ ტერიტორიებს. ასე არ არის, თვითონ უნდა ვაკეთოთ რაღაცეები, მაგრამ ისე კი არა, სააკაშვილი რომ სთავაზობდა ჩუმად მედვედევს, ნატო-ზე უარს ვიტყვიო. თურმე შესაძლებელი ყოფილა სუპერნატოელისთვისაც სახელმწიფო ინტერესებზე დაფიქრება, მაგრამ ამას გალახვის წინ სთავაზობდა და როცა გამლახავი მზადაა გასალახად, ის მაინც გაგლახავს. ეს მანამდე უნდა ეთქვა. ასეთი საკითხები საჯარო უნდა იყოს, ქართველმა, რუსმა ხალხმა და მსოფლიომ უნდა იცოდეს. ეს არ არის ადვილი მისაღწევი, უპირველესად საზოგადოების გადაწყვეტილების თვალსაზრისით, მაგრამ მერე ძალიან ადვილია.

**— საზოგადოების განწყობა სწორად შენიშნეთ, მაგრამ, დავუშვათ, დაგთანხმდნენ და ნატო-ზე უარი თქვეს, მერე როგორ იქნება?**

— გაერო-ს ვთავაზობთ, სხვას არ ვეომებით და მოგვეხმარეთ, რომ შიგნით ურთიერთობა მოვაწესრიგოთ-თქო. დააკვირდით, მედვედევი რას ამბობს. რომ არ გამოსვლოდა ვაჟრობა, ჯერ თქვა, დაელაპარაკეთ სოხუმს და ცხინვალს, ისე დარბილდა ურთიერთობა, ეს შესაძლებელიაო. მოშორებით კი განაცხადა, არ მივესალმებით ნატო-ში საქართველოს გაწევრებასო. ანუ მესიჯი ასეთია — თუ ნატო-ზე არ ილაპარაკებთ, ჩვენ დაგალაპარაკებთ აფხაზებს და ოსებსო. ნეიტრალიტეტი იძლევა საგარეო აქტიური პოლიტიკის და შიდა პრობლემების მოგვარების შესაძლებლობას. ასე რომ, პირველი ნეიტრალიტეტია, მეორე კი — ნაციონალიზაცია.

მიწები მიტაცებულია მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც 70 პროცენტი არ ვარგა დასამუშავებლად, ტყეებია, მაგრამ ესეც გაყიდულია. და ვისზე? ხალხმრავალ ერებზე — ინდოელზე, არაბზე, ჩინელზე... ქართველებმა რა ვქნათ? უნდა ჩამოვართვათ, რადგან ეს უკანონოდ, სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მოხდა.

**— ჩამორთმევა კერძო საკუთრების უფლების დარღვევაა და ინვესტორს შეაშინებს.**

— გარწმუნებთ, რომ ეს ყველაფერი კანონდარღვევით მოხდა და ძალიან მარტივად, კანონით დარეგულირდება. აეროპორტი, რკინიგზა ვინმესი რატომ უნდა იყოს?

**— მაგრამ ის ხომ გასხვისებული არ არის, დროებით მმართველობაშია გადაცემული.**

— 20 წლით? რა, ჩვენ არ შეგვეძლო, აეროპორტი ასე გვემუშავებინა, მარტო ღამე რომ დავფრინავთ, რადგან მოიჯარე თურქებს ასე უფრო იაფი უჯდებათ? ან რომელი არქიტექტურული შედევრი ამიშენეს? ერთი საწყობია, მეტი ხომ არაფერი?

**— მიწის ჩამორთმევა სათუთი თემაა, მათ ხომ ამაში ფული გადაიხადეს.**

— რამდენი?

**— მაშინ რა საბაზრო ღირებულებაც იყო.**

— ძალიან იაფი გადაიხადეს და კომპენსაციამდე თუ მივა საქმე, იმის →20

მამაკაცებისთვის!
სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.
ექიმი ქალბატონი მზია
☎ 514-246-446, 218-48-99



Cyan Magenta Yellow Black

მიცემასაც კი შევძლებთ, მაგრამ უკანონოდ აქვთ ნაყიდი და გადასახდელიც კი არ იქნება კომპენსაცია. სადაც უნდათ, წავიდნენ და იჩივლონ. ჰარი-ჰარალედ არ ვამბობ, ამაზე ნაფიქრი გვაქვს. რომ გვშურს იმ არაბული სახელმწიფოების, უდაბნოს, ქვიშას, 50 გრადუსიან მზეს არ ყიდიან და ჩვენ სამოთხეს რომ ვყიდით, რა, ერთი ავსტრალია კიდევ გვაქვს სადმე გადანახული? ყველაფერი თუ სხვამ იყიდა, მერე ჩვენ რა ვქნათ? ქართველი ვერ დაამუშავებს, მიყიდის იმას, ვინც კარგად ამუშავებს, გამსხვილდება და შედეგიანი იქნება.

სოფლის მეურნეობის განვითარება გვინდა? აჰა, ბანკებს გადააბარეს, მისცეს კრედიტები? ვერ მისცეს. აგრობანკი რომ გავაკეთოთ და დაბალი იყოს პროცენტი, თან პირველი ორი-სამი წელი არ გადაიხადოს პროცენტი, რა გვიშლის ხელს? ჩუქებას აზრი არ აქვს, რაღაც პროცენტი უნდა იხადოს, ოღონდ სული მოითქვას პირველი სამი წელი.

და მთავარი, განათლება არის მისახედი. შეხედეთ, მასწავლებლები ჩაიჭრნენ სასწავლო პროგრამის გამოცდებში. ეს არ არის 20 წლიანი გაუგებრობის შედეგი? თან მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში გაზრდილი ფიზიკოსები დაიტაცეს უცხოეთის ქვეყნებმა. მიზეზი ისაა, რომ ძირითადად ლაპარაკობენ რეფორმაზე, მაგრამ — სტრუქტურულზე. რა არის ამ რეფორმის ამოცანა? ამაზე ყველა დუმს. სააკაშვილი ამბობდა, მომსახურე პერსონალი უნდა ვიყოთო. მე არ მომწონს, თუმცა ეგეც უნდა იყოს, მაგრამ რატომ არ უნდა ვიყოთ ფიზიკოსები, მასწავლებლები და ხელოვანები? ამათ უნდათ, კულტურა იყოს ფოლკლორის დონეზე, ჩვენ, ყველანი, მოსამსახურეები ვიყოთ და პრეზიდენტები, დეპუტატები, ვილაცეები იქნებიან 300 კაცი ალბათ. ასეა ლათინური ამერიკა უკვე 200 წელი და ახლა ძლივს გამოდიან ამ მდგომარეობიდან. ჩვენც 200 წელი ველოდოთ? 20 წელი გვეყოფა და დავამთავროთ! ჯერ კიდევ არის ხალხი, ვისაც ამის ამოქაჩვა შეუძლია, თუ არადა, დავალთ ნულზე და იქიდან მოგვიწევს ცხოვრების დაწყება.

— **თქვენი მესამე პუნქტი ალბათ ტრადიციული ფასეულობების დაცვაა.**

— კი, მაგრამ რომ შეიქმნა ეს 17 მაისი, ასე — არა. ნურც ჩვენ გამოვედევნებით და ნურც ისინი მოგვახვევენ თავს რაიმეს. უმრავლესობამ კი უნდა დაიცვას უმცირესობის უფლებები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრივილეგიებს ითხოვდეს. როგორც მე მინდა, ვიცხოვრო ჩემს ჭკუაზე, ისე უნდა იცხოვრონ მათ, მაგრამ მე არ ვეკითხები და ისიც ნუ გამომეკიდება, მეტს არაფერს ვითხოვ. ეს არის ნორმალური, მაგრამ მოდერნიზაცია აუცილებელია, ქვეყანა უნდა განახლდეს.

მაგალითად, ხარ ჟურნალისტი, მაგრამ აღარ გინდა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გადამზადება, თუნდაც ერთწლიანი კურსებით.

— **თქვენი რეალური შეფასებით, რა შანსი გაქვთ არჩევნებზე?**

— რაღაც რაოდენობას მოვიპოვებ მხარდამჭერების, სულ ცოტა, ინტერესი მაინც არის. ხალხი ან გვეკამათება, ან მხარს გვიჭერს. სხვათა შორის, საინტერესო არჩევნებია. ხელისუფლების კანდიდატს აქვს ყველაზე მეტი შანსი, მაგრამ არა — გარანტირებული მოგება, როგორც სხვა დროს იყო ხოლმე.

— **ბოლო დღეებში ლაპარაკობენ იმაზე, რომ მარგველაშვილი დამარცხებისთვისაა განწირული და „ოცნება“ ნინო ბურჯანაძის გამარჯვებისთვის მუშაობს.**

— სისულელეა! ეს არის გაუთავებელი შეთქმულების თეორიები. იმედი მაქვს, ხელისუფლება ობიექტურად ჩაატარებს ამ არჩევნებს, რადგან ეს მას სჭირდება. ხედავთ, დასავლეთი როგორ უტევს. თან უტიფრობს, რომ თურმე ამათ გადაუხვიეს დემოკრატიას, ნაციონალებს კი ჰქონდათ. ესენი არ არიან მიდრეკილი გაყალბებისკენ, თუმცა საქმის კეთება დიდად არ ეტყობათ. იმედი მაქვს, ნორმალურად ჩაატარებენ და თუ ასე არ მოიქცევიან, პრობლემები გარეთაც იქნება და შიგნითაც. ხალხმა დაიჯერა, რომ არჩევნებით შეიძლება ხელისუფლების ცვლილება. თუ ეს შანსი გავუშვით ხელიდან, დაღუპულები ვართ.

— **თქვენი მონაწილეობის მიზანი რა არის — მოგება თუ ალტერნატივის შეთავაზება?**

— მოგება. ხომ ხედავთ, რა ხდება. მარგველაშვილის გარდა, ყველა 10 პროცენტის ფარგლებშია. მეორე ადგილის აღება მოგებას უდრის, მეორე ტურში გადიხარ და მერე როგორ გადალაგდება სიტუაცია, კაცმა არ იცის. მეორე ადგილს კი ბევრი არ

**„ზურაბ ცინცქილაძესთან ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, მის წინაშე დამნაშავე ვარ, მაგრამ არის ხალხი, ვინც ამას მიეტმასნა, მიეკედლა და რაღაც სხვა ამოძრავებს“.**

სჭირდება, ამიტომ, ვინც ამბობს, მოგებისთვის ვიბრძვიო, შეიძლება დავუჯეროთ.

— **საარჩევნო კამპანიას ფული სჭირდება, თქვენ კი ყელამდე ვალებში ყოფილხართ.**

— ვალები ჩემი პირადი საქმეა და მოვუვლი. გაგიკვირდებათ, ისე ცოტა ჯდება საარჩევნო კამპანია. მე არ ვაპირებ გრანდიოზული რაღაცეების მოწყობას და, როგორც ჩანს, არც არავინ. 200.000 ფლაერის დაბეჭდვას 3.000 ლარი სჭირდება. 100 ლარი რომ დადოს თითოეულმა, მოგროვდება. მხოლოდ ტრანსპორტით მოძრაობას სჭირდება ფული. ჩვენ ვითხოვთ ამას, ენდიაი-საც შევხვდით.

— **თქვენს გამოჩენას საარჩევნო კამპანიაში თქვენი გამოსახლება მოჰყვა ბინიდან და გავრცელდა ორი ვერსია — პირველი, არჩევნებში მონაწილეობთ იმიტომ, რომ თქვენი ფინანსური პრობლემა მოაგვაროთ და მეორე, არჩევნებში მონაწილეობა იმიტომ გადაწყვიტეთ, რომ გეგონათ, ბანკი ანგარიშს გაგიწევდათ და არ გამოგასახლებდათ.**

— პირველი ვერსია მოვხსნათ, რადგან ეს აქტიურობა ფინანსურ პრობლემას ვერ მოაგვარებს. ხალხში ილუზიაა, რომ კანდიდატებს ფულს გამოუყოფენ. არავინ არავის არაფერს გამოუყოფს. ვისაც გამოუყვეს — „დასს“ და „თავისუფალ საქართველოს“, ისინი არ მონაწილეობენ. ამიტომ ეს ამას არ უკავშირდება. ამ პრობლემას მე სხვანაირად მოვაგვარებ, სახლი უნდა დაცლილიყო და დაიცალა.

— **დაცალეთ თუ დაგაცლევინეს?**

— პოლიციას ნამდვილად არ გავუკოჭივარ. რამდენიმე დღეში ვაპირებდი დაცლას და თავისი მოსაზრებები ჰქონდა ბანკის ხელმძღვანელობას.

— **და როგორ წარმოგიდგენიათ გაკოტრებული პრეზიდენტი ქვეყნის სათავეში?**

— იცით, რა, პრეზიდენტი იქნება კაცი, რომელიც არის ზუსტად საქართველოს ნახევარი მოსახლეობის მდგომარეობაში და ერთად გამოვლენ ამ გაჭირვებიდან. კიდევ ერთი რამეა, როგორ გგონიათ, ცეზარი რატომ გახდა ცეზარი? ვალებში იხრჩობოდა. გგონიათ, რობინ ჰუდი ასე გავარდა ტყეში პირდაპირ? ვალების გამო წავიდა... ზოგი ჯვაროსნულ ომში წავიდა, ზოგი — სხვაგან. მე ჩემს ქვეყანაზე ვფიქრობდი, ფულის შოვნაზე რომ მეფიქრა, ბიზნესის ცოდნა არ დამჭირდებოდა, რაღაცას ისე მოვაბამდი თავს. ვფიქრობდი, ეს ქვეყანა დალაგდება და რაღაც იქნება-მეთქი და არ დალაგდა. გამოვალ ამ მდგომარეობიდან და იმ ხალხის ვალს გავისტუმრებ. ზოგს უსამართლო პრეტენზია აქვს და ეს ჩანს კიდეც.

— **ცნობილი მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე ქუჩაში დარჩა იმის გამო, რომ თქვენ დასახმარებლად თავისი ბინა ბანკში ჩადო. ეს ხომ ფაქტია?**

— კი და მასთან ვალდებული ვარ, გავაკეთო. მასთან ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, დამნაშავე ვარ, მაგრამ მე თვითონ ამეწყო ასე ყველაფერი. კაცმა როგორ შეიძლება ეს შეგნებულად გააკეთო?! მაგრამ არის ხალხი, ვინც ამას მიეტმასნა, მიეკედლა და რაღაც სხვა ამოძრავებს. გაირკვევა ეს ყველაფერი.

— **რატომ დაგიგროვდათ ამხელა ვალი?**

— ეს რომ დეტალებში მოგიყვეთ, ერთი დღე არ გვეყოფა. აგვისტოს ომმა სერიოზული პრობლემა შემიქმნა, სასტუმროს ბიზნესი ერთი წელი ჩავარდა მთლიანად და ახლაც ასეა. ეს სახლი თავის დროზე 120 ათასად არის ნაყიდი და მილიონნახევრად შეიძლება გაიყიდოს.

— **რატომ აქამდე არ გაყიდეთ, სანამ ბანკი მთლიანად ჩამოგართმევდათ?**

— ოპოზიციონერისგან ვინ რას იყიდდა? ის კანონი არ გახსოვთ, ნაცებმა რომ მიიღეს, პოლიტიკოსის და პოლიტიკასთან დაკავშირებული პირის ფინანსური ოპერაციები რომ ყადაღდებოდა? უცხოეთში იყვნენ ქართველები, ვისაც სახლის შეძენა სურდათ, მაგრამ მერე ყველამ თავი შეიკავა. ახლა ცოტა მოიხსნა ეს პრობლემა. მე კი არა, ისეთ გამოცდილ ხალხს დაემართა ეს, რომ...

— **მაგრამ უსახლკაროდ დარჩენილ ახლობლებს რას უპირებთ, ვისი სახლებიც ჩადებული გაქვთ ბანკში?**

— ნებისმიერ შემთხვევაში გამოსწორდება ეს ყველაფერი და, სხვათა შორის, მალე, არ აქვს მნიშვნელობა, პრეზიდენტი გავხდე-

**„მე ჩემს ქვეყანაზე ვფიქრობდი, ფულის შოვნაზე რომ მეფიქრა, ბიზნესის ცოდნა არ დამჭირდებოდა, რაღაცას ისე მოვაბამდი თავს. ვფიქრობდი, ეს ქვეყანა დალაგდება და რაღაც იქნება-მეთქი და არ დალაგდა. გამოვალ ამ მდგომარეობიდან და იმ ხალხის ვალს გავისტუმრებ“.**

ბი თუ არა. ეს არჩევნები შეიძლება ხელსაც კი მიშლიდეს, მაგრამ უბრალოდ ვერ გამოვტოვებდი ამ სიტუაციას, რადგან ვთვლი, რომ ქვეყანა დგას გზაჯვარედინზე — თუ წახვალ წინ, დედა გეტირება, წახვალ უკან, ასევე დედა გეტირებაო, ამბობენ. მე ასე არ ვფიქრობ. მგონია, რომ უნდა გავჩერდეთ და გადავწყვიტოთ, საით წავიდეთ. გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა და უნდა ვეცადო, ხალხს ვუთხრა. პარალელურად კი ამ ვალებსაც მოევლება.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა
მანანა გეგიაძ



Cyan Magenta Yellow Black

# ზურაბ ცინცქილაძე: „აკაკი ასათიანმა ამ ხნის ცოლ-ქმარი ქუჩაში გამოგვყარა“



საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე ქართველი საზოგადოება შოკისმომგვრელი ამბის მომსწრე გახდა — ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარეს, პრეზიდენტობის კანდიდატ აკაკი ასათიანს მილიონობით ვალი აღმოაჩნდა დაგროვილი. წლების განმავლობაში ის ოთხსართულიან, მილიონებად შეფასებულ სახლში ცხოვრობდა. იქიდან სულ ახლახან გამოასახლეს. ამ სახლის დაკარგვასთან ერთად ჩაესვენა უამრავი მისი მევალის იმედიც, ვისაც ასათიანი აქამდე არწმუნებდა, ჩემს სახლს გავყიდი და თქვენს ვალს გადავიხდიო.

იმ ადამიანთა შორის, ვინც პოლიტიკოსის „ფინანსურმა ოპერაციებმა“ უსახლკაროდ დატოვა, ცნობილი მსახიობი ზურაბ ცინცქილაძეცაა. ისინი მეგობრები იყვნენ და სწორედ გასაჭირში ჩავარდნილი მეგობრის, კაკო ასათიანის დასახმარებლად და მისივე თხოვნით, ზურაბმა თავისი სახლი, სადაც მთელი ახალგაზრდობა გაატარა, შვილები დაზარდა და ა.შ., ბანკში ულაპარაკოდ ჩადო.

დღეს ზურაბ ცინცქილაძეს დასაკარგი აღარაფერი აქვს — მოსახდენი მოხდა და ის საკუთარი ჭერის გარეშეა დარჩენილი.

**„ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეგობარი აკაკი ასათიანი მოვიდა და მითხრა, რამდენიმე კვირით შენს სახლს ბანკში ჩავდებ, რადგან ფული მჭირდება. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ არ დავხმარებოდი. რას წარმოვიდგენდი, რომ სახლის გარეშე დამტოვებდა?!“.**

**— ბატონო ზურაბ, როგორ დაკარგეთ სახლი?**

— თურმე უცბათ, ისე, რომ არაფერს ელოდები, შეიძლება მეხი გავარდეს ადამიანის თავზე. ვიგებდი ხოლმე, შვილმა მშობელს ბინა გაუყიდა, ვიღაც სახლის გარეშე დარჩა ბანკის გამოო. არ მჯეროდა, რომ ამაში თავად ის ადამიანები არ იყვნენ დამნაშავეები, რომელთა თავსაც ასეთი რამ ხდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეგობარი აკაკი ასათიანი მოვიდა და მითხრა, რამდენიმე კვირით შენს სახლს ბანკში ჩავდებ, რადგან ფული მჭირდებაო. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ არ დავხმარებოდი. რას წარმოვიდგენდი, რომ სახლის გარეშე დამტოვებდა?! ჩემი ბინის სურათები საკუთარი ხელით გადავიღე, რომ მეგობარი არ დაყოვნებულიყო და სესხი სწრაფად მიეცათ. ჩემი ბინა ბანკში ჩადო და თვითონ სესხი გამოიტანა. ბანკი ბანკია — თავისი საქმე აქვს. თუ ვერ გადაიხდი, რითიც ის სესხი უზრუნველყავი, იმის გაყიდვას აწარმოებს. შეიძლება ვიღაცამ, შვილისთვის რომ წამალი ეყიდა, იმიტომ ჩადო ბანკში ბინა, მაგრამ აკაკი ასათიანი მიზანმიმართულად მოქმედებდა. ამ წესით ფულს შოულობდა.

**— ბატონო ზურაბ, მაპატიეთ, მაგრამ თქვენ როგორ გარისკეთ და დათანხმდით, რომ თქვენი ბინა ბანკში ჩაგედოთ?**

— სულელი ვარ, ხომ?! წუთნახევარში გადავწყვიტე, რომ დავთანხმებოდი. ყველა იმას მეუბნება, ეს როგორ მოგივიდაო. წარმოგიდგენიათ, სიკეთის კეთება გაკვირვებას იწვევს. დამაჯერებელიც არ არის, რომ უანგაროდ დავთანხმდი ამაზე. ყველას ჰგონია, რომ ერთობლივ ბიზნესს ვაკეთებდით და ჩაგვივარდა. ხომ იცით, ისე ცოდნას ვერ მიიღებ, თუ შიგნით არ ჩავარდი და არ გამოსცადე. თუ არ ჩავარდი ერთხელ ორმოში და ამოსვლა არ სცადე, ვერ მიხვდები და ვერც ასწავლი სხვას, როგორ ამოხვიდე. ჰოდა, როგორც ჩანს, ეს პატივიც მარგუნა ღმერთმა.

ამ ყველაფრის შემდეგ ჩემთან მოვიდა ერთი ადამიანი, რეესტრის საბუთი მოიტანა, სადაც მეპატრონედ ის იყო დასახელებული. ეს გახლავთ ვინმე გია ნოდია. სანამ ეს მოხდებოდა, უამრავი მოქალაქე გვირეკავდა, მართლა ბინას ყიდითო, გვეკითხებოდნენ. რომ ვეტყოდი, არ ვყიდი, ბანკი ყიდის-მეთქი, დიდი ბოდიშიო, მეუბნებოდნენ და ყურმილს კიდებდნენ. ვინც შეიძინა, იმის გარდა, არავინ იკადრა ჩემი სახლის ყიდვა. ისე კი, ძალიან გაუკვირდა, რომ ეს მე ვიყავი. რაც გადავიხადე, იმაზე 15 ათასით მეტი მომეცით და დღესვე დაგიბრუნებთო, ამბობდა.

ამ ხნის ცოლ-ქმარი ქუჩაში გამოგვყარეს. იმიტომ ვიკავებდი ამ ამბის გამჟღავნებისაგან თავს, რომ დედაჩემმა არ იცოდა, არც ჩემმა სიდედრმა. თან, ასათიანი მპირდებოდა, გადავიხდიო.

თურმე, როცა აკაკი ასათიანი ჩემთან მოვიდა, თავისი სახლი მაშინ უკვე ბანკში ჰქონდა ჩადებული. უკვე ჭაობში იყო ჩავარდნილი და მეც ჩამაგდო იმავე ჭაობში. შეიძლება მეგობარი ჩაითრიო?! ეს შემთხვევა არ გამომასწორებს. ისევ რომ მთხოვოს ვინმემ, ისევ დავეხმარები.

გია ნოდია, რომელმაც ჩემი სახლი აუქციონზე იყიდა, მეუბნებოდა, რომ მივსულიყავი და სახლიდან ყველაფერი წამომეღო. ვმალავდი ამ ყველაფერს. არ მინდოდა, მეზობლებს გაეგოთ. არაფერი წამომიღია. პერანგი და შარვალი, რომელიც მერე კარგა ხანს მეცვა, რადგან ჩემს სახლში ვერ შევდიოდი, მაჩუქეს. ფეხსაცმელი კი ჩემი გმირის, არჩილ წილოსანის მეცვა. ერთი გადაცემისთვის სურათები დამჭირდა. მოვიდა გია ნოდია, გააღო კარი, შუა ოთახში დადგა. მე ავიღე სურათები და გამოვედი. ღმერთს ვეხვეწებოდი, თავშეკავება არ დამეკარგა. ხომ შეიძლება ყელში ვწვდე და დავახრჩო, მიუხედავად იმისა, რომ კანონიერად აქვს შეძენილი. აკაკი ასათიანმა ცოტა ხანს გია ნოდიაც მოატყუა — მოგიტან, მოგიტან ფულსო. ვითომ მე არ მრევდნენ და ვცხოვრობდი ჩემს სახლში. ფული რომ ვერ მიიღო, პოლიცია მომიყვანა და გამომაგდო, რომ ამის გამო „ნაჟიმი“ გამეკეთებინა აკაკი ასათიანზე.

**„ამას წინათ ემოციებს ავყევი და ასათიანი კინაღამ დავახრჩვე“.**

**— რისთვის მჭირდებაო, რა გითხრათ თავიდან აკაკი ასათიანმა, როცა ბანკში ბინის ჩადება გთხოვათ?**

— შვილის სწავლის ფულის გადასახდელად მჭირდებაო. საზღვარგარეთ სწავლობს და თუ არ გადავიხდი, გამოაგდებენო. 30 ათასზე იყო საუბარი და თუ ადამიანი შრომობს, ეს ისეთი თანხა არ არის, რომ გადახდა შეუძლებელი ყოფილიყო. ბანკმა იცოდა, რომ ის ფული აკაკი ასათიანს უნდა გადაეხადა და არა — მე. თან, იცოდნენ მისი მდგომარეობა. მეუბნებოდა, ყველაფერი კარგად იქნება, შენს დაკარგვას მირჩევნია, სიცოცხლე დავკარგო, მაგრამ იმისთვის უნდა ვიცოცხლო, რომ ვალი დაგიბრუნოო. ტექსტები იმისთანა ჰქონდა... ყველა მეუბნება, ყველა თაღლითის ტექსტი ეს არისო.

ამას წინათ ემოციებს ავყევი და კინაღამ მართლა დავახრჩვე. თვეების განმავლობაში ხან სად მეძინა და ხან — სად. ერთი ორგანიზაციის თანათავმჯდომარე ვიყავი და იქ, ოფისში ვიძინებდი. ხან ჩემს გათხოვილ ქალიშვილებს ვსტუმრობდი, ხან — მეგობრებს.

**თამარ დათუაშვილი** — ზურაბ ცინცქილაძის მეუღლე:

— ახლა გამოდის ეს ნაძირალა და ამბობს, ყველაფერი ბანკის ბრალიაო. ქუჩაში დაგვტოვა იმის გამო, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი პრობლემები მოეგვარებინა. სირცხვილია! მთელ საქართველოს გადაუარა, უამრავი ადამიანი გააუბედურა და გამოდის და ამბობს, პრეზიდენტობა მინდა, კენჭი უნდა ვიყაროო. ამას ისე მშვიდად ამბობს, ნამდვილი ნაძირალაა! მისი სახლი ბანკს გადასცეს და თავი ქუდში აქვს. ალბათ ჰგონია, რომ გამოძვრა.

**ზურაბი**: სესხი ავიღე ბანკში და უზარმაზარი რაოდენობის სესხს ვიხდი ყოველთვიურად, რომ ჩემს სახლში შევსულიყავი. ჯობდა, გარეთ ვყოფილიყავი, ვიდრე ეს სესხი ამეღო! თითქმის ერთი →22

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

წელია ვიხდი და ისევ 65 ათასზე მეტი მაქვს ბანკის ვალი... საოცარი მატყუარაა. კი არ გვეუბნებოდა, ბოდიში, გავიჭედე და რა ვქნაო. დღეს-ხვალ მოგცემთო, გაიძახოდა. შვილებს იფიცებოდა, დაიგინებდა ხოლმე. მერე გავიგეთ, რომ უამრავი მევალე ჰყოლია.

ყველაზე ძალიან იმან გამაღიზიანა, გამოვიდა და ჩემს ქვეყანას შეურაცხყოფას აყენებს იმით, რომ პრეზიდენტობა უნდა. იცით, რაშია საქმე? ბანკმა კარგად იცოდა, რასაც ჩადიოდა. მათ რომ დროულად გაეკეთებინათ რამე, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი.

ახლა სახლის გაყიდვა მინდა, მაგრამ ვერ ვყიდი. მეკითხებიან, არ ნანობ. არ ვნანობ, რადგან ასეთი ვარ. უფრო მეტად ვინანებდი, რომ ხელი არ გამემართა და მერე გამეგო, რა უბედურებაში იყო. თურმე, ჩემ გარდა, 50 კაცი მაინც ჰყავს ასე გადაგდებული. ისეთი დამაჯერებლობით მეუბნებოდა... თავიდან მითხრა, ხელისმოწერაა საჭიროო. ვუთხარი, კი, ბატონო-მეთქი. ჩემი ცოლის, თამრიკოს სახელზე იყო ბინა. თამრიკოს არც უკითხავს, რაზე ვაწერინებდი ხელს, ისე მოაწერა. სრული ნდობა გვქონდა. თურმე აქამდე იმდენი თაღლითობა ჰქონდა ჩადენილი, ბანკს უკვე გამოსახლებული უნდა ჰყოლოდა. ბანკების მიმართ კი ვიყავი აქამდე ამრეზით, უსამართლობას ჩადიან-მეთქი, მაგრამ ეს ნაძირალა რომ გამოვიდა და დაიწყო ბანკებზე საუბარი... როგორ შეუძლია ბანკს გადააბრალოს რამე მაშინ, როცა ბანკმა გაუწია ანგარიში და ორი წელი აცხოვრა თავის ბინაში?! ამით შეგვაცდინა კიდევ რამდენიმე ათეული კაცი. ოთხსართულიანი სახლი საიდან ჰქონდა, არ ვიცი, მაგრამ მამა-პაპისგან რომ არ ჰქონდა დატოვებული, ვიცი.

ბანკმა შეწუხება რომ დაგვიწყო, რადგან ამ სესხს არ იხდიდა, იცით, რა გააკეთა? რაღაც გაუთვალისწინებელი დამემართა და ცუდი შედეგი რომ არ დადგეს, თქვენი სახლის ვალი რომ დავფარო, ამისთვის აგარაკი ჩამადებინეთ ბანკში და იმით თქვენი სახლის სესხს გადავფარავ, მერე იმას ორ კვირაში გადავიხდიო. დამაჯერებლად, ისეთი არტისტიზმით ამბობდა, ეჭვიც არ შემპარვია.

**— ამაზეც დათანხმდით?!**

**ზურაბი**: კი, წამართავა აგარაკიც. ბანკში ჩადო და სესხი აიღო. მრცხვენია, ისეთ რამეს ვამბობ. ვინც იგებს, მეუბნება, სულელი ხარო. წეროვანში მაქვს აგარაკი და ახლა ისიც იმ სესხით გამოვისყიდეთ, ბანკს რომ ვუხდით. აქედან რომ აიღო, ამ ფულით კი არ გადაფარა ჩემი სახლის ვალი, თვითონ ჩაიდო ჯიბეში. 30 ათასი წაიღო. ასე გამძარცვა! გაოცებული ვარ, პრეზიდენტობა რომ უნდა. რისთვის სჭირდება ეს, თავდაცვისთვის, რომ ამდენი მოტყუებული ხალხი კიდევ ერთხელ მოატყუოს?!

**— ალბათ არც გადაამოწმეთ, შეიტანა თუ არა აგარაკიდან აღებული ფული.**

**ზურაბი**: მე რომ თავის დროზე გადამოწმება დამეწყო, ამას ხომ არ ჩავიდენდი?!

**— სახლი და აგარაკი როდის შეიძინეთ?**

**ზურაბი**: კოოპერატიული სახლია, თვითონ ავიშენე. ჩემთვის ძვირფასია. შვილები იქ გავზარდე. ყველაზე მწარე, იცით, რა იყო? ქუჩაში რომ ვიყავი, შვილიშვილები მეკითხებოდნენ, შენს სახლში როდის წაგვიყვანო.

შვილები, შვილიშვილები ჰყავს. ერთი ჰკითხეთ, როგორი მამა, როგორი ბაბუაა. ვიცი, რომ გარშემო ყველასთან შერცხვენილია. მე, პირადად, მირჩევნია, მოტყუებული ვიყო, ვიდრე მატყუარა. რომ გავიგე, რამდენი გაძარცვა, ვუთხარი, რა ჯანდაბას შვრებოდი, გემი იყიდეთ და ჩაიძირა თუ სად წაიღე-მეთქი. ვერ ვხვდები, სად წაიღო ამხელა ფული. ბანკს რომ თავის დროზე ჩამოერთმია ქონება მისთვის, თუ ახლა 100 მოტყუებულია, მაშინ 20 იქნებოდა. როცა იცი, სახლი არ აქვს და ბანკმა ჩამოართვა, მაშინ მაინც იფიქრებ, თაღლითი ყოფილაო და შენსას აღარ ჩაუდებ.

ბინა უნდა გავყიდო, ვიქირაო და ისე ვიცხოვრო. სტაბილური შემოსავალი მაქვს პენსიიდან. საპარლამენტო პენსიას ვიღებ, რადგან დეპუტატი ვიყავი და რასაც ეს თანხა ეყოფა, იმით ვიქირავებ. ამხელა კაცი, შვილიშვილების პატრონი, სტუდენტივით დამტოვა.

**თამარი**: უსახლკაროდ დაგვტოვა და ერთი არ უკითხავს, რა ქენითო. როგორც კი თვითონ გამოასახლეს, ჟურნალისტების წინაშე გამოჩნდა და ნახეთ, ბანკები რას აკეთებენო, თქვა. ასეთი უსირცხვილო ვინმე წარმოგიდგენიათ?!

**— ბატონო ზურაბ, ახლა მუშაობთ?**

**ზურაბი**: ხან სად მიმიწვევენ და ხან — სად. მუდმივი სამუშაო არ მაქვს. „პირველ არხზე“ დოკუმენტური ფილმი ჩავწერეთ. თუ გაამართლა, მისი წამყვანი ვიქნები.

■

ზურაბ ცინცქილაძე რომ საკუთარ ბუდეს დაბრუნებოდა, მეგობრები და ნათესავები დაეხმარნენ. სესხის გამოსატანად და ბინის



■ სახლი, რომელიც ცინცქილაძეებმა დაკარგეს

გამოსასყიდად საკუთარი ქონება ჩადეს ბანკში. მისი მეგობარი, ფინანსისტი **რამაზ ვანაძე** მოგვიყვა:

— ზურას აგარაკიც ჩაადებინეს ვითომ ამ ბინის გადასარჩენად და კიდევ, იცით, რა სთხოვეს? ზურაბ ცინცქილაძის სიდედრის ბინის ჩადებაც. აქედან აღებული სესხი სულ ჰყოფნიდა ზურას ბინის გამო აღებული სესხის გადაფარვას. ალბათ ამასაც დათანხმდებოდა, მაგრამ ეს ბინა იპოთეკით ისედაც იყო დატვირთული. ბანკ „რესპუბლიკის“ იურისტმა, ვინმე გია ნოდიამ შეიძინა ზურას ბინა. აგარაკიც უნდა გაეყიდათ და ამ დროს ჩავერიეთ მეგობრები, ნათესავები... აგარაკის გამოხსნას — 28 ათასი, ხოლო ბინისას 82 ათასი დოლარი სჭირდებოდა. გია ნოდია ითხოვდა, გარკვეული თანხა ხელზე მომეცითო და მივეცით. ბანკი თანხას არ გასცემს, თუ გარკვეული უზრუნველყოფა არ იქნა გამოყოფილი. მე ავიღე გარკვეული სესხი, რაც ამ ბინის გამოსყიდვისთვის გამოვიყენეთ, პლუს პროცენტები და ა.შ. საერთო ზარალი, რაც დავთვალეთ ზურას და ჩემ მიერ გადახდილი თანხებით, 178 ათას დოლარი იყო.

მანამდე არსად იყო დაფიქსირებული, რომ აკაკი ასათიანს ჰქონდა ვალი.

ჩვენ გავაფორმეთ ნოტარიულად, რომ მას ჰქონდა ვალი და არა — ზურას. ყოველი კვირის დასაწყისში გვეუბნებოდა, რომ კვირის ბოლოს გადაიხდიდა და ყველა კვირის ბოლოს გვეუბნებოდა, რომ კვირის დასაწყისში მოგვცემდა. ამბობდა, რომ გაყიდდა თავის მილიონებად შეფასებულ ოთხსართულიან სახლს და იმით გადაიხდიდა ჩვენ მიერ ზურასთვის აღებულ სესხს. დაგვიყადაღეს მანქანები, გვაქვს ვალდებულებები კერძო ორგანიზაციებთან და ბანკებთან. არადა მოვილაპარაკეთ, რომ ამ ყველაფერს გაისტუმრებდა. მიზანმიმართულად აიღო ეს თანხები და თავიდანვე იცოდა, რომ არაფერს გაისტუმრებდა.

ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ ვერც გავყიდით სახლს, რადგან პრობლემურია ასეთი სახლის გაყიდვა. ფაქტობრივად ქუჩაში ვართ. ერთი მანქანა ჩამომართვეს და ალბათ მეორესაც ჩამომართმევენ. ყველაფერი, რაც გამაჩნია, დაყადაღებულია.

ზურაბმა თავიდანვე გულწრფელად გვითხრა, რომ ჩვენ რამდენ სესხსაც ვიღებდით, ვერაფრით გაისტუმრებდა. ასათიანისგან მყარი გარანტია მივიღეთ, რომ ამ თანხას დაგვიბრუნებდა. შევთავაზეთ, იქნებ ვიქირაოთ ამ კაცისთვის სახლი ან უფრო პატარა და

**„სახლიდან არაფერი წამომიღია. პერანგი და შარვალი, რომელიც მერე კარგა ხანს მეცვა, რადგან ჩემს სახლში ვერ შევდიოდი, მაჩუქეს. ფეხსაცმელი კი ჩემი გმირის, არჩილ წილოსანის მეცვა“.**

**„თურმე, როცა აკაკი ასათიანი ჩემთან მოვიდა, თავისი სახლი მაშინ უკვე ბანკში ჰქონდა ჩადებული. უკვე ჭაობში იყო ჩავარდნილი და მეც ჩამაგდო იმავე ჭაობში“.**



Cyan Magenta Yellow Black

იაფფასიანი ვუყიდოთ-თქო, მაგრამ ისე გვითხრა, გადავიხდიო, წავედით ამ ვაბანკზე, რომ ზურა თავის სახლში დაგვებრუნებინა. მაშინ უკვე ძალიან დაძაბული ურთიერთობა იყო ზურასა და ასათიანის ოჯახებს შორის, რომელიც ალბათ ახლა უფრო დაიძაბება. იმიზეზებდა, რომ პრეზიდენტის დამოკიდებულება იყო მის მიმართ ცუდი და იმიტომ ვერაფერს ახერხებდა. ათას მიზეზს იგონებდა და ამ ტყუილებით ჩაგვითრია.

**— რას ამბობენ იურისტები, რამდენად შეიძლება ამ ადამიანის პასუხისგებაში მიცემა ან ახლა რა შანსი გაქვთ თქვენი ქონების დაბრუნების?**

— უამრავი ადამიანია ჩვენნაირად დაზარალებული. ეს იყო მიზანმიმართული გეგმა. იკვეთება ის მომენტი, რომ ასათიანი ბანკებთან იყო გარიგებული. ახლა კი ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ცნობს თუ არა ამ ადამიანებს დაზარალებულებად. იურიდიული დოკუმენტები გვაქვს, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი. იურიდიულად ბევრი დარღვევაა. იპოთეკარებთან დაკავში-

**„იკვეთება ის მომენტი, რომ ასათიანი ბანკებთან იყო გარიგებული... არ მინახავს, საქართველოში ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი 5 წელი ისევ თავის სასახლეში ცხოვრობდეს. როგორ უშვებდა ბანკი ამას?!".**

რებით უფრო დიდი თაღლითობები იკვეთება. გარკვეული თანხები, რომლებიც ბანკიდან არის აღებული, მესამე პირზეა გადანაწილებული და ა.შ. მაგალითად, აკაკი ასათიანმა სახლი გაყიდა. ამ გაყიდვის საფუძველზე სხვა პირმა აიღო სესხი, რომელსაც ეს ქონება უნდა შეეძინა, მაგრამ არ იყიდა და ისევ კაკოს მფლობელობაში დარჩა. არადა ჩანს, რომ კაკომ აქედან თანხა მიიღო. ვალდებულება დარჩა ამ ქონებას და ეს არის აკაკი ასათიანის ვალდებულება. ასეთ გაუგებრობებს აქვს ადგილი.

ბანკი ხომ ხედავდა, რომ მიზნობრივად არ იქნა სესხი გამოყენებული? მერე სხვა იპოთეკარზე არეგისტრირებდა. ასეთი უამრავი რამ აქვს ჩადენილი. არ მინახავს, საქართველოში ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი 5 წელი ისევ თავის სასახლეში ცხოვრობდეს. როგორ უშვებდა ბანკი ამას?! ამ სასახლეში აკითხავდა დაზარალებული ხალხი. უამრავი საჩივარია პროკურატურაში შეტანილი, მაგრამ ჯერჯერობით საქმე წინ არ მიდის. მიზეზი ალბათ ის არის, რომ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვთ და ძალიან დატვირთულია ეს უწყება.

სანამ ამ ოთხსართულიან სახლს წაართმევდნენ, წინა დღეებშიც გვითხრა, ამ სახლს გავყიდი და გადავიხდიო. რომ გავიგეთ, ბანკმა წაართვა, პანიკაში ჩავცვივდით. მანამდე აკაკი ასათიანმა მილიონად გაყიდა თავისი ოფისი. ამის გარდა, საერთო ჯამში, ბანკიდან დიდი დარღვევებით მილიონი ლარი აქვს მიღებული. 300 ათასი აქვს ერთი იპოთეკარისგან აღებული. როგორც ჩანს, ისინიც ადვილად მოატყუა. საკუთარი თანამშრომლები დატოვა უსახლკაროდ. სად მიჰქონდა ამხელა ფული, პროკურატურა არ უნდა დაინტერესდეს?! დარწმუნებული ვარ, ქონება სხვის სახელზე აქვს გაფორმებული და, როცა უნდა, მაშინ დაიბრუნებს.

თბილისი პატარაა და არაფერი იმალება, ყველაფერი მალე გაირკვევა. როგორც კაცს, როგორც ადამიანს, რომ ეთქვა, ბოდიში, ვერ ვიხდიო, ასე ხომ აღარ მოვიქცეოდით?! პატარა სახლს ვუყიდდით ახლობლები ზურას და ჩვენც აღარ ჩავცვივდებოდით ამ დღეში. ვიცი, ზურას სულაც აღარ ადარდებს თავისი სახლი და ჩემზე, სხვებზე ნერვიულობს, ჩვენც ამ დღეში რომ ჩაგვყარა. ერთხელ ტრადიციონალისტ ასლან ფაღავას, რომელიც ასევე კაკო ასათიანთან ერთად მოქმედებდა და ძირითადად ის აწარმოებდა ამ მოლაპარაკებებს, წამოსცდა საუბარში, რომ კაკო ასათიანის ცოლის იდეა იყო, ზურასთვის ეთხოვათ ფული. როგორც ჩანს, კარგად იცოდა, როგორი კეთილია. ახლა დაზარალებულებისგან იმაზე მეტი ხელმოწერა გვაქვს, რაც მაგ ნაძირალას იმისთვის სჭირდება, რომ პრეზიდენტად იყაროს კენჭი!

■

როგორც „სარკეს“ აკაკი ასათიანმა უთხრა, ამ ვალებს აუცილებლად გაისტუმრებს: „ეს არ ეხება პოლიტიკას, ეს ჩემი პირადი პრობლემაა და ისეთ დღეში ვარ, როგორშიც ნახევარი საქართველო ბანკების ვალების გამო“.

აკაკი ასათიანი „სარკის“ ამავე ნომრისთვის მიცემულ ინტერვიუში ფაქტობრივად ადასტურებს, რომ სხვა პირებს სახლებს ბანკში საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად ადებინებდა.

✓ **რუსუდან ადვაძე**

# კოტიკო თოლორაიას ბიჭი ამერიკაში გაჩნდა




შოუმენი კოტიკო თოლორაია სულ რამდენიმე დღეა ბიჭის, სახელად გაბრიელის, მამა გახდა. მისმა ცოლმა, მარიამ აბდუშელიშვილმა, ამერიკაში იმშობიარა. კოტიკო შვილის დაბადებას ვერ დაესწრო, ცოლს საქართველოდან ესემეს-ებითამხნევებდა. პატარა გაბრიელი დედასთან ერთად საქართველოში 20 ოქტომბერს ჩამოვა. კოტიკო დიდ ემოციებშია, გეგმებს აწყობს, როგორ მოუვლის და გაზრდის თავის ბიჭს. ძალიან უნდა, გოგოც ჰყავდეს. ცოლ-შვილის უზრუნველსაყოფად თავის დაზოგვას არ აპირებს, ფიქრობს, რამდენიმე სამუშაო კიდევ დაიმატოს.



**— კოტიკო, მამობას გილოცავთ! როდის გაჩნდა პატარა გაბრიელი?**

— „სარკეს“ ძალიან დიდი მადლობა მოლოცვისთვის! ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი იმ ხალხსაც, ვინც მომილოცა და გაბრიელ თოლორაიას დაბადება გაუხარდა. გაბო 20 აგვისტოს, ჩვენი დროით — 20 საათზე და ამერიკის დროით 12-ზე დაიბადა მანჰეტენის ერთ-ერთ სამშობიაროში. ყველაფერმა ძალიან კარგად, გართულებების გარეშე ჩაიარა. მარიამმა ფიზიოლოგიურად იმშობიარა. უთხრეს, თუ ბავშვი თავის დროზე, ანუ 22 აგვისტომდე არ დაიბადებოდა, საკეისრო კვეთა დასჭირდებოდა, მაგრამ მარიამი ამის წინააღმდეგი იყო.

**— მშობლების სურვილი იყო ბავშვი ამერიკაში დაბადებულიყო თუ თავისთავად გამოვიდა ასე?**

— როცა დაქორწინება გადავწყვიტეთ, მარიამის „მწვანე ბარათს“ ვადა გასდიოდა და მალე ამერიკაში უნდა დაბრუნებულიყო. ფეხმძიმობის პირველი სამი თვე საქართველოში იყო, წასვლამდე ბავშვის სქესიც გავიგეთ. ექიმმა გვირჩია, სამი თვე თვითმფრინავით მგზავრობისგან თავი შეეკავებინა, რომ ნაყოფის დაკარგვის საფრთხე არ შექმნოდა. თავი დავიზღვიეთ და ამერიკაში ფეხმძიმობის მეოთხე თვეში დაბრუნდა. ძალიან გვინდოდა, ჩვენი შვილი საქართველოში დაბადებულიყო, მაგრამ იმაზე დავფიქრდით, რომ ბავშვს პრობლემა შეექმნებოდა და ამერიკის მოქალაქეობას რთულად მიიღებდა. თანაც, პატარას წაყვანა აუცილებელი იქნებოდა და გზაში გაწვალდებოდა.

**„ოჯახმა კარგისკენ შემომაბრუნა. დიდი ხანი ვემზადებოდი ამისთვის, მაგრამ ოჯახური ცხოვრება სინამდვილეში უფრო თბილი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა“.**

მარიამის დედა, და, ჩემი ძმა და რძალი იქ ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი გვერდით დგომა, მაგრამ დედა მაინც სხვანაირ რჩევა-დარიგებებს აძლევდა, სხვანაირად უვლიდა. მარიამის დედამ ოთხი შვილი გააჩინა და ამის დიდი პრაქტიკა აქვს. მშობიარობასაც დაესწრო. როგორც დავგეგმეთ, ყველაფერი ისე მოხდა.

ჩემთვის ყველაზე ძნელი მარიამის ასე შორს ყოფნა იყო. წარმოიდგინეთ, ჯერ ჩემი შვილი არ მინახავს, ვგიჟდები, ყოველ →24


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38




Cyan Magenta Yellow Black

ღამე მესიზმრება, მაგრამ რას ვიზამ, მისი მომავლისთვის ასე უკეთესია. მარიამი და გაბრიელი 20 ოქტომბერს ჩამოვლენ და მერე სულ ერთად ვიქნებით.

— **მარიამი ამერიკის მოქალაქე გახდება?**

— 6 აგვისტოს მოქალაქეობაზე თანხმობა მიიღო. მალე ფიცს დადებს და ამერიკის სრულუფლებიანი მოქალაქე იქნება. მარიამი და გაბრიელი ფაქტობრივად ერთად მიიღებენ ამერიკის პასპორტს.

— **თქვენი ჩასვლა არ იგეგმებოდა მარიამის მშობიარობისთვის?**

— ძალიან გვინდოდა, მეც ჩავსულიყავი, მაგრამ ბევრმა რაღაცამ შემიშალა ხელი, მათ შორის — იმან, რომ მე და ჩემმა ძმამ დაავარსეთ ოფისი, სადაც 8 თანამშრომელი გვყავს. ვგეგმავთ კორპორაციულ საღამოებს, კონცერტებს... ამ ყველაფერს ვერ მივატოვებდი, ყველას წინაშე პასუხისმგებლობა მაქვს აღებული. მამაკაცური შრომა და ჯაფა საკუთარ თავზე ავიღე, მინდა, ჩემი ოჯახი ფინანსურად უზრუნველვყო. ვოცნებობ, რომ ჩემს შვილს ფანტასტიკური მომავალი, ბავშვობა ჰქონდეს. ამისთვის კი თავს არ დავზოგავ. ახლა თუ 6 სამსახურში ვმუშაობ, 6 ადგილას კიდევ დავიწყებ მუშაობას და ჩემს შვილს არაფერს მოვაკლებ.

— **ბავშვის სახელი თავიდანვე მოფიქრებული გქონდათ?**

— მე და მარიამი მამა გაბრიელის საფლავზე ვიყავით და თურმე იქ ჩაიფიქრა, თუ ბიჭი გვეყოლება, გაბრიელს დავარქმევო. მარიამი ძალიან მორწმუნეა, საგალობლებს მღეროდა, ჩვენი პატრიარქის ერთ-ერთი საყვარელი შემსრულებელი იყო. როცა მითხრა, გაბრიელის დარქმევა უნდოდა, მაშინვე დავეთანხმე. მინდა, შვილმა სკოლაში აქ იაროს და მერე ამერიკის რომელიმე უნივერსიტეტში ჩააბაროს. სახელი კი არც ერთ ქვეყანაში შეუქმნის პრობლემას, რასაც ჩემს ძმაზე ვერ ვიტყვი. ამერიკაში სოსოს ვერ ამბობენ, ამის გამო სულ იტანჯება და რაღაცეებს იგონებს ხოლმე.

— **მამაკაცების უმრავლესობას ბიჭის მამობა უნდა. ალბათ არც თქვენ იყავით გამონაკლისი.**

— მე გოგოზე ვიყავი „ჩაციკლული“. გვარში მხოლოდ ერთი გოგო გვყავს — ჩემი ბიძაშვილი. ჩემს ძმას, სოსოსაც ბიჭი ჰყავს, ბიძაშვილებიც ბიჭები არიან. ამიტომ გოგო ძალიან მინდოდა, თავის დროზე მამასაც უნდოდა, ქალიშვილი ჰყოლოდა. სულ მესიზმრებოდა, რომ გოგოს მამა ვიყავი. ჩემს ცოლს კი ბიჭი უნდოდა. ექოსკოპიაზე რომ მივედით და გვითხრეს, ბიჭი გეყოლებათო, მერე მარიამმა მითხრა, ამის გაგონებაზე სახე აგელეწაო. მთავარია, ჩემი შვილი ჯანმრთელი იყოს და იყოს ბიჭი! ჯერ ყველაფერი წინ არის, გოგოც აუცილებლად მეყოლება.

— **რას გეუბნებიან, გაბრიელი ვის ჰგავსო?**

— გაბრიელი მხოლოდ სურათებში მყავს ნანახი და ეს ჩემთვის ძალიან ძნელია. მარიამს სულ ვეხვეწები, „სკაიპი“ ჩართეთ და მაჩვენეთ-მეთქი. ჯერ ძალიან პატარაა და არც მინდა ვაწვალო, სულ სძინავს ან ჭამს. თურმე მე მგავს ძალიან, ჩემსავით დაგრეხილი ყურები აქვს, პატარა კოტიკოა! დედაჩემმა მისი ფოტო რომ ნახა, აკივლდა, ახალდაბადებული ზესტად ასეთი იყავიო. მასავით მეც სულ სერიოზული ვყოფილვარ. ლურჯი თვალები აქვს. მარიამს ვეუბნებოდი, ჩვენი შვილი ძალიან შავია და არ მომწონს-მეთქი. მითხრა, ყოველდღე იცვლებაო და არ ვიცი, ჩემთან როგორი ჩამოვა.

— **ვატყობ, ოჯახმა ძალიან შეგცვალათ.**

— ძალიან. ადრე, როცა თავისუფალი დრო მქონდა, რამდენიმე დღე სახლშიც არ მივდიოდი, ხან სად ვიყავი, ხან — სად. ასეთი მოხეტიალე, მხიარული ცხოვრება მომწონდა, უფრო კომუნიკაბელური ვიყავი. ეს თვისება ახლაც მაქვს, მაგრამ ოჯახმა უფრო კარგისკენ შემომაბრუნა. დიდი ხანი ვემზადებოდი ამისთვის, მაგრამ ოჯახური ცხოვრება სინამდვილეში უფრო თბილი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა.

— **როგორი წარმოგიდგენიათ გაბრიელთან ურთიერთობა?**

— ჩემს შვილს სამყაროს გავუფერადებ. არ მიყვარს შეზღუდვები, მას თავის ნებაზე მივუშვებ, ოღონდ თავისუფლება თავხედობაში არ უნდა გადაუვიდეს. კარგად ეცოდინება, როდის უნდა დამიჯეროს და როდის ცოტა გამექცეს. აუცილებლად ვასწავლი ცუდის და კარგის გარჩევას. მინდა, ძალიან მხიარული იყოს. სკოლის პერიოდი რომ მოუწევს, მერე ცხოვრება მასწავლის, როგორ მივუდგე.

ძალიან მინდა, ჩემმა ძმისშვილმა, ანდრიამ ნახოს გაბრიელი. ანდრია მართლა შვილივით მყავს გაზრდილი, სიგიჟემდე მიყვარს. ხშირად მეუბნებოდნენ, გაბო რომ დაიბადება, მერე მიხვდები განსხვავებასო, მაგრამ ჩემს შვილს და ძმისშვილს ჯერ ვერ ვასხვავებ. მინდა, ანდრიამ და გაბომ საერთო გამონახონ და ძმებივით იყვნენ.

✓ ქეთი დინოშვილი

# ბაჩო ქაჯაიამ თავისი გოგონები „ცოცხალი თოჯინით“ დაასაჩუქრა

## „მესამეც გოგო მყავს და ბიჭის მამობა ვეღარ წარმომიდგენია"



■ ნინუცა

მსახიობი ბაჩო ქაჯაია მესამე მცდელობაზეც გოგოს მამა გახდა. მისი ნაბოლარა, ნინუცა, 9 ივლისს დაიბადა. ბაჩო ცოლთან, მაკა გურგენიძესთან და სამ შვილთან ერთად ახლა ხაშურში ისვენებს. ნინუცას დაბადებას ცოლ-ქმარი კარგად მომზადებული შეხვდნენ. უფროსი დები, 6 წლის ქეთევანი და 5 წლის თეკლა, სიხარულით ელოდნენ „ცოცხალი სათამაშოს“ გაჩენას და, როგორც შეუძლიათ, ისე მონაწილეობენ უმცროსი დის მოვლაში.

— **ბაჩო, გილოცავთ კიდევ ერთი ქალიშვილის მამობას! მესამე შვილის დაბადებას რა ემოციები ახლდა?**

— ამას ვერ გადმოგცემთ, უნდა შეიგრძნო. არ მგონია, შვილების დაბადებით გამოწვეული ემოციები სხვადასხვანაირი იყოს. პირველად 21 წლის გავხდი მამა, გამოუცდელი ვიყავი და უფრო ემოციურად ვუდგებოდი ყველაფერს. მეორე შვილი რომ გამიჩნდა, უფრო მშვიდი და გაწონასწორებული ვიყავი, ნინუცას ხომ მთლად კარგი გამოცდილებით შევხვდი. ვერ ვიტყვი, რომ აქამდე პასუხისმგებლობის გრძნობა მაკლდა, მაგრამ ასაკს მაინც თავისი მოაქვს.

— **უფროსი დები როგორ შეხვდნენ ახალ წევრს?**



■ ბაჩო ცოლთან და უფროს გოგონებთან ერთად

— ორივე დიდი სიხარულით შეხვდა დის დაბადებას. უვლიან და თავზე დაჰფოფინებენ. სახლში ცოცხალი თოჯინა ჰყავთ და მეტი რა უნდათ? ვერ ვიტყვი, რომ ნინუცაზე იეჭვიანეს, პირიქით, დიდ მოლოდინში იყვნენ. ბოლო თვეებში ვეღარ ითმენდნენ, მაკას ეუბნებოდნენ, დედიკო, ჩვენი დაიკო მალე გამოაჩინეო.

— **მესამესაც გოგოს ელოდით?**

— რასაც ღმერთი მომცემდა, თანახმა ვიყავი. ხშირად მესმის, რომ მამებს ბიჭები უნდათ, მეც მაინტერესებს, როგორია ბიჭის მამობა. სულ მეგონა და ალბათ ყველა კაცს ჰგონია, რომ ბიჭი უნდა გაუჩნდეს, მაგრამ ახლა უკვე ვეღარ წარმომიდგენია, ბიჭი მყავდეს. ცოტა ხნის შემდეგ შეიძლება მეოთხე შვილზეც ვიფიქრო.

— **უკვე მრავალშვილიანი ოჯახი ხართ. ცოლს აუცილებლად დასჭირდება თქვენი დახმარება. რა ფუნქციები გაქვთ შეთავსებული?**

— სიმართლე გითხრათ, პირველ და მეორე შვილზე უფრო ვახერხებდი მიხმარებას, ვიდრე ახლა. ჩვენი პატარა რომ დაიბადა, ძალიან ცოტა თავისუფალი დრო მქონდა. ახლა ვისვენებ და ვცდილობ, ცოლს შვილების მოვლასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები შევუმსუბუქო. მე უფროს ქალიშვილებს ვპატრონობ, მაკა კი ნინუცას მოვლითაა დაკავებული.

— **ნინუცას თქვენ გამსგავსებენ თუ დედას?**

— ზოგი მე მამსგავსებს და ზოგი — დედას. ვფიქრობ, მე უფრო მგავს. ჩემსავით ცისფერი თვალები აქვს და ძალიან თეთრი გოგოა.

— **აშკარაა, რომ ცხოვრების ძალიან კარგ ეტაპზე ხართ.**

— კი, ძალიან კარგზე. სამ შვილთან ერთად ცხოვრება ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. სამი შვილი ბევრია, მაგრამ არც ორია ცოტა. ვმრავლდებით და მომავლის იმედებით მივყვებით ცხოვრებას.

— **დაბოლოს, თქვენი საქმიანობა. სერიალი „შუა ქალაქში“ ახალ სეზონზე გაგრძელდება?**

— ჯერჯერობით — არ ვიცი, ამის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. სერიალში რაღაც სიახლეები იგეგმება, ოღონდ, როგორც მე ვიცი, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.

✓ ქეთი დინოშვილი



Cyan Magenta Yellow Black

# სალომე ფალავა: „ჩემი შვილი მკერდზე რომ დამიწვინეს, ტირილი ამივარდა"

ახალგაზრდა მსახიობი, სალომე ფალავა, გათხოვებიდან 11 თვის თავზე დედა გახდა. ქორწილი შარშან, 2012 წლის 6 სექტემბერს ჰქონდა. ცოლად იურისტ ბექა ჭუმბურიძეს გაჰყვა. წელს, 13 ივლისს, წყვილს ბიჭი შეეძინა, რომელსაც სახელად თავიანთი მოძღვრის სახელი, ანდრია დაარქვეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიგეს, რომ მისი დაბადების დღე 12 მოციქულის ხსენების დღეს დაემთხვა, რომელთაგან ერთ-ერთი წმინდა ანდრიაა. ბედნიერმა ახალბედა დედამ თავისი ემოციები „სარკეს“ გაუზიარა:

— ჩემი პატარა ასეთ რიცხვში დაიბადა — 13.07.13. ყველაფერმა კარგად, ყველანაირი გართულების გარეშე ჩაიარა. არც ორსულობა მქონია მძიმე და არც — მშობიარობა და ამითაც ბედნიერი ვარ. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, ეს რა შეგრძნებაა. ყველაზე მაგარი ის არის, როცა გააჩენ და მკერდზე დაგიწვენენ. გულზე რომ დამიწვინეს, სულმოუთქმელად ავტირდი და კარგა ხანს ვერ გავჩერდი. ექიმები მეკითხებოდნენ, რა გატირებსო და ვუთხარი, ბედნიერებისგან ვტირი-მეთქი.


■ ანდრია დედასთან ერთად

— **ანუ ფიზიოლოგიურად იმშობიარეთ.**

— დიახ, რადგან, თუ საჭიროება არ არის, საკეისრო კვეთის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჩემ გარშემო ბევრი ამბობს, რატომ უნდა ვიწვალო, საკეისროს გავიკეთებო. არც გაუტკივარების გაკეთება მინდოდა, მაგრამ მაინც გავიკეთე, რადგან მართლა ძალიან მტკიოდა. ბავშვი ძუძუთი კვებაზე მყავს. თავიდანვე ძალიან მინდოდა, რომ რძე მქონოდა.

— **თქვენი ქმარი დაესწრო მშობიარობას?**

— ნახევრად. ახლობელმა მამშობიარა და მხიარული გარემო იყო. ჩემ გვერდით — არა, მაგრამ კარის ზღურბლზე იდგა და ძალიან ნერვიულობდა.

— **სახელი როგორ შეურჩიეთ?**

— რომ გავიგე, ფეხმძიმედ ვიყავი, მივხვდი, რომ ბიჭი იქნებოდა და თავიდანვე ჩვენი მოძღვრის სახელის, ანდრიას დარქმევა გადავწყვიტეთ. აღმოჩნდა, რომ 13 ივლისს 12 მოციქულის ხსენების დღე იყო და მათ შორის — ანდრია მოციქულისაც. მოძღვარს რომ ვუთხარი, თქვენი სახელი დავარქვით-მეთქი, მკითხა, იცით, 13 ივლისი რა დღეაო. სასწაულად დაემთხვა!

— **ახალშობილის მოვლა ხომ არ გაგიჭირდათ?**

— არ მინდა ვთქვა, რომ კარგი ბაიაა, რადგან, როგორც კი ამას ვიტყვი, იმ ღამეს ჭუჭყუნებს. ვერ ვიტყვი, რომ სადაც დააწვენ, იქ არის ჩუმად, რადგან ბუნებრივ კვებაზეა და ძუძუ სულ უნდა. ასე რომ, ჩემი ტკიპაა, დაკიდებული დამყავს. ჯერჯერობით უპრობლემო ბავშვია. უკვე ბათუმშიც ვიყავით მასთან ერთად. მანქანაში, თავის სკამში მშვენივრად ეძინა. ასე რომ, უყვარს მგზავრობა. ჯერ მის გამო ღამე არ გამითენებია.

სამშობიაროდან რომ გამოვედი, სულ ვტიროდი ჩუმად. ქმარს და დედას ახლა გამოვუტყდი ამაში. დაქალს ვუთხარი, მძინარე მამა-შვილს რომ გადავხედავ, მაშინვე ტირილი მივარდება და ნეტა, რა მჭირს-მეთქი. დამაწყნარა, მშობიარობის შემდეგ იცის, მეც ეგრე ვიყავიო. ეს სიხარულის ცრემლებია, რადგან იმხელა ბედნიერებაა, სხვანაირად ვერ გამოვხატავ.

— **ღმერთმა გაგიზარდოთ!**

— გმადლობთ!

✓ რუსუდან ადვაძე

# „როცა პოზიცია დავთმე, ყოველთვის წავაგე“

## სად იპოვა თავისი ადგილი ზაალ ჩიქობავამ რუსთაველის თეატრიდან წასვლის შემდეგ



„უნიჭო მსახიობი და მმართველი“ — ასე უწოდა რეჟისორმა რობერტ სტურუამ ზაალ ჩიქობავას. პარადოქსია, მაგრამ ეს შეფასება მსახიობს შემდგომი მოქმედებებისთვის ბიძგად ექცა. 1 ოქტომბრის არჩევნების და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რუსთაველის თეატრში სტურუა დაბრუნდა, ჩიქობავა კი წავიდა და მის წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშალა. ამჟამად მუსიკისა და დრამის თეატრში მუშაობს, თამაშობს ახალ სპექტაკლში, გეგმავს განათლების გაღრმავებას დოქტორანტურაში, საბავშვო სტუდიის გაკეთებას და კიდევ ბევრ რამეს. ასე რომ, ახლა ისეთი აქტიურია, როგორც არასდროს.

რაც შეეხება რუსთაველის თეატრში მისი მმართველობის პერიოდს, თვლის, რომ ბევრი რამ გააკეთა, თუმცა ჰქონდა შეცდომებიც, შეიძლება მეტი რადიკალიზმი იყო საჭირო. ნანობს, რომ დათმობებზე მიდიოდა, რადგან ამით ბევრი რამ წააგო. ასეა თუ ისე, ახლა ეს ყველაფერი წარსულში დარჩა.

— **ბატონო ზაალ, როგორ განაგრძობთ ცხოვრებას მას შემდეგ, რაც რუსთაველის თეატრი დატოვეთ?**

— მუსიკისა და დრამის თეატრში ვმუშაობ, ოქტომბრის ბოლოს სპექტაკლის „მოჩვენებანი“ პრემიერა შედგება, რომელსაც ახალგაზრდა რეჟისორი მიშა ჩარკვიანი დგამს. საკმაოდ საინტერესო სამუშაო მაქვს. წლების წინ ამ სპექტაკლში ძალიან ცნობილი მსახიობები თამაშობდნენ. თავის დროზე ეს წარმოდგენა მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძემ დადგა და მასში მონაწილეობდნენ აკაკი ვასაძე, სოფიკო ჭიაურელი, ნოდარ მგალობლიშვილი, გივი ბერიკაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე...

> **„რუსთაველის თეატრის მმართველობის დროს საჭირო იყო მეტი რადიკალიზმი ყველას და ყველაფრის მიმართ. რასაც გკარნახობს შენი ემოცია, შინაგანი „მე“, ზუსტად ისე უნდა გადაწყვიტო. როცა პოზიცია დავთმე იმის გამო, რომ ვიღაცისთვის ანგარიში გამეწია, ყოველთვის წავაგე“.**

გარდა ამისა, ჩემს უახლოეს გეგმებში დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება შედის. მინდა, კვალიფიკაცია ავიმაღლო. პირველი ექსპერიმენტული სკოლის ბაზაზე ექსპერიმენტული თეატრალური სტუდიის გაკეთება შემომთავაზეს და შეიძლება ამ საქმესაც მოვკიდო ხელი, ვნახოთ. ამჯერად აქტიურად ვსაქმიანობ ერთ-ერთ სარეკლამო საპროდიუსერო კომპანიაში, სადაც გენერალური მენეჯერი გახლავართ. ასევე თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საბჭოს წევრი ვარ.

არ შემიძლია სახლში ჯდომა, ყოველთვის აქტიური ვიყავი და ახლაც ასეა.

— **მუსკომედიის თეატრში როგორ მოხვდით?**

— რუსთაველის თეატრიდან რომ წამოვედი, დათო დოიაშვილმა მუსიკისა და დრამის თეატრში მუშაობა შემომთავაზა. მის წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. დათოსთან ერთად ბავშვობიდან მოვდივარ, არაერთხელ გვითანამშრომლია. ყოველთვის მოხარული ვიქნები, თუ მის გვერდით ვიქნები.

— **ამჯერად დამწყებ რეჟისორთან მუშაობთ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის, როგორც გამოცდილი მსახიობისთვის?**

➔26

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

— ახალგაზრდა რეჟისორთან მუშაობა ძალიან საინტერესოა. მსახიობმა ყოველთვის სხვადასხვა რეჟისორთან უნდა იმუშაოს, რომ არ დაიშტამპოს და მისი შემოქმედება და სამუშაო მრავალფეროვანი იყოს. ამ დროს ბევრ რამეს ითვისებ, პროფესიულად იზრდები. ხანდახან ისე ხდება, რომ მსახიობი ერთ რეჟისორზეა მიბმული. ეს, ერთი მხრივ, კარგია, რადგან

**„თეატრიდან წამოსვლის შემდეგ მქონდა გრძნობა, რომ თანამედროვეობა თმობს პოზიციებს წარსულთან. ეს ჩვენი თაობის პრობლემაა. მამების თაობამ არასწორად გაგვზარდა".**

თანამშრომლობა კარგად გამოსდით, მაგრამ ამ ყველაფერს, ჩემი აზრით, მეორე მხარეც აქვს — შეიძლება შენს პროფესიაში ახალი პროცესების და მოვლენების ასახვა არ მოხდეს.

— **რუსთაველის თეატრის შემდეგ როგორ შეეგუეთ ახალ თეატრს?**

— ძალიან კარგად, სასიამოვნო ატმოსფეროა. ჩვენს პროფესიაში მთავარია, პირველი კონტაქტი შედგეს, შემდეგ პროცესი ძალიან ადვილად ეწყობა. კარგი იქნება, თუ ჩვენი პროფესიის ადამიანები იფიქრებენ, რომ იმოძრაონ და ერთ სამუშაო ადგილს არ მიეჯაჭვონ. მსახიობებს ზოგჯერ მანიაკურ თვისებაში გადასდით, როცა ჰგონიათ, ერთ თეატრში რომ მივლენ, იქ უნდა დარჩნენ და იქ მოკვდნენ. მე კი ვფიქრობ, რაც უფრო ბევრს მოძრაობს მსახიობი, მით მეტი საშუალებაა პროფესიული ზრდისთვის.



— **გამოდის, რომ მშობლიური გარემოს შეცვლა ადვილად გადაიტანეთ.**

— არ მქონია იმის განცდა, რომ ყველაფერი დასრულდა. ვმუშაობდი მარჯანიშვილის თეატრში, „სამეფო უბნის თეატრში“, „თეატრალურ სარდაფში“, „თავისუფალ თეატრში“. არ ვარ ადამიანი, რომელსაც სიახლეების ეშინია. რომელ თეატრშიც უნდა მივიდე, არასდროს მაქვს იმის განცდა, რომ ის ჩემი სამუდამო ნავსაყუდელია.

**„მსახიობებს ზოგჯერ მანიაკურ თვისებაში გადასდით, როცა ჰგონიათ, ერთ თეატრში რომ მივლენ, იქ უნდა დარჩნენ და იქ მოკვდნენ. პირიქით, რაც უფრო ბევრს მოძრაობს მსახიობი, მით მეტი საშუალებაა პროფესიული ზრდისთვის".**

— **ასეთი ცვლილებები, რისკი ახალგაზრდობის ადრეულ წლებში თითქოს უფრო გამართლებულია. საშუალო და უფროს თაობას მკვეთრი ცვლილებები აღარ მოსწონს.**

— ცხოვრების ყველა ეტაპზე უნდა სწავლობდე, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდე. როცა ასე ფიქრობ, გადაწყვეტილების მიღება არანაირ ასაკში არ არის რთული. ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება წუთები, როცა მას რაღაცასთან განშორება უწევს. როცა ეს გაცნობიერებული გაქვს, მერე ნაბიჯის გადადგმა სირთულეს აღარ წარმოადგენს.

— **რუსთაველის თეატრს რომ გაუშვლით გვერდით, როგორი განცდა გაქვთ? კოლეგებთან ურთიერთობები ხომ არ დასრულდა?**

— დასის წევრებთან არასოდეს მქონია პრობლემები, დღეს — მით უმეტეს. მე მაქვს განცდა იმ მოვლენების მიმართ, რაც ზოგადად ქართულ თეატრში ხდება. ეს არის ჩემი საფიქრალი და არა ის, რომ გარკვეული თანამდებობა დავტოვე და გავეცალე იმ გარემოს, სადაც ბევრი წელი გავატარე, დიდი ენერგია დავხარჯე. ვთვლი, რომ ჩემი მმართველობის პერიოდში თეატრში ბევრი საინტერესო რამ განხორციელდა, თუმცა იყო შეცდომებიც.

— **და უამრავი ბრალდება.**

— კი, ბრალდებები მაშინაც იყო, როცა რუსთაველის თეატრში ვმუშაობდი და მას შემდეგაც. ყველა სფეროში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მით უმეტეს, იმ ადამიანის მიმართ, ვინც რაღაცას აკეთებს.

— **თქვენს მთავარ შეცდომად რას მიიჩნევთ?**

— როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, თეატრის მმართველობის დროს საჭირო იყო მეტი რადიკალიზმი ყველას და ყველაფრის მიმართ. რასაც გკარნახობს შენი ემოცია, შინაგანი „მე“, ზუსტად ისე უნდა გადაწყვიტო. როდესაც პოზიცია დავთმე იმის გამო, რომ ვიღაცისთვის ანგარიში გამეწია, ყოველთვის წავაგე.

— **რა ხდება დღეს ქართულ თეატრში?**

— ჩვენს სფეროში პროფესიონალი ადამიანების ნაკლებობაა. ქართული პროფესიული თეატრი ცუდ მდგომარეობაშია. ეს სინთეზური ხელოვნებაა და თეატრში უამრავ ადამიანს სხვადასხვა ფუნქცია აკისრია, მაგრამ ბევრი მათგანი პროფესიონალი არ არის.

— **იქნებ დააკონკრეტოთ, სად იგრძნობა ყველაზე მეტად კადრების ნაკლებობა.**

— ბევრი პროფესიაა, რომლებიც ვერ განვითარდა ისე, როგორც საჭირო იყო. მაგალითად, მხატვარ-გამნათებლებისთვის, ხმის რეჟისორებისთვის, რეჟისორის ასისტენტებისთვის, ტექნიკური რეჟისორებისთვის, გრიმიორებისთვის არანაირი სკოლა არ არსებობს, რომ ახალი თაობა, პროფესონალთა ახალი გუნდი ჩამოყალიბდეს.

— **როცა რობერტ სტურუამ უნიჭო მსახიობი და მმართველი გიწოდათ, ამაზე რა რეაქცია გქონდათ?**

— მე რატომ უნდა ვისაუბრო ამაზე, როცა სხვა შემფასებლები არსებობენ? მას, როგორც დიდ რეჟისორს, პატივს ვცემ, მაგრამ ბევრ რამეში არ ვეთანხმები. მისი კრიტერიუმები შეიძლება ჩემთვის არ იყოს მისაღები. ამ შეფასებაზე ისეთი რეაქცია არ მაქვს, რომ გული დამეწვას ან მეტკინოს. თეატრიდან წამოსვლის შემდეგ მქონდა გრძნობა, რომ თანამედროვეობა თმობს პოზიციებს წარსულთან. ეს ჩვენი თაობის პრობლემაა. მამების თაობამ არასწორად გაგვზარდა, ეს შეიძლება გარკვეულწილად ბრალდებაა, მაგრამ, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ მეტი სითამამე, გამბედაობა გვექნებოდა და ბრძოლისუნარიანები ვიქნებოდით.

— **კრიზისულ პერიოდში ოჯახის მხარში დგომა ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. ალბათ ოჯახისგან დიდ თანადგომას გრძნობდით.**

— ჩემი ოჯახის წევრებისგან ყოველთვის ვგრძნობ მხარში დგომას, მადლობა ჩემს მშობლებს იმ აღზრდა-განათლებისთვის, რაც მომცეს. ჩემი ოჯახი ყოველთვის იქ არის, სადაც მე ვარ და ისე ფიქრობენ, როგორც მე.

✓ ლანა კიკნაძე

# ცოტნე გამსახურდია: „შეისწავლონ, რა გააკეთა ზვიადზე უკეთესად იმან, ვისაც დღეს გრძელი ენა აქვს“



ცოტნე გამსახურდია

დაერქმევა თუ არა თბილისის აეროპორტს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელი, რისი ინიციატივაც თბილისის საკრებულომ ომახიანად წამოაყენა, მერე კი რატომღაც თემა მიჩუმდა? საკითხი ჯერჯერობით ბუნდოვანია. გავრცელებული ინფორმაციით, გადაწყვეტილებას მიღებას ზვიადის „ისტორიულმა მტერმა“ — რესპუბლიკურმა პარტიამ არ დაუჭირა მხარი. გამსახურდიას შუათანა ვაჟისთვის, ცოტნესთვის, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, დადებითად გადაწყდება თუ უარყოფითად აეროპორტის სახელის ამბავი. პრეზიდენტის შვილი თვლის, რომ ეს არც გარდაცვლილს შემატებს რაიმეს და არც მის ოჯახს. რაც შეეხება საზოგადოებას, მისთვის კი გაცილებით მნიშვნელოვანია ერთხელ და სამუდამოდ შეფასდეს ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის ეპოქა — გასული საუკუნის 90-იანი წლები და მისი როლი ამ ეპოქაში, შეცდომები და გამარჯვებები. ცოტნე გამსახურდიას აზრით, აუცილებელია ამისთვის სპეციალური კომისია შეიქმნას.

— **ბატონო ცოტნე, საკრებულოს ინიციატივით, თბილისის აეროპორტს მამათქვენის, ზვიად გამსახურდიას სახელი უნდა დარქმეოდა, მაგრამ, როგორც ვიცი, ეს საკითხი აღარ განიხილება. რატომ?**

— ეს თემა მართლაც განიხილებოდა და შემდეგ, თუ არ ვცდები, რესპუბლიკური პარტიის ინიციატივით დღის წესრიგიდან მოიხსნა, ვინაიდან წინადადება ბოლომდე დამუშავებული არ იყო. ამ საკითხზე ჩემი დამოკიდებულების შესახებ ადრეც ვთქვი და ახლაც ვიტყვი, რომ პირადად ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. პირველ რიგში, ეს საზოგადოებისთვის არის აუცილებელი, რომ წარსული სწორად შეაფასოს და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. ეს არც მის ოჯახს სჭირდება და, მით უმეტეს, არც მიცვალებულს.

— **ეს ხომ იმ ადამიანის დაფასება იქნებოდა, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებ-**



Cyan Magenta Yellow Black

**ლობაში უდიდესი წვლილი შეიტანა და ფაქტობრივად ამისთვის თავი გაწირა.**

— პირადად მე სიკვდილის შემდეგ პომპეზური ღონისძიებები და პატივგება დიდ რამედ არ მიმაჩნია. სხვათა შორის, თავის დროზე ზვიად გამსახურდიაც ასე ფიქრობდა. გაგიკვირდებათ და, მისი გადმოსვენების დროს ჩემთვის სულერთი იყო, სად დაასაფლავებდნენ და ამის შესახებ პატრიარქს ვუთხარი კიდეც, განა ადამიანის ღვაწლი მხოლოდ მემორიალებით ფასდება-მეთქი. რამდენი ღირსეული ადამიანის და გმირის არათუ საფლავი, სახელიც არ ვიცით და არ მგონია, რომ მათ ამით რამე დააკლდათ.

> **„აბსურდია, როცა, ერთი მხრივ, ესოდენ პატივს მიაგებ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ამ დროს ნაძირალა სიგუა და კიტოვანი გვმოძღვრავენ საინფორმაციო საშუალებებით, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს ალბათ მხოლოდ ჩვენში შეიძლება მოხდეს. აქ ხომ არასოდეს არსებობდა მკაფიო, მორალური კრიტერიუმები და ორიენტირები; აქ ხომ ყველა ყველას აგინებს, მაგრამ ყველა ყველას „ახლობელია“.**

ვთვლი, რომ გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება იმდროინდელი მოვლენების ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება, რათა კარგსა და ცუდს თავისი სახელი დაერქვას და საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, გაიგოს, ვის რა წვლილი მიუძღვის ისტორიაში. შეფასებაში აბსოლუტურად არ ვგულისხმობ თუნდაც მამაჩემის აპოლოგიას ან რაღაც ცალმხრივ რიტორიკას. დაე, საზოგადოებრივმა კომისიამ დაადგინოს, რა იყო მისი ეპოქალური მიღწევა თუ შეცდომა, რა გააკეთა და რა ვერ შეძლო. მეტსაც ვიტყვი, ის კითხვის ნიშნები, დადებითი თუ უარყოფითი, რაც ზვიად გამსახურდიას პიროვნების ირგვლივ არსებობს, საზოგადოებრივმა კომისიამ შეაფასოს და მე ორივე ხელით მხარს დავუჭერ. არ ვიცი, რატომ არ აკეთებს ამას ქართული სახელმწიფო. ამაზე მხოლოდ ვარაუდი შემიძლია.

— **რას ვარაუდობთ?**

— ეს ჩვენი სახელმწიფოებრივი შეუმდგარობის ერთ-ერთი ნიშანია. აუცილებელი არაა, ვიღაცას ყველაფერში ეთანხმებოდე, მით უმეტეს, ხელისუფალს. არაერთი მეგობარი მყავს, რომლებიც იმ დროს განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ ან სულაც კრიტიკულები იყვნენ მამაჩემის მიმართ. განსხვავებული აზრი ადამიანის ძირითადი უფლებაა და არაფერი ამართლებს მის შეზღუდვას. მაგრამ ერთია, როცა ეს ადამიანი ამ აზრს ცივილიზებულად და არგუმენტირებულად გამოხატავს და მეორე, როცა ძალადობით ამკვიდრებს თავის ხედვას, რომლის უკანაც ხშირად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა და ანგარება დგას.

მოკლედ, განსხვავებული, თუნდაც მცდარი აზრი არ უნდა გახდეს ადამიანის დაგმობის და განკითხვის საფუძველი. მაგრამ აბსურდია, როცა, ერთი მხრივ, ესოდენ პატივს მიაგებ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ამ დროს ნაძირალა სიგუა და კიტოვანი გვმოძღვრავენ საინფორმაციო საშუალებებით, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს ალბათ მხოლოდ ჩვენში შეიძლება მოხდეს. აქ ხომ არასოდეს არსებობდა მკაფიო, მორალური კრიტერიუმები და ორიენტირები; აქ ხომ ყველა ყველას აგინებს, მაგრამ ყველა ყველას „ახლობელია“; აქ ხომ ცუდი კარგია და კარგი — ცუდი, გააჩნია, საქმეს როგორ სჭირდება; აქ ხომ „ი ნაშიმ, ი ვაშიმ“...

— **საწინააღმდეგო აზრი თუ გსმენიათ, რომ აეროპორტს ზვიად გამსახურდიას სახელი არ უნდა დარქმეოდა?**

— კი, როგორ არა! ინტერნეტშიც არის კომენტარები, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არგუმენტირებული პოზიცია არ მომისმენია. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ზვიადს შეცდომები არ ჰქონდა და რომ იმ დროს ყველაფერი სწორად და კარგად იყო, მაგრამ თქვენ ვერ დამისახელებთ პოლიტიკურ მოღვაწეს, ვისაც შეცდომები არ ჰქონია და ვერც ისეთს დამისახელებთ, ვისაც დამოუკიდებელი საქართველოსთვის მასზე მეტი გაუკეთებია... დღეს შეიძლება თქვენ ვიღაც ცუდად გეჩვენებოდეთ და მომავალში პირიქით მოხდეს, ან დღეს ვიღაცას აღმერთებდეთ და მომავალში ის ადამიანი სულ სხვანაირი კუთხით დაინახოთ. სწორედ ამიტომ მინდა, რომ აეროპორტი კი არ გახდეს ზვიადის სახელობის, მისი სახელის უკვდავსაყოფად ის პერიოდი შეისწავლონ — რა იყო დადებითი, რა იყო უარყოფითი; რა მოახერხა, რა ვერ შეძლო; რა გააკეთა მასზე უკეთესად იმან, ვისაც დღეს გრძელი ენა აქვს. უამრავ ტყუილ-მართალს გაიგებთ როგორც მოწინააღმდეგეების, ისე მომხრეების მხრიდან. ადრე თუ გვიან ამას წერტილი უნდა დაესვას.

— **„ფეისბუქის“ საშუალებით მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს ხშირად ეხმიანებით. პოლიტიკური კუთხით გააქტიურებას ხომ არ აპირებთ?**

— პოლიტიკაში აქტიურად ვარ-მეთქი, რომ გითხრათ, მართალი არ ვიქნები. ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია მაქვს, რომელიც ჯანდაცვის საკითხებით არის დაკავებული. ახლა ჰოსპიტალური რეფორმის კონცეფციაზე ვმუშაობთ. ამ მიმართულებით გარკვეულ ნაბიჯებს ვდგამთ. საარჩევნო კამპანია ჯერ აქტიურ ფაზაში არც არის შესული, ამიტომ პოზიციის დაფიქსირებისგან თავს შევიკავებ.

ისევე, როგორც ბევრს, მეც მგონია, რომ შეფასებებში სიმართლისგან მაინცდა-

> **„აეროპორტი კი არ გახდეს ზვიადის სახელობის, მისი სახელის უკვდავსაყოფად ის პერიოდი შეისწავლონ — რა იყო დადებითი, რა იყო უარყოფითი; რა მოახერხა, რა ვერ შეძლო; რა გააკეთა მასზე უკეთესად იმან, ვისაც დღეს გრძელი ენა აქვს. უამრავ ტყუილ-მართალს გაიგებთ როგორც მოწინააღმდეგეების, ისე მომხრეების მხრიდან. ადრე თუ გვიან ამას წერტილი უნდა დაესვას“.**

მაინც შორს არ უნდა ვიყო და არც იმას ვთვლი, რომ ოდესმე პოლიტიკისგან შორს ვიყავი. პოლიტიკაში საზოგადოებრივ აქტივობას ვგულისხმობ. შეგნებული ცხოვრების მანძილზე ნებსით თუ უნებლიეთ საზოგადოებრივი აქტივობა არასოდეს მაკლდა, მაგრამ დღეს ამის საშუალებას არც ჯანმრთელობა მაძლევს და არც ვთვლი, რომ ამ სფეროში რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება შემიძლია.

— **თუ არ ვცდები, 40 საპრეზიდენტო კანდიდატია დაფიქსირებული, რაც საზოგადოებაში სახუმარო თემადაც კი იქცა. თქვენ როგორ აფასებთ ქვეყნის სათავეში მოსვლის მსურველთა ასეთ სიმრავლეს?**

— მსგავსი არაფერი მახსოვს და მე თვითონ ძალიან მაინტერესებს ეს ფენომენი. ეს ალბათ სიტუაციის იმ მრავალწლიანი



ზვიად გამსახურდია

ტერორისგან გათავისუფლების შედეგია, ადამიანების თავის გამოჩენის, პოპულარობის მოხვეჭის სურვილია, რაც, კაცმა რომ თქვას, ქართველისთვის მუდამ დამახასიათებელი იყო. ადრე პრეზიდენტობის სურვილი კი არა, ასო პ-ს ხსენებაზეც კი შეიძლებოდა დევნისა და თვალთვალის ობიექტი გამხდარიყავი. საზოგადოება ცელქობს, მაგრამ მაინც მგონია, რომ ღირსეული კანდიდატები არიან.

— **თქვენ არასდროს გაგჩენიათ სურვილი, საპრეზიდენტო არჩევნებში გეყარათ კენჭი?**

— ეს აზრადაც არ მომსვლია. არ მიმაჩნია, რომ დღეს საზოგადოებისთვის ისეთი რამის გაკეთება ან შეთავაზება შემიძლია, რაც აუცილებელი იქნებოდა.

— **ციხიდან თქვენი გამოსვლის შემდეგ საკმაო დრო გავიდა. როგორია დღეს თქვენი ცხოვრება?**

— სიმართლე გითხრათ, პირადი თუ საზოგადოებრივი, სამეგობროსთან თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძალიან ბევრი საქმე მაქვს. საკმაოდ რთულად ვნახულობ დროსაც და ენერგიასაც.

— **ციხიდან როცა გამოხვედით, ფიზიკურად მძიმე მდგომარეობაში იყავით. როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა ახლა?**

— მეტნაკლებად სტაბილური, საშუალოდ მძიმე მდგომარეობა მაქვს. პოზიტიურ ცვლილებებს ველოდები საოპერაციოდ.

— **აშკარად უკეთესად გამოიყურებით.**

— შეიძლება ვიზუალურად ასე ჩანს, მაგრამ ძვალსახსროვან სისტემას რაც შეეხება, დიდი უკეთესობა არ მაქვს.

— **ბოლო საუბრისას მითხარით, რომ საზღვარგარეთ გეგმავდით მკურნალობას.**

— ახლაც ვაპირებ, მაგრამ მანამდე ბევრი სხვა საქმე მაქვს დასამთავრებელი პირადიც, საზოგადოებრივიც და ასევე, მკურნალობის სხვა ეტაპებსაც უნდა მოვრჩე.

— **კოლხურ კოშკში რემონტი მიმდინარეობდა. რა ფაზაშია ახლა ეს პროცესი?**

— ახლაც მიმდინარეობს. სარემონტო სამუშაოები ძალიან ნელა და არაორგანიზებულად ტარდება. ვნახოთ, უახლოეს მომავალში რა შეიცვლება.

✓ **ეკა ლემონჯავა**



Cyan Magenta Yellow Black

## „სახეზე გამონაყარის გამო სკოლაში წასვლა აღარ მინდა“



გამარჯობა, „სარკე“. 14 წლის გოგო გწერთ. მალე სკოლაში სწავლა დაიწყება და ამის გაფიქრებაზეც ტანზე ეკლები მაყრის. ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ სახეზე გამონაყარი დამრჩა და საშინლად გამოვიყურები. დედამ კოსმეტოლოგთანაც მიმიყვანა, დერმატოლოგთანაც, რაღაც წამლები მასვეს, მალამოებსაც ვხმარობ, მაგრამ არაფერმა მიშველა. მამშვიდებენ, ნუ გეშინია, გაგივლისო, მაგრამ უკვე აღარ მჯერა, რადგან ოდნავი შედეგიც კი ვერ მივიღე.

დედა მეუბნება, არა უშავს, ტონალურ კრემს წაისვამ, გამონაყარს მალამოებით დაიფარავ და არაფერი შეგეტყობაო. საქმე ის არის, რომ მაინც მემჩნევა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩემები დაიღალნენ, ხელი ჩაიქნიეს, რომ არაფერი მეშველება. ვეუბნები, სხვა ექიმთან წამიყვანეთ-მეთქი, მაგრამ ვერ გავაგებინე. არც კი მისმენენ. დედა მეუბნება, ჯერ ეს მალამოები დაამთავრე და თუ შედეგი არ გექნება, მერე მელაპარაკეო. ვერ ხვდება, რომ შედეგი არ არის, პირიქით, სახე უფრო და უფრო მიუშნოვდება. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ჩემს დამახინჯებულ სახეს ვერაფრით ვეგუები. კლასელებს ლამაზი ვახსოვხარ. ერთი ბიჭი მეპრანჭება კიდეც და ახლა ასეთს რომ მნახავენ, ზედ არავინ შემომხედავს.

ვინმემ ხომ არ იცით გამონაყარის წამალი? მზად ვარ, ყველაფერი მოვსინჯო, ოღონდ კი ამ საშინელებას თავი დავაღწიო.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

## «გაბრაზებულმა მობილური გავტეხე...»

მთელი ერთი წელი ვწუწუნებდი, რომ ახალი მობილური მინდოდა. მშობლები მეუბნებოდნენ, რომ ჩემი ძველი ტელეფონიც კარგად მუშაობდა და შეცვლა საჭირო არ იყო. ჩემს დაქალებს, კლასელებს ახალი მოდელები ჰქონდათ და ჩემი ტელეფონის დანახვაზე იცინოდნენ. ამბობდნენ, ანტიკვარია, ეს ცოტა ხანში დიდი ფული ეღირება, იმდენად იშვიათიაო. დედ-მამა ძლივს მივახვედრე, რომ იმ მობილურის ხელში დაჭერა მრცხვენოდა და მეგობრების



ხუმრობების ატანაც აღარ შემეძლო. როგორც იქნა, ფული გაიმეტეს და ტელეფონი მიყიდეს. სიხარულისგან ცაში დავფრინავდი და ყველას ვაჩვენებდი.

ახლახან ბიჭმა, რომელსაც ვხვდები, გამაბრაზა. ერთ გოგოსთან დავინახე და საშინლად ვიეჭვიანე. ეს რომ ვუთხარი, ჩხუბი დამიწყო. მითხრა, შენნაირი ანჩხლი ადამიანი გვერდით არ მჭირდება, უნდა დაგშორდეო და წავიდა. ამაზე ძალიან გავბრაზდი და გამწარებულმა მობილური ძირს დავახეთქე. ეკრანი საერთოდ დაემსხვრა. ხელოსანთან რომ მივიტანე, მითხრეს, ამას ვერ გაგიკეთებთო.

შეყვარებულს კი შევურიგდი, მაგრამ ხელში გატეხილი მობილური შემრჩა. ახლა აღარ ვიცი, მშობლებს რა ვუთხრა, როგორ ავუხსნა ის, რაც დამემართა. ვიცი, ცუდ დღეში ჩამაგდებენ და არაფერს მაღირსებენ. ისედაც დღემდე მაყვედრიან, რომ ტელეფონში ამხელა ფული გადავაყრევინე. გატეხილს თუ ნახავენ, გადაირევიან! ზუსტად ვიცი, სკოლისთვის აღარაფერს იყიდიან ჩემთვის.

*„სარკის“ მკითხველი, 16 წლის*

## «ჩემი ლექსები სასაცილოდ აიგდეს»

15 წლის გოგო ვარ. 10 წლის ვიყავი, პირველი ლექსი რომ დავწერე. დედას რომ წავუკითხე, ძალიან მოეწონა, შემაქო, მითხრა, ამის შემდეგ უკეთეს ლექსებს დაწეროო. დედამ მამასაც წაუკითხა და მან ბევრი მკოცნა. მითხრა, ვამაყობ, რომ ასეთი ნიჭიერი ხაროო.

იმ დღის შემდეგ ლექსებს ხშირად ვწერ. ადრინდელი ლექსებიდან ერთი-ორი თუ მომეწონება, ვფიქრობ, რომ ახლა უკეთესი გამომდის. ჩემს მშობლებს და ახლობლებსაც ძალიან მოსწონთ. პატარა პოეტს მეძახიან. მათმა ქებამ შემაგულიანა და



გადავწყვიტე, ჩემი ლექსები სხვებისთვისაც მეჩვენებინა. ერთ დღეს განსაკუთრებულ ხასიათზე გამეღვიძა. ავდექი და ჩემი რამდენიმე ლექსი „ფეისბუქზე“ გამოვაქვეყნე. თან მივაწერე, რომ ჩემი იყო.

კლასელებმა ის ლექსები იმ დღესვე ნახეს და ერთი ამბავი ატყდა. შაყირი დაიწყეს, ერთმა ისიც კი დაწერა, ჩვენი გიჟპოეტაო. მერე განხილვა დაიწყეს, ეს სიტყვები ალბათ „იმას“ მიუძღვნაო. ისე გამომიყვანეს, თითქოს შეყვარებული ვიყავი და ლექსებს იმიტომ ვწერდი. თანაც კონკრეტული ბიჭის სახელს წერდნენ, ამის სიყვარულმა გადარია, ლექსების წერა მან დააწყებინაო. მე თავისმართლება დავიწყე, რომ 10 წლიდან ვწერდი, მაგრამ მაინც გააგრძელეს. თემა მოეწონათ და სალაპარაკო მიეცათ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ იმ ბიჭის ძალიან მრცხვენია. მას კარგად ვიცნობ, ვმეგობრობთ კიდეც, მაგრამ შეყვარებული გოგოს თვალით მისთვის არასოდეს შემიხედავს. ამიტომ ვერ ვხვდები, კლასელებმა ასეთი რამ რატომ მოიგონეს. ტყუილის თქმა რაში დასჭირდათ?

ვნანობ, რომ ჩემი ლექსები ყველას წავიკითხე. შეიძლება კარგად მართლა არ ვწერ, მაგრამ არ მგონია, ასე სასაცილო იყოს. კლასელებმა გული მომიკლეს. ამ წყენას ვერასოდეს დავივიწყებ.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

## „ბავშვი დახრჩობას გადავარჩინე და დედამისმა მადლობაც არ მითხრა“

ერთი უცნაური ამბავი უნდა მოგიყვეთ. შეიძლება არც ღირს მოსაყოლად, მაგრამ მართლა გაოცებული ვარ.

ყოველ ზაფხულს სოფელში ვისვენებ. იქ მდინარე ჩამოდის. პატარაობიდან კარგად ვცურავ. ბიჭები ხშირად ვეჯიბრებით ხოლმე ერთმანეთს და მე ვერავინ მჯობნის. ამას წინათ მეგობარმა თავის სოფელში დამპატიჟა. იქაც არის მდინარე. ბავშვები ყოველდღე მივდიოდით საცურაოდ.



ერთ დღეს ჩვეულებრივად გავედით წყალზე. მე თითქმის მეორე ნაპირამდე ვიყავი გასული, რომ წივილ-კივილი შემომესმა, ბავშვი იხრჩობაო. მაშინვე იქით გავცურე. არც კი დავფიქრებულვარ, ბავშვის გადარჩენისთვის ისე დავიწყე ბრძოლა. ის გოგონა დაახლოებით 8 წლის იქნებოდა. მასთან მივცურე და წყლიდან ამოვიყვანე. კიდევ კარგი, ძალიან შორს არ ვიყავი, თორემ შეიძლებოდა ვერც კი მიმესწრო.

წყლიდან რომ ამოვიყვანე, დედამისმა ხელიდან გამომგლიჯა და ჩხუბი დამიწყო, ასეთი ცურვა თუ იცოდი, რაღას მაკივლებდი, რატომ ადრე არ გადახტი საშველადო. გაოცებული შევცქეროდი. მხოლოდ ის ვუთხარი, კივილი როცა გავიგონე, მაშინვე წავედი მისკენ-მეთქი. იმ ქალს მარტო მე კი არა, ყველა გაკვირვებული შესცქეროდა. ისე წამოვედი, ერთი მადლობაც არ უთქვამს. მისი მადლობა კი არ მჭირდებოდა, უბრალოდ ის ვერ გავიგე, მე რატომ მიყვიროდა.

იმ დღეს ჩემმა მასპინძელმა სუფრა გაშალა და მადლეგრძელა, ჩემი სტუმარი რომ არა, ჩვენს სოფელში ტრაგედია დატრიალდებოდაო. ყველა მიხვდა, მართლაც რამხელა უბედურება ავიცილეთ თავიდან, იმ ქალის რეაქცია კი გაუგებარი დარჩა. მართლა მიკვირს, რატომ მეჩხუბა.

*თქვენი მკითხველი, 14 წლის*

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
**1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
**2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
**3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**
**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

## „მოხუცმა მეზობელმა ქალმა ჭორი ამიგორა“

ჩვენ მეზობლად ისეთი ქალი ცხოვრობს, რომ მტერს და ავს! თავის მოვალეობად მიაჩნია, ყველა აკონტროლოს. მთელი სამეზობლოს ჭორები იცის, ყველას ოჯახში ცხვირი აქვს ჩაყოფილი. ერთთან რომ შედის, მეორის ჭორები მიაქვს, იქიდან სხვასთან გადადის და ასე აბამს ობობას ქსელებს. მთავარი ის არის, რომ ეს ყველაფერი დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

ამას წინათ დაქალმა დაბადების დღეზე დამპატიჟა. ძალიან კარგი დრო ვატარეთ და გვიანობამდე შემოვრჩით. იქიდან მარტო არ გამოგვიშვეს. სამი გოგო დაქალის ბიძაშვილის მანქანაში ჩაგვსვეს და იმ ბიჭს სთხოვეს, სახლის კარამდე მიაცილეო. მან ყველა ჩამოგვარიგა, ყველაზე ბოლოს კი მე მომიყვანა. მანქანა ჩემი კორპუსის სადარბაზოსთან გააჩერა და მითხრა, სახლში რომ ახვალ, აივნიდან ხელი დამიქნიე, მანამდე არ წავალო. მართლაც ასე მოვიქეცი, სახლში რომ ავედი, აივნიდან ვანიშნე, რომ წასულიყო. ამ ყველაფერს კი თურმე ჩემი მეზობელი ხედავდა. მან ამაზე მთელი ისტორია შეთხზა და დედაჩემს მოუყვა, თითქოს შეყვარებულმა სახლამდე მომაცილა და მერე აივნიდან ხელით საეჭვოდ ვანიშნებდი რაღაცეებს.



დედა ძალიან გამიბრაზდა. ყველაფერი კი ავუხსენი, მაგრამ მაინც მისაყვედურა, ღამის პირველ საათზე უცხო ბიჭს მანქანაში როგორ ჩაუჯექი, დაგერეკა და მე შეგხვდებოდიო. ამას ისიც ემატება, რომ იმ მეზობელმა უკვე ბევრს უთხრა, რომ მე შეყვარებული მყავს, რომელსაც მანქანით აქეთ-იქით დავყავარ. პირში მომახალა, როგორ ბედავ, რომ სახლამდე მოჰყავხარო. ავუხსენი, რომ ჩემი დაქალის ბიძაშვილი იყო, მაგრამ ყურში მის არაფერი შედის. ეს ჭორი ართობს და ამ ამბავს, როგორც უნდა, ისე ატრიალებს. მოხუცია და ამიტომ მერიდება, თორემ საკადრის პასუხს გავცემდი და კარგადაც გამოვლანძღავდი.

*თქვენი მკითხველი*

## «ჩემ გამო ძმას ფეხბურთის თამაში აუკრძალეს»

ძმაზე 4 წლით უფროსი ვარ. ძალიან მიყვარს და მასზე დედასავით ვზრუნავ. ამ ბოლო დროს ძალიან გაცელქდა, უფროს ბიჭებს აჰყვა და აღარავის უჯერებს. მშობლები ბევრს მუშაობენ, დილით რომ გადიან სახლიდან, გვიან ბრუნდებიან. ამიტომ ძმის პატრონობა მთლიანად მე მაქვს მონდობილი. მასზე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.



ორი თვის წინ დავინახე, რომ უფროს ბიჭებთან ერთად სიგარეტს ეწეოდა. ამაზე გადავირიე და მშობლებთან დავაბეზღე, ვუთხარი, როგორც იქცეოდა. მშობლებმა დასაჯეს და ფეხბურთიდან გამოიყვანეს. მამამ უთხრა, სპორტსმენად მაინც ვერ ივარგებ, რადგან შენ სიგარეტი აირჩიეო.

ძმა წამეჩხუბა, მშობლებისთვის არ უნდა გეთქვა, იმ დღეს პირველად მოვწიე სიგარეტი და მაშინვე დამაბეზღეო. განიცდის, რომ ფეხბურთს ჩამოაშორეს. მამას ეხვეწება, ყველაფერს დაგიჯერებ, ოღონდ ასე ნუ დამსჯიო, მაგრამ მისი გული ვერაფრით მოალბო. მშობლებს მეც ვთხოვე, რომ აპატიონ, მაგრამ არც მე მაქცევენ ყურადღებას. მამამ ისიც კი მითხრა, შენი გათამამებულია, ყველაფერს გვიმალავდი, ხელს აფარებდი და აქამდე მივიდაო. საყვარელ ძმას ამ დღეში რომ ვხედავ, საშინლად განვიცდი. აღარ ვიცი, მისი პრობლემა როგორ მოვაგვარო.

*„სარკის“ მკითხველი, 17 წლის*

## „ბებია მე და დედას გვთარსავს“

არ არსებობს, ბებიაჩემმა რამე მითხრას, რომ არ ამიხდეს! მე და დედას უკვე აღარ შეგვიძლია, სულ დათარსულები დავდივართ, ხელი არაფერში გვემართება. ვეხვეწები, კარგი სიტყვები გვითხარი, ასე ნუ ითარსები-მეთქი, მაგრამ ეს ჩვევა ვერაფრით მოვაშლევინეთ. მოძღვარმაც დაარიგა, შენი ოჯახის წევრებს ყოველდღე პირჯვარი გადასწერე და ღმერთს მათი თავი შეავედრე, ცუდ სიტყვებს კი ნუ ლაპარაკობ, სიტყვას დიდი ძალა აქვსო. ვერც მოძღვარი გახდა ვერაფერს, მაინც სულ რაღაცას ეძებს, რომ ცუდი სიტყვა გითხრას ან მოგაწყევლოს.



წელს მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი. მასწავლებლები მეუბნებოდნენ, კარგი გოგო ხარ, შენი იმედი გვაქვს, უმაღლეს ქულებს მიიღებო. მეც თავს არ ვზოგავდი, ბევრს ვმეცადინეობდი. ბებია კი მუდმივად გაიძახოდა, შენნაირები სტუდენტები ვერ ხდებიანო. წიგნთან თუ დამინახავდა, მეტყოდა, გოგომ ხანდახან ცოცხსაც უნდა მოჰკიდოს ხელიო. თუ ტელევიზორთან ან კომპიუტერთან შემამჩნევდა, მაშინვე აბუზღუნდებოდა, ჩემი ბიჭი რა ტყუილა ყრის ფულს მასწავლებლებში, შენ მაინც ვერ ჩააბარებ გამოცდებს, უმაღლესში ვერ მოხვდებიო. ამ სიტყვებზე სულ პირჯვარს ვიწერდი, ღმერთო, არ ამისრულდეს-მეთქი, მაგრამ მაინც დავითარსე.

სტუდენტი კი გავხდი, მაგრამ როგორ შედეგსაც ველოდი, ის ვერ მივიღე. არ ვიცი, იმ მომენტში ტვინი რამ გამიყინა, შეცდომა შეცდომაზე დავუშვი. ძალიან დაბალი ქულები მივიღე, რამაც გამანადგურა. ბებია კი გახარებულია, ამბობს, აი, ხომ ვამბობდიო. ახლა დადის და ქოთქოთებს, საცოდავი ჩემი შვილი, ცოლ-შვილს სულ არ ეცოდება, ამის სწავლის ფულს როგორ გადაიხდისო. იმდენს ილაპარაკებს, მართლა უსწავლელი დავრჩები.

აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. შეიძლება ზედმეტად ვარ გაღიზიანებული და ბებიის სიტყვები გულზე ამიტომ მხვდება ცუდად, მაგრამ მართლა ძალიან ვნერვიულობ და უკვე მეშინია კიდეც. მგონია, რომ მისი წყევლა მთელ ოჯახს ცუდად შემოგვიბრუნდება.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

### გამოხმაურება

## «რაც ძმამ ცოლი მოიყვანა, მე და ჩემმა დამ ოჯახში უკანა პლანზე გადავიწიეთ»

„სარკის“ 34-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ჩემი მშობლები რძალს თავს ევლებიან, მე კი ყურადღებას არ მაქცევენ“. ამ გოგოს ამბავი ძალიან ნაცნობია ჩემთვის და მეც მაინტერესებს — რა ემართებათ მშობლებს, როცა რძალი მოჰყავთ? საკუთარ შვილებს ყურადღებას რატომ აღარ აქცევენ?

ორ დას ერთი უფროსი ძმა გვყავს. ძმამ ერთ წელია ცოლი მოიყვანა და მას შემდეგ მე და ჩემმა დამ უკანა პლანზე გადავიწიეთ. ნემსის ყუნწში გაძვრებიან და რძლისთვის ყველაფერს ყიდულობენ, ის კი არ აინტერესებთ, მათ საკუთარ შვილებს რა სჭირდებათ.

დაახლოებით ერთი თვის წინ ნათესავის ქორწილში მივდიოდით. ჩემი მშობლები თავდაყირა დადგნენ, რძალს ყველაფერი უყიდეს. სალონში გაგზავნეს, თმა, ფრჩხილები გააკეთებინეს. იმით კი არ დაინტერესდნენ, მისი შვილები რის ჩაცმას ვაპირებდით ან რამე თუ გვჭირდებოდა. ველარ მოვითმინე და ჩემებს ვუსაყვედურე, მაგაზე რომ ფიქრობთ, მე და ჩემს დას რატომ არ გვეკითხებით, ქორწილში წამოსასვლელად რამე გვაქვს თუ არა-თქო. მითხრეს, რძალს უთხარით და რამეს გათხოვებთო. ამაზე სულ მთლად ავიჭერი. ოჯახის ახალ წევრს რატომ უნდა ვთხოვოთ?! ხომ შეიძლება იმას ცოტა რაღაც მოაკლონ და ჩვენც გაგვინაწილონ? არა მგონია, რძალი შვილებზე მეტად უყვარდეთ, ამიტომ მათი საქციელი ვერაფრით ამიხსნია.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# რამ გაწყვიტა ირაკლი ფირცხალავას და მამამისს შორის ურთიერთობა



■ მამა-შვილი — ნუკრი ქსნელაშვილი და...



...ირაკლი ფირცხალავა

## ნუკრი ქსნელაშვილი: „ირაკლიში ჩემს თავს ხშირად ვხედავ“

რუსული შოუბიზნესის ქართველი ვარსკვლავი, მომღერალი ირაკლი ფირცხალავა, მარტოხელა დედამ, ნანა ფირცხალავამ, გაზარდა. დედა-შვილი მოსკოვში დაფუძნდნენ, ირაკლის მამა, მეან-გინეკოლოგი ნუკრი ქსნელაშვილი კი საქართველოში ცხოვრობს. მათ მამაშვილობაში ხანგრძლივი პაუზა იყო. წლების შემდეგ ერთმანეთთან მისასვლელი გზები იპოვეს და ურთიერთობა აღდგა. ახლა მამა და შვილი კარგი მეგობრები არიან.

ნუკრი ქსნელაშვილს, ირაკლის გარდა, ხუთი ბიჭი ჰყავს. ირაკლი ჯერჯერობით ორი ბიჭის მამაა. მისი უფროსი შვილი და უმცროსი ძმა თითქმის თანატოლები არიან, მომღერალს ცოლ-შვილი ამჟამად საქართველოში ჰყავს, თავად კი ერთ-ერთ კუნძულზეა და საკუთარ თავს გამოცდას უწყობს — პროექტ „უკანასკნელ გმირში“ მონაწილეობს. როგორც ბატონმა ნუკრიმ გვითხრა, ირაკლის სურს, საცხოვრებლად საქართველოში ჩამოვიდეს. მამას მოსწონს ეს გადაწყვეტილება და შვილს ამ საკითხში მხარს უჭერს.

**— ბატონო ნუკრი, სანამ თქვენი და ირაკლის მამაშვილობაზე ვისაუბრებდეთ, თქვენ შესახებ გვიამბეთ, რომ მკითხველმა გაგიცნოთ.**

— ჩემი სპეციალობა სიცოცხლის დაბადებასთანაა დაკავშირებული. მეან-გინეკოლოგს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, ორი სიცოცხლე აბარია. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, მაგრამ ზოგჯერ ასეთი სირთულეები მიზიდავს კიდეც. თავდაპირველად ანესთეზიოლოგიაში დავიწყე მუშაობა, ეს ჩემი პროფესიის ათვისებაში ძალიან დამეხმარა. ერთ-ერთ რაიონში გარკვეული ხნით ქირურგადაც მომიწია მუშაობა. მაშინ ლიცენზირებას ასე მკაცრად არ უყურებდნენ და ლიცენზიის გარეშე ვმუშაობდი, იქ ნამდვილად სჭირდებოდათ ქირურგი.

1982 წლიდან მეან-გინეკოლოგიაში ვმუშაობ. ამ დროის განმავლობაში იყო წარმატებებიცდა იმედგაცრუებებიც. იმედგაცრუების გარეშე არც ერთი საქმე არსებობს. იყო შემთხვევები, რომლებიც მთელი ცხოვრება მახსოვს... ჩემს პროფესიას ბევრი დადებითი ემოციაც ახლავს, იშვიათი და უნიკალური ოპერაციები გამიკეთებია.

**— იმ შემთხვევებიდან, რომლებიც, როგორც თქვით, მთელი ცხოვრება გახსოვთ, ერთი რომელიმე გვიამბეთ.**

— ახლახან მქონდა ასეთი შემთხვევა: ექოსკოპიით დადგინდა, რომ ნაყოფი არასრულფასოვანი იყო. დედას აუხსნეს, რომ სხვა სტაციონარში უნდა წასულიყო, სადაც ასეთ კონტინგენტზე სახელმწიფო პროგრამა მუშაობს. პაციენტი იქ გავაგზავნე, სადაც წასვლა ეკუთვნოდა, მაგრამ იქიდან უკან მობრუნდა. კატეგორიულად მოითხოვეს, რომ საკეისრო გაკეთებულიყო, ფიქრობდნენ, იქნებ ექოსკოპიას ეშლება ან იქნებ შევძლოთ გადარჩენაო. საკეისრო გამაკეთებინეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვი მესამე დღეს გარდაიცვალა. ბავშვის დაღუპვამ შემძრა, მაგრამ ჩვილის დედა აქეთ მამშვიდებდა, მე იმით ვარ კმაყოფილი, რომ ჩემი შვილი მონათლული წავიდა ამქვეყნიდანო...

**— ასეთ შემთხვევებზე ფიქრი და განცდები ალბათ ყველგან თან დაგყვებათ.**

**• „ირაკლი რომ გაჩნდა, თუ არ ვცდები, 22 წლის ვიყავი. მაგ ასაკში ცხოვრებაზე კონკრეტული წარმოდგენა არ მქონდა, არც ჩამოყალიბებული ვიყავი, რა და როგორ მინდოდა“.**

— რა თქმა უნდა. ძალიან სანერვიულო საქმიანობაა მეან-გინეკოლოგობა. ხშირად ისეთ რაღაცეებზე მიხდება ნერვიულობა, რომელთა შესახებაც ხმამაღლა არ ვლაპარაკობ. თავში უამრავი რამ მიტრიალებს, სულ ვფიქრობ, რამე არ გართულდეს, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება ცუდი შემთხვევები. ყოველი ახალშობილი ჩვენთვის უდიდესი ბედნიერებაა და ეს სტრესს ხსნის. ასე რომ, ჩვენს საქმეს ნერვიულობასთან ერთად დიდი სიხარულიც ახლავს. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა მიფიქრია, ნეტა, საერთოდ არ ამერჩია ეს პროფესია-მეთქი, მაგრამ დილა რომ თენდება, მერე სხვანაირად ვფიქრობ.

**— ალბათ იმიტომ, რომ ძალიან გიყვართ თქვენი საქმე.**

— უნდა გიყვარდეს, თორემ ამდენს ვერ გაუძლებ. ჩემს ახლობლებში არიან ისეთებიც, რომლებმაც მიატოვეს ეს საქმე და საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენები ან სხვა დარგის ექიმები გახდნენ. მათი საქმიანობა ამდენ უძილო ღამესთან, ნერვიულობასთან, ამხელა პასუხისმგებლობასთან არ არის დაკავშირებული.

**— თქვენს ოჯახში, სანათესაოში, სხვებიც არიან ექიმები?**

— ექიმების ოჯახში გავიზარდე. ჩემი დაც მეან-გინეკოლოგი გახლავთ, ჩვენთან მუშაობს. მამა ქირურგი იყო, რაიონში მუშაობდა, მას კიდევ უფრო სანერვიულო სამსახური ჰქონდა. ჩემი მეუღლეც ექიმია, ისიც მეან-გინეკოლოგია და დავით გაგუას კლინიკაში მუშაობს. ასე რომ, ოჯახის წევრებს ერთმანეთის კარგად გვესმის. ვცდილობთ, სახლში ნაკლებად ვისაუბროთ პროფესიაზე, მაგრამ სამსახურებრივ პრობლემებს ვერ გავექცევით, მით უმეტეს, რომ მე და ჩემი ცოლი ერთი მიმართულებით ვმუშაობთ.

**• „ირაკლის წარმატების მიღწევაში ბევრი ვინმე დაეხმარა, პირველ რიგში, ალბათ დედას მიუძღვის დიდი წვლილი, თუმცა მე მაინც ვიტყოდი, რომ ირაკლი ფირცხალავამ თავისი თავი თვითონ შექმნა“.**

**— როგორც ვიცი, მრავალშვილიანი მამა ხართ. თქვენს შვილებზეც გვიამბეთ.**

— ექვსი შვილის მამა ვარ. უფროსი ირაკლია, 36 წლის გახდება 13 სექტემბერს, ნიკა პირველ აგვისტოს 27 წლის გახდა, იოანე 26 წლის არის, ლუკა — 9 წლის, გიორგი — 8-ის, სანდრო — 4-ის. ნიკა სულ ახლახან დაქორწინდა.

**— სულ ბიჭები გამოგსვლიათ. გოგონას მამობაზე არ ოცნებობთ?**

— რა ვიცი, ღმერთმა ექვსი ბიჭი მომცა. ამქვეყანაზე ყველაფერი რთულია და, რა თქმა უნდა, ექვსი ბიჭის მამობაც არაა მარტივი. მაქსიმალურად ვცდილობ, ჩემგან ყურადღება და კონტროლი არ მოაკლდეთ.

**— მკაცრი ხართ ბიჭების მიმართ?**

— ზოგჯერ — კი. ვერ ვიტყვი, რომ თავისუფლად მყავს მიშვებული, მაგრამ დრო გადის და თავად პოულობენ თავისუფლებას.

**— შვილებიდან რომელიმე გაჰყვა თქვენს გზას?**

— ჯერჯერობით — არც ერთი. ალბათ არც ერთი მემეტება ამ პროფესიისთვის, მაგრამ ერთ-ერთი მაინც უნდა გახდეს ექიმი! 20 წლის შემდეგ ქართველი მეან-გინეკოლოგი გვეყოლება თუ არა, ამაზე ხშირად ვფიქრობ. სამედიცინო ინსტიტუტს ვინც ამთავრებს, უმრავლესობას ეს სპეციალობა არ უნდა. უფრო მარტივ საქმეს ირჩევენ, ახალგაზრდები პრაგმატულები გახდნენ. ამას რომ თავი დავანებოთ, საქართველოში ჩვენ ძალიან ცუდი იურიდიული დაცვა გვაქვს. ევროპის ქვეყნებში ბევრად უფრო მოწესრიგებულია ეს საკითხი. ალბათ მოვა დრო და ჩვენთანაც ეს პრობლემა მოგვარდება.

**— თქვენი უფროსი ვაჟი, ირაკლი, ძალიან პოპულარული მომღერალია რუსეთშიც და საქართველოშიც. ვისგან ერგო მუსიკალური ნიჭი, თქვენც ხომ არ მღერით?**

— ყველა ქართველი ცოტ-ცოტას მღერის, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სიმღერის ნიჭი მაქვს. ისე, მუსიკალური სკოლა კი მაქვს დამთავრებული, სკოლის გუნდშიც



Cyan Magenta Yellow Black

ვმღეროდი, მაგრამ მერე ეს ნიჭი აღარ განვავითარე.

**— ირაკლის შემოქმედების როგორი შემფასებელი ხართ?**

— კრიტიკული! დამეთანხმებით, რომ ირაკლი თავისებური სტილის მომღერალია. როგორც მუსიკოსი, საკმაოდ ნიჭიერია. ბევრი სიმღერა, რომელსაც ასრულებს, თავისი დაწერილია. მისი ბოლო ჩანაწერი, რომელიც შვილს მიუძღვნა, მგონი, ძალიან კარგი გამოვიდა. სხვათა შორის, მე და ირაკლი ერთად ვიყავით კარაოკეში და მაშინ ირაკლი სულ სხვანაირად გავიცანი, მას ბევრად მეტი შესაძლებლობები აქვს, ვიდრე თავის სიმღერებში ამჟღავნებს. ასე რომ, ირაკლი ფირცხალავა შეიძლება წლების შემდეგ სხვადასხვა რაკურსში წარმოგვიდგეს და სიურპრიზები შემოგვთავაზოს.

**„ღმერთმა ექვსი ბიჭი მომცა. ამქვეყანაზე ყველაფერი რთულია და, რა თქმა უნდა, ექვსი ბიჭის მამობაც არაა მარტივი. ვცდილობ, ყურადღება და კონტროლი არ მოვაკლო“.**

**— ამ ზაფხულს ირაკლი საქართველოში იყო ჩამოსული?**

— ირაკლის ცოლ-შვილი ახლაც საქართველოში ჰყავს, ზღვაზე ისვენებენ. ირაკლი აქ არ არის, ერთ-ერთ კუნძულზეა. პროექტში „უკანასკნელი გმირი“ მონაწილეობს. ნოემბერში ჩანაწერს რუსულ არხზე იხილავთ. ჩემს შვილს ძალიან ვგულშემატკივრობ და თან ვნერვიულობ, იქ მარტოა, გაჭირვებაში, კუნძულზე ათასი განსაცდელია...

**— საკუთარ თავს გამოცდას უწყობს?**

— ასეთი პიროვნებაა. ძალიან ხშირად ცდილობს საკუთარი თავის გამოცდას. ეს კარგიც არის და ცუდიც. არ უყვარს მარტივი გზით სიარული. ცდილობს, საინტერესოდ იცხოვროს.

მის ადგილას ბევრი ასე არ მოიქცეოდა. იმას დასჯერდებოდა, რაც აქვს და სწორხაზოვნად ივლიდა. ირაკლი სხვანაირად ფიქრობს, სხვანაირად აზროვნებს. ძალიან უყვარს ფეხბურთი, სერფინგი. სპეციალურად დადის ისეთ ადგილებში, სადაც ოკეანის მაღალი ტალღებია.

**— ამ თვისებებით თქვენ ხომ არ გგავთ?**

— ამბობენ, რომ მგავს. ირაკლიში ჩემს თავს ხშირად ვხედავ, ხასიათის ბევრი თვისებით ერთმანეთს ვგავართ.

**— მამამთილმა და რძალმა, სოფია გრებენშიკოვამ, ერთმანეთს კარგად გაუგეთ?**

— მართალია, ქართველი არ არის, მაგრამ ძალიან ქართული ხასიათი აქვს. ჩემი რძალი აბსოლუტურად ჩაჯდა ქართულ ტრადიციებში. ჩრდილოელები ცივები არიან, მაგრამ სოფიაში მსგავსი არაფერი აღმომიჩენია, მათგან საკმაოდ განსხვავებული ხასიათი აქვს. ყველაფერ ქართულს კარგად მოერგო. ქართული ენა რომ იცოდეს, ჩავთვლიდი, ქართველია და აქაა გაზრდილი-მეთქი.

**— ირაკლის უფროსი შვილი და თქვენი ნაბოლარა ბიჭი თითქმის თანატოლები არიან. თავს პაპად უფრო გრძნობთ თუ მამად?**

— ისეთი პატარა შვილი მყავს, შვილიშვილად შემეფერება. ჩემს შვილსა და ირაკლის უფროს ბიჭს შორის განსხვავება ერთი წელია. ირაკლის ბიჭს, ილიას, 12 აგვისტოს დაბადების დღე ჰქონდა, 3 წლის გახდა, ურეკში გადავუხადე. ძალიან კარგი ბიჭია, უნიჭიერესი. უკვე მღერის და სტუდიაში პირველი ჩანაწერიც გაუკეთეს.

**— ირაკლის ძალიან ჰგავს?**

— კი, მამას რაღაცეებით ჰგავს, მაგრამ ილია ისეთი არტისტულია, ირაკლის სად აქვს ასეთი არტისტიზმი. ისეთი რაღაცეები გააკეთა, გამაგიჟა! ირაკლის უმცროსი შვილი, ალექსანდრე, თითქმის 10 თვისაა და გადასარევად ცეკვავს, მუსიკაზე ქართულად გაშალა ხელები. იმედია, ბიძა-ძმისშვილები ერთად დაიზრდებიან.

ირაკლის ბოლო დროს საქართველოსკენ ძალიან მოუწევს გული. იმდენად დატვირთული გრაფიკი აქვს, არ აქვს საშუალება, აქ ხშირად იყოს. შეძლებისდაგვარად ახერხებს ჩამოსვლას და ძალიან უნდა, მეტი კონტაქტი ჰქონდეს სამშობლოსთან. საქართველოში ცხოვრებაც კი სურს, მაგრამ არ ვიცი, რამდენად მიეცემა ამისი საშუალება.

**— თქვენი რჩევა როგორია, გინდათ, ირაკლიმ საქართველოში იცხოვროს?**

— დღეს კომუნიკაციები იმ დონეზეა განვითარებული, ირაკლი საქართველოში იცხოვრებს თუ სადმე სხვაგან, მნიშვნელობა არ აქვს. შეუძლია საქართველოდან აწარმოოს თავისი საქმე და აქედან იფრინოს სხვადასხვა ქვეყანაში.

**— ირაკლი თქვენს აზრებს, რჩევებს უსმენს?**

— მგონი, აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, მე რომ ვეტყვი, რა მომეწონა და რა — არა, მისმენს, თუმცა არ ვიცი, რამდენად ითვალისწინებს.

**„ირაკლის ბოლო დროს საქართველოსკენ ძალიან მოუწევს გული. უნდა, მეტი კონტაქტი ჰქონდეს სამშობლოსთან. საქართველოში ცხოვრება სურს“.**

**— ირაკლის დედასთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— რა თქმა უნდა. ცოტა ხანში საქართველოში ჩამოვა.

**— მამისთვის რთული არ არის, როცა შვილს სხვა გვარი აქვს?**

— ისე აეწყო ყველაფერი, რომ ასე მოხდა. ირაკლი რომ გაჩნდა, თუ არ ვცდები, 22 წლის ვიყავი. მაგ ასაკში ცხოვრებაზე კონკრეტული წარმოდგენა არ მქონდა, არც ჩამოყალიბებული ვიყავი, რა და როგორ მინდოდა.

**— ირაკლის რატომ არ უყვარს ჟურნალისტებთან ურთიერთობა?**

— ქართულ ჟურნალებს ინტერვიუებს არ აძლევს. ალბათ რაღაც ისე დაბეჭდეს, რაც არ მოეწონა და ეწყინა. უნდა, რასაც ამბობს, ის დაწერონ და ჟურნალისტმა არ გადააკეთოს. ასეთ შემთხვევაში გაფუჭებული ტელეფონი გამოდის.

**— როგორც ვიცი, ირაკლისთან ურთიერთობა არც ისე დიდი ხნის წინ აღადგინეთ. წლების განმავლობაში შვილთან რატომ არ გქონდათ კონტაქტი?**

— როცა ბავშვი იყო, მაშინ მქონდა ურთიერთობა. მერე ისე მოხდა, რომ ჩვენთან ცხოვრება აირია, კონტაქტის ნაკლები საშუალება იყო. ირაკლის არ ჰქონდა ისეთი ცხოვრება, რომ ჩემთვის დრო ჰქონოდა. იყო პერიოდი, როცა სამ სხვადასხვა სამშობიარო სახლში ვმორიგეობდი, იმისთვის, რომ ოჯახი შემენახა. რასაკვირველია, ერთმანეთის შესახებ მე და ირაკლიმ ყველაფერი ვიცოდით. მაშინ არ იყო ასე განვითარებული კომუნიკაცია, თან მათ ტელეფონის ნომერი შეიცვალეს და ველარ დავუკავშირდი. იქ ჩასვლაც გართულდა. 1993 წელს ვიყავი მოსკოვში ჩასული და ირაკლი ბოლოს მაშინ ვნახე. მერე ველარ ჩავედი, ყველაფერი აირია.



■ ირაკლი და სოფია

**— მერე თავად ჩამოვიდა თქვენ სანახავად?**

— ირაკლი თავად ჩამოვიდა. მისი ახლობელი ჩემს სამსახურთან მოვიდა და ირაკლიც მასთან ერთად იყო. მანამდე მე შევუთვალე, რომ ჩამოსულიყო და შევხვედროდით. დღესაც არ ვიცი, ჩემი სიტყვები გადასცეს თუ არა.

**— მის კარიერულ წინსვლას, განვითარებას, გაზრდას ადევნებდით თვალს?**

— რადიოში დიჯეი რომ იყო, მაშინ — არა, მაგრამ მერე კი ვადევნებდი თვალს მის ნაბიჯებს. ირაკლი ბავშვობიდან ძალიან დამოუკიდებელი ადამიანია, წარმატების მიღწევაში ბევრი ვინმე დაეხმარა, პირველ რიგში, ალბათ დედას მიუძღვის დიდი წვლილი, თუმცა მე მაინც ვიტყოდი, რომ ირაკლი ფირცხალავამ თავისი თავი თვითონ შექმნა.

**— განვლილ ცხოვრებაში რამეს შეცვლიდით თუ ყველაფერს ისე დატოვებდით, როგორც დღეს არის?**

— ამაზე არ მიფიქრია. ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, ჩვენზე ბევრი არაფერია დამოკიდებული.

✓ **ქეთი დინოშვილი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

**რამპის ჩირაღდნები**

# „სიკვდილს მარტო შეხვდა, მის გვერდით არავინ იყო“

## ბორის წიფურია — ტკივილი კაცისა, რომელიც იცინოდა



■ ბორის ნიფურია

მსახიობ ბორის წიფურიას ერთხელ ჰკითხეს, ფორტუნა თუ გწყალობთო. უპასუხა, ფორტუნა არასდროს არაფერში მწყალობსო. ბედის ირონიით, ბოლო ნამუშევარი, რითიც მაყურებელს ახსოვს, გადაცემა „ფორტუნა“ იყო, რომლის ავტორი და წამყვანი გახლდათ. მის კარიერაში არის რამდენიმე ბრწყინვალე როლი — კომიკურიც და დრამატულიც, რომელთაც, სანამ ქართული კინო იარსებებს, დავიწყება არ უწერია. ერთი მსახიობისთვის ეს საკმარისზე მეტი წარმატებაა, თუმცა თვითონ ასე არ ფიქრობდა. გრძნობდა, რომ მეტი შეეძლო, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლები საყვარელი საქმის გარეშე გაატარა. პირადი ცხოვრებაც ვერააწყო. უიღბლო ქორწინების შემდეგ ოჯახი არ შეუქმნია.

წელს, 15 ივნისს, მსახიობს 80 წელი შეუსრულდებოდა. მის ცხოვრებაზე „სარკეს“ ბორის წიფურიას ნათესავმა, ძმის ცოლმა ნანა ცანავამ უამბო.

### დედა

**ნანა ცანავა — ბორის წიფურიას რძალი:**

— ბორისის დედა, ალექსანდრა (შურა) ბულაშვილი დიასახლისი გახლდათ, მამა, მიხეილ (მიშა) წიფურია — პარტიის წევრი, მერე კი ვაჭრობის მუშაკი გახდა. ბორისს სამი დედმამიშვილი ჰყავდა, თვითონ უფროსი იყო. სამივეს გარდაცვალებას მოესწრო.

ამქვეყნად ყველაზე მეტად დედა უყვარდა. გარეგნულად მას ძალიან ჰგავდა. სუფრასთან რომ იყო, დედის სადღეგრძელო განსაკუთრებულად უნდა დაელია. ჩემი დედამთილი ბოლოს ლოგინად ჩავარდა. ბორისი მის სანახავად არ მოდიოდა. არ უნდოდა, ასეთ მდგომარეობაში ენახა. ხშირად მოდიოდა, წამლები მოჰქონდა, მაგრამ სადარბაზოსთან გვაწვდიდა, სახლში არ შემოდიოდა. ჩემი დედამთილი რომ გარდაიცვალა, ყველანი იმაზე ვდარდობდით, ბორიასთვის ეს როგორ გვეთქვა...

მე და ბორია მეგობრები ვიყავით და არა — რძალ-მაზლი. ბავშვობაში ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით. მე და ჩემი ქმარი რეზო კლასელები ვიყავით. გაკვეთილების შემდეგ მასთან სახლში ხშირად მივდიოდი და ერთად ვმეცადინეობდით. ბორისი ჩვენზე უფროსი იყო და ზოგჯერ გაკვეთილების მომზადებაში გვეხმარებოდა, განსაკუთრებით — რუსული ენის. მერე ჩემსა და რეზოს შორის სიყვარული გაჩნდა და შევუღლდით.

ჩემი მეუღლის გარდაცვალება ყველასთვის მძიმე იყო. 44 წლის კაცი ნაღვლის ბუშტის ოპერაციის დროს დაიღუპა. ბორიამ ეს ამბავი ყველაზე მეტად განიცადა. ორი ბიჭით მარტო დავრჩი და ის გვპატრონობდა, მისი იმედი მქონდა. თუკი რამე გამიჭირდებოდა, მას ვთხოვდი დახმარებას. ყველანაირად გვერდით გვედგა და ჩემს შვილებს ყურადღებას აქცევდა. ჩვენც, როგორც შეგვეძლო, ვეხმარებოდით.

ბოლო წლებში მარტო ცხოვრობდა. მართალია, დამხმარე ქალი ჰყავდა, მაგრამ რაღაცეებს მე და ჩემი რძალიც ვუკეთებდით. მოწესრიგებული კაცი იყო. ერთი პატარა მაგიდა ედგა და ყველაფერი, რაც სჭირდებოდა, მასზე ეწყო. მაშინვე მიხვდებოდა, თუკი რამეს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადავდებდით. ერთხელ სახლი დავულაგე და მაგიდაზე მტვერი რომ გადავწმინდე, ყველაფერი ავურიე. ბორიამ მითხრა, ნანა, დამღუპე, ველარაფერს ვაგნებო.

### უიღბლო სიყვარული

— 42 წლის იყო, როდესაც 15 წლით უმცროს ქალზე დაქორწინდა. იამზე გოთუა ხელოვნებათმცოდნე იყო. ბორია იხსენებდა, რომ ის 10 წელი მოსწონდა, მერე კი იქორწინეს. ერთხელ იამზე მოსკოვში იყო, ბორიამ ჩააკითხა და უცებ გადაწყვიტეს შეუღლება. ერთად 5 წელი იცხოვრეს. იამზე ძალიან კარგი ქალია, მაგრამ რატომღაც მათი ოჯახი ვერ აეწყო, არც ბავშვი შეეძინათ. ყველას ძალიან დაგვწყდა გული, როდესაც ისინი დაშორდნენ. ვიცი, რომ ბორიას იამზე სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა, ალბათ ამიტომაც აღარ შეირთო სხვა. ამას ხმამაღლა არ ამბობდა, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა მისი დამოკიდებულება ყოფილი ცოლის მიმართ.



■ ბორისი და იამზე — ქორწინების დღე

**„ვიცი, რომ ბორიას იამზე სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა, ალბათ ამიტომაც აღარ შეირთო სხვა. ამას ხმამაღლა არ ამბობდა, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა მისი დამოკიდებულება ყოფილი ცოლის მიმართ".**

ბორია ქალბატონების დიდი მოყვარული იყო. კარგი და ლამაზი ქალები იზიდავდა. ერთი პერიოდი პოლიტიკოსი ნესტან კირთაძე მოსწონდა. თუმცა, მიუხედავად პატარ-პატარა სიმპათიებისა, მას სიცოცხლის ბოლო წუთამდე მაინც იამზე უყვარდა.

### საყვარელი საქმის გარეშე

— ბორისი ერთფეროვანი ადამიანი არც ცხოვრებაში ყოფილა და არც თავის პროფესიაში. მართალია, ბევრი საინტერესო სახე შექმნა კინოსა თუ თეატრში, მაგრამ თვითონ ყოველთვის უკმაყოფილო იყო. ამბობდა, სრულად ვერ დავიხარჯე, მეტის გაკეთება შემეძლოო. რეჟისორ რობიკო სტურუასთან გარკვეული უთანხმოება ჰქონდა და რუსთაველის თეატრიდან წამოვიდა. მერე ცოტა ხანი ცირკის დირექტორი იყო. ბოლოს სულ სახლში იჯდა, აღარც ფილმებში იღებდნენ.

ქეიფი ძალიან უყვარდა, თამადობა კარგად გამოსდიოდა. ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად და სუფრასთან კითხულობდა. მის გვერდით არავინ მოიწყენდა, ამიტომაც ჰყავდა მეგობართა მთელი არმია. ძალიან თბილი, ენაკვიმატი ადამიანი იყო.

ერთი სასაცილო ამბავი მახსენდება. წეროვანში მის აგარაკზე ვიყავით, ჩემი დედამთილიც იქ იყო. მან ხის ერთი ტოტი ამოიჩემა, უნდა მოვჭრაო. ბორია უშლიდა. ერთხელაც მეზობელთან გადავიდა. დედამისმა დრო იხელთა, ხეზე ავიდა, ტოტი მოჭრა და ქვევით ველარ ჩამოდიოდა. ასე დიდხანს იჯდა იქ. ამასობაში ბორიაც მოვიდა და ეძახდა, დედა, ჩამოდიო, მაგრამ ვერ ჩამოდიოდა. ბოლოს კიბე მივუდგით და ისე ჩამოვიყვანეთ. ყველაზე სასაცილო იყო თვითონ ბორიას რეაქცია.

### სიკვდილთანაც მარტო

— ბორისს ბოლო წლებში გულთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. ექიმებმა შუნტირების გაკეთება ურჩიეს, მაგრამ შეეშინდა, მხოლოდ სტენტირება გაიკეთა ამერიკაში. წლების შემდეგ გულზე ისევ ცუდი მდგომარეობა შეექმნა. ამასთანავე, სიგარეტს ეწეოდა, თავს ვერ ანებებდა და ასთმური პრობლემებიც დაეწყო. სუნთქვის უკმარისობა ემართებოდა და ცუდად ხდებოდა. ხან სასწრაფოს ვიძახებდით, ხან პირდაპირ მიგვყავდა საავადმყოფოში და რამდენიმე დღე იქ ვაწვენდით. ბოლოს, რომ გამოვიყვანეთ საავადმყოფოდან, ჩვენს სახლში მოვიყვანეთ. აიკვიატა, მეგობრებთან ერთად აბასთუმანში უნდა წავიდეო. არ გვინდოდა, წასულიყო, მაგრამ დაშლას აზრი არ ჰქონდა, მაინც არ დაგვიჯერებდა. ამბობდა, კარგი ჰაერია და მომიხდებაო. იქიდან მისი მეგობრები გვირეკავდნენ, კარგად ვერ არისო.

აბასთუმნიდან თავისი მანქანით ჩამოვიდა. იქ გადაღებული ფოტოები მოგვიტანა, რომლებიც იმ დღესვე დაუბეჭდავს და ახარისხებდა. ერთი და იმავე ფოტოს რამდენიმე ასლი ჰქონდა გაკეთებული, ანუ სხვებისთვისაც დაებეჭდა. ჩემმა რძალმა სთხოვა, ჩვენთან დარჩენილიყო. დაგვაიმედა, თავს კარგად ვგრძნობო და წავიდა.

27 ივნისი იყო. საღამოს გადავურეკეთ და მოვიკითხეთ, კარგ ხასიათზე იყო. ყოველთვის, როცა ცუდად ხდებოდა, თავისი მეგობრის, პროფესორ ანზორ მელიას სასწრაფო დახმარების ბრიგადას იძახებდა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს ძალიან შევწუხდი. თვითონ მითხრა, ნუ გეშინია,



Cyan Magenta Yellow Black



■ ნანა ცანავა

ნანი, ასე იოლად არ მოვკვდებიო.

იმ საბედისწერო ღამეს კი მელიას ჯგუფი რატომღაც არ გამოიძახა, 03-ზე დარეკა. მათ კი სხვა სამსახურს გადასცეს. ამასობაში დრო დაიკარგა და ბორია გათენებისას გარდაიცვალა. სასწრაფოს ექიმისთვის უთქვამს, მგონი, ამქვეყნიდან მივიდივარ და ჩემებს დაურეკეთო. ექიმმა მართლაც დაგვირეკა და გვითხრა, რომ ძალიან ცუდად

**„ექიმისთვის უთქვამს, მგონი, ამქვეყნიდან მივდივარ და ჩემებს დაურეკეთო. სანამ მივიდოდით, მჯეროდა, რომ ცოცხალი დამხვდებოდა. თურმე ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. სამწუხაროდ, ცოცხალს ვერ მივუსწარით“.**

იყო. სანამ მივიდოდით, მჯეროდა, რომ ცოცხალი დამხვდებოდა. თურმე ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. სამწუხაროდ, ცოცხალს ვერ მივუსწარით. დღემდე ვერ მომინელებია, რომ სიკვდილს მარტო შეხვდა და ჩვენ მის გვერდით არ ვიყავით. ეს ცუდი შეგრძნება ცხოვრების ბოლომდე გამყვება.

## დამშვიდობება

— გარდაცვალების წინა დღეს შეიძლება გარკვეული წინათგრძნობა ჰქონდა, უცნაურად იქცეოდა. ჩემი რძალი იხსენებდა, იმ დღეს განსაკუთრებით თბილად მომექცაო. მარინას კიდეც უკითხავს, რა ხდება, ბიძია, რა თბილად მექცევიო. ბორიას კი ღიმილით უკითხავს: „თუ იცი, ხომ არ ვკვდები, მარინა?“. გარდაცვალების დღეს, ჩვენგან რომ წავიდა, შემოგვთავაზა, წამოდით, გაგასეირნებთო, მაგრამ არ გავყევით. როცა წავიდა და ფანჯრიდან გადავხედეთ, კოცნა გამოგვიგზავნა და ასეთი მომღიმარე წავიდა. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრაც და გამომშვიდობებაც.

ბორისი საბურთალოს სასაფლაოზე დავკრძალეთ. გვინდოდა, რუსთაველის თეატრში დაგვესვენებინა, მაგრამ რობიკო სტურუამ უარი გვითხრა. თვად საზღვარგარეთ იმყოფებოდა და იქიდან შემოგვითვალა, თეატრში რემონტიაო. მანამდე ერთი კვირით ადრე ფოიედან ერთი მსახიობი გაასვენეს... საბოლოოდ საბურთალოს სასაფლაოსთან მდებარე ამაღლების ტაძრიდან გავასვენეთ.

❖ ❖ ❖

გარდაცვალებამდე 7 წლით ადრე მსახიობმა თავის ცხოვრებას ერთ წიგნში მოუყარა თავი. გთავაზობთ ამონარიდებს წიგნიდან „ბორის წიფურია — მოგონებები“.

## პირველი ფილმი

„თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სოხუმის თეატრში აღმოვჩნდი. პირველი სპექტაკლი, რომელშიც ვითამაშე, „გაზაფხულის დილა“ იყო. სოხუმის საზოგადოებამ ამ დებიუტით ერთბაშად შემიყვარა. კინოში კი ჯერ არ მიღებდნენ.

იმ წლებში ერთი ზაფხული ბორჯომში გავატარე. ელექტროსაპარსი თბილისში დამრჩა და თვენახევარი წვერი არ გამიპარსავს. თბილისში რომ დავბრუნდი, კინოსტუდიაში გახმოვანებაზე მივედი. იური ქავთარაძემ მკითხა, რატომ გაქვს წვერიო. მე ტყუილად დავიკვეხნე, მოსკოვში ფილმში მიღებენ-მეთქი. იურიმ მითხრა, რა გინდა მოსკოვში, შენთვის ერთი კარგი როლი მაქვს, საკომისიო მაღაზიის დირექტორი უნდა იყოო. მე უარზე დავდექი, პირი რომ გავიპარსო, შენ რომ აღარ გადამიღო, მოსკოვის როლიც ხომ დამეკარგება-მეთქი. მოკლედ, აქეთ ვახვეწნინე. პირობისამებრ, რეჟისორმა მართლაც გადამიღო. ეს იყო ჩემი პირველი ფილმი „უყაიმო თამაში“. ეს დებიუტი ჩემთვის ფეხბედნიერი აღმოჩნდა და იმავე წელს ზედიზედ შვიდ ახალ ფილმში მიმიწვიეს“.

## იმპროვიზატორი

„არ შემიძლია სცენაზე ერთისა და იმავეს გამეორება ჩაწერილი ფირივით. ხან როგორი ვთამაშობ სპექტაკლებს, ხან — როგორ. „საბრალდებო დასკვნა“ ჩემი საასპარეზო სპექტაკლი იყო. ერთ სცენაში კულისებიდან ისმის ახალმოყვანილი პატიმრის ყვირილი. ამ დროს ჩემი გმირი (ქიქიკო გოგოლი) ამბობს, ეტყობა, ახალი პატიმარი მოიყვანესო. ერთხელაც ჩემი სიტყვის დრო დგება, მაგრამ მანამდე პატიმრის ყვირილი არ ისმის. მსახიობი სადღაც დაიკარგა. გავიხედე კულისებში და სპექტაკლის ზედამხედველი ვალიკო ხელებს თავში იცემს. რომ არა და არ გამოჩნდა მსახიობი, ვალიკო სცენის უკან გავარდა და დაიწყო



■ „ვერის უბნის მელოდიები“

ყვირილი: „ხელი გამიშვით, თქვე ნაძირლებო!“. ამ დროს მე აბსოლუტურად გულწრფელად ვთქვი: „ვალიკო დაუჭერიათ, ჩვენი ვალიკო გაბისიანი!“. ატყდა ერთი ამბავი, სცენაზე სიცილით იხოცებოდნენ კახი კავსაძე, კარლო საკანდელიძე, სოსო ლალიძე, გურამ საღარაძე და სხვები. ვალიკომ, რომელიც სულ მსაყვედურობდა, ამჯერად არაფერი მითხრა. თუ რეალისტურად მივუდგებოდით, მე სიმართლე ვთქვი.

„საბრალდებო დასკვნა“ იყო სპექტაკლი, რომელშიც იმპროვიზაციის კორიანტელი იდგა ხოლმე. სიცილ-ხარხარი გვქონდა და ამის გამო რამდენჯერმე საგანგებო კრებაც მოიწვიეს. მსახიობები გაგვაფრთხილეს, ასე აღარ მოვქცეულიყავით. ძირითადად მე ვქმნიდი სასაცილო სიტუაციებს და განსაკუთრებით მე გამაფრთხილეს. ერთხანს ვიყავი ჩუმად, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სცენაზე ცხოვრება უინტერესო გახდა. გადავწყვიტე, რამე ახალი მომეფიქრებინა. როდესაც ზაზა ნაკაშიძე ციხის საკანში შედის, მას ქიქიკო გოგოლი ეკითხება გვარს და სახელს. ერთ დღესაც წარმოდგენა დაიწყო და ვფიქრობ, რა მოვიმოქმედო, მაგრამ თავში არაფერი მომდის. ჩემი დროც მოვიდა და ჩემსა და ზაზას შორის გაიმართა დიალოგი:

— რა გვარი ხარ?

— ნაკაშიძე!

— მერი ნაკაშიძე რა არის შენი? — ეს ვთქვი და სცენაზე და დარბაზში საოცრება მოხდა. ხალხი კი არ იცინოდა, ხარხარებდა. ამის გამო დროებით ფარდაც კი დახურეს. რამდენიმეწუთიანი სიცილის მერე, როგორც იქნა, სპექტაკლი გაგრძელდა“.

## საკუთარი „სახლ-მუზეუმი“

„ერთხელ სახლში დენი გამომირთეს. დილით „შუქის კაცი“ მესტუმრა და მეც ეგრევე შეტევაზე გადავედი. ავუხსენი, რომ გადაღებაზე ვიყავი და დავალიანება ამიტომ



■ „შერეკილები“

ვერ გადავიხადე. რომ გაიგო, მსახიობი ვიყავი, ეჭვის თვალით ამათვალიერა, მერე ოთახს გადახედა და თქვა, ტყუილს ამბობ. შენ რომ მსახიობი იყო, კედლები შენი სურათებით გექნებოდა აჭრელებულიო. „შუქის კაცი“ როგორც კი წავიდა, უჯრებიდან ამოვქექე აფიშები, სურათები, სიგელები და კედელზე განვათავსე. ოთახში წითელი ლენტი გავაბი, მოსაწვევებიც გავგზავნე ჩემს რამდენიმე მეგობართან: ხვალ ჩემი სახლ-მუზეუმის გახსნაა და მობრძანდით-მეთქი. ამის შემდეგ, ჩემი სტენდით სულ ვამაყობ“.

## შერეკილი

„მშობლებს ჩემი პროფესია დიდად არ მოსწონდათ. ერთხელ ელდარ შენგელაიამ სცენარი მომცა და მითხრა, რომ ჩემთვის ერთი კარგი როლი ჰქონდა — მღვდლის. სახლში გადავიკითხე სცენარი და ვნახე, ჩემი გმირი სულ ორჯერ ჩნდება, ფილმის თავში და ბოლოში. ხელმეორედ გადავიკითხე და უცებ ციხის უფროსის, ხუტას როლმა მომხიბლა. ელდარს რომ ვუთხარი, გაეცინა. მითხრა, მაგ როლისთვის ბევრი მსახიობი ისინჯება. რეზო გაბრიაძე სულაც, მგონი, იპოლიტე ხვიჩიასთვის გათვალა ეგ როლიო. მე მაინც ➔34



Cyan Magenta Yellow Black



ვთხოვე ელდარს, რომ ხუტას როლზე გავესინჯე. საბოლოოდ დავითანხმე.

განსაკუთრებულად მოვემზადე, გავიკეთე ულვაში, ბაკენბარდები. ფაფახი და კოსტიუმიც შესაბამისი მოვირგე. სინჯების გადაღების მერე სახლში აფორიაქებული დავბრუნდი. ძალიან ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, დამამტკიცებდნენ თუ არა. ჩემი აფორიაქება მამამ შენიშნა და დედას ჰკითხა, რა სჭირსო. მას უთქვამს, შეიძლება ახალ ფილმში გადაიღონ, რომელსაც „შერეკილები“ ჰქვიაო. მამამ დედა დაამშვიდა: „ოჰ, შერეკილი თუა, მაგ როლში დაამტკიცებენ, აბა, რა იქნება?!“.

### ნამდვილი ჭინჭრები

„ფილმში „ზოგი ჭირი მარგებელია“, როგორც გახსოვთ, ჩემს მსუნაგ, მექალთანე გმირს სოფლის ქალები ჭინჭრით სუსხავენ. წესით, ამ დროს რაღაც მსგავსი მცენარე უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ შეეშალათ. როცა რეჟისორმა თქვა, ჭინჭრები მოიტანეთო, ნამდვილი ჭინჭარი მოუტანიათ. მე არხეინად ვარ და გრიმს ვიკეთებ. დაიწყო ამ დუბლის გადაღება. დამესივნენ ქალები, დამცხეს და დამცხეს ჭინჭარი. მე ვფართხალებ, ვყვირი, მთელი გულით ვევედრები ქალებს, არ გინდათ-მეთქი. ისინი კი თავის როლს მონდომებით ასრულებენ. პირველი დუბლის მერე ყველა მიხვდა, რაც მოხდა და დანარჩენი ორი დუბლი სხვა მცენარით დამსუსხეს, მაგრამ რა?.. იმ ჭინჭრის სუსხი ახლაც მახსოვს“.

**„მართალია, ბევრი საინტერესო სახე შექმნა კინოსა თუ თეატრში, მაგრამ ყოველთვის უკმაყოფილო იყო. ამბობდა, მეტის გაკეთება შემეძლოო. ბოლოს სულ სახლში იჯდა, აღარც ფილმებში იღებდნენ“.**

### თეატრი, როგორც ცხოვრება

„თეატრს ბევრი სიხარული მოაქვს მსახიობისთვის, მაგრამ ბევრიც — გულისტკენა. მეც არაერთი სირთულე შემხვედრია. ერთხელ გახმაურებულ დადგმაში მთავარი როლი მივიღე. ათი რეპეტიციის შემდეგ ერთ მსახიობს ეს როლი მოეწონა და ამის გამო მე სხვა უსახურ როლზე გადამიყვანეს, რაც არ ვითამაშე. ასე ხშირად ჩამყრია შრომა წყალში. მომხდარა ისეც, რომ ზოგ სპექტაკლში მესამე დუბლიორად მნიშნავდნენ. მე ჩემი შრომისა და სისხლის ფასად ვამტკიცებდი, რომ აშკარად ვჯობდი დუბლიორებს და იმას ვაღწევდი, რომ პირველ შემადგენლობაში გადავყავდი რეჟისორს.

მართლაც, თეატრში თავს იყრის ყოველივე ის, რასაც ადგილი აქვს რეალურ ცხოვრებაში. როგორც იტყვიან, თეატრი ყველაფრის ბუდეა. არავინ იფიქროს, გული რამეზე მწყდება. მიმაჩნია, რომ ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი, თუმცა ვაღიარებ, რომ მეტის გაკეთება შემეძლო. ყველაფრის მიუხედავად, მარტო არ ვარ. არც ერთი დღე ვარ უსაქმოდ. ვფუსფუსებ ჩემთვის. თუ შემიძლია, ვეხმარები ყველას ხან რაში, ხან რაში. ჩემს სახლში ზარი არ წყდება. მიყვარს ჩემი მეგობრები. ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა ამქვეყნად მეგობარი არ დამაკლო“.

✓ თეონა კენჭიაშვილი

# ნანა კაკაბაძე: „დედაჩემმა ორჯერ სცადა თვითმკვლელობა“

## ვისგან ერგოთ ცნობილ უფლებათადამცველს და მის შვილს 5 ბინა

ორგანიზაციის, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი, ნანა კაკაბაძე, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ მოწყობილი იმ აქციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო, რომლის დროსაც ჩიორა თაქთაქიშვილს ცხვირიდან სისხლი ადინეს. ახლახან კი ბაჩო ახალაიას პროცესზე თავისი „რაზმით“ სასამართლოსთან გამოცხადდა და ამ უკანასკნელის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი გააპროტესტა.

ეს ყველაფერი სასტიკად აღიზიანებს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს და ქალბატონი ნანას დაპატიმრებასაც კი ითხოვენ. „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ სოციალურ ქსელში ნანა კაკაბაძეს „მსხვილფეხა რქოსანი“ უწოდა და „მხედრიონთან“ მეგობრობა გაუხსენა. ეს ქალი უკვე თავისი ბელადის, ჯაბა იოსელიანის სიტყვებით ციტირებს და თუ საშუალება მიეცა, ხალხის დაუთოებასაც დაიწყებსო, წერდა ნიკა გვარამია „ფეისბუქში“.



ნანა კაკაბაძე

კიდევ ერთი ბრალდება, რაც ნანა კაკაბაძის მისამართით გაისმის, ქონებას ეხება — მის საკუთრებაში რამდენიმე სახლია. დაგროვილ კითხვებზე, ბრალდებებზე და დღემდე გამოვლილ გზაზე უფლებათადამცველი „სარკეში“ საუბრობს.

❖ ❖ ❖

ნანა კაკაბაძე მე-9 კლასის მოსწავლე იყო, როცა შორეულ საბჭოთა ეპოქაში, 1978 წელს, 14 აპრილს, დედაენისადმი მიძღვნილ მიტინგზე მოხვდა. ამბობს, რომ მას მერე ქუჩაშია. აღთქმა დადო, რომ ისე არ იცხოვრებდა, როგორც ყველა სხვა. გამოიარა დისიდენტობის პერიოდი. სიყვარული ერთხელ ეწვია — ცოლად პროფესიით გეოლოგს და დიდად მორწმუნე ნოდარ ჭანტურიას გაჰყვა. ამ ურთიერთობას მისთვის ქალური ბედნიერება არ მოუტანია, მაგრამ დარჩა მთავარი ბედნიერება — შვილი. მისი ქალიშვილი, ანა, ახლა 25 წლისაა.

❖ ❖ ❖

**— ქალბატონო ნანა, თქვენი მისამართით გაისმა ბრალდება, რომ 1992 წლის ამნისტიის მთავარი შემოქმედი იყავით და სწორედ ამ ამნისტირებული ადამიანებისგან შეიქმნა ისეთი დანაშაულებრივი ორგანიზაცია, როგორიც „მხედრიონი“ იყო.**

— ნაციონალურ მოძრაობას მთელი თავისი პოლიტიკა ცრუ პიარზე ჰქონდა აგებული და ასეთი განცხადებებიც ამის გაგრძელებაა. „მხედრიონი“ 1989 წლის 9 აპრილის ღამეს შეიქმნა და არა — 1992-ში. მე წლების განმავლობაში არ ვიცოდი ამ ორგანიზაციის არსებობაც კი, სანამ „მხედრიონის“ მიმართ ცუდი კამპანია არ დაიწყო. მათი დაცვა დავიწყეთ, რომ უდანაშაულოდ არ დაეპატიმრებინათ. 1995 წელს მოხდა მათი მასობრივი დაპატიმრება და ჩვენი ორგანიზაცია ადვოკატებთან ერთად ჩავერთეთ მათ დაცვაში. მხედრიონელების გარდა ჩვენ ვიცავდით ზვიადისტებს, კომუნისტებს და ა.შ. რომელთა მიმართაც ხელისუფლება კანონს არღვევდა. ჩვენმა ამ პროცესში ჩართვამ საზოგადოებრივი აზრი შეცვალა და რეალობა სააშკარაოზე გამოიტანა.

„მხედრიონთან“ კიდევ ის შეხება მქონდა, რომ ჩემი ოჯახი ახლოს იყო ჯაბა იოსელიანის ოჯახთან. ვთვლი, რომ მისი შვილის გაზრდაში მეც მიმიძღვის წვლილი. მამაჩემი და ჯაბა წლების განმავლობაში მეგობრობდნენ. ერთად ისვენებდნენ და ა.შ. 1993 წელს მათ შორის პოლიტიკური შეუთავსებლობა იყო შევარდნაძის ჩამოყვანასთან დაკავშირებით და მაშინ პოლიტიკურად ფაქტობრივად დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ ოჯახური ურთიერთობა გაგრძელდა. დღეს ნაციონალებს რომ ვუსმენ, მეცინება, რადგან, ვინც კი მხედრიონელებიდან ცოცხალი დარჩა, ყველა სააკაშვილის ხელისუფლებაში იყო, ყოფილი კულტურის მინისტრიდან დაწყებული და ნომერ პირველი ბიზნესმენით, „სილქნეტის“ მმართველით და სხვა უამრავ სფეროში დასაქმებულით გაგრძელებული.

**— მხედრიონელების მიერ ჩადენილი არაადამიანური დანაშაულობებია ცნობილი. მათი დაცვა უხერხული არ არის?**

— როგორ ფიქრობთ, ბაჩო ახალაია რომ აწამონ და არაადამიანურად მოექცნენ, არავინ უნდა დაიცვას?! როცა ადამიანის დაცვის სფეროში მუშაობ, აბსოლუტურად ყველას იცავ ხელისუფლების უკანონო ქმედებისგან. მხედრიონელები ციხეშიც და



Cyan Magenta Yellow Black

მერეც თავისუფლად არსებობდნენ საზოგადოებაში. ნაციონალების ერთი წევრი, ბაჩო ახალაია რომ არ მოკლან და შეჭამონ, ამაზე პენიტენციალური სისტემის ბიუჯეტის ნახევარი იხარჯება, ისეთი გამწარებული ჰყავთ ნაციონალებს ხალხი.

ჯაბა იოსელიანი რომ დააპატიმრეს, შევარდნაძეს უთქვამს, ციხე გაუთავისუფლეთ, არავინ იყოს ქურდული სამყაროს ავტორიტეტიო. ჯაბას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და ციხის საავადმყოფოში უნდა ყოფილიყო. როცა იქ შეჰყავდათ, გადარეულა, რატომ დაცალეთო. ფიზიკურად ვერ შეეხნენ და სანამ ყველა არ დააბრუნეს, ვინც კი იქიდან გადაიყვანეს, არ შევიდა. ჯაბა ყველასთვის ავტორიტეტი იყო არა იმიტომ, რომ ბანდიტი და ქურდი იყო, არამედ იმიტომ, რომ განათლებული და კულტურული ადამიანი გახლდათ. როგორც კაცს, არაფერი ეშლებოდა. როგორ წარმოგიდგენიათ, ნაციონალების რომელი წევრიც უნდა დააპატიმროთ, თავს არ გაუტეხავენ?! საზოგადოებაში მიტინგზე გამოვიდნენ და კინაღამ ჩაქოლეს.

— **სწორედ თქვენ გაბრალებენ ამ შეხლა-შემოხლას.**

— ეგეც მათი პრობლემაა. ჯაბა ერთხელ გავეშებული ზვიადისტი ქალების მიტინგზე მივიდა და დაელაპარაკა. სააკაშვილი კი ხალხში ვერ ჩნდება. 800 მხედრიონელი ჩაწვა მიწაში სამშობლოსთვის. რამდენი ნაციონალი დაიღუპა სამშობლოსთვის?!

— **ქალბატონო ნანა, თქვენ ეროვნული მოძრაობიდან ციხეში მოხვდით. გვიამბეთ ამ პერიოდზე.**

— მაშინ ეროვნული მოძრაობა ჯერ დაწყებულიც არ იყო, დისიდენტური მოძრაობა იყო. პირველად 1978 წლის 14 აპრილს დედაენის დღისადმი მიძღვნილ აქციაზე აღმოვჩნდი. მე-9 კლასის მოსწავლე ვიყავი და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. იმდენად ამაღელვებელი და საოცარი დღე იყო, მეგონა, ჰაერში დავდიოდი და არა — მიწაზე. ამ დღის მერე სახლში აღარ შევსულვარ, ქუჩაში დავრჩი და შემდგომ ასეც ამბობდნენ ჩვენზე, ქუჩიდან მოსულები არიანო. ჩემი ცხოვრება იმ დღიდან მიეჯაჭვა იმ პროცესებს, რასაც დისიდენტური მოძრაობა ერქვა. მერე გავიცანი თამრიკო ჩხეიძე, მარიკა ბაღდავაძე, მარინა კოშკაძე, ზვიადი და სხვები, რომლებიც ამ პროცესებში იყვნენ ჩართული.

**„როცა ციხეში მოვხვდით, პატიმრები გვეუბნებოდნენ, თქვენ შეცვალეთ ციხის ცხოვრება, გადატრიალება მოახდინეთო... უსაშინლესი ბრალდებებით დაპატიმრებულ კაცში ადამიანობამ გაიღვიძა, რადგან მიხვდა, რომ ახალგაზრდა გოგონებმა რაღაც სხვა ღირებულებებისთვის გაწირეს თავი“.**

ჩვენი შეხვედრების ადგილი სიონი იყო. პატრიარქი ილია II ახალი ნაკურთხი იყო და საოცარი მოვლენა გახლდათ ეკლესიურ ცხოვრებაში. უწმინდესი ამბობს ხოლმე, სინერგია გაჩნდა ახალგაზრდობასა და ეკლესიას შორისო. დღესასწაულებზე იშლებოდა სუფრები, სადაც მთელი ახალგაზრდობა ვიკრიბებოდით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ფეხით დავდიოდით. კომუნისტური რეჟიმი ეკლესიას ებრძოდა. ოჯახებზე მიდიოდა პირდაპირი ძალადობები, რეპრესიები. რაც მეტი იყო წინააღმდეგობა, მით უფრო მეტად ჩნდებოდა აქტიურობის სურვილი. პროკლამაციებს ვავრცელებდით, ვადგენდით პეტიციებს, ხელმოწერებს ვაგროვებდით. აფხაზეთის პრობლემებით ვინტერესდებოდით.

ეს იყო ჩემი ცხოვრების საამაყო პერიოდი. როცა ჩემს საქმიანობას და დანარჩენი ადამიანების ცხოვრების წესს ვადარებდი ერთმანეთს, ვფიქრობდი, რა უშინაარსო ცხოვრება აქვთ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ცხოვრებას თან ახლდა დაპატიმრებები, გადასახლებები და ა.შ. არსებობდა ყველაზე მაღალი განცდა — სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ეს დიდ სტიმულს მაძლევდა.

— **რამდენჯერ დაგაპატიმრეს?**

— ორჯერ გადამასახლეს და ორჯერ დამაპატიმრეს. ბრეჟნევის ვიზიტი მზადდებოდა და მაშინ კახეთში გადაგვასახლეს. მე და ჩემი მეგობრები ქუჩიდან გაგვიტაცეს და ერთ სასტუმროში ჩაგვკეტეს. მთლიანად დაცალეს სასტუმრო და იქ მხოლოდ ჩვენ და ჩეკისტები ვიყავით. გვქონდა ე.წ. „პრაგულკები“. ვეუბნებოდით, რომ ტაძარში უნდა გვევლო შაბათ-კვირას. გაოგნებულები იყვნენ ჩვენი საქციელით. ეკლესიას აღიქვამდნენ, როგორც ჭაობს, წარსულის გადმონაშთს. მოძღვარი დავინახე, ლოცვა-კურთხევა ავიღე და ხელზე ვემთხვიე. ერთმა ეს რომ დაინახა, მეორეს უთხრა, ფუ, ეს რა ქნაო. მეც მითხრა, შენ ყველაზე მეტად გცემდი პატივს და ეს რა ქენი, ამ წვერებიანს ხელზე როგორ აკოცეო.

მეორედ დავითგარეჯში გადაგვასახლეს. დავით-გარეჯი ახლა მოვლილია, მაშინ კი ნამდვილი უდაბნო იყო. უამრავი ქვეწარმავალი დაცოცავდა. მე უფრო ფრთხილი ვარ, მაგრამ თამრიკო ჩხეიძე იმდენად იყო გართული საქმეში, გარკვეულ დეტალებს არ აკვირდებოდა, რაც მას საფრთხეს უქმნიდა. სულ მის გვერდით ვიყავი. მაშინ აღმოაჩინა თამრიკომ, რომ იქ პოლიგონი იყო და რუსები ქართულ ხატებს ესროდნენ. ერთი ამბავი ავტეხეთ და იძულებულები გახდნენ, ამ პოლიგონზე უარი ეთქვათ.

1983 წელს ვითომ ქრთამის აღებაზე დააპატიმრეს უამრავი ადამიანი. ბევრი ინტელიგენტი და კარგი პიროვნება მოჰყვა ამ სიაში. ამ დროს ჩვენი დაპატიმრება აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. როცა დაგვაკავეს, ჩვენი ოჯახის წევრები ეზოში იდგნენ. გვეგონა, მალე სახლებში გაგვიშვებდნენ. პოლიციის უფროსის, რომან გვენცაძის კაბინეტში ვისხედით. ის შევარდნაძის გადაწყვეტილებას ელოდებოდა, მანამდე კი სხვადასხვა თემაზე გველაპარაკებოდა. მშვენიერი ურთიერთობა დავამყარეთ. ეს ჩვენი პირველი დაკავება არ იყო და გვეგონა, მაშინაც გაგვიშვებდნენ. ტელეფონმა დარეკა და მახსოვს, რომან გვენცაძემ ყურმილი რომ დადო, საშინლად დაითრგუნა. უთხრეს, დააპატიმრეო. შემოვიდნენ და შემოვიდნენ მილიციელები. გადაგვიყვანეს ორთაჭალაში. იქ დაგვხვდნენ ძალიან ცნობილი, ე.წ. სპეკულიანტი ქალები, რომლებსაც ტანსაცმელი საზღვარგარეთიდან ჩამოჰქონდათ.

ერთი ქალბატონი, მანანა მსხილაძე, ისეთი ლამაზი იყო, მხოლოდ უნდა გეყურებინა. თავისი სილამაზით სიმშვიდეს აფრქვევდა. ასეთ საოცარ ადამიანებთან გავატარეთ წელიწადზე ნაკლები, სანამ სასამართლო სასჯელს მოგვისჯიდა. 3 წელი მოგვისაჯეს. პოლიტიკურის მაგივრად სისხლის სამართლის რაღაც მუხლი მოგვიყენეს.

მეგონა, ფსიქიატრიულში მიგვიყვანეს, ისეთი ბნელი ოთახი გვქონდა. ყველა თანაგრძნობით გვიყურებდა. ციხის უფროსმა კარიც კი არ დაგვიკეტა, ისე გავიდა. თქვა, ცოტა ხანს ღია იყოსო. მერე გავიაზრე, რომ უჭირდათ ჩვენი ციხეში გამოკეტვა. მაშინ



■ დედა-შვილი — ნანა და ანა

**„რომ ამბობენ ხოლმე, ქალური ბედნიერებაო, ასეთი არ მქონია. ბედნიერი მხოლოდ შვილის გაჩენით გავხდი“.**

მაინც სხვა მორალი და ზნეობა ჰქონდათ.

როცა ციხეში მოვხვდით, პატიმრები გვეუბნებოდნენ, თქვენ შეცვალეთ ციხის ცხოვრება, გადატრიალება მოახდინეთო. ჩვენ ამას ვგრძნობდით, რადგან პირველ დღეს, როცა მივედით, გინება და ათასი უბედურება მესმოდა. მერე კი ასე აღარ იყო. პატიმრებისგან წერილებს ვიღებდი, სადაც უდიდეს პატივისცემას ამჟღავნებდნენ ჩემ მიმართ. მაშინ ჩავფიქრდი იმაზე, რომ არ შეიძლება დამნაშავეში მხოლოდ უარყოფითის დანახვა. იჯდა ადამიანი, რომელსაც საშინელი ბრალდებები ჰქონდა — გაუპატიურება, მკვლელობა და ა.შ. სიკვდილმისჯილი იყო. მომიტანეს მის მიერ გამოგზავნილი შოკოლადი, სადაც წერილი იყო ჩადებული. მწერდა, არ გიცნობ, ჩემზე შეიძლება ბევრი რამ გაიგო, სიკვდილმისჯილი ვარ, მაგრამ თუ მოხდა სასწაული და არ დამხვრიტეს, ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს შენ განაცვალებო. უსაშინლესი ბრალდებებით დაპატიმრებულ კაცში ადამიანობამ გაიღვიძა, რადგან მიხვდა, რომ ახალგაზრდა გოგონებმა რაღაც სხვა ღირებულებებისთვის გაწირეს თავი. მაშინ ვიფიქრე, რომ ნებისმიერ ადამიანში არის დადებითი მარცვალი, საიდანაც შეიძლება ის ნორმალურ და კარგ ცხოვრებას დაუბრუნო.

პატიმრებმა სულ სხვა ცხოვრება დამანახეს. ციხეში ყველაფრის გადაფასება ხდება, ბევრ რამეს სწავლობ. გადავწყვიტე, პატიმრებისთვის მეცხოვრა. არ ვიცი, რამდენად შევძელი, მაგრამ ამის სურვილი ყოველთვის მქონდა. მას შემდეგ, რაც არასამთავრობო ორგანიზაციის არსებობა შესაძლებელი გახდა, მეც ამ მხრივ დავიწყე მუშაობა.

→36



Cyan Magenta Yellow Black

— **ამ დევნასა და დაპატიმრებებში განათლების მიღება მოასწარით?**

— პოლიტექნიკურში ქიმიის ფაკულტეტი დავამთავრე და მერე უნივერსიტეტში — ხელოვნებათმცოდნეობა. აკაკი ბაქრაძე კითხულობდა ლექციებს ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. ერთხელ შემთხვევით მოვხვდი მის ლექციაზე და მომინდა, მეც იქ მესწავლა, სადაც ბატონი აკაკი ლექციას წაიკითხავდა. მერე ორივე სასწავლებლიდან გამრიცხეს. ციხიდან რომ გამოვედი, აღმადგინეს და ორივე ფაკულტეტი დავამთავრე.

— **მშობლები რას გეუბნებოდნენ თქვენი ასეთი ცხოვრების წესის გამო?**

— დედაჩემი ორჯერ შეუვარდა მანქანას, თავს იკლავდა. იმ პერიოდში სირცხვილი იყო ოჯახისთვის, რომ ქალიშვილი დაპატიმრებული ჰყავდა. მამაჩემს ჩემთვის ისეთი შენიშვნაც კი არ მოუცია, რომელიც შეურაცხყოფას მომაყენებდა. ითმენდა ამ ყველაფერს და მხოლოდ მის თვალებში ვხედავდი, როგორ განიცდიდა ჩემს ამბავს. საოცრად მტკიოდა მისი ამბავი, მაგრამ სხვანაირი ცხოვრება ვერ წარმომედგინა. ვინც ჩემსავით არ ცხოვრობდა, ქარაფშუტა მეგონა.

— **მაგრამ სიყვარული თქვენთან მაინც მოვიდა, შვილიც გაგიჩნდათ.**

— ვერ გეტყვით, რომ ეს სიყვარული ისეთი იყო, როგორიც სხვებს გამოუცდიათ. რომ გავთხოვდი, ეს ჩემს ცხოვრებაში მოულოდნელობა იყო და არა — გატაცება თუ სხვა რამ. ბედნიერება ის არის, რომ შვილი მყავს და მისთვის ვცხოვრობ. მხოლოდ მცირე პერიოდით გადავერთე პირად ცხოვრებაზე. მომავალი მეუღლე ეკლესიაში გავიცანი. სხვა არეალი ჩემთვის არც არსებობდა. მორწმუნე იყო და ჩვენს თანამოაზრედ ითვლებოდა. რომ ამბობენ ხოლმე, ქალური ბედნიერებაო, ასეთი არ მქონია. ბედნიერი მხოლოდ შვილის გაჩენით გავხდი. თავიდანვე პასუხისმგებლობით აღჭურვილი დედა ვიყავი. რასაც ანას ვაკლებდი, დედაჩემი და მამაჩემი უვსებდნენ. ორი დედ-მამის ხელში იზრდებოდა და ბედნიერი იმითაც ვარ, რომ ჩემს შვილს სითბო არ მოჰკლებია. მაშინ პირადი ცხოვრება და ურთიერთობები ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო.

— **თქვენს საქმიანობაში ქმარი გვერდით არ გედგათ?**

— არა. ის უფრო რელიგიური იყო, ვიდრე პოლიტიკური. განათლებული და ნაკითხი გახლდათ. ხედავდა, რომ ის, რასაც მე ვაკეთებდი, სერიოზული და მნიშვნელოვანი იყო. აფასებდა ამ ყველაფერს, მაგრამ ფიქრობდა, რომ ოჯახი უფრო მნიშვნელოვანი იყო ქალისთვის, ვიდრე სხვა საქმიანობა. ვერ ვიტყვი, რომ ამ ნიადაგზე კონფლიქტი გვქონდა, მაგრამ ჩვენ-ჩვენს აზრზე ვრჩებოდით.

— **რამდენი წელი გაგრძელდა თქვენი ქორწინება?**

— 23 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი და 5 თუ 6 წელი ვიყავით ერთად. ოფიციალურად არც გავშორებივარ. ჩემმა ცხოვრებამ გამოიწვია ჩვენი, ასე ვთქვათ, დაშორება. დედამთილს და მამამთილს ვერ დავავალდებულებდი ჩემი შვილის გაზრდას და ამიტომ ჩემს მშობლებთან მყავდა ხოლმე. მეც იქ მივდიოდი. ქმარს კი ეხათრებოდა სიდედრ-სიმამრთან ცხოვრება. მოხდა ისე, რომ დავრჩი და დავრჩი მშობლების სახლში.

— **თქვენი ქალიშვილი რითი გგავთ, როგორი ცხოვრება აქვს?**

— როცა პატარა იყო, მახსოვს, ამბობდა, რა იქნებოდა, ერთი დიასახლისი დედა მეც მყოლოდაო. სულ შიშის განცდა ჰქონდა, ელოდებოდა, როდის დამიჭერდნენ, როდის ჩაატარებდნენ ჩვენს სახლში ჩხრეკას... იცის, რომ სხვა ღირებულებები არსებობს და ადამიანი იმისთვის არ იბადება, რომ მხოლოდ ჭამოს, დაიძინოს, გაიღვიძოს, დრო ატაროს. ცხოვრებაში რაღაც მსხვერპლი უნდა გაიღო.

ანა იურისტია. ბანკში მუშაობს თავისი პროფესიით.

— **ბოლო დროს თქვენი მისამართით კიდევ ერთი ბრალდება გაისმა, რაც პოლიტპატიმრები გამოვიდნენ, ნანა კაკაბაძის ბინების რაოდენობა გაიზარდაო. რამდენი ბინა გაქვთ, რომ სალაპარაკო გახდა?**

— პოლიტპატიმრების გარეთ გამოსვლით არ გაზრდილა ჩემი ბინების რიცხვი. ჩემი მშობლები თბილისში ჭავჭავაძეზე ცხოვრობდნენ. ჩემმა ძმამ ცოლი რომ მოიყვანა, შვილები გაუჩნდა და გავიყავით, მე სხვაგან გადავედი, რადგან ველარ ვეტეოდით. დედაჩემი და მამაჩემი ბებია-ბაბუას სახლში გადავიდნენ. ის სახლიც ჩვენ დაგვრჩა. ჩემს შვილს მამის მხრიდან ყველა გარდაეცვალა — ბებია-ბაბუა, მამა, მამიდა, რომელიც გაუთხოვარი იყო და მათი მთელი ქონება ანას დარჩა. ეტყობა, ეს სახლები გახდა სალაპარაკო. ეს სულაც არ არის სასიამოვნო ფაქტი. ამის მიზეზი ადამიანების დაღუპვა გახდა, პატიმრების გათავისუფლება არაფერ შუაშია. ბაბუაჩემის ნაკვეთიც დაგვრჩა მუხიანში, სადაც თავის დროზე სახლი გვედგა და ყველაფერი გვქონდა, მაგრამ მოგვპარეს და აღარაფერი გვაქვს.

ფულს და ქონებას რომ ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა, ყველა ხელისუფლება, რომელიც სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოვიდა, ამა თუ იმ თანამდებობას მთავაზობდა, ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერი ჩემი მეგობარი იყო. არასოდეს გამჩენია სურვილი, კენჭი მეყარა და დეპუტატი ვყოფილიყავი. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ასე უფრო ახლოს ვარ ხალხთან. სააკაშვილის რეჟიმი რომ მოდიოდა, მაშინაც შემეძლო სხვანაირად მეცხოვრა, მაგრამ უარი ვუთხარი ამ შავ ძალებს, რომლებიც პირდაპირ ჩემი ოფისიდან მოვიდნენ ხელისუფლებაში. სულ ერთად ვიყავით, მაგრამ რომ მივხვდი, რაც იყვნენ და საითკენაც მიდიოდნენ, მაშინვე გავწყვიტე მათთან კავშირი. მე რომ შეგუება შემძლებოდა, სხვაზე ნაკლები თანამდებობა არ მექნებოდა. ის კი არ არის მთავარი, ვინ რას ამბობს, შენ უნდა იცოდე შენთვის, რომ მართალი ხარ!

✓ **რუსუდან ადვაძე**

> **„ჩემი ოჯახი ახლოს იყო ჯაბა იოსელიანის ოჯახთან. მამაჩემი და ჯაბა წლების განმავლობაში მეგობრობდნენ. ერთად ისვენებდნენ და ა.შ. 1993 წელს მათ შორის პოლიტიკური შეუთავსებლობა იყო შევარდნაძის ჩამოყვანასთან დაკავშირებით და მაშინ პოლიტიკურად ფაქტობრივად დავშორდით ერთმანეთს“.**

# შეცვლის თუ არა ეკა მიშველაძე ინგა გრიგოლიას „პირველ არხზე“

## „მაყურებლის მოტყუება არ შეიძლება!“

ტელეწამყვანმა ეკა მიშველაძემ „პირველი არხის“ საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ დატოვა. ის ისევ საზოგადოებრივ არხზე რჩება და კვირაში ერთხელ თავის ტოქ შოუს „საჯარო პოლიტიკას“ გაუძღვება, ოქტომბრიდან კი არჩევნების თემაზე შექმნილ გადაცემა „დებატებს“ წაიყვანს. გასულ წელს, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების პერიოდში და მანამდე ცოტა ხნით ადრე, „პირველი არხი“ ეკას რამდენიმე კოლეგამ დატოვა იმ მიზეზით, რომ ამ ტელეკომპანიაში ჟურნალისტების თავისუფლება იზღუდებოდა. ამჯერად ეკა მიშველაძე „მოამბის“ დატოვების კონკრეტულ მიზეზზე არ საუბრობს, ამბობს, რომ ამ არხზე საინფორმაციო პოლიტიკას სხვა გუნდი ქმნის და წამყვანებს ბევრი არაფერი ეკითხებათ. იქვე ირწმუნება, რომ მაყურებელი არასოდეს მოუტყუებია და ამით ამაყობს.

საკმაოდ ემოციური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ტელეწამყვანმა რამდენიმე დღე ოჯახთან ერთად საქართველოს ზღვისპირეთში გაატარა. დასვენების პერიოდი მისთვის ჯერ არ დასრულებულა, ახალი სატელევიზიო სეზონისთვის ძალებს იკრებს.

— **ქალბატონო ეკა, მალე ახალი სატელევიზიო სეზონი იწყება. როგორ გააგრძელებთ საქმიანობას „პირველ არხზე“?**

— ახალი სეზონი „პირველ არხზე“ ოქტომბრიდან იწყება. ცნობილია ის, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატები გაიმართება და ამ გადაცემას მე წავიყვან. ვფიქრობ, საინტერესო დებატები გველოდება. სექტემბრის მეორე ნახევრიდან გვეცოდინება, როდის დავიწყებთ.

— **ივლისის ბოლოს, „მოამბის“ დასრულებისას, პირდაპირ ეთერში მოულოდნელად თქვით, რომ აღარ წაიყვანდით საინფორმაციო გამოშვებას. ეს თქვენი სურვილით მოხდა?**

— ეს მაყურებლისთვის იყო მოულოდნელი, თორემ ჩემთვის ნაუცბათევი გადაწყვეტილება არ ყოფილა. ამაზე დიდხანს ვფიქრობდი და ეს ნაბიჯი ისე გადავდგი. ექსკლუზიურად თქვენ გეტყვით, რომ „მოამბე“ ჩემთვის განვლილი ეტაპია. ჩემი ჟურნალისტური საქმიანობა სხვა საფეხურზე უნდა გადავიდეს. არის მომენტი, როცა საქმე იმდენად რუტინული ხდება, რომ უკვე აღარ გაინტერესებს და აქტუალური აღარ არის. ამას ბევრი მიზეზი აქვს, რასაც აღარ ჩამოვთვლი, რადგან შეიძლება ბევრ ადამიანს არ მოეწონოს და მათ ანგარიშს გავუწევ. მოკლედ რომ ვთქვა, ჩემს საქმიანობაში ამ ეტაპმა გაიარა. გადავწყვიტე, მარტო ტოქ შოუ „საჯარო პოლიტიკა“ დავიტოვო, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმყავდა. ეს შოუ ისევ კვირაში ერთხელ გავა. ამ ეტაპზე ეს უფრო მაინტერესებს, ვიდრე „მოამბე“.

— **ალბათ ძალიან ნერვიულობდით მაყურებელთან პირდაპირ ეთერში დამშვიდობებისას.**

— კი, ძალიან ვნერვიულობდი. ვიცოდი, რომ იმ დღეს დავემშვიდობებოდი



Cyan Magenta Yellow Black

მაყურებელს და ამაზე მთელი კვირა ვფიქრობდი. პირველი სიტყვა როცა ვთქვი, ვიგრძენი, რომ ხმაც ამიკანკალდა. რა თქმა უნდა, თავი შევიკავე, რომ ეს მაყურებლისთვის არ მეჩვენებინა. ვთქვი, რომ ეს ჩემი ბოლო ეთერი იყო „მოამბეში“, რომ მაყურებელს ვემშვიდობებოდი ჩვენი ხუთწლიანი ურთიერთობის შემდეგ და ერთმანეთს შევხვდებოდით ისევ „პირველ არხზე“, ოღონდ სხვა ეთერში. „ნახვამდის“ რომ ვთქვი, მივხვდი, ყელში ბურთი მომაწვა. მერე დაიწყეს ჩემთან დარეკვა, ყველა ტიროდა და მეც ავტირდი.

**— იმ მიზეზთან ერთად, რომელზეც ზემოთ თქვით, თქვენი წასვლა რაიმე ზეწოლამ ხომ არ განაპირობა?**

— ეს არ იყო არავის მიმართ პროტესტი. მე ვარ ის ჟურნალისტი, რომელიც ყველა პოლიტიკური ძალისთვის მისაღებია. ჩემს ტოქ შოუში აბსოლუტურად ყველა პოლიტიკოსი სიხარულით მოდის და ამით ძალიან ვამაყობ. ქართულ ტელესივრცეში ეს არცთუ იოლია. ერთი პოლიტიკოსიც კი არ მეგულება, რომელიც იტყვის, რომ ეკა მიშველაძის ეთერში თავს ცუდად გრძნობს და მე მიკერძოებული ვარ. ჩემთვის თავისუფლება არასდროს არავის შეუზღუდავს. ამიტომ „მოამბიდან“ ჩემი წამოსვლა პოლიტიკას არ უკავშირდება, ეს უფრო პროფესიონალური ნაბიჯი იყო. ძალიან მომთხოვნი ადამიანი ვარ. მიყვარს, როდესაც ჩემ გარშემო მაღალი დონის პროფესიონალები არიან. ყველას ვთხოვ, ვინც ჩემთან ერთად მუშაობს თუ უმუშავია, გარკვეულ სტანდარტებს აკმაყოფილებდნენ.

**— 1 ოქტომბრის არჩევნებამდე „პირველ არხზე“ თქვენი, ჟურნალისტების, სიტყვის თავისუფლება არ იზღუდებოდა?**

— სიტყვის თავისუფლება ჩემთვის ნამდვილად არავის შეუზღუდავს. უბრალოდ შეიძლებოდა რაღაცეები მე სხვანაირად გამეკეთებინა. როცა „მოამბეში“ ახალი ამბები მიგყავს, შენი სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკი არ არის. გამოშვებას ადგენს საინფორმაციო სამსახურის უფროსი პროდიუსერებთან ერთად და ამაში წამყვანები ჩართული არ არიან. ამიტომ ეს მათი პასუხისმგებლობაა. მათ უნდა გადაწყვიტონ, რა უნდა გააშუქონ და რა — არა. რა თქმა უნდა, მე რაღაცეებს სხვანაირად გავაკეთებდი, არამარტო ახლა, რამდენიმე წლის წინაც, მაგრამ ვმუშაობდი გარკვეულ გუნდთან და მივყვებოდი მათ სტანდარტს. ვთვლი, რომ ხშირ შემთხვევაში ბეწვის ხიდზეც გვივლია და ბევრ ამოცანას წარმატებითაც გავართვით თავი.

ამ ეტაპზე „მოამბე“ ჩემთვის დასრულდა. ვნახოთ, რა იქნება შემდგომ. შეიძლება მომავალში კიდევ მომინდეს საინფორმაციო გამოშვებაში დაბრუნება და ეს ისევ „მოამბე“ იყოს, მაგრამ ალბათ მაშინ, როცა ჩემთვის საინტერესო გახდება.

**— რას შეცვლიდით „მოამბეში“?**

— მე საერთოდ სხვანაირად ვხედავ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას. ვთვლი, რომ არ უნდა იყოს ისეთი, როგორიც ყველა არხზეა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ გამოშვებაში უფრო სოციალურ მხარეზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, ვიდრე პოლიტიკურ თემებზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკა საერთოდ არ უნდა გაშუქდეს. ამაზე არასდროს არავისთან მისაუბრია, რადგან ეს ჩემი გადასაწყვეტი არ იყო. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ასე გავაკეთებდი. ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი.



ეკა მიშველაძე

**— ნიუანსებში გულისხმობთ თუნდაც წამყვანის ჩაცმულობას, სად უნდა იდგეს და სხვა ამგვარ დეტალებს?**

— თავისთავად. ვგულისხმობ წამყვანის ქცევას, თუ როგორ აწვდის ამბავს მაყურებელს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვგულისხმობ იმ ამბებს, რასაც ვუყვებით საზოგადოებას.

**— თქვენი და „მოამბის“ გუნდის აზრები არ დაემთხვა ერთმანეთს ამასთან დაკავშირებით?**

— არა, ჩვენ ამაზე არ გვისაუბრია. ეს სულაც არ არის ჩემი განსახილველი. რადგან მკითხეთ, იმიტომ გიპასუხეთ, რას როგორ გავაკეთებდი. რაზეც არ გვისაუბრია, იმაზე უთანხმოება ვერ გვექნებოდა.

**— არსებობს ჟურნალისტური სტანდარტები და შინაგანი ცენზურაც, რომლის დაცვაც უკვე ადამიანზეა დამოკიდებული...**

— რა თქმა უნდა, სტანდარტები არსებობს, მით უმეტეს, ჟურნალისტიკაში და სწორედ ამ სტანდარტების დაცვა ნიშნავს პროფესიონალიზმს, თუმცა ინდივიდუალურადაც, ყველას თავისი პროფესიული სტანდარტები აქვს. მე ძალიან მომთხოვნი ვარ და არამარტო საქმეში, ზოგადად ურთიერთობებშიც. ეს ჩემი ხასიათია. ჩემი პროფესიული სტანდარტი დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს. პასუხისმგებლობას მაყურებლის წინაშეც უნდა გრძნობდე და საკუთარი თავის წინაშეც. მაყურებლის მოტყუება არ შეიძლება, რადგან ამას ხალხი ყოველთვის ხედავს და ამჩნევს. არაფერი უნდა დამალო. პროფესიული სტანდარტია, თუ როგორ ფლობ წამყვანის ოსტატობას, საზოგადოებას როგორ უყვები იმ ამბავს, რომელიც საინტერესოა მისთვის. სწორედ პროფესიონალიზმია ის, თუ როგორ ადგენ გამოშვებას და როგორ განსაზღვრავ, რა უფრო მნიშვნელოვანია. ეს ღრმა თემაა. ამაზე ორი წინადადებით ვერ ვისაუბრებთ.

**„მე ჩემი ტოქ შოუ მაქვს. ინგას უნდა გაეკეთებინა ასევე პოლიტიკური ტოქ შოუ და ვწუხვარ, რომ ეს პროექტი არ განხორციელდა. ვთვლი, რომ ინგა გრიგოლია კარგი ჟურნალისტია. ძალიან სასარგებლო იქნებოდა „პირველ არხზე“ მისი ყოფნა“.**

**— თქვენ არასოდეს მოგიტყუებიათ მაყურებელი?**

— არა, მაყურებელი არ მომიტყუებია. კიდევ ერთხელ ვამბობ: პასუხისმგებელი ვარ იმაზე, რასაც ვაკეთებ და ეს არის ჩემი ტოქ შოუ — „საჯარო პოლიტიკა“. „მოამბეშიც“ ყოველთვის ვცდილობდი, მაყურებლისთვის ყველაფერი მეთქვა. როცა ხალხის მოტყუება დაგჭირდება, იქ რაღაცეები დამთავრებულია. თუ ეს მომენტი დგება, ვთვლი, რომ ყველაფერი უნდა დაასრულო. ჩემი მაყურებლისგან პრეტენზია — რომ ვიტყუები, ან ჩემი არ სჯერათ — არ გამიგია. ჩემ წაყვანილ საინფორმაციო გამოშვებას ყოველთვის ენდობოდნენ და ამით ვამაყობ, მაგრამ ყველაფერი უკეთესად შეიძლება იყოს და ამის იმედი მაქვს.

ვთვლი, რომ ჟურნალისტურ სტანდარტებს თუ ვინმე იცავდა ამ ქვეყანაში, ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო. არ ვამბობ, რომ გადაცდომები არასდროს ყოფილა და, რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია. მაგრამ, ვიმეორებ, თუ ოდესმე ვინმე ჟურნალისტურ სტანდარტებს იცავდა, ეს საზოგადოებრივ მაუწყებელი იყო.

**— თუმცა „პირველმა არხმა“ საზოგადოების ნდობა ჯერ კიდევ ვერ დაიმსახურა.**

— ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და სწორედ ამის დაძლევაა პროფესიონალიზმი. იმედი მაქვს, ამას ისინი შეძლებენ, ვინც აქ მუშაობენ.

**— ამბობდნენ, რომ იმ ტოქ შოუს, რომელიც ინგა გრიგოლიას უნდა წაეყვანა, თქვენ გაუძღვებოდით. მართალია?**

— ტყუილია! მე ჩემი ტოქ შოუ მაქვს. ინგას უნდა გაეკეთებინა ასევე პოლიტიკური ტოქ შოუ და ვწუხვარ, რომ ეს პროექტი არ განხორციელდა. ვთვლი, რომ ინგა გრიგოლია კარგი ჟურნალისტია. ძალიან სასარგებლო იქნებოდა „პირველ არხზე“ მისი ყოფნა, რადგან მისი გადაცემა რეიტინგული იქნებოდა. ინგას გადაცემასთან არანაირი კავშირი არ მაქვს.

**— საკმაოდ რთული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ როგორ დაისვენეთ?**

— ჩემი დასვენება ძირითადად მაინც ზღვას უკავშირდება. თუ ზღვაზე არ ვარ, ვერ ვისვენებ. წელს საქართველოს ზღვისპირეთში ვიყავი ოჯახთან ერთად. ჯერ კიდევ მაქვს რამდენიმე დღე დასასვენებლად.

**— თქვენი ქალიშვილი მაკო კვიტაშვილი წინა სეზონის „ახალ ხმაში“ მონაწილეობდა. შემდეგ კი არსად გამოჩენილა. მას თუ აქვს რაიმე გეგმები?**

— სამწუხაროა, რომ საქართველოში კონკურსებით, რომლებიც სხვადასხვა არხზე გადის, ბევრი საინტერესო სახე ჩნდება, მაგრამ მერე მათი კარგი პრომოუშენი არ ხდება. ვფიქრობ, ეს დროც დადგება საქართველოში და პროდიუსერები მიხვდებიან, რომ ამ ახალ, განსხვავებულ სახეებს ხელი უნდა მოჰკიდონ. მაკო განაგრძობს თავის სასიმღერო კარიერას, ღონისძიებებზე მღერის. მისი და გიგი უანდერის დუეტი გრძელდება, კარგი შემოქმედებითი წყვილია.

ახლა მაკოც ისვენებს. მერე კი კლიპის ჩაწერას აპირებს და ერთ-ერთი ტელეარხისგან გასართობი გადაცემის წამყვანობაზეც აქვს შემოთავაზება. მაკო ისეთი ტიპაჟია, რომ თავის სათქმელს აუცილებლად იტყვის.

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black

# გიგი გაჩეჩილაძის ცხოვრებაში ახალი სიყვარული გამოჩნდა



■ გიგი გაჩეჩილაძე

## „ვარსკვლავებთან არც ერთ ვარიანტში ვიცეკვებ!“

გიგი გაჩეჩილაძემ სამეჯლისო ცეკვებს საბოლოოდ დაანება თავი. სპორტულ ცეკვებში სამსაჯო გამოცდები ჩააბარა და ახლა უკვე სხვებს შეაფასებს. ბევრი გეგმა აქვს, უნდა, საერთაშორისო კონკურსებზე ქართველ მოცეკვავეებს სერიოზული წარმატებების მოპოვებაში დაეხმაროს და ტელეპროექტზეც მუშაობს, რომლის დეტალების გამხელისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

გიგი პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გახდა სუპერპოპულარული. იქ ორი სეზონი ცეკვავდა. მესამე სეზონზე კი, რომელიც ოქტომბერში იწყება, კატეგორიულად აღარ სურს მონაწილეობა. მიზეზზე ქვემოთ გვესაუბრება. არც იმ პოპულარობითაა კმაყოფილი, რაც პროექტმა მოუტანა, რადგან მასის მხრიდან ზღვარგადასულმა ინტერესმა შეაწუხა.

„ცეკვებში“ მაყურებელმა გიგი თავის შეყვარებულთან, ასევე მოცეკვავე სალომე ჭაჭუასთან ერთად გაიცნო. ის და სალომე ნამდვილ ცეცხლს ანთებდნენ სცენაზე და თავიანთ არაპროფესიონალ მეწყვილეებს მართლაც ვარსკვლავებივით აცეკვებდნენ. მეორე სეზონის დასრულების შემდეგ კი ისინი მოულოდნელად ერთმანეთს დაშორდნენ. როგორც გიგიმ „სარკეს“ უთხრა, მათ 8 წლიან ურთიერთობას საბოლოოდ დაესვა წერტილი, შერიგება გამორიცხულია, მეტიც, მას უკვე სხვა გოგონა მოსწონს.

**— გიგი, როგორ გაატარეთ ზაფხული? როგორც ვიცი, საზღვარგარეთ იყავით.**

— დასვენება საერთოდ ვერ მოვასწარი. წასული ვიყავი უცხოეთშიც, ბათუმშიც, მაგრამ არა — დასასვენებლად. გერმანიასა და იტალიაში ვიყავი, ერთგან კონგრესს დავესწარი, მეორეგან — ტურნირებს. მე და ჩემი მეგობრები ახლა ვაპირებთ 6 დღით სამეგრელოში წასვლას კარვებით. შეიძლება ბათუმშიც ჩავიდეთ ორი დღით. ახლახან ჩემი ძმა ჩამოვიდა ამერიკიდან, 4 წელია საქართველოში არ ყოფილა და რაღაცეები უნდა ვაჩვენო. სასტუმროში ცხოვრება არ მომწონს. ნადირობა და თევზაობა მიყვარს და მეგობრებთან ერთად კარვებით მოგზაურობა მირჩევნია.

**— „ცეკვავენ ვარსკვლავები“-ს მესამე სეზონში აღარ იქნებით?**

— არც ერთ ვარიანტში!

**— რატომ ასე კატეგორიულად? როგორც ვიცი, ძირითადად ის ნაკადი რჩება, ვინც გასულ ორ სეზონში მონაწილეობდა.**

— ჯერჯერობით ოთო ფოლადაშვილი, ჯულიანა ბარ-გნარი და სალომე ჭაჭუა აიყვანეს. ალბათ რეზო რობაქიძეს და რამაზ ლაზარიშვილსაც მიიწვევენ, დანარჩენები აღარ ვიქნებით. არ ვიცი, დანარჩენები რატომ არ იქნებიან, მაგრამ ჩემს უარს თავისი მიზეზები აქვს. ყველაზე მთავარი ის არის, რომ რისთვისაც ამ პროექტში მივედი, ის უკვე გავაკეთე. მინდოდა, სამეჯლისო ცეკვები ხალხისთვის სხვანაირად დამენახვებინა, თორემ იმისთვის არ მივსულვარ, რომ პოპულარული გავმხდარიყავი. არანაირი სურვილი მაქვს, პოპულარული ვიყო, ამისი მცდელობა არც არასოდეს მქონია.

**— რატომ, რით არ მოგწონთ პოპულარობა?**

— ჩემთვის არ არის სასიამოვნო. საქართველოში პოპულარობას დიდი არაფერი მოაქვს. ცოტა ხნის წინ ცუდ ხასიათზე ვიყავი, მანქანით სიარულით დავიღალე და ვიფიქრე, ფეხით გავივლი-მეთქი, მაგრამ უცებ რატომღაც გოგოების წრეში მოვექეცი. ჩემს ძმას მივწერე, აქედან გამიყვანე-მეთქი, მოვიდა, წამიყვანა, მაგრამ გოგოებიც ჩემთან ერთად შემოტრიალდნენ და გამომყვნენ. ასეთი რაღაცეები ძალიან მიშლის ნერვებს და არ მომწონს. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მინდა, ჩემთვის, მარტომ ვიარო, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელია.

**— მხოლოდ ამის გამო ამბობთ პროექტში მონაწილეობაზე უარს?**

— მეორე მიზეზი ის არის, რომ მოცეკვავეს არც ერთ სეზონში არანაირი პრივილეგია არ ჰქონდა. ჩვენ ბევრი მუშაობა გვიწევს და ასეთი შრომა არ მიღირს იმის სანაცვლოდ, რასაც იქ ვიღებთ. დილიდან საღამომდე გადამკვდარი ვიყავით იმ ვარსკვლავზე, ვინც გვებარა. ჩაცმაც ჩვენი მოსაგვარებელი იყო, განსაკუთრებით — მეორე სეზონში. მუსიკაც ჩვენ უნდა შეგვერჩია და ხშირად ჩვენი შერჩეული ვარსკვლავს არ მოსწონდა, მათი შერჩეული კი — ჩვენ. ეს ყველაფერი ისეთი ნერვების ფასად დამიჯდა, რომ მონაწილეობა აღარ მიღირს.

მესამე მიზეზი ის არის, რომ ჩემი საქმე მაქვს, სპორტული ცეკვებით ვარ დაკავებული და არა — შოუს ცეკვებით. მოცეკვავე აღარ ვარ, დიდი ხანია ამას თავი დავანებე და ამ პროექტის გამო ორჯერ თავიდან დავიწყე. სამსაჯო გამოცდები ჩავაბარე, კონგრესზე ამისთვის ვიყავი წასული და ახლა უკვე სხვადასხვა კონკურსებზე ვაპირებ მსაჯობას. დაახლოებით 15 წყვილი მყავს დიდების ქვეჯგუფში, მათთან ერთად ვაპირებ სიარულს ქვეყნებში ტურნირებზე და სამომავლოდ ბევრი გეგმა მაქვს.

**— მსაჯობა მოგწონთ?**

— ჩემთვის განტვირთვაა, ეს საქმე მსიამოვნებს. გერმანიაში ვიყავი სამუშაოდ, იმ დროის განმავლობაში უბედნიერესი ვიყავი. სასტუმროში ისეთი გადაღლილი მივდიოდი, ვერსად გავდიოდი. შეიძლება ვიღაცისთვის არაფერია, მაგრამ ჩემთვის ბედნიერებაა კონკურსებზე სიარული. როცა ჩემს წყვილებს მსოფლიოში წამყვან მოცეკვავეებად ვაქცევ, ეს ყველაზე დიდი ბედნიერება იქნება. გერმანიაში ყველაზე დიდი კონკურსი ჩატარდება და მინდა, ჩემმა მოცეკვავეებმა, მინიმუმი, ნახევარფინალამდე მაინც მიაღწიონ. აქამდე საქართველოდან არც ერთი წყვილი გასულა მერვედფინალშიც კი.

**— პროექტის ორგანიზატორებიც აღნიშნავენ, რომ საქართველოში ბევრი ვარსკვლავი არ მოიძებნება. რას ფიქრობთ, მონაწილეებს რამდენად სწორად ჰქონდათ მინიჭებული ვარსკვლავის წოდება?**

— ალბათ არავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში თითოოროლა ვარსკვლავი გვყავს. ჩემთვისაც და ოთოსთვისაც ბევრჯერ უთქვამთ, ვარსკვლავები ხართო, მაგრამ ჩვენ არ ვთვლით, რომ ასეა. ჩემი აზრით, საქართველოში ვარსკვლავის წოდების მიღება ძალიან ცოტა ადამიანს შეუძლია. ჩემთვის ვარსკვლავია ბატონი ბუბა კიკაბიძე, ვისთან ერთად მუშაობაც მიუზიკლ „ვერის უბნის მელოდიებზე“ მომიწია. ეს დიდი ბედნიერება იყო. ასევე ვარსკვლავია სოფო ნიჟარაძე, ქალბატონი ლელა წურწუმია. სხვათა შორის, რომ არა ლელა, „თელა“ ამ პროექტში არ იქნებოდა...

მგონია, რომ უკვე ძალიან ბევრ რაღაცაში გავერიე, კარგად გავერკვიე შიდა სამზარეულოში და, ჩემი გადმოსახედიდან, არცთუ ისე კარგადაა საქმე, ერთობა არ არის. ჩემი აზრით, ოთოს, ჯულიანას და სალომეს უფრო შეუძლიათ თქვან, რომ ვარსკვლავები არიან, ვიდრე სხვებს. პროექტში ნებისმიერს აიყვანენ, რადგან მნიშვნელობა არ ენიჭება არც ხარისხს და არც — სხვა დანარჩენს. აჰყავთ ის ხალხი, ვინც უფრო იაფად იმუშავებს, რაც დიდი სისულელეა.

**— ლელა წურწუმიას რა წვლილი მიუძღვის იმაში, რომ „თელა“ პროექტში აღმოჩნდა?**

— 8 წლის წინ, როცა ამერიკიდან ჩამოვედი, საზოგადოებრივ არხზე მსგავსი პროექტი უნდა გაკეთებულიყო, სადაც მე და ლელას ერთად უნდა გვეცეკვა. ეს პროექტი არ შედგა და, როცა წლების შემდეგ „იმედზე“ დაიწყეს იმავე შოუს გაკეთება, ლელამ ორგანიზატორებს ჩემი თავი შესთავაზა. „თელაში“ ჩემ სანახავად რომ მოვიდნენ, სხვა მოცეკვავეებიც აარჩიეს.

**— მოცეკვავეები მიჩვეული ხართ ტიტანურ შრომას. ამას „ვარსკვლავები“ როგორ უძლებდნენ, როგორ ეგებოდნენ თქვენს რეჟიმს?**

— გააჩნია, რომელ ვარსკვლავებს ვიგულისხმებთ. პირველ სეზონში ძალიან გამიმართლა, როცა თიკო სადუნიშვილთან ერთად ვცეკვავდი. თაკო გაჩეჩილაძეც ჩემი მეგობარია. თიკო ზედმეტად კარგადაც კი ამყვა, უფრო სწორად მე ამიყოლია, იმდენად მონდომებული იყო და იმდენს ვარჯიშობდა. მე რომ მეზარებოდა, მარტო ვარჯიშობდა და

**„ასეთი შრომა არ მიღირს იმის სანაცვლოდ, რასაც იქ ვიღებთ. დილიდან საღამომდე გადამკვდარი ვიყავით იმ ვარსკვლავზე, ვინც გვებარა. ჩაცმაც ჩვენი მოსაგვარებელი იყო, განსაკუთრებით — მეორე სეზონში. მუსიკაც ჩვენ უნდა შეგვერჩია და ხშირად ჩვენი შერჩეული ვარსკვლავს არ მოსწონდა, მათი შერჩეული კი — ჩვენ“.**



Cyan Magenta Yellow Black

მეუბნებოდა, ნუ ზიხარო, რასაც თაკოზე ვერ ვიტყვი. მე და თაკო ცოტას ვვარჯიშობდით, თუმცა ბოლოს ძალიან მოინდომა, რაც, ასე თუ ისე, ჩვენს ცეკვას დაეტყო.

დანარჩენებთანაც მიწევდა რაღაც დონის ურთიერთობა. შემიძლია გითხრათ, რომ რუსკა მაყაშვილი ძალიან კარგად მოერგო ამ რეჟიმს. ენერგიული, სიცოცხლით სავსეა. რატი წითელაძე გამორჩეული მოცეკვავე იყო, ძალიან შრომისმოყვარე. ვეუბნებოდი, გაჩერდი, დაისვენე-მეთქი, თავისი დრო რომ

**„კარგად გავერკვიე შიდა სამზარეულოში და, ჩემი გადმოსახედიდან, არცთუ ისე კარგადაა საქმე. პროექტში ნებისმიერს აიყვანენ, რადგან მნიშვნელობა არ ენიჭება არც ხარისხს და არც — სხვა დანარჩენს. აჰყავთ ის ხალხი, ვინც უფრო იაფად იმუშავებს, რაც დიდი სისულელეა“.**

ამოიწურებოდა, სხვის დროზეც ვარჯიშობდა... არ ვიცი, ალბათ მართლაც მალე ამოიწურება ქართველი ვარსკვლავების რაოდენობა, მაგრამ სხვა პროექტები დაიწყება. ერთ-ერთ პროექტზე მეც ვმუშაობ და ძალიან მინდა, გავაკეთო. ეს ჩემს უახლოეს გეგმებში შედის.

— **თქვენი პროექტი როგორი უნდა იყოს?**

— მინდა, ჩემი თავი გამოვცადო. მთავარი პროდიუსერი ვერ ვიქნები, ამისი გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ იდეები, რაც პროექტთან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დაკავშირებით მქონდა, მინდა, ჩემს შოუში გამოვიყენო. მართალია, იქ ვარსკვლავები არ იცეკვებენ, მაგრამ... ჩემი აზრით, შემეძლო თუნდაც იმ პროექტში უფრო კარგად გამეკეთებინა რაღაც-რაღაცეები, რომ უკეთესი ყოფილიყო.

— **მამათქვენი, ბატონი თენგიზი, სულ აღნიშნავდა, ვიდრე ჩემი შვილი პროექტში იქნება, ჟიურიში არ დავჯდებიო. რადგან ამ სეზონზე აღარ იცეკვებთ, ბატონ თენგიზს ჟიურიში ხომ არ ვიხილავთ?**

— არ ვიცი, შემოთავაზება არ ჰქონია. მე მქონდა უამრავი შემოთავაზება, რომ კიდევ მეცეკვა, მაგრამ სულ უარს ვამბობდი. ახლა ალბათ მიხვდნენ, რომ ვერ დამიყოლიებენ და შეიძლება მამას ჟიურის წევრობა შესთავაზონ.

— **თქვენი სიძე, გოჩა ჩერტკოევი, იქნება ჟიურიში?**

— შემოთავაზება აქვს და აპირებს თუ არა ჩამოსვლას, ეს ჯერ არც თავად იცის და არც — მე.

— **ისე დაემთხვა, რომ ამ პროექტის მონაწილეებს პირად ცხოვრებაში შეექმნათ პრობლემები, ცნობილი შეყვარებული წყვილები ერთმანეთს დაშორდნენ, როგორც თქვენ და სალომე ჭაჭუა. თქვენი აზრით, ამ მოვლენებს პროექტთან რაიმე კავშირი ჰქონდა?**

— არა, ალბათ დამთხვევა იყო. ამ წყვილების ურთიერთობაში მანამდეც იქნებოდა დაშორებები, მაგრამ პროექტში უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვეს, ხალხი მეტად დაინტერესდა მათი ცხოვრებით და ალაპარაკდნენ. ზოგი ვარსკვლავი სულ ვარჯიშობდა, სულ დარბაზში იყო და შეიძლება ესეც გახდა მიზეზი... მათ პირადში არ ვერევი, ამიტომ ზუსტი დასკვნების გაკეთება არ შემიძლია. არა მგონია, რომელიმე წყვილი ცეკვას დაეშორებინა. ცეკვას არც მე და სალომე დავუშორებივართ.

— **თქვენ და სალომე 8 წელი იყავით შეყვარებულები და დაქორწინებას არ ჩქარობდით. იქნებ ასეთი გაჭიანურებული ურთიერთობა იყო დაშორების მიზეზი?**

— ვთვლი, რომ, თუ წყვილს დაშორება უწერია, მათი ურთიერთობა შეყვარებულობის პერიოდშიც დაინგრევა და ოჯახურ ცხოვრებაშიც. ისეთი შეყვარებული მინდა, ვინც სულ ჩემთან ერთად იქნება, ჩემთან ივლის, საუკეთესო მეგობარი გახდება. თუ ჩვენ შორის ასეთი დამოკიდებულება არ შედგება, მნიშვნელობა არ ექნება, ხელი მექნება მოწერილი თუ არა, ჩვენი ურთიერთობა მაინც დამთავრდება.

— **თქვენი წყვილი ერთბაშად გახდა პოპულარული, ხალხი თქვენი პირადი ცხოვრებით დაინტერესდა... იქნებ ამანაც იმოქმედა თქვენს ურთიერთობაზე.**

— ჩემზე არ უმოქმედია, სალომეზე ვერაფერს გეტყვით. ბევრი ისეთი რაღაც არის, რასაც ვერასოდეს გავარკვევ და აღარც ვინტერესდები. ის ჭორებიც წავიკითხე, მამულიჩა და სალომე ერთად არიანო, გიორგი ვარდოსანიძე და სალომე დაქორწინდნენო. სალომეს ისე ვენდობოდი, ჩემთვის აზრი არ ჰქონდა, რას გავიგებდი. სულ ერთად ვიყავით — ერთ დარბაზში, ერთად დავდიოდით, სახლში მე მიმყავდა და მომყავდა, ყველაფერს ერთად ვაკეთებდით. ვინც რას წამოაყრანტალებს, ყველას დევნას ვერ დავუწყებ. თითოეულს რომ გამოვეკიდო, გამოვა, მათი ცხოვრებით დავიწყო ცხოვრება. ჩემი ცხოვრება მაქვს, ვცდილობ, ჩემი მიზნები განვახორციელო, გავერთო და კარგად ვიყო. დანარჩენი, ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს.

— **ისიც თქვეს, სალომემ და გიგიმ ბათუმში ერთად დაისვენესო.**

— ერთად ვიყავით, მაგრამ სპორტული შეკრება გვქონდა და ჩვენთან ერთად იყვნენ ოთოც და ჯულიანაც. ყველა ერთად ვიყავით სამუშაო ვიზიტით.

— **სალომესთან შერიგებას არ აპირებთ?**

— არა.

— **ასე კატეგორიულ უარს რატომ ამბობთ? ცხოვრებაში ხომ ყველაფერი ხდება.**

— ბევრი მიზეზია და ამას ერთი კონკრეტული რაღაცის გამო არ ვამბობ. ვერც და

**„ისეთი შეყვარებული მინდა, ვინც სულ ჩემთან ერთად იქნება, ჩემთან ივლის, საუკეთესო მეგობარი გახდება“.**

არც ვიტყვი, რომ სალომეს მიმართ მთლიანად გამიქრა გრძნობა და ის ჩემთვის არავინ არის, მაგრამ აღარ არის ის გრძნობა, რაც იყო. ბევრი ისეთი რაღაც მოხდა, რომც შევრიგდეთ, ვიცი, გულში მაინც დარჩენილი მექნება რაღაც, ასეთი ურთიერთობა კი არ მინდა. მოკლედ, მე არ ვაპირებ შერიგებას და, როგორც ვიცი, ეს არც სალომეს უნდა. მე და სალომე ჩხუბით არ დავშორებულვართ, მერეც ერთად ვიყავით, მაგრამ ბოლოს რაღაც მოხდა და უკვე ერთი თვეა, საერთოდ არ ვეკონტაქტებით ერთმანეთს.

— **არ გჯერათ, რომ დაშორების შემდეგ მეგობრებად დარჩენა შესაძლებელია?**

— მეგობრობა ძალიან ფართო ცნებაა. სალომე ჩემთვის ვერასოდეს იქნებოდა ისეთი მეგობარი, ვისაც მოვუყვებოდი, რომელი გოგო მომწონდა. რაღაც დონეზე კარგი ურთიერთობა გვქონდა. ჩემი ყოფილებიდან ბევრს ვემეგობრები.

— **ბევრი „ყოფილი“ გყავთ?**

— 25 წლის ბიჭი ვარ და ერთი ყოფილი რომ მყავდეს, ძალიან ცუდი და სამარცხვინო იქნებოდა.

— **ახლაც ხომ არ გყავთ გვერდით საყვარელი ქალი?**

— მყავს, მაგრამ ამ ეტაპზე ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

✓ **ქეთი დინოშვილი**

# სალომე ჭაჭუა: „ჩემს პირად ცხოვრებაში სიახლეა“



მოცეკვავე სალომე ჭაჭუასთვის პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ საბედისწერო აღმოჩნდა. ამ შოუმ პოპულარობა და აღიარება კი მოუტანა, მაგრამ სანაცვლოდ გიგი გაჩეჩილაძესთან 8 წლიანი სიყვარული წაიღო. მოკლედ, ეს ყველაფერი წარსულია, დღეს მშვენიერი მოცეკვავე ახალ გრძნობებში ერკვევა და პროექტის მესამე სეზონისთვის ემზადება. ჯერ არ იცის, ვინ იქნება მისი მესამე „ვარსკვლავი“, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად არ უნდა როსტოსნაირი (ლევან როსტოშვილი) ზარმაცი პოპულარული სახე. თავად ძალიან შრომისმოყვარეა და მომავალ პარტნიორსაც ამ მოთხოვნას უყენებს.

სალომე თვლის, რომ ახლა შესანიშნავ საცეკვაო ფორმაშია და ამისთვის მთელი ზაფხული ვარჯიშობდა. ცეკვა, იოგა და ტანვარჯიში — სწორედ ეს სამი კომპონენტი აძლევს საშუალებას, პარკეტზე ფურორი მოახდინოს.

— **სალომე, როგორ ემზადებით პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მესამე სეზონისთვის?**

— ძალიან კარგი შემართება მაქვს. ვაცნობიერებ, რომ ეს პროექტი ჩვენგან, მოცეკვავეებისგან, ტიტანურ შრომას მოითხოვს, მაგრამ არ მაშინებს. მთელი ზაფხული ვვარჯიშობ, რომ კარგ საცეკვაო ფორმაში ვიყო. ჩემი მიზანი მხოლოდ ეს პროექტი არ არის, მინდა, აქტიური მოცეკვავე ვიყო და სხვადასხვა პროფესიულ კონკურსშიც მივიღო მონაწილეობა. ამის გამო მეორე ზაფხულია არ დამისვენია. ერთი დღით ვიყავი ჩასული ბათუმში პროექტის გახსნასთან დაკავშირებით. ათი დღე გავატარე გონიოში, ცეკვიდან მოსწავლეები გვყავდა წაყვანილი. მე სხვანაირი დასვენება მიყვარს.

— **როგორი?**

— ჩემთვის იდეალური დასვენებაა, ავიდე თბილისის მახლობლად ჩემს აგარაკზე და ერთი კვირით მოვწყდე გარესამყაროს, ხმაურიან ცხოვრებას. მხოლოდ ასეთი განმარტოებული დასვენება მაძლევს საშუალებას, ძალები აღვიდგინო. ხმაურიანი დასვენება არ მიყვარს.

— **ალბათ განსხვავებულია მზადება კონკურსისათვის და მზადება ტელეპროექტისათვის.**

— რა თქმა უნდა, ეს ორი სამზადისი რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისგან. როცა ტელეპროექტის ნაწილი ხარ, ბევრი ისეთი ელემენტი შემოდის შოუში, რაც მანამდე შენთვის უცხო

→40



Cyan Magenta Yellow Black

იყო, მაგალითად, კამერები. როცა ცეკვას დგამ შოუსთვის, მუდმივად იმაზე უნდა იფიქრო, ეკრანზე რამდენად ეფექტური იქნება, კონკურსისთვის კი მხოლოდ პარკეტზე ცეკვისთვის ფიქრობ.

— **დიდი ნერვები სჭირდება „ვარსკვლავების“ პარტნიორობას?**

— ორივე სეზონში სხვადასხვა ტიპის პარტნიორი მყავდა. პირველ შემთხვევაში — როსტო, რომელიც სულ იგვიანებდა, ზარმაცობდა და მუდმივად იმის თქმა მჭირდებოდა, რომ ჩემთან ერთად ევარჯიშა. მეორედ, გიორგი ვარდოსანიძის შემთხვევაში, ეს პრობლემა საერთოდ არ იყო. ის მსახიობია და

**„მივხვდი, რომ პირადზე არ უნდა ილაპარაკო. ჩემი და გიგის პირადი ცხოვრება რომ ყველგან განიხილებოდა, ეს საბოლოოდ ჩვენს ურთიერთობაზე ცუდად აისახა. ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებ“.**

კარგად აქვს გაცნობიერებული, სასურველი შედეგი რომ მიიღო, ბევრი უნდა იმუშაო. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით, რომ სცენაზე კარგად გამოვსულიყავით.

ვერ ვიტყვი, რომ ვარსკვლავებთან მუშაობა დიდ ნერვებს მოითხოვს. მე თვითონ ქორეოგრაფი ვარ და ხშირად მიწევს ახალბედებისთვის ცეკვის სწავლება. ვცდილობ, ისე მივუდგე და ვასწავლო ცეკვა, რომ ჩემი ნერვული სისტემა არ დაზიანდეს. შემიძლია ადამიანი მთელი დღე ერთ მოძრაობაზე ვავარჯიშო.

— **ამ პროექტში მუშაობისას სიამოვნებას რაში იღებთ?**

— ტელეპროექტშიც და ტურნირზეც სიამოვნებას ვარჯიში და პარკეტზე ცეკვა მანიჭებს, როცა შენი დიდი ხნის ნაშრომი გამოგაქვს საჩვენებლად და ამით მაყურებელს სიამოვნებას ანიჭებ.

— **ვინ იქნება თქვენი პარტნიორი მესამე სეზონში და მუშაობა დაიწყეთ თუ არა?**

— პროექტზე მუშაობა სექტემბრის შუა პერიოდიდან დაიწყება. მე ჯერ პარტნიორიც არ მყავს, დაწყვილება არ მომხდარა.

**„მთავარია, ზარმაცი ვარსკვლავი არ შემხვდეს. მინდა, ისეთი იყოს, რომელმაც ძალიან კარგად იცის შრომის ფასი. არ მაინტერესებს, პლასტიკური იქნება თუ არა“.**

— **არჩევანის უფლება გაქვთ?**

— მოცეკვავეს არჩევანის უფლება აქვს, მაგრამ ყველაფერი პროდიუსერებთან შეთანხმებით ხდება.

— **რა ტიპის პარტნიორს ელოდებით ამჯერად?**

— მთავარია, ზარმაცი ვარსკვლავი არ შემხვდეს. მინდა, ისეთი იყოს, რომელმაც ძალიან კარგად იცის შრომის ფასი და საცეკვაო დარბაზში დროის გატარება არ დაენანება. ჩემთვის სხვა ფაქტორებს მნიშვნელობა არ აქვს. სულ არ მაინტერესებს, პლასტიკური იქნება თუ არა, მთავარია არ იზარმაცოს. ზოგადად პარტნიორის მიმართ ცეკვაში ყოველთვის ძალიან მომთხოვნი ვარ.

— **როგორ ფიქრობთ, რას მოითხოვს მაყურებელი მოცეკვავისგან, რომ მას მისცეს ხმა და გაამარჯვებინოს?**

— დავინახე, რომ შეიძლება ძალიან პოპულარული იყო, ხალხს უყვარდე, მაგრამ პროექტში გამარჯვებისათვის ეს საკმარისი არ არის. თუ ცეკვა არ აჩვენე, თუ მაყურებელმა დაინახა, რომ შენ იზარმაცე, ნომერი ჩააგდე, კეთილგანწყობა მაშინვე ცუდი განწყობით იცვლება. მთავარი ისაა, პოპულარულმა ადამიანმა მაყურებელს დაანახოს, რომ ის ყველაფერს დებს საქმეში.

— **ამ ტიპის ტელეპროექტები, როგორც პროფესიონალ მოცეკვავეს, ხელს არ გიშლით კარიერაში?**

— მე, პირადად, ხელს არაფერში მიშლის. ამ შოუს გამო პროფესიულ კონკურსზე უარი არასდროს მითქვამს, პირიქით, ეს კიდევ ერთი მოტივაციაა, რომ მუდმივად ფორმაში ვიყო. ძალიან შრომისმოყვარე ვარ. დღე და ღამე შემიძლია ვიმუშაო და ერთხელაც არ დავიწუწუნო.

— **კონკრეტულად რას აკეთებთ იმისათვის, რომ კარგ ფორმაში იყოთ?**

— მთელი დღე სხეულს ვავარჯიშებ. თუ არ ვცეკვავ, ტანვარჯიშით და იოგათი ვარ დაკავებული. დღეში ორჯერ მაქვს ცეკვის გაკვეთილი, დანარჩენი დრო ან დავრბივარ, ან იოგას ვარჯიშებს ვაკეთებ, ან ტანვარჯიშზე ვარ. იოგას ვარჯიშები მოცეკვავეს სხეულის ცენტრის დაჭერაში ეხმარება, ტანვარჯიში — ილეთების ადვილად ათვისებაში.

— **ამ პროექტში მოცეკვავეები დაჩაგრულ პოზიციაზე ხომ არ ხართ, ყველა პრიზი მაინც „ვარსკვლავებისკენ“ მიდის.**

— არა, მე ასე არ ვთვლი. პირველ რიგში, განვმარტავ, რომ ამ პროექტში მუშაობა ჩემთვის სამსახურია და ხელფასს ვიღებ. მოცეკვავე ეხმარება ვარსკვლავს, რომ ტურები დაძლიოს. რაც შეეხება პრიზებს, მაგალთიად, მეორე სეზონზე მე და ოთოს (ფოლადაშვილი), „თიბისი ბანკმა“ 6.000-6.000 ლარი მოგვცა.

— **კონკურსების კულისებში ხშირად ინტრიგები იხლართება. თქვენ ამას არასდროს შეჯახებიხართ?**

— შოუში მეტოქეობა და ინტრიგები ნაკლებად იგრძნობა. შეიძლება ვარსკვლავმა და მოცეკვავემ რაღაცაზე იკამათონ და მორჩა. რაც შეეხება სამეჯლისო ცეკვების კონკურსებს, იქაური კულისები სულ სხვაა. 2007 წელს თბილისში „კავკასიის თასზე“ გამოვდიოდი. ფინალში რომ უნდა მეცეკვა, კულისებში ჩემი საცეკვაო კაბა დახეული დამხვდა. დღემდე არ ვიცი, ეს რომელმა მეტოქემ გააკეთა. ამის შემდეგ ჭკუა ვისწავლე და კონკურსზე ვინც მახლავს, დედაჩემი იქნება თუ სხვა ვინმე, კოსტიუმებს მას ვაბარებ.

— **თქვენი ყოფილი შეყვარებული, პროფესიონალი მოცეკვავე გიგი გაჩეჩილაძე, მესამე სეზონში არ მონაწილეობს. ამის მიზეზი თქვენი დაშორება ხომ არ გახდა?**

— ჩემი და გიგის ურთიერთობა არავითარ გავლენას არ ახდენს ამ პროექტზე. ჩვენ ისეთი ურთიერთობა არ გვაქვს, რომ ერთად მუშაობის პრობლემა შეგვექმნას. ალბათ გიგის პროექტიდან წასვლის თავისი მიზეზები აქვს.

— **გიგისთან დაშორების შემდეგ პირად ცხოვრებაზე საუბარს გაურბიხართ, ჩვენთან ინტერვიუს დაწყებამდეც აღნიშნეთ, რომ პირად თემებზე არ საუბრობთ. რატომ?**

— მივხვდი, რომ პირადზე არ უნდა ილაპარაკო. ის, რომ ჩვენი პირადი ცხოვრება ყველგან განიხილებოდა — ჟურნალ-გაზეთებში, გადაცემებში, სოციალურ ქსელებში — საბოლოოდ ჩვენს ურთიერთობაზე ცუდად აისახა. ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებ.

— **არც იმას გვეტყვით, გიგის შემდეგ თქვენს პირად ცხოვრებაში არის თუ არა რაიმე სიახლე?**

— არის გარკვეული სიახლე, მაგრამ ამაზე მეტს არაფერს ვიტყვი.

✓ ავთო ჩიტიძე

# შეყვარებული ნოდიკო ტატიშვილი საბერძნეთის ძვირადღირებულ კურორტზე ისვენებს



## „ამ კუნძულზე ტიტველი ქალების ყურებას ზოგჯერ ვერ ვუძლებ“

მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი „სარკეს“ გამოუტყდა, რომ მის ცხოვრებაში არსებობს ქალი, რომლის მიმართაც გრძნობა აქვს და ეს გატაცებაზე მეტია. მოკლედ, როგორც იქნა, გაამხილა, რომ შეყვარებულია. მის შემოქმედებაშიც კარგი პერიოდია, ახალ პროექტებზე მუშაობს, უცხოეთიდანაც აქვს შეთავაზებები. ამ ზაფხულს საკუთარ თავს კარგად დასვენების უფლებაც მისცა და საბერძნეთის ერთ-ერთ ძვირადღირებულ კურორტს, კუნძულ სანტორინის ეწვია. სწორედ იქიდან ესაუბრა „სარკეს“ და თავის სიახლეებზე უამბო.

— **ნოდიკო, თქვენთვის ეს ზაფხული რითი გამოირჩევა სხვებისგან?**

— ბოლო 4 წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა თავს დასვენების უფლება მივეცი. ამჯერად არ ვმუშაობ, მხოლოდ ვისვენებ. ერთ-ერთი ჩემი მეგობრის ოჯახი საბერძნეთში ცხოვრობს და მათთან ჩამოვედი სტუმრად. აქაურობას ვეცნობი, ჩემი მეგობრები ჰიპერაქტიურები არიან და მათ გვერდით ვიღლები. ფეხით შემოვიარეთ ყველაფერი. მე ცოტა ზარმაცი ვარ და თუ სანაპიროზე არ ვარ, მირჩევნია, ვიძინო.

— **სანტორინი საბერძნეთის ერთ-ერთი უძვირესი კურორტია. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?**

— ახლა საბერძნეთი ვნახე და იმედი მაქვს, იმ ორ ქვეყანასაც მალე მოვინახულებ. სანტორინიმ ჩემზე დიდი შთაბეჭდი-



Cyan Magenta Yellow Black

ლება მოახდინა, პირველად ვარ კუნძულზე, საოცარი სილამაზეა, საუბარიც მიჭირს. პირველად ვიმგზავრე გემით, ათენიდან სანტორინიზე ჩამოსვლას გემით 8 საათი სჭირდება. აქ ისეთი კამკამა წყალია, შესვლა არ მოგინდება, საოცარად მოწესრიგებული და ლამაზი სანაპიროებია. ვიდრე სანტორინისკენ წამოვიდოდი, 4 სააათი ათენში ვიყავი, აკროპოლისის ნახვა ვერ შევძელი, მაგრამ სანამ საქართველოში დავბრუნდები, აუცილებლად დავათვალიერებ. ვისწავლე რამდენიმე ბერძნული სიტყვა — მადლობა, მისალმება და დამშვიდობება.

**— სანაპიროზე მოსიარულე შიშველმა ქალბატონებმა ალბათ მიიქცია თქვენი ყურადღება. ქართველი კაცი მათ ყურებას როგორ უძლებს?**

— არ მინდოდა, ამ თემას შევხებოდით, ტიტველ ქალებზე საჯაროდ საუბარი უხერხულია, ხან ვუძლებ მათ, ხანაც — ვერა... (იცინის). სხვა სანაპიროებზეც მინახავს ტიტველი ქალები, მაგრამ აქ საოცარი სხეულები აქვთ, მართლაც გამორჩეულად მიმზიდველები არიან. სასიამოვნოა მათი ყურება.

**— სანტორინის კუნძულზე ქართველმა ემიგრანტებმა თუ იცნეს ნოდიკო ტატიშვილი?**

— ერთი ქართველი ქალი შემხვდა, რომელსაც ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა. ნახევარ საათზე მეტი ვილაპარაკეთ, მეგობრებს ჩამოვრჩი, ერთმანეთს ჩვენს ამბებს ვუყვებოდით. ამით ყველგან განებივრებული ვარ. ერთხელ ბარსელონაში სასტუმროდან რომ გამოვედი, ბიჭები დამხვდნენ, რომლებმაც ჩემი სიმღერების შესრულება დაიწყეს, მერე მათ მეგობრები შემოუერთდნენ, მათაც იმღერეს და ასეთი გულთბილი შეხვედრა გამოგვივიდა. აქ, სანტორინის სანაპიროზე, ახალგაზრდა იტალიელების ჯგუფი ისვენებდა, რომლებმაც ევროვიზიიდან მიცნეს. მოვიდნენ, გამესაუბრნენ, ფოტოები გადავიღეთ ერთად.

**— ვარსკვლავურად ისვენებთ?**

— არ ვიცი, ამას ვარსკვლავური თუ ჰქვია, მაგრამ ერთს დაზუსტებით გეტყვით — მართლაც კარგად ვისვენებ.

**— როგორია ღამის კუნძული, გართობა, სხვადასხვა პოპულარული ენერგეტიკული სასმელები?**

— თქვენთან ინტერვიუში ნათქვამი მაქვს, რომ კლუბური ცხოვრება არ მიზიდავს, მირჩევნია, შუაღამისას სანაპიროზე დავჯდე და კარგი ალკოჰოლური სასმელი დავლიო. რაიმე ნარკოტიკზე, თრობაზე ლაპარაკი ზედმეტია! არასდროს მქონია ამის სურვილი. ერთხელ ჩემი მეგობარი ვნახე აბების ზემოქმედების ქვეშ და მეორე დღეს ვუთხარი, კიდევ დიდხანს რომ მეყურებინა შენთვის ასეთ მდგომარეობაში, ალბათ შემზიზღდებოდი-მეთქი.

**— ბერძნების საყვარელი გასართობი საშუალება ცოცხალი მუსიკა — ბუზუკია, იყავით მის მოსასმენად?**

— დღეს (ინტერვიუ ჩაწერილია 22 აგვისტოს, ავტ.) ვაპირებ ბუზუკის მოსასმენად წასვლას. ძალიან მაინტერესებს, როგორ მღერიან ბერძნები, აქაური ვარსკვლავები.

**— გაირუჯეთ, იშოპინგეთ?**

— რუჯი კარგად მეტყობა, რაც შეეხება შოპინგს, ბევრი არაფერი შემიძენია, ძალიან მიყვარს აქსესუარები. რომელ ქვეყანაშიც მივდივარ, ვცდილობ, იქაური სუვენირი შევიძინო, განსაკუთრებით მაცივარზე მაგნიტით მისამაგრებელ სუვენირებს ვყიდულობ ხოლმე.

**— რამდენიმე კვირის წინ სოციალური ქსელი აჭრელდა მილოცვებით, წერდნენ, რომ დაქორწინდით. მაშინ „სარკეს“ უთხარით, რომ ეს სიმართლე არ იყო. ახლა ისევ მინდა დავაზუსტო, თქვენს პირად ცხოვრებაში რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— კი, მახსოვს, რომ თქვენც დამირეკეთ ინფორმაციის დასაზუსტებლად. ამ ბოლო დროს ასეთი ჭორები ჩემზე ხშირად ვრცელდება, ერთ-ერთ ქართველ მომღერალზე დამაქორწინეს. მისი ვინაობა, თქვენ წარმოიდგინეთ, მეც არ ვიცი. დაოჯახებას ჯერ არ ვაპირებ და ამ თემაზე მეტი შეკითხვა რომ აღარ დამისვათ, ერთს გეტყვით, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში სიახლეებია. რაკი ამას ხმამაღლა ვამბობ, ეს ურთიერთობა გატაცებაზე მეტია ჩემთვის.

**— უახლოეს მომავალში რა გეგმები გაქვთ?**

— შემოქმედებითად ძალიან აქტიური და ნაყოფიერი პერიოდი მიდგას, მაქვს რამდენიმე მუსიკალური და ერთი სატელევიზიო პროექტი, რომელსაც ვერ დაგიკონკრეტებთ, უფლება არ მაქვს. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შეიძლება ერთი-ორი თვით მომიწიოს საზღვარგარეთ წასვლა. ამ თემასთან დაკავშირებით ზუსტი დეტალები ორ კვირაში მეცოდინება და ვრცლად მერე ვისაუბროთ. ოქტომბერში მე და სოფო გელოვანი ლუქსემბურგში მივდივართ, ამ საღამოზე ევროვიზიის 5 ვარსკვლავია მიწვეული, მათ შორის ჩვენც ვართ. მიუხედავად იმისა, რომ მე და სოფო ევროვიზიის გამარჯვებულები არ ვართ, უცხოელებმა ჩვენი სიმღერის ბევრი ქავერი გააკეთეს. ახლა გამომიგზავნეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ერთ-ერთი ქავერი, რომელიც მე და სოფოს ძალიან მოგვეწონა.

**— ის გასაიდუმლოებული ტელეპროექტი, რომლის გამხელის უფლებაც არ გაქვთ, შეიძლება „ცეკვავენ ვარსკვლავები“ იყოს?**

— არა, ამ პროექტიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო უარი ვთქვი.

**— 26 წლის ასაკში საკმაოდ პოპულარული ხართ. თქვენი წარმატების ფორმულა რა არის?**

— ყოველთვის ვიცი, როდის რა უნდა გავაკეთო და არანაირი წარმატების ფორმულა არ არსებობს. სანამ პოპულარული გავხდებოდი, საერთაშორისო კონკურსებში ვმონაწილეობდი, თავს არ ვზოგავდი, რომ საქართველო მესახელებინა, შემდეგ იყო პროექტი „ჯეოსტარი“, სადაც ყველანაირად ვეცადე, კარგად მემღერა და ქართველ მსმენელს შევყვარებოდი. როგორი პერიოდიც უნდა გქონდეს ცხოვრებაში, შენს საქმეს არ უნდა შეეშვა. ხალხის სიყვარულზე მნიშვნელოვანი არაფერია.

**— თქვენს მუსიკალურ კარიერაში რა წინაღობებს წააწყდით?**

— მაშინ, როცა კარიერას ვიწყებდი, იყო ფეხის წამოდებაც, ბევრი სიბინძურეც, მაგრამ ვინც ასეთი საქციელი ჩაიდინა, საზოგადოებას დღეს ისინი აღარც კი ახსოვს, მე კი ჩემს ადგილზე ვარ.

**— არ დააკონკრეტებთ, ვისზე საუბრობთ?**

— რასაკვირველია — არა. მკითხველი ჩემს წარსულს თუ გაიხსენებს, ამას თავადაც მიხვდება. დაბოლმილი არასოდეს ვყოფილვარ, წყენას ადვილად ვივიწყებ, ჩემი საქმე მაქვს და ვცდილობ, მაქსიმუმი გავაკეთო. ვინც ბოლმით ცხოვრობს, მინდა, მათ ვურჩიო, სიცოცხლე იმდენად ხანმოკლეა, კარგი იქნება, შურით თუ არ დაიმახინჯებენ ცხოვრებას.

✓ ლანა კიკნაძე

**„მე და სოფო გელოვანი ლუქსემბურგში მივდივართ. ამ საღამოზე ევროვიზიის 5 ვარსკვლავია მიწვეული, მათ შორის ჩვენც ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ევროვიზიის გამარჯვებულები არ ვართ, უცხოელებმა ჩვენი სიმღერის ბევრი ქავერი გააკეთეს".**





■ ნოდიკო მეგობართან ერთად

**„ჩემს პირად ცხოვრებაში სიახლეებია. რაკი ამას ხმამაღლა ვამბობ, ეს ურთიერთობა გატაცებაზე მეტია ჩემთვის".**



Cyan Magenta Yellow Black

# მარინა კახიანი: „ჩემი ძველი ნაკვთები მომენატრა“




**„შეძლებისდაგვარად ვცდილობ, გავიხანგრძლივო, ასე ვთქვათ, ახალგაზრდობა. ეს, რა თქმა უნდა, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ვცდილობ, გავიხანგრძლივო ის, რაც დღეს მაქვს".**

რუსთაველის თეატრის მსახიობი მარინა კახიანი ეგეოსის ზღვიდან შოკოლადისფერი დაბრუნდა. მზე, ზღვა და გარუჯვა მისთვის ერთგვარი თერაპიაა და ამ ყველაფერზე უარის თქმა არ შეუძლია, მით უმეტეს, რომ ნამზეური ძალიან უხდება. სამაგიეროდ ულტრაიისფერი სხივებისგან თავს იცავს. ქალბატონი მარინას მუდმივად შესანიშნავი გარეგნობა ბევრისთვის ამოუხსნელი გამოცანაა, თუმცა თავად გვარწმუნებს, რომ არანაირ საიდუმლოს არ ფლობს. გენეტიკა, შინაგანი განწყობა და რამდენიმე ცნობილი მეთოდი — სულ ეს არის მისი სილამაზის არსენალი.

— **ქალბატონო მარინა, დავიწყოთ იმით, მაყურებელი რა სიახლეს უნდა ელოდოს თქვენგან ახალ სეზონზე.**

— არ ვიცი, საზღვარგარეთ როგორ ხდება, ჩვენთან, საქართველოში კი, მსახიობები სულ მოლოდინში ვართ. ძირითადად რეჟისორებზე ვართ დამოკიდებული. ერთადერთი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ახალ სეზონზე ბატონი რობიკო აპირებს სპექტაკლის დადგმას. ეს ინფორმაცია მისგან მივიღეთ. ვიწყებთ რეპეტიციებს, სადაც ქალები ვმონაწილეობთ. ძალიან საინტერესო სამუშაო გველოდება წინ. თეატრის მსახიობებისთვის ყოველთვის ამაღელვებელია ახალი სეზონი. დაახლოებით იმას ჰგავს, სკოლის მოსწავლეები სწავლის დაწყებას გულისფანცქალით რომ ელოდებიან. ეს მსახიობებს გვაძლევს საშუალებას, მუდმივად ფორმაში ვიყოთ.

— **ახალი სეზონის წინ, გეტყობათ, რომ კარგად დაგისვენიათ.**

— წელს ეგეოსის ზღვაზე დავისვენე. ძალიან მიყვარს შავი ზღვა და ვფიქრობ, მას არაფერი შეედრება, მაგრამ შავ ზღვასთან დაკავშირებით ის დისკომფორტია, რომ ამინდი ყოველთვის არ არის კარგი და ამიტომ ბოლო წლებში მე და ჩემი მეგობრები ვარჩევთ, ეგეოსის ზღვაზე წავიდეთ. ძალიან მიყვარს ბათუმი და ეგეოსიდან რომ ჩამოვედი, ოთხი დღე იქაც დავისვენე. შვებულება ბოლომდე არ დამისრულებია, გოგოები კიდევ ვაპირებთ რამდენიმე დღით წასვლას. ზღვა და მზე ჩემთვის ფსიქოთერაპიაა.

— **მზის სხივების მავნე ზემოქმედების არ გეშინიათ?**

— რუჯს ძირითადად ქოლგის ქვეშ ვიღებ. ვცდილობ, შუადღის მზეს თავი ავარიდო. გარდა ამისა, ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავ საშუალებებს აუცილებლად ვიყენებ.

— **რა არის თქვენი მუდმივად ლამაზი გარეგნობის საიდუმლო?**

— არანაირი საიდუმლო არ არსებობს, ყოველთვის კარგად ნამდვილად არ გამოვიყურები. როდესაც შინაგანად მშვიდი და გაწონასწორებული ხარ, ეს ყველაფერზე დადებითად აისახება. გარეგნობა, პირველ რიგში, ალბათ გენეტიკის დამსახურებაა. მადლობა უნდა გადავუხადო ჩემს წინაპრებს. შეძლებისდაგვარად ვცდილობ, გავიხანგრძლივო, ასე ვთქვათ, ახალგაზრდობა. ეს, რა თქმა უნდა, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ვცდილობ, გავიხანგრძლივო ის, რაც დღეს მაქვს.

— **კანის მოვლისთვის რა საშუალებებს მიმართავთ?**

— დედაჩემი შინაური რეცეპტების დახმარებით ახერხებდა კანის მოვლას. მაშინ არც მეზოთერაპია იყო და არც სხვა თანამედროვე საშუალებები. დედა კარგად გამოიყურებოდა საკმაოდ სოლიდურ ასაკამდე. შეიძლება ეს მართლაც გენეტიკის დამსახურება იყო. მე ვერ დავიკვეხნი, რომ დედასავით მხოლოდ კიტრის და პომიდვრის ნიღბებს ვიყენებ. ასე ნამდვილად არ არის. დღეს არსებობს ძვირფასი ნიღბები, საცხები, რაც გამომიყენებია კიდეც, მაგრამ ძვირი სიამოვნებაა და ამის საშუალება ყოველთვის არ მაქვს. ამიტომ უფრო მეტად მეზოთერაპიას ვცემ პატივს. როდესაც საშუალება მაქვს, მას ყოველთვის ვიყენებ.

— **კანის მდგომარეობა დიდწილად დამოკიდებულია კვების რეჟიმზე. როგორია თქვენი რაციონი?**

— საკმაოდ რთულ თემას მივადექით. ყველა ქართველს გვაქვს კუჭის პრობლემა და იცით, რატომაც — გვიყვარს მწარე, ცხარე და ა.შ. სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ვახერხებ დავიცვა ჯანსაღი კვების წესი. არ შემიძლია, თავი შევიკავო იმ საკვებისგან, რომელიც მავნეა. ძალიან მიყვარს მწარე და ცხარე, ტკბილეული — ნაკლებად.

— **დიეტის დაცვა გჭირდებათ ხოლმე?**

— დიეტაზე ადრეულ ასაკში ვიყავი. ეს სტუდენტობის დროს იყო. ქორეოგრაფიული დავამთავრე და თეატრალურში ჩაბარების შემდეგ, რადგან ფიზიკური დატვირთვა მომაკლდა, რამდენიმე კილო მოვიმატე, მაგრამ დიეტა ამის გამო არ დამიცავს. უფრო ჩემს თავს მოვუწყვე გამოცდა, რამდენად მქონდა ნებისყოფა. ორი კვირა დავიცავი და მას მერე, სიმართლე გითხრათ, აღარ მიმიმართავს. ამის საჭიროება არც მქონია. დიეტის დაცვა დღეს ალბათ ძალიან გამიჭირდება, იმდენად მიყვარს გემრიელი საჭმელი.

— **ალბათ თქვენი წონაც გენეტიკის დამსახურებაა.**

— ალბათ. ჩემს წონაზე საკვები არ მოქმედებს. ძალიან ვხდები, როდესაც ინტენსიურად ვარ დატვირთული. მაშინ, რამდენიც უნდა ვჭამო და რომელ საათზეც, თუნდაც შუაღამეზე, წონაში მაინც ვიკლებ.

— **ჩაცმულობაში მოდის ტენდენციებს ითვალისწინებთ თუ საკუთარ ინტუიციას და გემოვნებას?**

— ადამიანი მოდის ტენდენციებს არ უნდა ჩამორჩეს, თუმცა მოდას ბრმად ახალგაზრდობაშიც არ მივყვებოდი. რაც არ მომწონდა, იმას მაშინაც არ ვიცვამდი და ახლაც ასე ვარ. მაგალითად, დიდად არ მხიბლავს ვეფხვის ტყავის პრინტი სამოსზე. მიუხედავად იმისა, რომ მოდაშია, არ მომწონს და არასდროს ვხმარობდი. არ მომწონს ძალიან მაღალი პლატფორმებიც, პატარებს კი სიამოვნებით ვიყენებ. ფეხსაცმელი ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა მანიჭებდეს.

— **თამამ ჩაცმულობასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? ამ მხრივ ექსპერიმენტები თუ ჩაგიტარებიათ?**

— კი, მქონია ასეთი შემთხვევები. უცნაური რამ მოხდა — თინეიჯერულ ასაკში ამ საკითხის მიმართ უფრო ფრთხილი ვიყავი და ახლა, ჩემს ასაკში, როცა თითქოს უფრო უხერხულია სერიოზული ექსპერიმენტების ჩატარება, თუნდაც მოკლე კაბის ჩაცმა, კომპლექსებისგან გავთავისუფლდი და უფრო თამამად ვიცვამ ისეთ სამოსს, რომლის ჩაცმაც 20 წლის წინ გამიჭირდებოდა.

— **მსახიობს შეიძლება შეუხედავი გმირის განსახიერება დასჭირდეს. რამდენად ადვილია ლამაზი ქალისთვის ამგვარი როლის მორგება?**

— ჯერ მინდა, სილამაზის შესახებ ვისაუბრო. სხვადასხვა პერიოდში სილამაზის სხვადასხვა სტანდარტი არსებობდა. ადრე მოსწონდათ ფერხორციანი ქალები, ცოტა ხნის წინ კი ძალიან გამხდარი სხეული ითვლებოდა სილამაზედ. ვფიქრობ, ახლა დაბალანსდა — არც ზედმეტად მსუქანი და არც ზედმეტად გამხდარი ქალი ითვლება ლამაზად. ვფიქრობ, ყველა ქალში არის მეტნაკლები სილამაზე, მთავარია, ამას სხვას როგორ მიაწოდებს.

რაც შეეხება შეუხედავი გმირის როლის თამაშს, ჩემთვის საინტერესო თემას მიადექით. იყო წლები, როცა თეატრში მიწევდა ხანდაზმული, დაჩაგრული თუ შეუხედავი ქალების როლის მორგება. ჩემი ოცნებაა, ამგვარი როლი კინორეჟისორებმაც შემომთავაზონ. ასეთ როლებს ულამაზესი უცხოელი ქალები თამაშობენ.

— **საყვარელი მამაკაცის აზრი თუ გაგითვალისწინებიათ გარეგნობასთან დაკავშირებით?**

— მიკითხავს, რომელი კაბა ჩამეცვა, როგორ გამეკეთებინა ვარცხნილობა და მისი აზრი ყოველთვის გამითვალისწინებია. ახლა ამას უკვე ჩემს შვილს, ვახტანგ მატარაძეს ვეკითხები. ხანდახან მეხუმრება, თინეიჯერივით ხარ ჩაცმულიო.

— **პლასტიკურ ქირურგიაზე რას ფიქრობთ?**

— თუ შეიძლება ქალმა გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა და სილამაზე, რატომ არ უნდა მიმართოს პლასტიკურ ქირურგიას? თუმცა ესეც ზომიერების ფარგლებში უნდა იყოს და

**„ამ ასაკში კომპლექსებისგან გავთავისუფლდი და უფრო თამამად ვიცვამ ისეთ სამოსს, რომლის ჩაცმაც 20 წლის წინ გამიჭირდებოდა".**

ავადმყოფობაში არ უნდა გადაიზარდოს.

— **შეგიძლიათ გულწრფელად გვითხრათ, რა სახის პლასტიკური ოპერაცია გაქვთ გაკეთებული?**

— ცხვირი შეცვლილი მაქვს. რაღაც ეტაპზე ძალიან მომწონდა ახალი ცხვირი, მაგრამ მერე ჩემი ძველი ნაკვთები მომენატრა.

— **რატომ გაიკეთეთ ცხვირის ოპერაცია?**

— ცოტა არაქართული გარეგნობა მაქვს, ცხვირი სლავურად აბზეკილი მქონდა. ეტყობა, ამის კომპლექსი გამიჩნდა. მეშინოდა, რომ ფილმებში არ გადამიღებდნენ, რადგან მაშინ მოდაში ქართული გარეგნობის გოგონები იყვნენ. ამიტომ ცხვირი ვითომ „გავიქართულე“.

— **მერე ინანეთ?**

— უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ გარკვეული პერიოდის მერე ჩემი ძველი ცხვირი მომენატრა.

— **თქვენი ტუჩები ბუნებრივია?**

— ტუჩები ჩემია.

— **ფერები თუ გამოხატავს თქვენს განწყობას?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი გამოხატავს განწყობას. ხანდახან მომწონს მკვეთრი ფერები, ხანდახან კი — ძალიან ნაზი. ბოლო დროს საკუთარ თავზე მაკიაჟი მაღიზიანებს. დედის გარდაცვალების შემდეგ შეღებვის სურვილი არ მქონდა.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

# გია ხუხაშვილი: „შვეიცარიის უპრობლემო სამოთხეში ცხოვრება გამიჭირდა“

## „ჩემი ტემპერამენტის კაცისთვის ნიუ იორკი მიუღებელი აბსურდია“



■ გია ხუხაშვილი

პრემიერმინისტრის მრჩეველი საგარეო-ეკონომიკურ საკითხებში, გია ხუხაშვილი, მოგზაურობის მოყვარული არ გახლავთ. უცხო ქვეყანაში ყოფნა მისთვის დამღლელი და შემაწუხებელიცაა. არც იქაური სამზარეულო ანიჭებს სიამოვნებას, გართობა და მაღაზიები კი მისგან საერთოდ შორს არის, შეიძლება სასტუმროს ნომრიდან არც გამოვიდეს. საქმიანი ვიზიტები მაინც აქვს და თუ საქმეს დროზე ადრე მორჩა, სასწრაფოდ ბილეთს ცვლის და საქართველოში ბრუნდება. თუმცა არც მთლად ისეა საქმე, რომ სასიამოვნო მოგონებები და შთაბეჭდილებები არ ჰქონდეს მოგზაურობებიდან გამოყოლილი. ერთხელ ახალ წელს ეგვიპტეშიც შეხვდა, მაგრამ... ყველაფერს მაინც სახლში ყოფნა ურჩევნია. რას იზამ, კაცია და გუნება. თავად ამბობს, ფესვებით თბილისზე ვარ მიბმულიო.

**— ბატონო გია, მოგზაურობა ხშირია თქვენს ცხოვრებაში?**

— გაგიკვირდებათ და, ბოლო პერიოდში იშვიათად ვმოგზაურობ. ალბათ უკვე ისეთ ასაკში ვარ... ზედმეტი მოგზაურობა არ

**„ნიუ იორკში ისეთ ადგილას ვცხოვრობდით, სადაც სასტუმროში დაძინება შეუძლებელი იყო. 24 საათის განმავლობაში იქვეით გაუგებარი ხმაური ისმოდა. ამ ქალაქში განმარტოება, რელაქსაცია და დასვენება შეუძლებელია“.**

მიტაცებს. თბილისს იმდენად ვარ შეზრდილი, საქართველოს კუთხეებშიც კი ცოტას დავდივარ. შეიძლება ჩემი გეოგრაფიული აქტიურობა დიდი იყოს, მაგრამ დღევანდელ სამყაროში კომუნიკაციის აწყობა ფიზიკური გადაადგილების გარეშეც ადვილია. ვერ გეტყვით, რომ საზღვარგარეთ ხშირი საქმიანი ვიზიტებით გამოვირჩევი. აქტიურ მოგზაურობაზე ორიენტირებული ადამიანი არ გახლავართ, საკმაოდ მოკრძალებულ ცხოვრებას ვეწევი, ბოჰემური ინტერესები და სხვა ტიპის, ე.წ. „გულაობის“ სურვილით არ გამოვირჩევი.

**— რა ასაკში, რა პერიოდში მოგზაურობდით ყველაზე ბევრს?**

— 2005 წლის შემდეგ პრაქტიკულად თბილისში დავფუძნდი. დიდი მოგზაური არც არასოდეს ვყოფილვარ. ყველაზე კარგად მაინც ჩემს სახლში ვისვენებ. საქმიანობიდან გამომდინარე, ძირითადად აზერბაიჯანში მიწევდა წასვლა-წამოსვლა. ამას ზოგიერთი „მოღვაწის“ მხრიდან ბევრი მითქმა-მოთქმაც მოჰყვა. მოგეხსენებათ, კომპანია „სოკარის“ წლების განმავლობაში მარკეტინგის მიმართულებით ვხმარებოდი. ევროპის ქვეყნებში უფრო ეპიზოდურად ვმოგზაურობდი.

**— აზერბაიჯანი როგორი ქვეყანაა თქვენი თვალით?**

— იქაურობა ძალიან მიყვარს. ჩვენ და აზერბაიჯანს განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს. გლობალური თვალსაზრისით, ჩვენ ერთი ფუნქციის მატარებელნი ვართ და გარე სამყაროსთვის სწორედ ამით ვართ საინტერესონი. ეს არის აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელი ერთიანი კვანძი, რომელიც სამომავლოდ კიდევ უფრო განვითარდება, ამის იმედი გვაქვს.

აზერბაიჯანში კარგი ხალხი ცხოვრობს. ბაქო ხომ არაჩვეულებრივი ქალაქია. სააკაშვილი რომ აღმშენებლობაზე გველაპარაკება, იქ უნდა ნახოთ, როგორი და რა ხარისხის მშენებლობაა. როცა აქ ძირითადად ფასადებს ვლებავდით და ყველაფერს ფართხაფურთხით ვაშენებთ, ბაქოში ყველაფერი კაპიტალურად და გეგმის მიხედვით შენდება. ქალაქი ფასადების მოპირკეთების შემდეგაც კი ინარჩუნებს თავის სახეს. ულამაზესი შენობები დგას, რომლებსაც მსოფლიოს ცნობილი არქიტექტორები აშენებენ, მაგრამ, როგორც გითხარით, ქალაქის ხასიათი არ იკარგება. მაშინაც კი, როცა რეკონსტრუქცია ქალაქის ცენტრში მიმდინარეობს, მაქსიმალურად ცდილობენ, ქალაქს ძველი ხიბლი შეუნარჩუნონ. იქ, სადაც წინათ მაღალი შენობები არ იდგა, არც დღეს შენდება უზარმაზარი ნაგებობები. საქართველოში პირიქითაა, სადაც მიწის ნაკვეთს ნახავენ, ყველგან რაღაცას აკვეთებენ.

ისე, აზერბაიჯანის გარდა, ეპიზოდურად ბევრგან ვარ ნამყოფი, მაგალითად, შარშან ოჯახი შვეიცარიაში მყავდა.

**— სამოგზაუროდ წახვედით?**

— არა, საარჩევნო პერიოდში ქვეყნიდან მათი გაყვანა გადავწყვიტე, რადგან იმ დროისთვის გარკვეული რისკები არსებობდა. რამდენჯერმე მათ ჩავაკითხე. თუკი ასოციაციები გვიჩნდება სიმშვიდესთან, კეთილგანწყობასთან, იდილიასთან, ეს სწორედ შვეიცარიაა, სადაც შეგიძლია, აბსოლუტური რელაქსაციის რეჟიმში იყო — მოიშორო ყველა პრობლემა, დაგროვილი შლაკებისგან დაიცალო და ბევრი იფიქრო მშვიდად. ჩემი ცოლ-შვილი იმ პერიოდში ჟენევაში ცხოვრობდნენ. იმდენად კეთილგანწყობილი გარემოა, რომ, ცოტა არ იყოს, შევწუხდი კიდეც. საქართველოში მუდმივად აგრესიულ გარემოს ისე ვიყავი შეჩვეული, რომ იმ სამყაროში ადაპტაცია გამიჭირდა. სიმართლე გითხრათ, ეს პროცესი ახლაც გამიჭირდება, რადგან უფრო პრობლემებს ვარ მიჩვეული და არა — უპრობლემო სამოთხეში ცხოვრებას.

**— როგორც მივხვდი, უცხო ქვეყანაში დიდხანს ვერ ჩერდებით.**

— კი, ნამდვილად ასეა. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ფესვებით თბილისზე ვარ მიბმული. იყო პერიოდი, როცა მატერიალურადაც და შინაგანადაც ძალიან გვიჭირდა, საქართველოში რთული გარემო იყო, ამ დროს აქედან წასვლაზეც კი მიფიქრია, მაგრამ დავრწმუნდი იმაში, რომ ჩემი ქალაქის გარეშე არ შემიძლია. საქართველო კიდევ სხვა თემაა. აქაური პრობლემები მირჩევნია სხვა ქვეყნის სიმშვიდეს და კეთილდღეობას.

**— თქვენ იმ თაობის წარმომადგენელი ხართ, რომელიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა და ალბათ რუსეთთან ხშირი კონტაქტიც გქონდათ. როგორ გახსენდებათ ის პერიოდი?**

— ახალგაზრდობის

**„დავრწმუნდი იმაში, რომ ჩემი ქალაქის გარეშე არ შემიძლია. აქაური პრობლემები მირჩევნია სხვა ქვეყნის სიმშვიდეს და კეთილდღეობას“.**

პერიოდი მოსკოვში გავატარე, სადაც ასპირანტურა დავამთავრე, დისერტაცია დავიცავი. საკმაოდ კარგი დრო იყო, მაშინ რუსეთში ბევრი მეგობარიც გავიჩინე, ძირითადად სამეცნიერო წრეებში. რომანტიკული პერიოდი იყო, სადაც რუსების პარადოქსული ბუნება ძალიან კარგად ჩანდა. მათ ძალიან კარგი, ჰუმანური ინტელიგენცია ჰყავთ, მაგრამ ველიკოდერჟავული, მტაცებლური ინსტინქტები, სამწუხაროდ, ყოველთვის დომინირებდა. რუსული ინტელიგენცია დღეს საკმაოდ შევიწროებულია.

ის წლები კარგად მახსენდება. რუსეთი მრავალსახოვანია და უფრო მეტად მეგობრები მახსენდებიან. იქ 9 წელი ვიცხოვრე. მაშინ ერთი ქვეყანა ვიყავით — საბჭოთა კავშირი და გაუცხოების განცდაც არ გამაჩნდა, შიდა რეისებით მისვლა-მოსვლაც საკმაოდ იოლი იყო.

**— უცხო ქვეყანაში პოლიტიკური არეულობის დროს მოხვედრილხართ?**

— შვეიცარიაში ყოფნის პერიოდში ერთი ფაქტი მახსენდება: ქალაქის ცენტრში რაღაც არეულობა ყოფილა. ამის შესახებ არაფერი გაგვიგია. უბრალოდ მეორე დღეს ქალაქის ცენტრში რომ გამოვედი, მაღაზიების ჩამსხვრეული შუშები დავინახე. ქართველებს ძალიან კარგად გვახასიათებს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრად უფრო მასშტაბური აქციები იმართება და ასეთ ვანდალიზმს ადგილი არ აქვს. მშვიდ შვეიცარიაშიც კი, როგორც კი პროტესტმა გაიღვიძა, საკმაოდ მცირერიცხოვანი აქციების დროს ვანდალიზმს ჰქონდა ადგილი. ჩვენ შეგვიძლია, ექსპრესიული ესკალა-

→44

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

ციის პირობებშიც კი ადამიანობა და ჰუმანურობა შევინარჩუნოთ.

**— რამდენადაც ვიცი, ამერიკაშიც ხართ ნამყოფი. თავისუფლების სიმბოლოდ აღიარებულმა ამ ქვეყანამ რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ?**

— იქ 1991 წელს მოვხვდი, საკმაოდ საინტერესო პერიოდი იყო. მას შემდეგ ნიუ იორკში არც ვყოფილვარ. მაშინ ტელეკომპანია „აიეტის“ დაფუძნებაში მეც ვიღებდი მონაწილეობას და ამ საქმესთან დაკავშირებით ამერიკაში რამდენიმე ადამიანთან ერთად გავემგზავრე. საბჭოთა კავშირი ახალი

**„ვერც ერთი ქვეყნის სამზარეულოს გამოვარჩევდი. ქართული ცომეული ძალიან მიყვარს. ხინკალში ხორცზე უფრო მეტად ცომი მიყვარს".**

დაშლილი იყო და ამერიკაში წასვლა ზღაპრის ტოლფასი გახლდათ. ნოსტალგიის განცდა მაშინ პირველად გამიჩნდა. ჩემი შვილი 4 თვის იყო. სულ 10 დღით ვიყავი წასული, მაგრამ რამდენიმე დღეში ჩემს ქვეყანაში დაბრუნება მინდოდა, ნემსებზე ვიჯექი.

ვერ გეტყვით, რომ ნიუ იორკით აღფრთოვანებული დავრჩი. ჩემი ტემპერამენტის კაცისთვის ეს ქალაქი აბსოლუტურად მიუღებელი აბსურდია. ეს არის დიდი საგიჟეთი! ქალაქი, რომელსაც არასოდეს სძინავს! ისეთ ადგილას ვცხოვრობდით, სადაც სასტუმროში დაძინება შეუძლებელი იყო. 24 საათის განმავლობაში ირგვლივ გაუგებარი ხმაური ისმოდა. ამ ქალაქში განმარტოვება, რელაქსაცია და დასვენება შეუძლებელია, რაც ჩემთვის დამღლელი აღმოჩნდა. ამერიკის სხვა პატარა ქალაქებშიც ვიყავით, სადაც სხვა გარემო იყო.

**— უცხო ქალაქში ბევრი რამით შეიძლება გაირთოთ თავი და თან სასარგებლო ინფორმაციაც მიიღოთ, მაგალითად, კულტურული და ისტორიული ძეგლების გაცნობით. ეს თქვენს „პროგრამაში“ არ შედის ხოლმე?**

— კი, ინერციით ვათვალიერებ, მაგრამ ასეთ ადგილებში სურათების გადაღება ჩემი საქმე არ არის, ამაში ძალიან სუსტი ვარ. ეგვიპტეში სახელმწიფო მუზეუმში ვიყავი, მაგრამ ინფორმაციის მიღების ინტერესი უფრო მქონდა, ვიდრე ნახვის.

**— რა შთაბეჭდილებები გამოგყვათ ეგვიპტიდან?**

— წლების წინ შვილთან, ლუკასთან ერთად საახალწლოდ წავედი. ის ახალი წელი ალბათ იმით იყო გამორჩეული, რომ სხვა ქვეყანაში ვიყავით, თუმცა განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. მე მაინც მგონია, რომ ასეთი ტიპის დღესასწაულებს სახლში უნდა შეხვდე. ვერ გეტყვით, რომ ეგვიპტური ახალი წლით რაღაც განსაკუთრებული მივიღეთ, სახლში შეხვედრა ჯობდა. ეს ისეთი საკრალური დღეა, ყველა თავის ოჯახში უნდა იყოს, მაგრამ მე და ჩემმა შვილმა ასე მოვინდომეთ. რაც სანახავი იყო, ვნახეთ. ტუტანჰამონზე მთელი სისტემაა აგებული! მოგეხსენებათ, ეგვიპტე უძველესი ქვეყანაა და, ბუნებრივია, საინტერესო მოგზაურობაც გამოგვივიდა, თუმცა დეტალების გახსენებაში ძალიან სუსტი ვარ. საერთო განწყობას ვიქმნი და აქედან გამომდინარე ვმსჯელობ, დეტალებში ნაკლებად შევდივარ.

**— უცნობ ადგილებში კარგი ორიენტაციის უნარი გაქვთ?**

— ამ საკითხშიც მოვიკოჭლებ. შეიძლება არ დავკარგულვარ, მაგრამ დაბნევით — დავბნეულვარ. ვერ გავიხსენებ ადგილს, სადაც გზა ადვილად გამიგნია. რუკა არ მიყვარს. მირჩევნია, იმ ქალაქის შესახებ წავიკითხო ან ქუჩაში მოსიარულე ადამიანებისგან მივიღო სწორი ორიენტირი. რუკით მოსკოვში ცხოვრების პერიოდში ვსარგებლობდი. როცა მანქანით მომიწია სიარული, თავიდან საჭესთან რუკას ვიყენებდი, მაშინ სად იყო ნავიგატორები.

**— ნუთუ საზღვარგარეთ ცალი თვალიც არც მაღაზიებში იჭყიტებით?**

— არა! როცა მეუღლესთან ერთად ვარ წასული, კატეგორიულად ვიბრძვი ხოლმე, მაღაზიებში არ შევიდე. სიმართლე გითხრათ, შოპინგის მოყვარული არც ჩემი ცოლია, მაგრამ მაინც ქალია და მაღაზიებისკენ წასცდება ხოლმე თვალი, თუმცა მაინც ვერიდები, დიდხანს არ გამაჩეროს. უფრო მეტსაც გეტყვით, სადაც უნდა წავიდე, ახლობლებისთვის არც საჩუქრების ჩამოტანა მიყვარს, თუ სავალდებულოს არ ჩავთვლით, რომლებსაც აეროპორტის მაღაზიებში ვყიდულობ. არც საკუთარი თავისთვის მჩვევია შოპინგი და არც — ცოლისთვის. ჩემი ცოლი, შვეიცარიის გარდა, 2-3 ქვეყანაშია ნამყოფი, ისიც — ეპიზოდურად. ჩემზე მეტად ის არის სახლზე მიჯაჭვული.

**— საზღვარგარეთ თავისუფალი დრო როგორ გაგყავთ?**

— ამ დროს სასტუმროს ნომერში ვისვენებ. გართობა ჩემი ძლიერი მხარე არ არის. გართობის კულტურა არ გამაჩნია. თავისუფალ დროს ძირითადად ვკითხულობ. თუ ჩემს ქვეყანაში დაბრუნებამდე ერთი დღე მაქვს დარჩენილი, ამ დროს ნომერში ვატარებ. თუ კიდევ უფრო მეტი დრო მაქვს, ბილეთს ვცვლი და თბილისში მოვფრინავ.

**— მოგზაურობის დროს ყველაზე კომფორტულად ვისთან გრძნობთ თავს?**

— ძირითადად მარტოს მიწევს საზღვარგარეთ წასვლა. შეიძლება მოსაბეზრებელიც არის, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ მაინც მარტოს მირჩევნია მოგზაურობა, რადგან უფრო მობილური ვარ. მე სიარულის გარკვეული ტემპი და სხვადასხვა მიდრეკილებები მაქვს. როცა ვიღაცასთან ერთად ხარ, რაღაც კომპრომისებზე წასვლა მაინც გიწევს. ამით ვწუხდები, თუმცა იმას არ ვამბობ, რომ ეს კატასტროფაა, ვიღაცასთან ერთად წასვლა და სიტუაციაზე აწყობაც შემიძლია, მაგრამ მირჩევნია, მარტო ვიყო და დღის ის წესრიგი მქონდეს, რაც მინდა და სხვის დღის წესრიგზე არ ვიყო აწყობილი.

**— არც კაფე-ბარებსა და რესტორნებს სტუმრობთ?**

— ფაქტობრივად რესტორნებში არ დავდივარ. თბილისშიც კი სულ 2-3 რესტორანი ვიცი, ისინიც სასტუმროებზე მიბმული. საქმიანი შეხვედრის ორიენტირად რატომღაც ყველა რესტორანს მეუბნება, რომელიც, არასოდეს ვიცი, სად არის და დიდხანს უწევთ ამის ახსნა. სამზარეულო რომ ნაკლე-

**„სამხრეთ აფრიკაში ძირითადად ინდურ რესტორანს ვსტუმრობდი და ლობიოს ვჭამდი. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო ლობიო აქვთ. მეგრული სამზარეულოსი რომ გვიკვირს, ისინი იმდენად მწარე ლობიოს ამზადებენ, ვერც წარმოიდგენთ".**

ბად მაინტერესებს, მგონი, ისედაც მეტყობა. ვერც ერთი ქვეყნის სამზარეულოს გამოვარჩევდი. ქართული ცომეული ძალიან მიყვარს. ხინკალში ხორცზე უფრო მეტად ცომი მიყვარს. ქართული სამზარეულო მაინც ყველაზე მეტად მიყვარს. სამხრეთ აფრიკაში ძირითადად ინდურ რესტორანს ვსტუმრობდი და ლობიოს ვჭამდი. სხვათა შორის, მათ ძალიან საინტერესო ლობიო აქვთ. მეგრული სამზარეულოსი რომ გვიკვირს, ისინი იმდენად მწარე ლობიოს ამზადებენ, ვერც წარმოიდგენთ.

**— ფრენის დროს რითი იქცევთ თავს?**

— თვითმფრინავი არ მიყვარს და ალბათ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი, რომ მოგზაურობა ჩემთვის დამღლელი პროცესია. ფრენის დროს დისკომფორტი მაქვს, განსაკუთრებით კი დაჯდომის დროს ვიძაბები. დიდხანს ფრენის დროს წიგნს ვკითხულობ ან მძინავს, ეს ჩემი სტანდარტული პაკეტია. არავითარი ალკოჰოლი, მის მიმართ მწყრალად ვარ განწყობილი. ერთადერთი, ლუდს თუ დავლევ, მაგრამ ესეც არ მშველის, წონაში მაინც არ ვიმატებ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

# ბილუნდი – დანიის სურნელოვანი ფუნთუშა

ბილუნდი დანიის ერთ-ერთი ქალაქია. სწორედ აქ მდებარეობს ასაწყობი სათამაშოების კომპანიის „ლეგოს“ მთავარი ოფისი. „ლეგოს“ ქარხანა ქალაქის გარეუბანშია. 1968 წელს აქ პირველი გაიხსნა ლეგოლენდი, რომელსაც „ბილუნდის ლეგოლენდი ჰქვია.




ბილუნდი ტურისტებისათვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის, შეუდარებელი დასასვენებელი ადგილია. ტურისტული სეზონი მაისის ბოლოდან იწყება და სექტემბრის ბოლომდე გრძელდება. კულმინაციას კი ივლისსა და აგვისტოში აღწევს, როდესაც დამსვენებლები გაცილებით ჭარბობენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. ამ ქალაქში მოგზაურობის მსურველებს რამდენიმე რჩევის გათვალისწინება აუცილებლად მოგიწევთ.

### კლიმატი

ბილუნდისათვის ზომიერი კლიმატია დამახასიათებელი. ზამთარი — ცივი და ნალექიანი, ხოლო ზაფხული თბილი და მშრალია. ქალაქში თოვლი იშვიათად მოდის. ყველაზე ცივი თვე თებერვალია, ხოლო ყველაზე თბილი — აგვისტო. ზაფხულში ტემპერატურა 30 გრა-



Cyan Magenta Yellow Black

დუსამდეა, ხოლო ზამთარში -15 გრადუსამდე ეცემა.

## ფული

ბილუნდის, ისევე როგორც მთელი დანიის, ოფიციალური ვალუტა დანიური კრონაა. ქალაქში, ევროს გარდა, სხვა ვალუტით სარგებლობის იმედი ნაკლებად უნდა იქონიოთ. 1 ევრო 7,44 დანიური კრონის, ხოლო 1 ამერიკული დოლარი 5,36 დანიური კრონის ტოლფასია. გაითვალისწინეთ, ბილუნდში, განსაკუთრებით კი ტურისტულ სეზონზე, ნებისმიერი სახის მომსახურება ძვირია. როგორც წესი, ბანკებში ფულს ბევრად უფრო მაღალი კურსით გადაგიხურდავებენ, ვიდრე ქუჩაში. რაც შეეხება საკრედიტო ბარათებს, მათი დახმარებით ყველგან შეძლებთ შესვლას. მიუხედავად ამისა, გახსოვდეთ, რომ ქალაქის გარეუბანში არსებულ ბაზრობებზე თუ მოხვდებით, საკრედიტო ბარათების იმედი არ უნდა გქონდეთ. ბუნებრივია, მსგავს დაწესებულებებში შევაჭრება და ფასის დაკლება ჩვეულებრივი ამბავია. აი, დიდ საფირმო მაღაზიებში კი შევაჭრება უხეშობად და უზრდელობად ითვლება. რაც შეხება ხელის ქირას, მისი დატოვება საჭირო არ არის — თქვენს ანგარიშს ნებისმიერ შემთხვევაში დაემატება მომსახურების თანხა.

## ენა

უძველესი დროიდან მოყოლებული დანიის ოფიციალური ენა დანიურია. ასევე გავრცელებულია ფარერული, გრენლანდიური, კერძოდ კი, ინუიტური დიალექტი. დანიელებს ენების შესწავლისადმი საოცარი მიდრეკილება აქვთ. ინგლისური ნებისმიერი ასაკის ადამიანმა იცის. ასე რომ, თუ მცირეოდენი ინგლისური მაინც იცით, ბილუნდში პრობლემა არ შეგექმნებათ.

## რელიგია

დანიაში სახელწიფო რელიგია გამოცხადებული არაა, თუმცა მორწმუნეთა უმეტესობა, დაახლოებით 80%, ლუთერანები არიან, დარჩენილ რაოდენობას კათოლიკეები და მაჰმადიანები შეადგენენ.

## გადაადგილება

ბილუნდის აეროპორტი ერთ-ერთი უდიდესია დანიის აეროპორტებს შორის. ის ქალაქიდან 5 კილომეტრში მდებარეობს. ცენტრამდე მისვლა ავტობუსით ან ტაქსით შეგიძლიათ. გაითვალისწინეთ, რომ ბილუნდს სარკინიგზო სისტემა არ გააჩნია, ასე რომ, ქალაქში მოსახვედრად მატარებლის იმედი ნუ გექნებათ.

დანიის ნებისმიერი ქალაქიდან ბილუნდის მიმართულებით ყოველდღიურად გადიან ავტობუსები, ხოლო თვითმფრინავის რეისები შეზღუდულია.

ქალაქის ტერიტორიაზე გადასაადგილებლად, ყველანაირი თვალსაზრისით, ავტობუსი საუკეთესო საშუალებაა. თუ არჩევანი ტაქსიზე შეაჩერეთ, გირჩევთ, სახელმწიფო ტაქსით ისარგებლოთ, რადგან სახელმწიფო ტაქსის მძღოლები ინგლისურს ან გერმანულს კარგად ფლობენ.

ქალაქის მცხოვრებთათვის ველოსიპედი შეუცვლელი გადასაადგილებელი საშუალებაა. ველოსიპედისტებისათვის სპეციალური ტრასებია გამოყოფილი. ბილუნდში შედარებით ძველი ველოსიპედებით შეგიძლიათ უფასოდაც ისარგებლოთ. თითქმის ყოველი მეორე ქუჩის ბოლოს უფასო ველოსიპედების სადგომია. სპეციალურ აპარატში 20 კრონიანის ჩაგდების შემდეგ საკეტის გახსნასა და ველოსიპედის გამოთავისუფლებას შეძლებთ, ხოლო, როდესაც ველოსიპედს ადგილზე დააბრუნებთ, თქვენი 20 კრონიც უკან დაგიბრუნდებათ.

მანქანის დაქირავება კიდევ ერთი კარგი საშუალებაა, მაგრამ ძალიან ძვირი სიამოვნება გახლავთ. გახსოვდეთ, რომ ბილუნდში საკმაოდ დიდი ჯარიმებია საგზაო წესები დარღვევისათვის. ამდენად, სიფრთხილე გმართებთ.




ლეგოლენდი




## სამზარეულო

დანიური სამზარეულო მრავალფეროვანია, თუმცა გახსოვდეთ, რომ სხვა ქვეყნებში დაგემოვნებული დანიური კერძები არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ამ ქალაქში გასინჯავთ. ეროვნული სამზარეულო ხორცზეა დაფუძნებული. შემდეგ ყველაზე დიდი პოპულარობით რძის პროდუქტები სარგებლობს. ღორის ფარშით მომზადებული ფრიკანდელერი, ხბოს ღვიძლის ლივერპოსტრეი, ჰამბურგერი და სხვა საფირმო თუ ხალხური კერძები დაუვიწყარ გემოს დაგიტოვებთ. აღსანიშნავია, რომ დანიელები თევზის ჰამბურგერსაც ამზადებენ.

დილაობით ქუჩებში კაფეებთან ისეთი გემრიელი დანიური როლებისა და კრუასანების სუნი გამოდის, შეუძლებელია, არ შეხვიდეთ და არ დააგემოვნოთ ეს არაჩვეულებრივი საკონდიტრო ნაწარმი. დანიელები ძირითადად შავ პურს სცემენ პატივს. ფასები საკმაოდ ძვირია.

ზოგიერთი ქვეყნის ხალხისათვის ყავა ტრადიციაა, სხვისთვის — ეგზოტიკა, მავანთათვის — ჩვევა, დანიელებისათვის კი ეს რელიგია და ცხოვრების სტილია. დანიელები ძალიან ბევრ ყავას სვამენ დღე-ღამის ნებისმიერ დროს. სტატისტიკური მონაცემებით, საშუალოდ ყოველი დანიელი დღეში 5 ჭიქა ყავას სვამს, ხოლო მოსახლეობის მეოთხედი (25-80 წლის ასაკის) — 1 ლიტრზე მეტს. ჩაი აბსოლუტურად არ სარგებლობს მსგავსი სიყვარულით. დანიური დილა წარმოუდგენელია ერთი ჭიქა ყავის გარეშე, იგი საღამოს აუცილებელ ატრიბუტსაც წარმოადგენს. თუ დანიურმა ოჯახმა საღამოს სტუმრად დაგპატიჟათ, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ყავას ტორტთან ან ნაყინთან ერთად მოგართმევენ. ადგილობრივებს ძალიან უყვართ ალკოჰოლური სასმელები, განსაკუთრებით — ლუდი.

## ღირსშესანიშნაობები

45 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბილუნდში მსოფლიოში პირველი ლეგოლენდი გაიხსნა. მას შემდეგ ძალიან განვითარდა და დღეს აქ წარმოდგენილია ლეგოთი აწყობილი სხვადასხვა ნამუშევრები, ქანდაკებები და ა.შ. ლეგოლენდი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა, იგი 50.000.000 ლეგოს კუბიკისგან შედგება. ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ლეგოს გიგანტური პარკი, რომელშიც დანიისა და ევროპის ყველაზე სახელგანთქმული შენობების მინიატურული ვერსიებია წარმოდგენილი. პარკში დიდი სათამაშო მოედანი, სათხილამურო პატარა მთა და ხელოვნური ტბაა განთავსებული.

თუ ბილუნდს თავზე გადაუფრენთ, იქაური სახლები ლეგოს კონსტრუქტორით აგებული მოგეჩვენებათ — პატარა, კოხტა, ფერად-ფერად და ერთმანეთს მიწყობილ სახლებში მხიარული ადამიანები ცხოვრობენ. ისინი ყველაზე გულკეთილი ხალხია, ამ სახლებში მუდამ ელიან სტუმარს, მუდამ გიზგიზებს ბუხარი, მაგიდაზე დგას დოქით რძე, ჰაერში კი ფუნთუშების სუნი ტრიალებს.

## უსაფრთხოების წესები

ბილუნდი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დაცული ქალაქია. არეულობისა და გაუგებრობის თავი ისევ და ისევ ტურისტები ხდებიან. თავად დანიელები ძალიან სტუმართმოყვარენი არიან. ასე რომ, დანიურ ენაზე ერთი-ორი ფრაზის სწავლის შემთხვევაში ბილუნში თავს ძალიან წყნარად და მშვიდად იგრძნობთ.

რასაც დანიელების წყობიდან გამოყვანა შეუძლია, ეს არაპუნქტუალურობაა. აგრეთვე მოერიდეთ პირადულ შეკითხვებს. გაითვალისწინეთ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხმამაღალა საუბარი უზრდელობაა.

## უბის წიგნაკი

**სახელმწიფო — დანია;**
**ქალაქი — ბილუნდი;**
**ფართობი — 536.51 კვ.კმ;**
**მოსახლეობა — 6139;**
**ვალუტა — დანიური კრონა;**
**ენა — დანიური.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black



# მამის ღალატმა ქალიშვილს მომავალი წაართვა

## „ბავშვობის წლები სიძულვილში გავატარე“

ცოლქმრული ღალატი, ოჯახური სკანდალები მოზარდი შვილის ფსიქიკაზე, შემდგომ კი მთელ მის ცხოვრებაზე მძიმე, წარუშლელ დაღად რჩება. ბავშვობიდან გამოყოლილმა ტვირთმა ადამიანს ხასიათიც კი შეიძლება შეუცვალოს, ხასიათი კი, თავის მხრივ, ბედს განსაზღვრავს. ჩვენი რესპონდენტი, ქალბატონი მარინე, ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითია. მამის ულირსმა საქციელმა, ოჯახში დატრიალებულმა დრამამ ზოგადად მამაკაცების მიმართ დაუკარგა ნდობა, ვერავის შეყვარება შეძლო. ქალი, რომელიც ალბათ შესანიშნავ ოჯახს შექმნიდა, დღეს სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს...

უფრო დაწვრილებით თავის ცხოვრებაზე ქალბატონი მარინე თავად მოგვიყვება:

— ჩემს მშობლებს ერთმანეთი სიყმაწვილის ასაკიდან უყვარდათ. ფიზიკურად და მენტალობითაც ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ. მათ ყველა შეჰხაროდა. ქუჩაში რომ მიდიოდნენ, უცხო ადამიანები თვალს აყოლებდნენ, ძალიან ლამაზები იყვნენ. ბედნიერი ოჯახიც შექმნეს და ერთი წლის შემდეგ ამ ქვეყანას მეც მოვევლინე. ამბობენ, როცა ცოლ-ქმარი ერთმანეთს ჰგავს, მტკიცე ოჯახური ცხოვრება ექნებათო. ასეც იყო, სანამ მამა კაცობაში არ შევიდა და ფიზიკურად არ შეიცვალა. დედა კი ისეთივე ქალიშვილური, თითქმის ბავშვური გარეგნობის დარჩა, როგორიც ადრე იყო.

— **მამის ფიზიკურ ცვლილებას ცოლქმარს შორის ურთიერთობაშიც ცვლილება მოჰყვა?**

— მამას შემოსავალი რომ გაუჩნდა, ცხოვრების სტილი შეიცვალა. ხშირად მიდიოდა მეგობრებთან ერთად საქეიფოდ, წონაში მოიმატა, ქართველი კაცების „სიამაყე“ — ღიპი დაედო. როგორც ჩანს, ქალებსაც არ იკლებდა. დედა უკვე თვალში ეპატარავებოდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რა დაბალი და გამხდარი ხარო, გაკვირვებით ეუბნებოდა, თითქოს ეს წლების შემდეგ აღმოაჩინა. არადა დედა გამხდარი, მაგრამ არცთუ ტანმორჩილი იყო. ქმარი, როგორც თანასწორს, ისე აღარ უყურებდა. გამუდმებით შენიშვნებს აძლევდა, თითქოს დედა პატარა ბავშვი ყოფილიყო. ცოლს აშკარად ჩაგრავდა, არ უფრთხილდებოდა, მოურიდებლად ექცეოდა.

— **დედათქვენი ქმრის ასეთ საქციელზე როგორ რეაგირებდა?**

— დედა გაწონასწორებული და თავშეკავებული ქალი იყო, ქმრის გამოწვევას არ ჰყვებოდა. ჩემი თანდასწრებით არც ეპასუხებოდა. არაფერში კიცხავდა, არც ზურგს უკან აკრიტიკებდა. მამას მხოლოდ ტკბილად ელაპარაკებოდა, ასეთი მიდგომით მის სიფიცხეს ალბობდა.

— **თქვენ მიმართ რა დამოკიდებულება ჰქონდა მამას?**

— ძალიან ვუყვარდი და მანებივრებდა. რა უნდა მეთხოვა, რომ არ შეესრულებინა. მეც უზომოდ მიყვარდა, შეიძლება ითქვას, დედაზე მეტად. ვაღმერთებდი! მერე მამას ცხოვრებაში ერთი საბედისწერო ქალი გაჩნდა და ყველაფერი თავდაყირა დადგა. ის ქალი მამაჩემის საყვარლის სტატუსით არ დაკმაყოფილდა, დედაჩემისთვის ქმრის წართმევას ცდილობდა და ამისთვის ბინძურ მეთოდებს მიმართავდა.

— **კონკრეტულად რა მოიმოქმედა?**

— ტელეფონით არეკვინებდა თავის დაქალებს, დედას ეუბნებოდნენ, ქმარს არ უყვარხარ და თავი დაანებე, შენთან მხოლოდ სიბრალული აკავშირებს და იტანჯება, საშუალება მიეცი, ბედნიერი იყოსო. იმასაც ეუბნებოდნენ, რომ იმ ქალთან ერთად ლოგინში ნებივრობდა, კოორდინატებსაც კი აძლევდნენ. ერთი სიტყვით, ჩვენი ოჯახის დასანგრევად თავდაუზოგავად, ჯგუფურად იბრძოდნენ.

— **თქვენც იცოდით ამ პროვოკაციული ზარების შესახებ?**

— ვატყობდი, რომ დედას სატელეფონო ზარების შემდეგ ფერი ეცვლებოდა, გუნება უფუჭდებოდა. ერთ დღესაც რამდენჯერმე დაურეკეს. დედა ყურმილს უსიტყვოდ უკიდებდა, ასე ამიხსნა — სხვაგან ხვდებიანო. მაღაზიაში პროდუქტის საყიდლად რომ გადიოდა, ტელეფონის შნურს რთავდა. მივხვდი, რაღაცას მიმალავდა. გავიდა თუ არა გარეთ, ტელეფონი ჩავრთე და მაშინვე გაისმა ზარი. ყურმილს ვწვდი, უფროსი ადამიანივით ხმა დავიბოხე და ისე ვუპასუხე. ახლაც ყურში ჩამჩხავის იმ უტიფარი ქალის სიტყვები — თითქოს მე და დედა ვუშლიდით ხელს მამას ბედნიერებას. იმ ქალის დაქალი დედაჩემს ამცირებდა, შეურაცხყოფას აყენებდა. ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, შენც მოგკლავ და იმ ქალსაც-მეთქი. მერე კვლავ გამოვრთე ტელეფონი და დედას ისე დავხვდი, ვითომ არაფერი მომხდარა. სამაგიეროდ ნერვიულობისგან ტემპერატურამ ამიწია. ძალიან ცუდად გავხდი.

იმ ღამით მამა ნასვამი დაბრუნდა შინ და დედას დაეტაკა, შენ ვის ემუქრები სიკვდილითო. ახალი ჩაძინებული ვიყავი, მამაჩემის ყვირილმა რომ გამაღვიძა. მაშინვე სასადილო ოთახში გავქანდი, სადაც ჩემი მშობლები იმყოფებოდნენ. დავინახე, როგორ გაარტყა მამამ დედას ხელი და ყელში

**„მამას თავისი ოჯახის დაცვა არც უცდია, პირიქით, ის ბინძური ქალი დაიცვა ჩვენგან, თითქოს ჩვენ ვიყავით დამნაშავენი, მტაცებლები და თავდამსხმელები. ის ქალი მთელი გულით მძულდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მამაც შემძულდა — ჩემი სათაყვანებელი ადამიანი“.**

სწვდა. საკუთარ თავს არ ჰგავდა, გავეშებული იყო. დედას შეეშვი-მეთქი, ვიყვირე და მამას ფეხებში ჩავაფრინდი. მამამ წიხლი მკრა და გადამაგდო. იმ დროს მხოლოდ 8 წლის ვიყავი. მამა მილიციის მუშაკი იყო და იარაღს ატარებდა. ვიცოდი, სადაც ინახავდა. ამოვიღე და დავუმიზნე, დედას ახლავე ხელი გაუშვი, თორემ გესვრი-მეთქი. დედაჩემის კივილმა მამაც გამოაფხიზლა და მეც. მამამ დამიყვავა, მომეფერა. მერე იარაღი გამომართვა და გადამალა. დედა ტიროდა და გულში მიკრავდა.

— **მამამ რაიმე ფორმით მოინანია თავისი საქციელი, ბოდიში მოგიხადათ?**

— კარადიდან არაყი გამოიღო და გადაჰკრა, მერე დივანზე გაიშხლართა და ხვრინვა ამოუშვა. დედამ კი ბარგი ჩაალაგა და დეიდასთან წავედით. მას შემდეგ ჩვენს სახლში აღარ დავბრუნებულვართ. მამა თითქოს ამ დღეს ელოდაო, დედასთან შერიგება არც უცდია.

იმ პერიოდში ძალიან ცუდად გავხდი, სწავლას მოვუკელი, ნევროზული გამოვლინებები დამეწყო. რამეს თუ ავიკვიატებდი, ვეღარ მაჩერებდნენ. დედაც შეუძლოდ იყო, დასუსტდა, კაფანდარა ქალისგან ძვალი და ტყავი დარჩა. ენერგია წაერთვა, ლოგინიდან რომ დგებოდა, წონასწორობას ვეღარ იცავდა. დეიდა გვივლიდა ორივეს.

— **ამის შემდეგ თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართა?**

— სამ თვეში მამამ ის ქალი ცოლად მოიყვანა. ძალიან განვიცადე. ცუდად ვხდებოდი, რომ წარმოვიდგენდი, როგორ ცხოვრობდა უცხო ქალი ჩვენს სახლში. ღამღამობით ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავდი. ვიღაც

**„სიყვარულს გავურბოდი. მეგონა, მეც ისევე მიმატოვებდნენ, როგორც თავის დროზე დედას მოექცნენ. დედაჩემს მამა, ყველაფრის მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა, ამ გრძნობის სანაცვლოდ კი რა მიიღო? სიყვარულის მიმართ ნდობა დავკარგე“.**

გარეწარი ქალები მე და დედას დაგვცინოდნენ და შინიდან გვაგდებდნენ, მამა კი მდუმარედ უყურებდა ამ ყველაფერს და ჩვენს დაცვას არ ცდილობდა. ტირილით ვიღვიძებდი, ვყვიროდი და დედას ვეკვროდი... პრინციპში, ასეც მოხდა: მამას თავისი ოჯახის დაცვა არც უცდია, პირიქით, ის ბინძური ქალი დაიცვა ჩვენგან, თითქოს ჩვენ ვიყავით დამნაშავენი, მტაცებლები და თავდამსხმელები. წლები რომ მემატებოდა, ამას უფრო ცხადად ვიაზრებდი და ბოლმა მკლავდა. ის ქალი მთელი გულით მძულდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მამაც შემძულდა — ჩემი სათაყვანებელი ადამიანი და ბავშვობის დარჩენილი წლები ამ სიძულვილში გავატარე.

— **ასეთ დროს ბავშვები განსაკუთრებით დათრგუნულები, ეგოისტები და კომპლექსიანები ხდებიან. თქვენს ხასიათზეც იმოქმედა მშობლის ღალატმა?**

— მეც ასეთი გავხდი. მამამ რომ იმ ქალთან შვილი გააჩინა, ისეთი გაბოროტებული ვიყავი, მინდოდა, ჩვილი ნაგვის ურნაში გადამეგდო. თავში საშინელი აზრები მომდიოდა. ყველაფერი მაღიზიანებდა. ამხანაგების მამებს რომ ვხედავდი, ჩემში ესეც უარყოფით ემოციებს იწვევდა. მამაჩემზე თუ რამეს მკითხავდნენ, ვეუბნებოდი, მოკვდა-მეთქი. თან ისეთი სახე მიხდებოდა, ზედმეტ კითხვას ვეღარ მისვამდნენ.

— **მამამ ასე მარტივად მოგიკვეთათ გულიდან? თქვენი ნახვა არ უცდია?**

— შვილი რომ შეეძინა, მერე გავახსენდი. დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, მაგრამ ღრიალით ავიკელი იქაურობა, თავი დამანებე, ვინ ხარ, არ გიცნობ, მამა მომიკვდა-მეთქი. დედა ძალიან წუხდა ჩემი ამ მდგომარეობის



Cyan Magenta Yellow Black

გამო და ჩემს დამშვიდებას ცდილობდა — უმანკო ბავშვს არაფერი დაუშავებია, გვინდა თუ არ გვინდა, შენი ძმააო. ვპასუხობდი, შენ რომ შვილს გააჩენ, ის იქნება ჩემი ძმა, მაგ ბავშვს ვერ ვიტან-მეთქი. ვეხვეწებოდი, ვინმე კარგი კაცი ნახე, გათხოვდი და ძმა გამიჩინე-მეთქი.

— **მართლა გინდოდათ, მამინაცვალი გყოლოდათ თუ ამას მამას ჯიბრზე ამბობდით?**

— მსურდა, დედა ბედნიერი ყოფილიყო. რაც მამას დაშორდა, მის სახეზე ღიმილი აღარ მინახავს. მართლაც, დედაჩემის ცხოვრებაში ცვლილება მოხდა, გაიცნო ემზარი, ყურადღებიანი და მზრუნველი მამაკაცი, რომელმაც ცოლობა სთხოვა. დედა ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, მე და დეიდას შემოგვყურებდა. დეიდა ეუბნებოდა, თუ ემზარის გვერდით თავს მშვიდად და საიმედოდ გრძნობ, უარს ნუ ეტყვი, დაბრკოლებას ნუ იქმნიო. დეიდა თავად გაუთხოვარი იყო.

— **თქვენ გაგიხარდათ დედის ცხოვრებაში ემზარის გამოჩენა?**

— გამიხარდა. როგორც გითხარით, მინდოდა, დედა გათხოვილიყო და ჩემთვის ძმა გაეჩინა. მაშინ 13 წლის ვიყავი. მეგონა, მამის დაკარგვით გამოწვეულ სიცარიელეს შემივსებდა, ტრავმას მომიშუშებდა.

დედა ემზარის ცოლი გახდა. ოცნება ამისრულა — ძამიკო გამიჩინა, სახელი დაჩი მე შევურჩიე. ძალიან ლამაზი ბავშვი იყო, თეთრი, ღუნღულა. სული მელეოდა მასზე. ეზოში ვასეირნებდი, ვუვლიდი. ჩვენ შორის განსხვავება 15 წელი იყო. ჩემი თანატოლი გოგონები რომ ბიჭებს ეპრანჭებოდნენ, მე პატარა ძმას დავკანკალებდი — მისი არსებობა მეამაყებოდა... მაგრამ ბავშვის დაბადებას დიდი უბედურებაც მოჰყვა: დედა მოულოდნელად დაუძლურდა და რამდენიმე ხანში გარდაიცვალა. ექიმებმა დიაგნოზი ვერ დაუსვეს. დედას გარდაცვალებამ თავზარი დამცა — იმაზე მეტად მყვარებია, ვიდრე მეგონა. მის მიმართ არამარტო შვილის, არამედ იმ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობდი, რაც მამაჩემს უნდა ჰქონოდა. მამაჩემი დაკრძალვაზე არ მოსულა, იმდენად ეგოისტი იყო — ვერ მოინელა, დედას სხვა ქმარი რომ ჰყავდა.

**„მომაკვდავ დედას პირობა მივეცი, რომ დაჩის არასდროს მივატოვებდი. მეგონა, თუ გავთხოვდებოდი, ამით ძმას ვუღალატებდი. ვალი მოვიხადე — დაჩი კაცად იქცა, ყოველმხრივ დადებითი პიროვნებაა“.**

— **დედათქვენის გარდაცვალების შემდეგ მამა ურთიერთობის განახლებას ხომ არ შეეცადა?**

— ეცადა, მაგრამ მისი დანახვაც არ მინდოდა. დედის სიკვდილში მას ვადანაშაულებდი, ასევე — საკუთარ თავსაც. მამას მხოლოდ იმიტომ შევხვდი, რომ მეთქვა, მაშინ შენს საყვარელს მოკვლით მე დავემუქრე და არა — დედა-მეთქი, თუმცა ეს არც თავის დროზე და არც მაშინ არაფერს შეცვლიდა. ეს კარგად მქონდა გაცნობიერებული. უბრალოდ არ მსურდა, ეს საიდუმლო გულით მეტარებინა, თანაც მისი გამწარება მინდოდა.

— **დედას შემდეგ როგორ გააგრძელეთ ცხოვრება?**

— ემზარი რუსეთში წავიდა სამუშაოდ და ალბათ გულის გადასაყოლებლადაც. იქიდან საარსებო თანხას გვიგზავნიდა. დაჩი 2 წლის იყო, მე და დეიდა ვუვლიდით. მერე დეიდას სახსრების დაავადება აღმოაჩნდა, დაუძლურდა. დეიდას — შვილობას, დაჩის კი დედობას ვუწევდი.

— **საკუთარი ოჯახი ამის გამო ვერ შექმენით?**

— მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სიყვარულს გავურბოდი. მეგონა, მეც ისევე მიმატოვებდნენ, როგორც თავის დროზე დედას მოექცნენ. დედაჩემს მამა, ყველაფრის მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა, ამ გრძნობის სანაცვლოდ კი რა მიიღო? სიყვარულის მიმართ ნდობა დავკარგე.

— **ალბათ თქვენს ცხოვრებაში არც გამოჩნდა ისეთი კაცი, ვინც ამ ბარიერს დაგაძლევინებდათ.**

— მოგვიანებით შემხვდა ერთი დადებითი პიროვნება, რომელსაც ჩემ მიმართ სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა. შეიძლებოდა მას დაებრუნებინა ჩემთვის სიყვარულის და ერთგულების მიმართ ნდობა, ამის საშუალება რომ მიმეცა.

— **რატომ შეუშალეთ ხელი?**

— მომაკვდავ დედას თავის დროზე პირობა მივეცი, რომ დაჩის არასდროს მივატოვებდი. მეგონა, თუ გავთხოვდებოდი, ამით ძმას ვუღალატებდი, ყურადღებას მოვაკლებდი. თანაც იმ პერიოდში დაჩის გარდატეხის ასაკი ჰქონდა და ხასიათი ძალიან გაურთულდა. ჩემი მხარდაჭერა სჭირდებოდა, ქუჩა-ქუჩა დავდევდი. ღვთის მადლით, ესეც გადავლახეთ. უმაღლესი სასწავლებელიც დავამთავრებინე. ერთი სიტყვით, ვალი მოვიხადე — დაჩი კაცად იქცა, ყოველმხრივ დადებითი პიროვნებაა. ასე რომ, არაფერს ვნანობ. ალბათ რაც ხდება, ყველაფერი ღვთის ნებაა.

— **ამჟამად ვისთან ერთად ცხოვრობთ?**

— მე დეიდასთან დავრჩი, დაჩიმ კი ცოლის მოყვანის შემდეგ ცალკე ბუდე გაიკეთა. ჩემი რძალი ძალიან კარგი გოგოა, წესიერი, კულტურული, განათლებული. მუშაობს და თან ოჯახს უვლის. შვილების მოვლაში ვეხმარები. შესანიშნავი ბავშვები ჰყავთ, ცხოვრებას მივსებენ და მიხალისებენ.

✓ **ნანა კობახიძე**

# როგორ შევიმსუბუქოთ წინამენსტრუალური სინდრომი



წინამენსტრუალური სინდრომი ქალთა 80%-ისთვის კარგად ცნობილია. უძილობა, დაღლა, მკერდში ტკივილი, გაძლიერებული მადა, ფსიქოლოგიური დისკომფორტი — ყველაფერი ეს ნიშნებია, რითაც წინამენსტრუალური სინდრომი „გვასაჩუქრებს“.

## შესატყვისი რაციონი

პერიოდული უქეიფობის მოთმინებით ატანა საუკეთესო გამოსავალი არ არის. ბევრი ქალისთვის კრიტიკული დღეების წინ მდგომარეობის შესამსუბუქებლად ცხოვრების წესის შეცვლაც საკმარისია. საჭიროა თამბაქოს მოწევაზე, ალკოჰოლსა და ყავაზე უარის თქმა, მარილისა და სითხის შეზღუდვა. კარგია ნატურალური შარდმდენი საშუალებების (როგორიცაა დათვის კენკრა, შვიტა) და დამამშვიდებელი ბალახების (ვალერიანის ნახარში) მოსინჯვა.

არსებობს სპეციალური დიეტა, რომლის ძირითადი შემადგენელია ნახშირწყლები, რაც სეროტონინის გამომუშავებას ეხმარება. ეს უკანასკნელი განწყობას ამაღლებს და ძილს არეგულირებს. სასარგებლოა მთლიანი მარცვლის ფაფები, ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი, მაკარონის ნაწარმი. დროდადრო საჭიროა ცხიმების, ცხოველური ცილებისა და ადვილადათვისებადი ნახშირწყლების შეზღუდვა.

განსაკუთრებული ყურადღება დეფეკაციას დაუთმეთ. ნაწლავების რეგულარულად დაცლა ტკივილს ამცირებს. ამიტომ კრიტიკული დღეების დადგომამდე ერთი კვირით ადრე უხეში უჯრედისებით მდიდარ საკვებს (ბოსტნეული, რუხი პური, გაუთლელი ბრინჯი) მიეძალეთ.

## იმოძრავეთ!

სტრესი ჰორმონულ სისტემაზე უარყოფითად მოქმედებს. ამიტომ მას მოერიდეთ. არ დაივიწყოთ დასვენება. მუშაობის დროს შეისვენეთ. ძილისთვის საკმარისი დრო გამოყავით, თავის სასიამოვნო წვრილმანებით განებივრება ისწავლეთ. შემჩნეულია, რომ წინამენსტრუალური სინდრომის დაძლევას ფიზიკური აქტივობა წამლებზე უკეთესად ეხმარება. სპორტი ხელს უწყობს ქსოვილების ჟანგბადით უკეთესად მომარაგებას. ამიტომ ორგანიზმიდან ტოქსინები უფრო სწრაფად იდევნება. გარდა ამისა, ცნობილია, წინამენსტრუალურ ფაზაში ორგანიზმში ენდორფინების დონე ქვეითდება, ხოლო აქტიური მოძრაობის დროს, პირიქით, სიამოვნების ჰორმონების გაძლიერებული გამომუშავება ხდება, რაც დამატებითი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა.

ეცადეთ, აგრესიისა და რისხვის შეტევები შეიკავოთ. უმჯობესია, ურთიერთობის გარკვევა და უსიამოვნო საუბრები, ასევე ძირითადი პრობლემების გადაწყვეტა უფრო კეთილსასურველი დროისთვის გადადოთ. ჰარმონიის შეგრძნების დაბრუნებაში მედიტაცია და აუტოტრენინგი დაგეხმარებათ.

✓ **მოამზადა აზა გაგოშიძემ**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



# ქალის სილამაზის მტრები

„რაც გვაქვს, არ ვუფრთხილდებით, როდესაც ვკარგავთ, მივტირით“ — ეს ცნობილი ანდაზა სრულად მიესადაგება ჩვენს უდარდელ დამოკიდებულებას ახალგაზრდობისა და სილამაზის მიმართ. მათ არ ვუფრთხილდებით და ვფლანგავთ, სანამ გვაქვს, მერე კი დაკარგულზე ვწუხვართ და ვნაღვლობთ. სახელდობრ, რა არის ქალის სილამაზის მტრები?

## პირველი მტერი — მზე

მისი სხივები ყველა ჩვენგანისთვის აუცილებელია, მაგრამ, ამავდროულად, მისი სიჭარბე ძალიან მავნეა. ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ეპიდერმისში გროვდება მავნე თავისუფალი რადიკალები, რომლებიც კანის უჯრედების მემბრანებს აზიანებენ. ასევე მაღლდება ფერმენტ კოლაგენაზის აქტივობა, რომელიც კოლაგენსა და ელასტინს (ცილის მოლეკულები, რომლებისგანაც აგებულია კანის მატრიცული სტრუქტურა) შლის. შედეგად კანი შრება, თხელდება, სიმკვრივესა და ელასტიკურობას კარგავს, წვრილი ნაოჭებით იფარება. ჰიპერპიგმენტაცია — მრავლობითი პიგმენტური ლაქა, კანის არათანაბრი შეფერილობა — ასევე მისი დაბერების ნიშანია, რაც არაზომიერი გარუჯვით არის გამოწვეული.

**თავდაცვის ზომები:** დაუცველი კანი მზის პირდაპირი სხივებს არასდროს მიუშვიროთ. აუცილებლად წაისვით მზისგან დამცავი საშუალებები და არ დაგავიწყდეთ, ფენა ყოველ 2 საათში განაახლოთ, განსაკუთრებით ბანაობის შემდეგ. ატარეთ ფართოფარფლიანი შლიაპა და მზის სათვალე. პლაჟზე მხოლოდ ქოლგის ქვეშ დაწექით. ზაფხულში პილინგმა არ გაგიტაცოთ. ჩვენს კანს ულტრაიისფერი სხივებისგან რქოვანას ფენის უჯრედებიც იცავენ.

## მეორე მტერი — თამბაქო

სიგარეტის ბოლი 400-ზე მეტ მავნე ქიმიურ შენაერთს შეიცავს, მათ შორის 50 კანცეროგენულია (კიბოს გამომწვევი). თითოეული მოწეული სიგარეტი პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმებს იწვევს, რაც მიკროცირკულაციას აუარესებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს კანს ძალიან ცოტა ჟანგბადი და მკვებავი ნივთიერებები მიეწოდება. ამასთან სისხლში ნახშირბადის ჟანგის კონცენტრაცია (მავნე ნივთიერება, რომელიც ბოლით ფილტვებში ხვდება) მაღლდება. ამით აიხსნება კანის მორუხომოყვითალო ფერი თავგამოდებულ მწეველებში. კანთან შეხებისას ბოლი მას აშრობს, აღიზიანებს, ნაოჭებს (განსაკუთრებით ბევრია პირის ირგვლივ) აჩენს.

**თავდაცვის ზომები:** მოწევას თავი დაანებეთ. სადღეისოდ არსებობს ბევრი პრეპარატი, რომლებიც ამის მიღწევაში ეხმარება. მაგალითად, ნიკოტინის პლასტირები ყველა მწეველში სიგარეტზე უარის თქმის დროს აღმოცენებულ მდგომარეობას ამსუბუქებს. ასევე საჭიროა ვიტამინური პროფილაქტიკის ჩატარება, ვინაიდან მწეველებში A, C, D და $B_{12}$ ვიტამინების, ფოლიუმის მჟავის, ბეტა კაროტინის დეფიციტი აღინიშნება.

## მესამე მტერი — სტრესი და გამოუძინებლობა

გამოუძინებლობა და სამუშაოზე მუდმივი გადატვირთვა სტრესს იწვევს. ხანგრძლივი სტრესის შედეგად თირკმელზედა ჯირკვალი გაძლიერებულად გამოიმუშავებს კორტიზოლს (მას ტყუილად არ უწოდებენ „სტრესის ჰორმონს“). ეს ნივთიერება მთელ ორგანიზმს სწრაფად აბერებს. სტრესი, პირველ რიგში, კანზე აისახება. მის უჯრედებში გაცვლითი პროცესები ნელდება, კანი ვიტამინებსა და ნორმალური ცხოველქმედებისთვის აუცილებელ მაკროელემენტებს ვერ იღებს. ამიტომ უფერულდება, მიწისფერი ედება, შრება.

გამოუძინებლობის დროს ზრდის ჰორმონის სინთეზი ნელდება, რომელიც ჩვენი ორგანიზმის უჯრედების განახლება-აღდგენაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

**თავდაცვის ზომები:** ისწავლეთ უსიამოვნებებს ფილოსოფიურად მიუდგეთ. ისინი გარდაუვალია, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. იფიქრეთ კარგზე, იოცნებეთ მომავალზე და პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით. დასაძინებლად ადრე დაწექით, რაც შეიძლება მეტი დრო გაატარეთ ბუნებაში და თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ხშირად გქონდეთ ურთიერთობა. სტრესს კარგად ხსნის ნებისმიერი შემოქმედებითი გატაცება: ხატვა, ქსოვა, ქარგვა.

## მეოთხე მტერი — ალკოჰოლი

სპირტიანი სასმელების არაზომიერად მოხმარება ღვიძლის მუშაობას არღვევს, თირკმლების ფილტრაციას ანელებს. შედეგად თირკმლების ქრონიკული უკმარისობა აღმოცენდება, რაც გაძლიერებული შეშუპებით ვლინდება. ალკოჰოლი სისხლძარღვებს აფართოებს. ერთ-ერთი გამოვლენაა კუპეროზი (კანის ზედაპირზე წვრილი სისხლძარღვების ბადის გაჩენა). ალკოჰოლი კალციუმის ნორმალურ შეთვისებას აბრკოლებს. ეს ელემენტი კი პასუხისმგებელია არამხოლოდ ძვლების სიმაგრეზე, ასევე თმისა და ფრჩხილების მდგომარეობაზე.

**თავდაცვის ზომები:** მოერიდეთ კონიაკსა და მაგარ ღვინოს. დღეში დასაშვებია არაუმეტეს ერთი ბოკალი წითელი ღვინო. ასეთი რაოდენობის წინააღმდეგნი არ არიან არც ექიმები და არც კოსმეტოლოგები. მასში ბევრი ვიტამინი და ანტიმჟანგავია.

## მეხუთე მტერი — სიზარმაცე

ხშირად მტვრისა და კანის ცხიმისგან სახის გასუფთავება გვეზარება, ზოგჯერ კი პირს არ ვიბანთ და დასაძინებლად კოსმეტიკით ვწვებით. ბუნებრივი სიზარმაცე ხელს გვიშლის თუნდაც ყველაზე მარტივი სახის ნიღაბი გავიკეთოთ. ბევრ ჩვენგანს სახის კრემით გამოკვება ავიწყდება. შედეგად, კანი ტენს კარგავს, საჭირო საკვებს ვერ იღებს, ფორების დაცობა ხდება და შავი წერტილები ჩნდება. ცხიმის სეკრეტი, მაკიაჟის ნარჩენებთან ერთად, კანს სუნთქვის შესაძლებლობას არ აძლევს. ჩვენი სიზარმაცის შედეგი სახეზეა — კანის დაბერების ნიშნები დაუყოვნებლივ ჩნდება.

**თავდაცვის ზომები:** დილით და საღამოს კანის გასასუფთავებლად 5 წუთი გამოყავით, დამატენიანებელი ან მკვებავი კრემი წაისვით. ამაში რთული არაფერია. სამაგიეროდ სრულყოფილი ზრუნვიდან ერთი კვირის შემდეგ კანი თავისი მოვლილი გარეგნობით გაგახარებთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

## წოლა ზედმეტი არ მოგივიდეთ



ავადმყოფობის დროს წოლითი რეჟიმი მეტად მნიშვნელოვანია გვერდითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ამით ბოროტად არ უნდა ისარგებლოთ. ხანგრძლივად წოლის დროს სისხლის მიმოქცევის პროცესი ირღვევა, რასაც შეიძლება შედეგად გართულებები მოჰყვეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შინაურ პირობებში მკურნალობის დროს შენობაში ტემპერატურა არაუმეტეს პლუს 20 გრადუსისა იყოს, ხოლო ტენიანობა არანაკლებ 45%-ისა. თუ ძალიან ცხელა, ორგანიზმი გადახურდება, ხოლო თუ სიმშრალეა, მაშინ ცხვირის, პირისა და ფილტვების ლორწოვანი გამოშრება, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან ცუდია.



Cyan Magenta Yellow Black

# უძილობის მიზეზები ბავშვებში



1. **შიმშილი** — დედის რძეში არსებული ცხიმები პატარაზე საძილე საშუალებასავით მოქმედებს. საღამოს პერიოდში დედის რძეში ცხიმების რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს, ამიტომ ჩვილები, რომლებიც ბუნებრივ კვებაზე იმყოფებიან, ღამით უფრო იშვითად იღვიძებენ (რადგან ნაკლებად აწუხებთ შიმშილის გრძნობა), ვიდრე ის პატარები, რომლებიც ხელოვნურ კვებაზე არიან.

2. **დედის სითბო და სურნელი** — თუ ბავშვს იშვიათად იყვანთ ხელში, ნაკლებად ეფერებით, ეს სერიოზული საბაბია ნევროზისთვის! პატარა ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდიდან მიჩვეულია დედის გულისცემის ფონზე მშვიდად დაძინებას, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია, ხშირად ესმოდეს დედის გულისცემა და გრძნობდეს მის სურნელს. ასე მშვიდდება და ტკბილად იძინებს.

3. **სიცივე** — ღამის საათებში ბავშვის სხეულის ტემპერატურა შედარებით კლებულობს, ამიტომ, როგორც წესი, მიიწევს დედის სხეულისკენ, რათა ჩაეხუტოს და გათბეს.

4. **მშვიდი უძილობა** — ასე უწოდებენ პედიატრები სიტუაციას, როცა ბავშვი ღამით ტირილის გარეშე იღვიძებს, ცდილობს, ითამაშოს მატყუარათი, არის აბსოლუტურად მშვიდად და გარკვეული დროის შემდეგ დამოუკიდებლადვე იძინებს. ამ პროცესში ჩარევა ნამდვილად არ ღირს.

5. **ავადმყოფობა** — თუ პატარა ავადაა, ეს მომენტალურად აისახება მის ძილზეც. ძილის დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს: სურდო, ხველა, კბილების ამოჭრის პროცესი, ნაწლავური ინფექცია და სხვა. ბავშვი ხშირად კრთის, ღამის განმავლობაში რამდენჯერმე იღვიძებს, ტირის. ეს მშობლისთვის პირველი მინიშნება უნდა იყოს, რომ პატარას ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშაა და პედიატრის კონსულტაცია სასწრაფოდაა საჭირო.

# ნესვი — უცხადესი ნეცტარება



ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, მათ შორის — ბავშვიც, რომელიც ნესვით აღფრთოვანებული არ იყოს. ეს წვნიანი, ტკბილი და საოცრად არომატული ხილი ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

ნესვი ფოლიუმის მჟავის საბადოა, რომელიც აუცილებელია ჯერ კიდევ მუცლადმყოფი პატარას ნორმალური ზრდა-განვითარების პროცესის უზრუნველყოფისათვის. გარდა ამისა, მასში დიდი რაოდენობითაა უჯრედისი, კალიუმი, კალციუმი, რკინა, მაგნიუმი, ბე ჯგუფის, ცე და პე ვიტამინები. ოქროსფერი-ყვითელი რბილობის მქონე ნესვის ჯიშები მდიდარია ბეტა კაროტინით.

3 წლამდე პატარებისთვის სავსებით საკმარისია დღეში პატარა ნაჭერი ნესვის ჭამა (დაახლოებით 20-50 გრამი). დაჭრილი ნესვი აუცილებლად მაცივარში უნდა შეინახოთ. შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს.

# რა უყვარს და რა – არა პატარების ტვინს

არასოდეს ვითარდება თავის ტვინი ისე ინტენსიურად და აქტიურად, როგორც სიცოცხლის პირველ წლებში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია პატარების ტვინს საჭირო საკვები მივაწოდოთ, რათა ისინი ჭკვიანები და გონიერები იყვნენ.

ადამიანის ტვინი ძალიან რთული სტრუქტურაა და ეს გასაკვირი არ არის, რადგან ის მუდმივად მუშაობს — იღებს ინფორმაციას, ამუშავებს, იმახსოვრებს, ახდენს ყველა ორგანოს კოორდინაციას. ეს იოლი საქმე ნამდვილად არ გახლავთ!



## მაჩტივრი ჩეალობა

თავის ტვინი ცენტრს წარმოადგენს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქმედებებზე, ემოციებზე, გრძნობებზე, ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ ბავშვის განვითარებაზე, პირველ რიგში, ვსაუბრობთ იმაზე, რომ მაქსიმალურად შევუქმნათ ყველა პირობა, რომელიც საჭიროა ტვინის ეფექტური მუშაობისთვის.

## ჩა უყვაჩს ტვინს

**სიახლეები** — ახალშობილი სიცოცხლის პირველ თვეებში განსაკუთრებულს არაფერს საჭიროებს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ თამაში, ლაპარაკი, მუდმივი ურთიერთობა ისევე აუცილებელია, როგორც დედის რძე. ამის წყალობით, პატარას ტვინი ვითარდება.

**სუფთა ჰაერი** — თავის ტვინს ათჯერ მეტად სჭირდება ჟანგბადი, ვიდრე სხვა ორგანოს, ამიტომაა აუცილებელი პატარას რეგულარულად გასეირნება სუფთა ჰაერზე, მისი ოთახის განიავება.

**ფიზიკური აქტივობა** — როდესაც ბავშვი მოძრაობს, მისი ნივთიერებათა ცვლის პროცესი გაცილებით აქტიურია, ორგანოებს სისხლი უკეთ მიეწოდება, მათ შორის — ტვინსაც. მოძრაობა — ცხოვრებაა, რომელიც შეიძლება შეავსოთ ინტელექტით, ამიტომ დაე, ირბინოს, იცელქოს და იმოძრაოს ბავშვმა.

**სწორი კვება** — თავის ტვინის ფორმირების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბე ჯგუფის ვიტამინების, რკინისა და სხვა მიკრო თუ მაკროელემენტების არსებობა, ამიტომ არავითარ შემთხვევაში მოაკლოთ ბავშვს ცხოველური წარმოშობის საკვები, რომლებიც გამორჩეულად მდიდარია ბე ჯგუფის ვიტამინებით და რკინით.

## ჩა აჩ უყვაჩს ტვინს

**ზედმეტი შთაბეჭდილებები** — ნერვული სისტემის გადაძაბვა — ჭარბი შთაბეჭდილებები, სტრესი, ტირილი უარყოფითად მოქმედებს ტვინზე. ამიტომ ზომიერების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია.

**ჰიპოდინამია** — ხელოვნური კონსერვანტებითა და საღებავებით გაჯერებული საკვები ტვინს არ უყვარს. ახლახან მეცნიერებმა გამოაქვეყნეს იმ საკვები დანამატების ნუსხა, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხდება საკვებ პროდუქტებში, განსაკუთრებით — ტკბილეულსა და გაზიან სასმელში. ასეთი საკვების რეგულარულად მიღების შემთხვევაში პატარა ხდება ბევრად უფრო ჰიპერაქტიური, ამიტომ მშობლებს ზედმიწევნით კონტროლი გვმართებს. ერიდეთ ბავშვის რაციონში ისეთი სახის პროდუქტების ჩართვას, რომლებიც შეიცავენ დანამატებს: E-211, E-124, E-122, E-110, E-102.

# ვაშლი — საყოველთაო ხილი

ვფიქრობთ, ვაშლის სარგებლობისა და მისი აუცილებლობის შესახებ საუბარი ზედმეტია, რადგან უკვე მრავალი წელია, საყოველთაო ხილადაა აღიარებული. მისი მთავარი ღირსება მრავალფეროვანი პექტინებია, რომლებიც ორგანიზმის გამწმენდ ფუნქციას ასრულებენ. პექტინები შეუფასებელია, როცა პატარებს დისბაქტერიოზი აქვთ. ისინი სასარგებლო ბაქტერიებს ეხმარებიან, მიემაგრონ ნაწლავებს და მომნელებელი სისტემა გამართულად აამუშაონ. ტყუილად კი არ ამბობენ ინგლისელები: „მას, ვინც დღეში ერთ ვაშლს ჭამს, ექიმი აღარ სჭირდება“.



ვაშლი პატარებისთვის სასარგებლოა არამარტო ცოცხალი სახით, არამედ საუკეთესოა მისი წვენი, ხილფაფა. ვაშლი, დამუშავებულიც კი, ყველა სასარგებლო ნივთიერებას ინარჩუნებს.

ვაშლში დიდი რაოდენობითაა სასარგებლო შაქარი, მარილი, კალიუმი, რკინა რომლებიც აუცილებელია სისხლისა და გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობისთვის.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

# ზურაბ აბაშიძე: „პოლიტიკოსი ქალებისგან უფრო ჭკვიანური აზრები მსმენია, ვიდრე კაცებისგან“



■ ზურაბ აბაშიძე

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ზურაბ აბაშიძის პირველი ქორწინება უიღბლო იყო და ბედნიერება მეორე მცდელობაზე იპოვა, როცა თეონა ბენაშვილზე დაქორწინდა. თეონასაც წარსულში ასევე დაენგრა პირველი ოჯახი. ამიტომ ახლა ცოლ-ქმარი ოჯახურ სიმყუდროვეს ერთნაირი მონდომებით ქმნიან. ბატონი ზურაბი ამბობს, რომ მის გვერდით ჭკვიანი ქალი დგას. როცა რჩევა სჭირდება, ცოლს ხშირად მიმართავს და მის აზრსაც ითვალისწინებს. პოლიტიკაშიც ამჩნევს ქალთა უპირატესობას, მეტ სიმხნევესა და გაბედულებას, რასაც ძალიან აფასებს. უცხოელ კოლეგებთან ამაყობს კიდეც, რომ საქართველოს პარლამენტში ძლიერი ქალები არიან. და მაინც, მიუხედავად ამ ყველაფრისა, საკუთარი ცოლი პოლიტიკაში ვერ წარმოუდგენია.

**— ბატონო ზურაბ, პირველ რიგში, თქვენს მეორე ნახევარზე გკითხავთ. სად და რა ვითარებაში გაიცანით და რითი მოგხიბლათ მან?**

— ჩემი ცოლი, თეონა ბენაშვილი, საერთო მეგობრების გარემოცვაში გავიცანი. 4 შვილი გვყავს. ეს ორივესთვის მეორე ქორწინებაა. საერთო შვილი ერთი გვყავს — 3 თვის გიორგი. მე პირველი ქორწინებიდან ორი შვილი, 9 წლის ნიკოლოზი და 7 წლის ქეთევანი მყავს, ჩემს ცოლს კი — 8 წლის ვაკო. პირველ ცოლთან არც ისე დიდიხნის გაშორებული ვიყავი, როცა თეონა მოვიყვანე ცოლად. უკვე 2 წელია, რაც ერთად ვართ. ჩემი ყურადღება, პირველ რიგში, მისმა გარეგნობამ მიიქცია და, ბუნებრივია, მასთან შეხვედრა მოვინდომე, ამის შემდეგ კი მისმა ხასიათმა უფრო მეტად მომხიბლა. სხვათა შორის, ეს საკითხი დიდხანს არ გაწელილა, მალევე დავქორწინდით.

**— პირველი ოჯახის დანგრევის შემდეგ მალევე დაქორწინება ასე იოლი იყო?**

— გამიგია, რომ მეორე ქორწინებაზე უფრო მეტს ფიქრობენ და ურთიერთობებს წელავენ, მაგრამ ჩვენი შეუღლება სწრაფად

> **„აქსესუარის, ჩანთის, საფულის ან შარფის ყიდვა შედარებით ადვილია, მაგრამ ცოლისთვის ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის შერჩევას ვერ გავრისკავ. ყოველთვის აინტერესებს ჩემი აზრი, ესა თუ ის სამოსი უხდება თუ არა, რაც ძალიან მსიამოვნებს“.**

მოხდა, რადგან ორივე დარწმუნებულები ვიყავით, რომ სწორ ნაბიჯს ვდგამდით. ჩემი ცოლი ძალიან მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანია. დღეს, როცა საზოგადოება უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, ეს არის მთავარი. ცხოვრების ტემპი ძალიან მაღალია, ყველას სადღაც ეჩქარება... თეონა კი დინჯი ადამიანია. კაცისთვისაც და ქალისთვისაც ოჯახში სიმშვიდეა მთავარი. პრობლემა ყველა ოჯახში არსებობს, მაგრამ გამოწვევებთან გამკლავება სიმშვიდით, მოთმინებით და გამძლეობით შეიძლება.

**— პოლიტიკოსის ცხოვრების წესს თქვენი ცოლი კარგად ეგუება?**

— თეონა ჩემს ასეთ გრაფიკს, რა თქმა უნდა, არ მიესალმება. როცა არჩევნები დამთავრდა, მაშინ გავიგეთ, რომ ფეხმძიმედ იყო. მთელი ორსულობის პერიოდი მოუწია, ჩემი წასვლა-მოსვლის რეჟიმში ყოფილიყო, რაც ორივესთვის რთული გახლდათ. ჩემი საქმიანობის გამო ისედაც დილიდან საღამომდე გასული ვარ სახლიდან, მაგრამ ჩვენ გეოგრაფიულადაც დაშორებულები ვართ, მე ქუთაისში ვარ, ის — თბილისში, თუმცა ამასაც გაგებით ვეკიდებით.

**— სამაგიეროდ ორსული ცოლის ჭირვეულობას ასცდებოდით.**

— განსაკუთრებული მოთხოვნები არც ჰქონია, უბრალოდ ერთად ყოფნის სურვილი გვქონდა, უფრო მეტად ტელეფონით ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. არასასესიო კვირას, როცა მივლინება არ მაქვს, ბავშვებთან ერთად ვატარებთ. ტრადიციულად, შაბათ-კვირას ყველანი ერთად ვართ. ჩემი ცოლი ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს, ამჟამად დეკრეტულ შვებულებაშია.



■ თეონა ბენაშვილი

> **„ჩემი ცოლი ძალიან მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანია. პრობლემა ყველა ოჯახში არსებობს, მაგრამ გამოწვევებთან გამკლავება სიმშვიდით და მოთმინებით შეიძლება“.**

**— როგორ გამოხატავთ ქალისადმი, თუნდაც მეუღლისადმი, პატივისცემას?**

— ძალიან მსიამოვნებს, როცა ცოლს ყვავილებს ვჩუქნი, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ყოველდღე ასე ვიქცევი. არც არის საჭირო, რადგან ასე რომ იყოს, ალბათ ამ ყველაფერს ეშხიც დაეკარგებოდა. არ არის აუცილებელი, დღესასწაული იყოს, რომ რამე ვუსახსოვრო. შეიძლება მივლინებიდან საჩუქრით დავბრუნდე.

**— უცხოეთიდან რა ჩამოგაქვთ მისთვის — სუვენირი, ტანსაცმელი, საოჯახო ტექნიკა...**

— ტანსაცმელი მიცდია, მაგრამ არ გამომსვლია. ეს საკითხი ძალიან რთულია, ადვილი საქმე ნუ გგონიათ. მირჩევნია, თანხა მივცე და თვითონ შეარჩიოს ან გავყვე და ერთობლივად შევიძინოთ, რაც სურს. აქსესუარის, ჩანთის, საფულის ან შარფის ყიდვა კი არის შედარებით ადვილი, მაგრამ ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის შერჩევას ვერ გავრისკავ. თეონას ყოველთვის აინტერესებს ჩემი აზრი იმის შესახებ, ესა თუ ის სამოსი უხდება თუ არა, რაც ძალიან მსიამოვნებს.

**— რა უხდება ქალს ყველაზე მეტად?**

— ვერ ვიტყვი, რომ ქალს შარვალი არ უხდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ მხოლოდ შარვალი არ უნდა ეცვას. ჩემი მეუღლე ჯინსებს ატარებს და ძალიან მომწონს. რასაც ქალი მოიხდენს, ვფიქრობ, ყველაფერი კარგია. ერთადერთი, რაც არ მიყვარს, გამომწვევად ჩაცმაა. შინაგანად შეიძლება კონსერვატორი ვარ, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ უკიდურესობაში ვარ გადავარდნილი. ქალმა ხასიათის მიხედვით უნდა ჩაიცვას. ჩაცმულობასთან დაკავშირებით ჩემს ცოლს არაფერს ვუკრძალავ და არც შენიშვნა მაქვს. მისი სტილი მომწონს.

**— პატარა გიორგის აღზრდაში თუ მონაწილეობთ?**

— რა თქმა უნდა. გიორგისთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს, რადგან ის ჩვენი შვილებიდან ყველაზე პატარა და უსუსურია. მისთვის ყველაფერს ვაკეთებ — დაბანით დაწყებული საფენების გამოცვლით დამთავრებული. ეს პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს, შეიძლება ასაკის ბრალიც არის.

**— თქვენი აზრით, რამდენად ახერხებს დღეს საქართველოში ქალი საკუთარი თავის რეალიზებას?**

— ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა გამიჭირდება. ვთვლი, რომ ქალებს კი არა, საკუთარი თავის რეალიზება კაცებსაც უჭირთ. ჩვენს ქვეყანაში დასაქმების დიდი პრობლემაა. მე, როგორც დეპუტატს, ამომრჩეველთან ხშირად მიწევს ურთიერთობა და ვხედავ, რომ ქალბატონები ბევრად მოტივირებული არიან, ვიდრე მამაკაცები. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ქალები საარჩევნო კამპანიის დროსაც ბევრად ყოჩაღები არიან. რა თქმა უნდა, კაცებსაც ძალიან დიდი როლი აკისრიათ, მაგრამ ქალები უფრო აქტიურობენ. დავაკვირდი, რომ მანდილოსნები პოლიტიკაში შრომისუნარიანები არიან და ძალების დახარჯვას ბოლომდე ცდილობენ. აუცილებელი არ არის, ყველა ქალი საჯარო მოსამსახურე ან პოლიტიკოსი იყოს. ქალს საკუთარი თავის რეალიზება ნებისმიერ სხვა სფეროში უნდა შეეძლოს.

**— პოლიტიკაში ქალების აქტიურობის მიუხედავად, ამ სფეროში გენდერული ბალანსი დაცული არ არის.**

— ქალთა რაოდენობას თუ გადავხედავთ პარლამენტში, სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს. ამის გამო ევროპაში ხშირად გვაკრიტიკებენ. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან შედარებით ჩვენთან ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში დაბალია, თუმცა აღმასრულებელ ხელისუფლებაში პირიქითაა. ჩვენს სახელმწიფოს დღეს 4 ქალი მინისტრი ჰყავს. როცა ევროპაში გვაკრიტიკებენ, რომ ჩვენს პარლამენტში ბევრი ქალი არ არის, ამაზე ხშირად ვპასუხობ, სამაგიეროდ ძალიან ძლიერი ქალები გვყავს-მეთქი.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— ყველაზე ჭკვიანი პოლიტიკოსი ქალებიდან ჩემს კოლეგებს გამოვყოფდი, მანანა კობახიძეს, ეკა ბესელიას, თინა ხიდაშელს, ირინა იმერლიშვილს, ელისო ჩაფიძეს, ჩემი პარტიის წევრს ნინო გოგუაძეს... ბევრნი



Cyan Magenta Yellow Black

არიან, ვისთან ერთადაც ამ ბრძოლაში ვიყავი, მათ ძალიან დიდ პატივს ვცემ. მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკოსი ქალებისგან უფრო ჭკვიანური აზრები მსმენია, ვიდრე კაცებისგან. ისინი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ გაბედულებიც არიან.

ჩემი კოლეგები გენდერულ საკითხებზე მუშაობენ და ამ კუთხით საკმაოდ დიდი ღონისძიებები ტარდება. საარჩევნო კანონმდებლობაზე რომ ვმუშაობდით, საკმაოდ საინტერესო ჩანაწერი გავაკეთეთ. პარტია, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ყოველ ათეულში, ვისაც სამი ქალი ეყოლება, დამატებით დაფინანსებას მიიღებს. ვერ ვიტრაბახებ იმით, რომ საქართველო გენდერული თანასწორობის შუქურაა, მაგრამ არ მგონია, სტატისტიკურად ყველაზე უკან ვიყოთ.

> **„ბენზინგასამართ სადგურზე მომუშავე ძალიან სიმპათიური ქალიც მინახავს და, სიმართლე გითხრათ, მესიამოვნა. ის ქალი თავის საქმეს ძალიან ამაყად აკეთებდა".**

სხვათა შორის, ბენზინგასამართ სადგურზე მომუშავე ძალიან სიმპათიური ქალიც მინახავს და, სიმართლე გითხრათ, მესიამოვნა. ის ქალი თავის საქმეს ძალიან ამაყად აკეთებდა. რა თქმა უნდა, მას უჭირს და არ მგონია, ეს საქმე მისი ცხოვრების მიზანი იყოს, მაგრამ მიიღო გადაწყვეტილება, ემუშავა ბენზინგასამართ სადგურზე და არა ის, რომ სხეულით ევაჭრა. პროსტიტუციის თემა ძალიან მაწუხებს, თუმცა არ ვარ მზად იმისთვის, რომ ამ საკითხზეც გულწრფელად გესაუბროთ. არ ვამბობ, რომ კაცსა და ქალს შორის თავისუფალი ურთიერთობა არ უნდა არსებობდეს, მაგრამ სხეულით ვაჭრობა არასწორია. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ და არც ვაკნინებ, მაგრამ ვისურვებდი, რომ პროსტიტუცია საქართველოში ნაკლებად იყოს.

**— თქვენი ცოლი რომ პოლიტიკოსი იყოს, მისაღები იქნებოდა თქვენთვის?**

— ამაზე არასდროს მიფიქრია... გამორიცხული არაფერია, მაგრამ ერთი პროფესიის ადამიანები ერთად?! თუ პოლიტიკოსი იქნებოდა, ალბათ ამა თუ იმ საკითხზე ერთი აზრი გვექნებოდა, თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ ჩემი ცოლი სრულიად აპოლიტიკური ადამიანია. შეიძლება იცის, რა ხდება ქვეყანაში, მაგრამ მაინც ნაკლებად პოლიტიზირებულია.

**— სამსახურებრივ საკითხებზე არ საუბრობთ მასთან?**

— კი, როგორ არა. ხანდახან პოლიტიკაზეც გვიწევს საუბარი. როცა გამოსვლა მაქვს, მისი აზრი ყოველთვის მაინტერესებს.

**— შენიშვნებს ხომ არ გაძლევთ?**

— არ მოსწონს, როცა გამოსვლების დროს ემოციურს ან გაბრაზებულს მხედავს, თუმცა ეს იშვიათად ხდება. მთხოვს, მშვიდად ვიყო. მგონი, ამის პრობლემა არც მაქვს, მაგრამ ჩემგან კიდევ მეტ სიმშვიდეს ითხოვს. უნდა აღვნიშნო, რომ სერიოზული უთანხმოება არასოდეს მოგვსვლია, ერთმანეთს გადასარევად ვუგებთ.

**— ბოლოს ტრადიციულ შეკითხვას დაგისვამთ. რას უსურვებდით ქართველ ქალებს?**

— ვისურვებდი, რომ ყველა ქალს კარგი ოჯახი ჰქონდეს, იყოს რეალიზებული როგორც ოჯახში, ასევე გარეთ. არ ვარ მომხრე, რომ ქალი სახლში იყოს, ამზადებდეს სადილს და იყოს მარტო კარგი მეუღლე. მინდა, ხანდაზმულებსაც და ახალგაზრდებსაც ლამაზი ცხოვრება ჰქონდეთ.

✓ სოფიო ბოჭორიძე

# შარაპოვა გვარს არ შეიცვლის

ცნობილმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ გადაწყვიტა, უახლოეს მომავალში გვარი არ შეიცვალოს, ვინაიდან ეს დიდ სირთულეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული. კერძოდ, აშშ-ში გვარის შესაცვლელად აუცილებელია შესაბამისი თხოვნით მიმართო შტატის ხელისუფლებას, წარადგინო თითების ანაბეჭდები და სასამართლოს თანხმობა მიიღო. გარდა ამისა, ჩოგბურთელს იაპონიასა და ჩინეთში გამგზავრების წინ ახალი პასპორტის აღება მოუწევდა.



■ მარია შარაპოვა

ადრე ცნობილი გახდა, რომ მარიამ ამერიკის ფლორიდის შტატის სასამართლოს თხოვნით მიმართა, რათა თავისი გვარი შუგარპოვათი შეეცვალა, მის მფლობელობაში არსებული ბრენდის შესაბამისად, რომლის სახელითაც საკონდიტრო ნაწარმი იყიდება. შარაპოვას აგენტის თქმით, ბრენდის რეკლამისთვის, ფიქრობდნენ, გამჭვირვალე სატვირთო მანქანა კანფეტებით გაევსოთ და მაიამის ქუჩებში ევლო.

შეგახსენებთ, რომ მარია შარაპოვა მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების სიას სათავეში უდგას. ამ სიის შემდგენელი ცნობილი გამოცემის „ფორბსის“ მონაცემებით, ჩოგბურთელის შემოსავლები საკუთარი ბრენდის „შუგარპოვასგან“, ასევე „ნაიკთან“, „სამსუნგ ელექტრონიქსთან“, „პორშესთან“ და სხვა კომპანიებთან გაფორმებული სარეკლამო კონტრაქტებისგან წელიწადში 23 მილიონი დოლარია. კიდევ 6 მილიონი დოლარი შარაპოვამ მის მიერ მოპოვებული გამარჯვებებისთვის პრიზების სახით მიიღო.

# „შახტიორმა“ გამარჯვებისთვის შავი ცხვარი მსხვერპლად შესწირა

ქალაქ ასტანას სტადიონ „ასტანა-არენაზე“ ჩემპიონთა ლიგის ფლეი-ოფის მატჩის წინ, რომელშიც ერთმანეთს ყარაგანდის „შახტიორი“ და გლაზგოს „სელტიკი“ დაუპირისპირდნენ, ყაზახებმა გამარჯვებისთვის მსხვერპლად შავი ცხვარი შესწირეს. ეს რიტუალი „შახტიორის“ ფეხბურთელების ინიციატივით ჩატარდა.

მსხვერპლშეწირვის ცერემონია „შახტიორის“ მოთამაშეთა ვარჯიშის წინ გაიმართა და მის ჩასატარებლად მეჩეთიდან საგანგებოდ მოლა მოიწვიეს. ამ „აქციის“ თუ სხვა მიზეზით, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ფავორიტად შოტლანდიური კლუბი ითვლებოდა და თითქმის მთელი თამაშისს განმავლობაში სწორედ ისინი ფლობდნენ უპირატესობას, გამარჯვება სწორედ ყაზახურმა კლუბმა იზეიმა, რომელმაც ტიტულოვანი „სელტიკი“ 2:0 დაამარცხა.

# ისინბაევას მშობლიურ ვოლგოგრადში ცხოვრება აღარ სურს



■ ელენა ისინბაევა

ნიმაღლეში ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ელენა ისინბაევამ განაცხადა, რომ ვოლგოგრადში საცხოვრებლად დარჩენას არ აპირებს. რუსი სპორტსმენის თქმით, ის საზღვარგარეთ დასახლდება, თუმცა ზოგჯერ მშობლიურ ქალაქშიც ჩავა, რომელსაც მან გალატაკებული უწოდა. იქ მხოლოდ თავისი მწვრთნელის, ევგენი ტროფიმოვის სანახავად ჩავა ხოლმე. კითხვაზე, რატომ არ სურს ვოლგოგრადში ცხოვრება, ისინბაევამ განაცხადა, რომ ქალაქში ცხოვრებისა და ვარჯიშისთვის ნორმალური პირობები არ არსებობს.

— საშინელი, ბებერი ქალაქი დეგრადირებულია. გზები საშინელ მდგომარეობაშია, მანქანის შეკეთებას ვერ აუხვალ, კარგი მანქანის ყიდვა და ამ გზებზე სიარული არ ღირს, მისი მოვლით დაიტანჯები, — განაცხადა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და იქვე დაამატა, — ქალაქის ხელისუფლებას ხელი აქვს ჩაქნეული და სულ არ ადარდებს იქ მცხოვრებთა ბედი, მათ შორის — სპორტსმენებისაც. დადგა დრო, რომ ის მოიმკან, რაც დათესეს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩვენი ოლქი, ჩვენი ქალაქი ღირსეულად დააფასებდა ჩემს დამსახურებებს, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება.

ისინბაევა ვოლგოგრადში 2005 წლამდე ცხოვრობდა,ს შემდეგ საცხოვრებლად ჯერ — იტალიაში, შემდეგ კი მონაკოში გადავიდა. მშობლიურ ქალაქში იგი 2011 წელს დაბრუნდა, კარიერაში წარუმატებელი პერიოდის ფონზე. მიმდინარე წლის აგვისტოში ელენამ მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მძლეოსნობაში ოქროს მედალი მოიპოვა.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# შოპინგის მანიაკი ხომ არ გახდით?

## როგორ «განიკურნოთ» საყიდლების შეძენის ლტოლვისგან

შოპინგომანიით ბევრია შეპყრობილი და არამხოლოდ ქალები. რაში მდგომარეობს ასეთი გატაცების საშიშროება?

„შოპინგის ნარკომანების“ რიცხვის ზრდაში პასუხისმგებლობის დიდი წილი სავაჭრო კომპანიებს მიუძღვით. სარეკლამო სტრატეგიები სპეციალურად დამუშავებულია ფსიქოლოგიის გათვალისწინებით. ჩვეულებრივ, აქცენტი გადატანილია არა საქონლის რეალურ სამომხმარებლო თვისებებზე, არამედ ფსიქოლოგიურ ეფექტზე, რომელიც მისი შეძენით მიიღწევა.



რა თქმა უნდა, ეფექტი მოჩვენებითია. სარეკლამო სლოგანები სუსტ სულიერ სიმებზე ზემოქმედებს: „თქვენ ხომ ამას იმსახურებთ!“, „თქვენი შეშურდებათ!“, „შეგიძლიათ თავს ამის უფლება მისცეთ!“ და ა.შ. სადღეისოდ მწარმოებლები ყიდიან არა საქონელს, არამედ ოცნებას ბედნიერებაზე, სიყვარულზე, თავის პატივისცემაზე. ეს კი ყველაფერია, რაც თითოეულ ჩვენგანს ესაჭიროება.

### შოპინგი, როგორც ნარკოტიკი

ეს ახალი დაავადება პირველად ჯერ კიდევ 1915 წელს ცნობილმა გერმანელმა ფსიქიატრმა ემილ კრეპელმა აღმოაჩინა. მან შენიშნა, რომ ახალი სენი ძლიერ ჰგავს დამოკიდებულების სხვა სახეობებს და შოპინგომანიით შეპყრობილები დაახლოებით იმავე?ს განიცდიან, რასაც ნარკომანები.

როგორ მივხვდეთ, რომ ახლის შეძენის პატარა ქალური გატაცებები და ძლიერი სქესის წარმომადგენელთა განუსაზღვრელი სურვილი, ჰქონდეს ძვირფასი ტელეფონი ან სხვა მოდური ნივთები, ავადმყოფობაში გადაიზარდა? ეს საკმაოდ ადვილია, ვინაიდან შოპინგომანიას მკაფიოდ გამოხატული სიმპტომები აქვს.

მაღაზიებში სიარული რაიმე კონკრეტულის შეძენის განზრახვის გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ თავს ასიამოვნოს.

უკონტროლო სურვილი რაღაცის „უბრალოდ ისე“ შეძენის, წარმოდგენაც რომ არ აქვს, შენაძენი როგორ გამოიყენოს.

გულის გატეხა და ბრაზი შენაძენი ნივთის გამო, რომელიც მეტად ძვირიანი და გამოუყენებელია.

შეძენილ საქონელზე მუდმივად საუბარი და განხილვა.

მაღაზიებში სიარულის შეუძლებლობის გამო დათრგუნული განწყობა და პირიქით, იქ ფეხის შედგმისას სასიცოცხლო ტონუსის წამიერად ამაღლება.

### დამოკიდებულების სათავე

შოპინგომანიით დაავადებულები ხშირად იზრდებიან ისეთ ოჯახებში, სადაც მშობლები მატერიალურ კეთილდღეობას დიდი ყურადღებას უთმობენ. მათ ბავშვებისთვის არც დრო რჩებათ და არც — ძალა. ამიტომ მშობლების სიყვარულის ნაკლებობას საჩუქრებით ივსებენ. ამგვარად ბავშვი ბავშვობიდან სწავლობს და ეჩვევა სიყვარულის ფულით გაზომვას.

შოპინგომანიით შეპყრობილთა მეორე კატეგორია პირიქით, სიღარიბეში გაიზარდა. როგორც კი ასეთ ადამიანს ფული გაუჩნდება, მაშინვე უაზროდ ხარჯავს. ცდილობს, ჭარბად მიიღოს ყველაფერი, რასაც წინათ მოკლებული იყო.

შოპინგომანიით დაავადებულთა მესამე კატეგორიას შეადგენენ ავტორიტეტული მშობლების შვილები. მათ შოპინგი თავდაჯერებულობის განმტკიცებაში ეხმარებათ.

შოპინგომანია მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითარდება, თუ ოჯახში ფულის კულტი მეფობს, მაგრამ, თუ დედა და მამა ბავშვს პატარაობიდან უნერგავენ მუდმივი ღირებულებების მიმართ სიყვარულს, უხსნიან, რომ სიამოვნების მიღება შეიძლება არამხოლოდ საყიდლებით, არამედ არამატერიალური სიხარულით (შემოქმედება, სპორტი, ხელოვნება, ბუნებასთან ურთიერთობა, მეგობრობა, სიყვარული), მაშინ მათი შვილები ადრეული წლებიდან შოპინგომანიაზე „აცრას“ გადიან.

### როგორ არ შეიძინოთ ზედმეტი და არასაჭირო

შოპინგომანიით დაავადებულებს, რომელთა აღზრდა უკვე დაგვიანებულია, სპეციალისტები შემდეგ რჩევებს აძლევენ:

ყოველთვის ხელზე გადაიხადეთ. კრედიტი ილუზიას ქმნის, თითქოს საკუთარ ფულს არ ხარჯავთ.

შეიძინეთ სიის ზუსტი დაცვით (უმჯობესია გვერდით გყავდეთ ხელმოჭერილი თანამგზავრი, რომელიც ზედმეტის დახარჯვის უფლებას არ მოგცემთ).

გახსოვდეთ, ფასდაკლება შოპინგის მოწყობის საბაბი არ არის. შეიძინეთ მხოლოდ ის, რაც აუცილებელი და საჭიროა.

ფული ხშირად „დაივიწყეთ“ სახლში. საფულეში მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი უნდა იდოს.

მაშინაც კი, თუ რაღაც ძალიან მოგეწონათ, უცებ არ შეიძინოთ, მეორე დღისთვის გადაადებინეთ. როგორც წესი, აღფრთოვანება მალე გადის, როგორც კი ნივთი თვალიდან ქრება.

ქალები მაღაზიას არ უნდა ეწვიონ 10 დღით ადრე „წითელი დღეების“ დადგომამდე. ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალური მოუფიქრებელი შოპინგის მიზეზი ციკლის მოახლოებით გამოწვეული ჰორმონული უთანხმოებაა.

### ჰორმონი, რომელიც ახალგაზრდობას ახანგრძლივებს

ჰორმონი მელატონინი ორგანიზმში ღამით გამომუშავდება. ის დაბერებას აბრკოლებს, უჯრედების დამანგრეველი მავნე თავისუფალი რადიკალების აქტიური ნაწილაკების მოქმედებას თრგუნავს. ასევე გავლენას ახდენს იმუნური და ენდოკრინული სისტემის მუშაობაზე, ინფექციების მიმართ წინააღმდეგობას ამაღლებს, მხედველობის შენარჩუნებას ეხმარება, არტერიულ წნევას არეგულირებს. ღამით მელატონინის კონცენტრაცია სისხლში 30-ჯერ იზრდება, სინათლეზე კი მისი სინთეზი წყდება.

ეს ჰორმონი ყველაზე მთავარ ორგანოებში: კუჭნაწლავის ტრაქტში, ფილტვებში, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტში, თირკმლებში, თირკმელზედა და ფარისებურ ჯირკვლებში სინთეზირდება. მას ასევე იმუნური სისტემის უჯრედები აწარომებენ.

მელატონინი ორგანიზმში საჭმელთან ერთად ხვდება, მცირე რაოდენობით ის არის ხახვში, ალუბალში, ბანანში, მარცვლეულში (ბრინჯი, შვრია), ზოგიერთ მცენარეში (პიტნა), ასევე წითელ ღვინოში.

როგორც წესი, 30 წლიდან მელატონინის გამომუშავება ქვეითდება. მაგრამ, თუ ამ ჰორმონის დონეს შეინარჩუნებთ, აქტიური ცხოვრების გახანგრძლივება და სიბერის გადაწევა შეიძლება. ორგანიზმს მის წარმოებაში ხელი რომ შეუწყოთ, ამისათვის საჭიროა აუცილებლად სიბნელეში დაიძინოთ. 35-40 წლიდან სასარგებლოა კვირაში 3-4-ჯერ (მაისიდან ოქტომბრამდე, როდესაც დღე ღამეზე გრძელია) მელატონინის აფთიაქის პრეპარატები მიიღოთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# თავის დაღწევა კანფეტების მონობისაგან



როგორ მოიქცეთ, თუ მუდამ ტკბილი გიზიდავთ? პირველ რიგში, უნდა გაიგოთ, ასეთი სწრაფვის მიზეზი, შემდეგ კი შესატყვისი ზომები მიიღოთ.

### მიზეზი: ქრომის დეფიციტი

ეს მიკროელემენტი აუცილებელია იმისთვის, რომ გლუკოზამ (ენერგიის ძირითადი წყარო) სისხლიდან უჯრედებში შეღწევა შეძლოს. ქრომის დეფიციტის დროს ეს პროცესი არასრულფასოვნად ხდება და ორგანოები საკვებს ვერ იღებენ. ორგანიზმი ითხოვს, სისხლში მეტი გლუკოზა შევიდეს. გლუკოზის ყველაზე მდიდარი წყაროა — ტკბილეული. აქედან მოდის ჩვენი სწრაფვა ტკბილეულის მიმართ.

**როგორ მოვიქცეთ?** რაციონში უნდა გაიზარდოს ქრომით მდიდარი პროდუქტები. ეს არის ღვიძლი, რუხი პური, ქათამი, საქონლის მჭლე ხორცი, თევზი, ქერის ბურღული, კვერცხი, კომბოსტო, ჭარხალი, პომიდორი, ალუბალი, ვაშლი. თუ ორგანიზმს ამ მიკროელემენტს საკმარისი რაოდენობით მიაწოდებთ, ტკბილზე მოთხოვნილება ძლიერ შემცირდება.



### მიზეზი: მომატებული ინტელექტუალური დატვირთვა

ტვინის წონა სხეულის მასის მხოლოდ 2%-ს შეადგენს, მაგრამ მის მუშაობაზე ორგანიზმის ენერგიის 15-20% იხარჯება. ტვინი ძირითადად გლუკოზით იკვებება. თუ ის არ ყოფნის, ითხოვს და აქედან ჩნდება ტკბილის ჭამის სურვილი. საკმარისია, გლუკოზის ახალი ულუფა შევიდეს ორგანიზმში და აზროვნებითი პროცესი აქტიურდება, ყურადღების კონცენტრაცია იმატებს და ადამიანი სამუშაოს ადვილად ასრულებს. პრობლემა იმაშია, რომ ასეთი საკვებისმიერი ქცევა ჩვევაში სწრაფად გადადის და ტვინის სტიმულირებას ვიწყებთ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი არ არის. შედეგი კალორიების აკრეფა და წონაში მატებაა.

**როგორ მოვიქცეთ?** თუ სამსახურში ბევრი სამუშაო გაქვთ, იზრუნეთ, რომ ტვინმა საკვები მიიღოს. გლუკოზას შეიცავს არა მხოლოდ ტკბილეული, ასევე ნაკლებად კალორიული ბურღულეული, რუხი პური, პარკოსნები, კარტოფილი. მართალია, მათგან გლუკოზის შეთვისება ნელა ხდება, ვიდრე დესერტის შემთხვევაში. ამიტომ ხშირად და ცოტა მოიხმარეთ, მაშინ ტვინიც შეუფერხებლად იმუშავებს.

### მიზეზი: სტრესი და ცუდი განწყობა

ნერვიულობის დროს ორგანიზმში სეროტონინისა და ენდორფინების (ნივთიერებები, რომლებიც აუცილებელია კარგი განწყობისთვის) დონე ეცემა. ტკბილი საკვები მათ დამატებით გამომუშავებას ეხმარება. ამიტომაა, რომ ტკბილის მიღების შემდეგ ემოციურ ალმაფრენას ვგრძნობთ. პრობლემა ისევ მიჩვევა-დამოკიდებულებაა. ადამიანი ამჩნევს, რომ მადის აღმძვრელი დესერტი დაძაბულობის მოხსნაში ეხმარება, ამიტომ ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტაში დასახმარებლად მას ხშირად იყენებს.

**როგორ მოვიქცეთ?** ეძებეთ განმუხტვის არასაკვებისმიერი წყარო. მაგალითად, ნეგატიური ემოციებისგან დაცლის შესანიშნავი საშუალებაა ფიტნესი, რომელიც ამავდროულად სეროტონინისა და ენდორფინების გამომუშავებას ეხმარება. თუ ნერვიულობა გიწევთ, მენიუში მაგნიუმით მდიდარი პროდუქტების (მაგალითად, თხილეული) რაოდენობა გაზარდეთ. ის ნერვული სისტემის მუშაობის სტაბილიზაციას ეხმარება და კანფეტების მიმართ მოთხოვნა თავისით მცირდება.

### მიზეზი: მენიუში ტკბილის სიჭარბე

როგორი პარადოქსიც უნდა იყოს, ტკბილისკენ სწრაფვა ყველაზე ხშირად განპირობებულია იმით, რომ ადამიანი ტკბილეულით ბოროტად სარგებლობს. დესერტი მიირთვით და სისხლში გლუკოზის დონე სწრაფად გაიზარდა. ორგანიზმი მაშინვე მის თავის ადგილზე „მოთავსებას“ ცდილობს, ამიტომ კუჭქვეშა ჯირკვალი ინსულინის ჰორმონს გამოყოფს. ხშირად ის „გამოთვლაში ცდება“ და იმაზე მეტს გამოყოფს, ვიდრე საჭიროა. საბოლოო ჯამში, გლუკოზის დონე მკვეთრად ეცემა, ხოლო ჩვენი სხეული ისეა დაპროგრამებული, რომ ამას, როგორც შიმშილს, ისე აღქვამს და მის სწრაფად დასაშოშმინებლად საკვების ახალ ულუფას, თანაც ტკბილს ითხოვს. თუ ეს რეგულარულად ხდება, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება არამხოლოდ ფიგურა, ასევე ჯანმრთელობა: ინსულინის მუდმივი სიჭარბე მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტისკენ პირველი ნაბიჯია.

**როგორ მოვიქცეთ?** კვირაში სამი დღე ტკბილის მოხმარებისგან თავი შეიკავეთ. დასაწყისში რთული იქნება, მაგრამ ორგანიზმი ნელ-ნელა მიეჩვევა. კანფეტებსა და ნამცხვრებზე თითქმის ნარკოტიკული დამოკიდებულება თანდათან გაქრება. როდესაც ტკბილის მიმართ სწრაფვა შემცირდება, მენიუში ისევ ჩართეთ დესერტები, მაგრამ მცირე რაოდენობით და მხოლოდ ძირითადი კვების შემდეგ და არავითარ შემთხვევაში მათ ნაცვლად.

## საინტერესო ფაქტები საშვებულებო სტატისტიკიდან

40%-ით მცირდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი იმ პირებში, ვინც შვებულებაში თუნდაც წელიწადში ერთხელ არის.

**39 დღე** — ასეთია მოსამსახურე პერსონალთა შვებულების ხანგრძლივობა ფინეთში. ხოლო მექსიკაში სამუშაოს მიმცემები თავიანთ ხელქვეითებს კანონიერი დასვენებისთვის წელიწადში არა უმეტეს 6 დღეს სთავაზობენ.

**56 დღე** — ამდენს ისვენებენ რუსი პედაგოგები და ჭარმაგი მეცნიერ-თანამშრომლები.

ადამიანებში, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში შვებულებით არ უსარგებლიათ, სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ქრონიკულ ალკოჰოლიკებში.

**10 სამუშაო დღე** — ასეთია ამერიკელთა საშუალო ანაზღაურებადი შვებულება, თუმცა მოსამსახურეთა 20% ამ შვებულებაზე უარს აცხადებს.

**არანაკლებ 3 კვირა** — ასეთია სრულფასოვანი დასვენების ხანგრძლივობა.

## შეიძლება თუ არა სიბერეში ბედნიერად ცხოვრება?

ზოგიერთი ხანდაზმული ადამიანი სასოწარკვეთილებაში ვარდება იმის გამო, რომ წინ უაზრო, სიხარულსა და ბედნიერებას მოკლებული არსებობა ელის.

დროდადრო ცუდი განწყობა ყველა ადამიანს ეუფლება და პესიმისტი ხდება, მაგრამ ეს საშიში არ არის, ნორმალურია. ცნება „ბედნიერი სიბერე“ ცარიელი სიტყვები არ არის. ხანდაზმულ ადამიანს სრულად შეუძლია ბედნიერი იყოს. მნიშვნელოვანია, პენსიაზე გასვლის შემდეგ მისი ცხოვრება როგორი სცენარით წარიმართება. ეს შეიძლება იყოს შემოქმედებითად აქტიური სიბერე, როდესაც ადამიანი თავის პროფესიას საბოლოოდ არ წყდება, გაჯერებული საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, ახალგაზრდებთან დიდ დროს ატარებს. კიდევ ერთი კარგი ვარიანტია საკუთარი ცხოვრების მოწყობით, იმ საქმიანობით დაკავდეთ, რომელზეც წინათ დრო არ გყოფნიდათ. იმოგზაურეთ, მეტი დრო დაუთმეთ წიგნების კითხვას, საყვარელ ჰობს, ისწავლეთ. შეგიძლიათ თქვენი ცხოვრება შვილიშვილებს მიუძღვნათ ან თქვენი ჯანმრთელობის პრობლემებში გაერკვიოთ და შესაძლებლობის მიხედვით მათი გადაჭრა დაიწყოთ. მთავარი — თვითგვემა დაძლიეთ და ბუზღუნა მოხუცად ნუ იქცევით.

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც გონებრივად მუშაობენ, უფრო დღეგრძელები არიან იმათთან შედარებით, ვინც მხოლოდ ფიზიკურად შრომობს. მაგრამ, თუ პენსიაზე გასვლის შემდეგ ტვინის წვრთნას შეწყვეტთ, ის ძალიან სწრაფად დაიწყებს დაბერებას, ისევე, როგორც სპორტსმენებში. როგორც კი წვრთნას თავს ანებებენ, მალე ფორმას კარგავენ. ამიტომ გონებას მოდუნების უფლება არ მისცეთ და მუდამ ავარჯიშეთ. კროსვორდები ამოხსენით, შვილიშვილებს ჭადრაკი ეთამაშეთ, საშინაო დავალებების შესრულებაში დაეხმარეთ. ამგვარად ორ კურდღელს დაიჭერთ ერთდროულად — არც მოიწყენთ და არც დაბერდებით.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

## 610 კილოიანი კაცი სახლიდან ამწეთი გამოიყვანეს





საუდის არაბეთში გამოცდილი ექიმების გუნდი მსოფლიოში ყველაზე მსუქანი კაცის, 20 წლის ჰალიდ იბნ მოჰსენ შაარის გადარჩენას ცდილობს, რომელიც 610 კილოგრამს იწონის. ჰალიდი 2 წელია თავისი წონის გამო სახლშია გამოკეტილი. პაციენტის სახლიდან გამოყვანა სამაშველო ოპერაციას ჰგავდა, რომელშიც მაშველებთან ერთად წითელი ჯვრის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული. მაშველებმა სახლის ერთ-ერთი კედელი გამოანგრიეს და ამწეს დახმარებით ჰალიდი საწოლიანად მანქანაზე გადაიყვანეს.

610 კილოიანი ბიჭისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის ბრძანება 6 თვის წინ პირადად გასცა საუდის მეფემ აბდალა იბნ აბდელ აზიზ ალ საუდმა, თუმცა მკურნალობის პროცესის დაწყება გაჭიანურდა, რადგან პაციენტისთვის აშშ-ში სპეციალური საწოლი უნდა დაემზადებინათ. სახელწიფო ხარჯებით ჰალიდი დედაქალაქ ერ რიადის საავადმყოფოში თვითმფრინავით გადაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ ჰალიდ შაარის და-ძმაც ჭარბი წონით იტანჯებიან, თუმცა მათ დამოუკიდებლად გადაადგილება შეუძლიათ.

## კენგურუმ დაკარგული ბიჭი გაყინვისგან იხსნა



ავსტრალიაში კენგურუმ დაკარგული ბიჭი, 7 წლის საიმონ კრიუგერი გადაარჩინა.

ბიჭუნა მშობლებთან ერთად ნაკრძალში პიკნიკზე იმყოფებოდა. მოგვიანებით იქვე სასეირნოდ გასულს გზა აებნა. მშობლებთან ერთად მას 40 ადამიანი ეძებდა. ბიჭი დაკარგვიდან ზუსტად ერთ დღე-ღამეში იპოვეს პიკნიკის ადგილიდან დაახლოებით 500 მეტრის მოშორებით. ბავშვს სერიოზული ტრავმები არ მიუღია. მისი თქმით, სიცივისაგან კენგურუმ იხსნა, რომელიც მას გვერდით მიუწვა.

ავსტრალიის ამ მხარეში ზამთარში ღამით ჰაერის ტემპერატურა -6 გრადუსს აღწევს.

## კაცი კუს ყოველდღიურად ასეირნებს



ინგლისელი რობი დევისი საყვარელ კუს, სახელად მაქსიმუსს, ქალაქში ყოველდღიურად ასეირნებს, რასაც, მინიმუმი, 5 საათს ანდომებს. მაქსიმუსი 40 წელიწადია დევისების სახლში ცხოვრობს და ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. რობის თქმით, თავდაპირველად კუ ხელისგულზე ეტეოდა, ახლა კი 12 კილოგრამს იწონის და კვირაში 30 კილოგრამ სალათს მიირთმევს.

კუმ დიდხანს რომ იცოცხლოს, ყოველდღიური სეირნობა სჭირდება. სპეციალისტების განცხადებით, ასეთი ჯიშის კუ 120 წლამდე ცოცხლობს.

## შიშველი მარათონი ვეფხვების გადასარჩენად




ლონდონის ზოოპარკში ორიგინალური მარათონი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 300-მა შიშველმა ადამიანმა მიიღო. მათ, ჩვეულებრივი მარათონელებისგან განსხვავებით, მხოლოდ სპორტული ფეხსაცმელი ეცვათ და თავზე ვეფხვის ყურები ეკეთათ. მარათონის მონაწილეებმა ასე გამოხატეს სოლიდარობა სუმატრის მკვიდრი ვეფხვების მიმართ.

მარათონის ორგანიზატორის, ჯეიმს ვრენის თქმით, მონაწილეების რაოდენობა სიმბოლური იყო — სუმატრის ველურ ბუნებაში ზუსტად 300 ვეფხვია შემორჩენილი.

სუმატრული ვეფხვი გადაშენების პირას მყოფი ჯიშების სიაშია შეყვანილი. საქველმოქმედო მარათონიდან შემოსული თანხა ვეფხვების გადასარჩენ კამპანიას მოხმარდება.





Cyan Magenta Yellow Black

## ქალი 2 მეტრიანი დრედებით



50 წლის აშა ზულუ მანდელამ თავისი საყვარელი დრედების გაზრდა 25 წლის წინ დაიწყო, როცა ტრინიდადი და ტობაგოდან საცხოვრებლად ნიუ იორკში გადავიდა. დღეს აშას „შავ რაპუნცელად“ მოიხსენიებენ. ის გინესის წიგნის რეკორდსმენია, როგორც ყველაზე გრძელი დრედების მქონე ქალი. მისი თმის სიგრძე თითქმის 2 მეტრს აღწევს. აშას თქმით, დრედები მისი განუყოფელი ნაწილია და მათ შეჭრას არასოდეს აპირებს.

## გასეირნება 5000 იხვთან ერთად



ჩინეთის ქალაქ ტაიჟოუსში მცხოვრებ ფერმერს, 70 წლის ჰონგ მინშუნის, თავისი 5000 იხვი ყოველდღე გაჰყავს სასეირნოდ. უახლოეს წყალთან მოსახვედრად ფრინველებს არაერთი სამანქანო გზის გადაკვეთა უწევთ. იხვები საკმაოდ მოწესრიგებულად დადიან. ფერმერს მათ სამართავად მხოლოდ ერთი ჯოხი ჰყოფნის. მძღოლები პრეტენზიას არასოდეს გამოთქვამენ, პირიქით, განცვიფრებულები ადევნებენ თვალს ამ გამაოგნებელ სანახაობას.

ფერმერი ამაყობს, რომ მისი არც ერთი იხვი არასოდეს გამხდარა ავარიისა და არეულობის მიზეზი.

## ბოლივიაში 123 წლის ინდიელი ცხოვრობს



ბოლივიაში, ტიტიკაკას ტბასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელში აღმოაჩინეს მსოფლიოს უხუცესი ადამიანი — კარმელო ფლორეს ლაურა, რომელსაც ერთი თვის წინ 123 წელი შეუსრულდა. ფლორესი ინდიელია, მეტყველებს საკუთარ ენაზე, არ საუბრობს ესპანურად და არ იცის წერა-კითხვა. უკვე წლებია, ის მარტო ცხოვრობს, სიარულის დროს არ სჭირდება ჯოხზე დაყრდნობა და არც სათვალეს ხმარობს. არ ახსოვს, რამდენი წლისაა, თუმცა მისი 27 წლის შვილთაშვილი ამტკიცებს, რომ დიდი პაპა პარაგვაისთან ომის მონაწილეა, რომელიც 1933 წელს იყო. ნათლობის დოკუმენტის მიხედვით, ფლორესი 1890 წლის 16 ივლისს დაიბადა.

მოხუცი საკუთარ დღეგრძელობას იმით ხსნის, რომ ყოველთვის ბევრს დადიოდა და ახლაც ასეა. რაც შეეხება საკვებს, არ ჭამს ბრინჯსა და მაკარონს, მხოლოდ ქერს მიირთმევს, წყალს წყაროებიდან სვამს, ალკოჰოლი კი დიდი ხანია არ დაულევია. ძალიან ენატრება 10 წლის წინ გარდაცვლილი მეუღლე. მისი 3 შვილიდან ერთ-ერთი დღემდე ცოცხალია (სესილიო დღეს 67 წლისაა). მოხუცს 40 შვილიშვილი და 19 შვილთაშვილი ჰყავს.

გინესის წიგნის მიხედვით, ყველაზე ხანდაზმული ადამიანია იაპონელი ქალი მისაო ოკავა, რომელიც მარტში 115 წლის გახდა.

## ყველაზე განებივრებული ძაღლი



მსოფლიოში ყველაზე განებივრებული ცხოველი იორკშირ ტერიერის ჯიშის ძაღლი ლოლაა და ის ბრიტანეთში ცხოვრობს. მისი პატრონი, 34 წლის ლუიზა ჰარისი, ყოველ დილას საყვარელი ლოლასთვის და ძაღლის მეგობრების, ლარის, ლულუსა და ლოლისათვის საუზმეს ამზადებს. ჰარისი ყოველთვიურად 800 ფუნტს ხარჯავს საყვარელი შინაური ცხოველისა და მისი მეგობრების მოვლისთვის.

კვების გარდა, ძაღლები განებივრებულები არიან მომსახურებით — დაბანით, მასაჟითა და დავარცხნით. პატარა ლოლას გარდერობი 300 ფუნტის ღირებულების ტანსაცმლისგან შედგება. მისი საწოლი კი პატრონს 5000 ფუნტი დაუჯდა.

ლოლა იქნება პირველი, ვინც მონაწილეობას მიიღებს ბრიტანული ტელევიზიის პროგრამაში, სახელწოდებით „მსოფლიოში ყველაზე განებივრებული შინაური ცხოველები“.

## მფრინავი ლონდონელი




30 წლის ილუზიონისტმა სტივენ ფრეინიმ თანამოქალაქეები გააოცა. ის ლონდონის მთავარ მოედანზე მიდიოდა და უცებ ჰაერში დაიწყო ასვლა, ბოლოს კი ორსართულიანი ავტობუსის სახურავს გვერდიდან ხელი მიადო და მის გვერდით გარკვეული ხნის განმავლობაში მიფრინავდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას პოლიციის ესკორტი მიაცილებდა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# პიერო ხართ თუ არლეკინი?



**1. როცა მარტო ხართ, შეგიძლიათ რამეზე გულიანად იცინოთ?**

ა) დიახ, ასეც ხდება — 5

ბ) არასოდეს — 0

გ) ცრემლებამდე ვხარხარებ ხოლმე — 10

**2. არსებობს თემები, რომლებიც არასოდეს იქნება თქვენთვის სახუმარო?**

ა) დიახ, არის რამდენიმე — 5

ბ) არა — 10

გ) ასეთი თემა საკმაოდ ბევრია — 0

**3. შეიძლება გაგეცინოთ, თუ დაინახავთ, როგორ წაიქცა ადამიანი?**

ა) დიახ — 10

ბ) არა, ეს სასაცილო არ არის — 0

გ) დია, თუ ეს ადამიანი ჯამბაზია ან კომედიაში თამაშობს — 5

**4. მამაკაცი ქუჩაში გორგოლაჭებით დადის, როგორ ფიქრობთ, რატომ?**

ა) ის არანორმალურია — 0

ბ) სწრაფად რომ იმოძრაოს — 5

გ) ალბათ ცირკის ჯამბაზია და ვარჯიშობს — 10

**5. რა რეაქცია გექნებათ, თუ ხუმრობის ობიექტი გახდით?**

ა) მაგარია, აუცილებლად იმავეთი ვუპასუხებ — 10

ბ) არ მომეწონება — 0

გ) ეს ნორმალურია, თუ დასაშვებ ზღვარს არ სცდება — 5

**6. თქვენს კოლეგას სამუშაო მაგიდაზე ჩაეძინა, რას იზამთ?**

ა) უფროსს შევატყობინებ — 5

ბ) ფრთხილად გავაღვიძებ — 0

გ) ყურში ხმამაღლა ჩავძახებ, შევაშინებ და დანარჩენ თანამშრომლებს გულიანად ვაცინებ — 10

**7. ნაკლებად ნაცნობ გარემოცვაში მოხვდით, ცოტა უხერხული, დაძაბული სიტუაციაა, რას იზამთ?**

ა) ჩუმად იქნებით, სანამ სიტუაცია თავისით არ დარეგულირდება — 0

ბ) დამსწრეთაგან რომელიმეზე იხუმრებთ და ყველას გააცინებთ — 10

გ) ანეკდოტს ან სახუმარო ისტორიას მოყვებით — 5

**8. ბრაზობთ, როცა ხუმრობა თქვენთვის მნიშვნელოვან თემებს ეხება?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 10

გ) როდის, როგორ — 5

**9. თქვენი აზრით, შეიძლება საავადმყოფოში ანეკდოტების მოყოლა?**

ა) რატომაც არა, სიცილი ჯანმრთელობის საწინდარია — 5

ბ) არავითარ შემთხვევაში, საავადმყოფო სახუმარო ადგილი არაა — 0

გ) შეიძლება კი არა, აუცილებელიცაა, სიცილი ყველგან და ყოველთვის შეიძლება — 10

10. სტუმრად ხართ და ისეთი კერძი შემოგთავაზეს, რომელიც არ გიყვართ...

ა) შეჭამთ, რათა მასპინძელი არ გაანაწყენოთ — 0

ბ) ზრდილობიანად იტყვით უარს — 5

გ) იხუმრებთ, რომ საჭმელი ცუდადაა მომზადებული და თავადაც ხარხარს დაიწყებთ — 10

**11. იუმორის ჟანრებს ასხვავებთ?**

ა) დიახ, არსებობს სატირა, ირონია, სარკაზმი, პაროდია, შავი იუმორი, კარიკატურა, კალამბური და ა.შ. — 10

ბ) ამ განსხვავებებს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს — 0

გ) ჯერ ერთი, ან სასაცილოა, ან — არა, მეორეც, არსებობს კომედიები და იუმორისტული გადაცემები — 5

**12. სამსახურში საპირველაპრილოდ ყველაზე მისაღებად რომელი ხუმრობა მიგაჩნიათ?**

ა) კოლეგებს საიდუმლოდ ამცნოთ, რომ ყველას ხელფასი მოუმატეს — 0

ბ) ხატოვნად მოყვეთ უფროსებზე რაიმე სასაცილო ისტორია — 5

გ) რომელიმე კოლეგის შეშინება, მაგალითად, „ზურგი საღებავით გაქვთ დასვრილი“ — 10

**13. თუ რომელიმე მეგობარს თქვენი დახმარება სჭირდება...**

ა) თუ ვერაფრით ეხმარებით, მის დამშვიდებას ეცდებით — 0

ბ) კონკრეტული სიტუაციის მიხედვით იმოქმედებთ — 5

გ) თემის შესაბამის ანეკდოტს მოუყვებით — 10

**14. მეგობარს კომიკური ისტორია გადახდა თავს. როგორ თვლით, შეიძლება მისი თანხმობის გარეშე ამის გახმაურება?**

ა) თუ ვინმეს გართობა გინდა, შეიძლება — 10

ბ) ეს იმაზეა დამოკიდებული, ვის და რა შეემთხვა — 5

გ) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება — 0



**შედეგები:**

## 0-70 ქულა — პიერო

იუმორის გრძნობაში ნამდვილად მოიკოჭლებთ. სხვების ხუმრობებს ყოველთვის ვერ ხვდებით და არც თავად გეხერხებათ ამის გაკეთება. გაითვალისწინეთ, იუმორი ურთიერთობაში კარგი დამხმარეა, ფსიქოლოგიურად გიცავთ, საშუალებას გაძლევთ, საინტერესო და მრავალფეროვან ადამიანად წარმოჩნდეთ. ამიტომ გირჩევთ, გაერკვეთ, რა ფსიქოლოგიური პრობლემები გიშლით ხელს. ეს შეიძლება იყოს შინაგანი აკრძალვებიც და გარკვეული ტაბუც, რომლის გამოც გარკვეულ თემებზე ხუმრობა უზნეობად გეჩვენებათ. ან იმდენად სერიოზული და დაკავებული ადამიანი ხართ, რომ იუმორისთვის არც დრო გრჩებათ და არც — ენერგია.

იმისათვის, რომ სიტუაცია შეცვალოთ, საკუთარ თავზე იმუშავეთ და თქვენი ცხოვრება გაცილებით ჰარმონიული და სავსე გახდება, ურთიერთობა კი — სრულფასოვანი და სასიამოვნო.

## 75-140 ქულა — არლეკინი

იუმორის გრძნობა ნამდვილად მოჭარბებული გაქვთ.ის ბობოქრობს და ხანდახან კიდეებიდან გადმოდის კიდეც. ასეთ სიტუაციას ხელსაყრელს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, ის ადამიანების მიმართ აგრესიისა და ცინიზმის მაჩვენებელია. სრულიად შესაძლებელია, ასეთი მიდგომით საკუთარ კომპლექსებსა და შიშებს ნიღბავთ. რაც მთავარია, ასეთი დამოკიდებულება საშუალებას არ გაძლევთ, სერიოზული, ღრმა, სანდო და ხანგრძლივი ურთიერთობები გქონდეთ. ამიტომ გირჩევთ, ისწავლოთ, იყოთ უფრო თავშეკავებული, არ დასცინოთ ყველას თან ხუმრობის დროს ზომიერება შეინარჩუნოთ და დააკვირდეთ, თქვენი გამონათქვამების გამო რას გრძნობენ სხვები.

# სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | 5 | | | 6 | | |
| | 8 | | 3 | | | | 2 | 9 |
| | | 4 | | | | 7 | | |
| | | 9 | | 5 | 2 | 4 | | 3 |
| 2 | | | | | | 8 | | |
| | 3 | | | 1 | | | 9 | |
| | 7 | 5 | | | | | | |
| | | 2 | 4 | | | 3 | 7 | |
| 6 | | | | 9 | 8 | | | 1 |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 3 | | | 8 | | |
| 5 | | | | | 7 | | 6 | |
| | | 4 | | | 9 | | | 2 |
| 2 | | 3 | | 9 | | | | |
| | 7 | | | | | | 5 | 8 |
| | | 5 | 1 | | 6 | | | |
| | | 9 | | 4 | | 7 | | |
| | | | 7 | 8 | | 3 | | |
| 8 | 6 | | | 5 | | | | 1 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# მამაკაცები მომხიბვლელად გთვლიან?

1. შეგიძლიათ, ადამიანი თქვენი იდეით დააინტერესოთ თუ ურთიერთობისთვის მხოლოდ ტელეფონი გაქვთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

2. შეუყვარდით ადამიანს, ვინც მაინცდამაინც არ გიზიდავთ. შეგეცვლებათ თუ არა შეხედულება მასზე, გახდება თუ არა ის თქვენთვის უფრო სასიამოვნო?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

3. როცა წერთ, სტრიქონები ზევით ხომ არ „მიცოცავენ“?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

4. შეგიძლიათ ღიმილით აირიდოთ უსიამოვნო კითხვები?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

5. გაქვთ ჩვევად, არ იკამათოთ და მაინც საკუთარ აზრზე დარჩეთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

6. კამათის დროს მოწინააღმდეგის აზრს ყურადღებით ისმენთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

7. ბავშვობაში უფროსები გაღმერთებდნენ და განებივრებდნენ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0



8. ოდესმე თქვენკენ მომართული აღფრთოვანებული მზერა „დაგიჭერიათ“?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

9. ხშირად გეუბნებიან გულწრფელ კომპლიმენტებს?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

10. სიამოვნებით იყურებით სარკეში?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

**შედეგები:**

**7-10 ქულა** — დარწმუნებული ხართ, რომ დიდი პიროვნული ხიბლი გაქვთ. შესაძლებელია, ეს მართლაც ასეა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ცდებით. არც კი უშვებთ იმას, რომ ქვეყნად ისეთი ადამიანი არსებობს, რომელსაც არ მოსწონხართ. სულ ტყუილად. ასეთი ადამიანი არსებობს. თან არა ერთი.

**5-6 ქულა** — უდავოა, ხიბლი გაქვთ, ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანი ხართ საკუთარი ღირსების გრძნობით, ზედმეტი შფოთიანობის გარეშე. არაა საჭირო თქვენი ხასიათის მხოლოდ იმისთვის შეცვლა, რომ სხვებმა გაგაღმერთონ.

**3-4 ქულა** — გარშემომყოფების ფავორიტს და ყველასთვის საყვარელ ადამიანს ვერ გიწოდებთ. სავარაუდოდ, ეს თქვენი გაუბედაობითაა განპირობებული. თავდაჯერებულობის ნაკლებობის გამო სხვების დარწმუნება თქვენს სიმართლეში მაშინაც გიჭირთ, როცა სიმართლე თქვენს მხარესაა.

**2 და ნაკლები ქულა** — არც ხიბლი გაქვთ და არც ღირსების გრძნობა. გძულთ საკუთარი თავი. სარკეში რომ უყურებთ, ეს არანაირ სიამოვნებას არ გგვრით. უნდა შეიცვალოთ და ეს სასწრაფოდ უნდა მოხდეს, რადგან ასეთი მდგომარეობა ფსიქიკურ სიჯანსაღეზე ცუდად აისახება.

# როგორ დავალაგოთ ტანსაცმლის კარადა?

კარადასთან მიდიხართ, ალებთ და იწყებთ ფიქრს, რა ჩაიცვათ. საკიდებზე უამრავი ტანსაცმელი კიდია, თაროებზე ალიაქოთია — მაისურები, სვიტერები, ჯინსები, შარვლები... მაგრამ, მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, არ იცით, რა ჩაიცვათ და იწყებთ წუწუნს, რომ გარდერობი თითქოს სავსეა, ჩასაცმელი კი არაფერი გაქვთ.

თუ არ იცით, საიდან დაიწყოთ, ვეცდებით, ცოტა დაგეხმაროთ. იმედია, ეს რჩევები გამოგადგებათ და მალე თქვენს კარადაშიც გაჩნდება ადგილი ახალი სამოსისთვის. თანაც მიზეზიც გექნებათ უფრო ხშირი შოპინგისთვის.



## პირველი ნაბიჯი — მოაგროვე და დაახარისხე

გამოალაგე ყველაფერი გარდერობიდან, კარადიდან, ტუმბოებიდან, კარადების ზედა სათავსოებიდან და ორ დიდ ჯგუფად დაახარისხე: შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის.

გაშალე ეს ყველაფერი საწოლზე ან ტახტზე და საქმეს შეუდექი. თუ მაინცდამაინც ბევრი დრო არ გაქვს, შეგიძლია დასაწყისისთვის ერთი რომელიმე ჯგუფის, მაგალითად, შემოდგომა-ზამთრის ტანსაცმელი დაახარისხო.

## მეორე ნაბიჯი — ამოარჩიე ნივთები, რომლებსაც აღარასოდეს გამოიყენებ, რომლებიც ამ სეზონზე ერთხელაც არ ჩაგიცვამს და დაუნანებლად გადადე „მოსაშორებელი“ ნივთების ყუთში

უკვე დროა, მოიშორო თავიდან რამდენიმე წლის წინ ნაყიდი ძალიან საყვარელი, მაგრამ უკვე გაცრეცილი მაისური, სულ ახალი ქვედაკაბა, რომელიც შარშან იყიდე დიდ ფასდაკლებაზე, მაგრამ ვერ მოირგე და ყიდვის დღიდან უქმად იმტვერება კარადაში, ან ჯინსი, რომელიც 2 წელია, არ ჩაგიცვამს, მაგრამ კარგი ბრენდია და გენანება.

გამონაკლისი დაუშვი იმ ნივთებისთვის, რომლებიც: არ გცმია იმიტომ, რომ მათი არსებობა არ გახსოვდა და ახლა თავიდან აღმოაჩინე; საღამოს კაბები, სადღესასწაულო ტანსაცმელი, საკარნავალო კოსტიუმები. ასეთი ტანსაცმელი ნებისმიერ დროს შეიძლება გამოგადგეს; სამოსი, რომელიც კარგ მოგონებებთან ასოცირდება — ბავშვობის კაბა, სკოლის დროინდელი საყვარელი სვიტერი, კაბა, რომელიც მაშინ გეცვა, როცა საყვარელი ადამიანი გაიცანი და ა.შ; ის, რაც ძვირფასია. მაგალითად, ბეწვეული; კლასიკა — პიჯაკები, სწორი შარვლები და პერანგები; საოფისე სტილის სამოსი არასოდეს გადადის მოდიდან.

## მესამე ნაბიჯი — ჩამდენად გიხდება ეს ნივთები?

აიღე სათითაო ნივთი იქიდან, რაც პირველ „წმენდას“ გადაურჩა, მოიზომე, სარკეში ჩაიხედე და შეაფასე: ისევ გიხდება? ნამდვილად მოდაშია? ჯერ ისევ მოგწონს ეს ნივთი? იქნებ უკვე გაცვდა და პეწი დაკარგა? ან იქნებ ცოტა გახდი, ან მოსუქდი და ისე ლამაზად აღარ გადგას ტანზე? ჩართე ამ პროცესში მეგობრები და მოაწყვე სახალისო მოდების ჩვენება. ჰკითხე სხვებსაც, რას ფიქრობენ. ის ნივთები, რომლებიც გამოცდას ვერ გაივლის, თავიდან უნდა მოიშორო.

## მეოთხე ნაბიჯი — შეუხამე და დაგეგმე

გადახედე დარჩენილ ნივთებს, აღმოაჩინე, რა დაგაკლდა, რის შეძენას ისურვებდი, რა მოუხდება შენს მწვანე კოფთას, რომლის არსებობა არც კი გახსოვდა იმიტომ, რომ შესაფერისი არაფერი გქონდა. დააკვირდი დაწუნებულ ნივთებს, რომ მეორედ იგივე შეცდომები არ გაიმეორო და იგივე მოდელები აღარ იყიდო.

ზედმეტ, არასასურველ სამოსს რა უყო? თავად გადაწყვიტე. შეგიძლია გადაყარო, გააჩუქო ან გაჭირვებულებს დაურიგო.



Cyan Magenta Yellow Black

# 5 მითი კატარაქტის შესახებ



კატარაქტა (ბროლის შემღვრევა) თვალის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. მის შესახებ მრავალი მითი არსებობს. მოდით, გავარკვიოთ, მათგან რომელია მართალი და რომელი — ტყუილი.

**პირველი მითი:** კატარაქტა ხანდაზმული ადამიანების ხვედრია. ახალგაზრდებს არ ემართებათ.

**სინამდვილე:** ხშირად კატარაქტა მართლაც ასაკობრივი პრობლემაა და ორგანიზმის დაბერების გარდაუვალ პროცესთან არის დაკავშირებული, მაგრამ შეიძლება დაავადება ნებისმიერ ასაკში, ბავშვებშიც აღმოცენდეს. საბედნიეროდ, პატარებში საკმაოდ იშვიათად გვხვდება (100 ათასი ახალდაბადებულიდან 5 შემთხვევა). ასაკობრივ ცვლილებებთან დაკავშირებულ კატარაქტას ხშირად იწვევს სომატური დაავადებები (მაგალითად, შაქრიანი დიაბეტი) ან ფიზიკური ზემოქმედება (მზის გამოსხივება, ტრავმა).

**მეორე მითი:** კატარაქტის განვითარების თავიდან აცილება შეიძლება.

**სინამდვილე:** არსებობს რომელიმე სხვა დაავადებით გამოწვეული კატარაქტის გართულებული ფორმების პროფილაქტიკა. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო ღონისძიებაა კატარაქტის მაპროვოცირებელი სნეულების ადეკვატური პროფილაქტიკა და მკურნალობა. მაგალითად, სისხლში შაქრის დონის გაკონტროლება (თუ შაქრიან დიაბეტზეა საუბარი). ასაკობრივი კატარაქტის განვითარების თავიდან აცილება, რომელიც ხშირად მემკვიდრეობითი ხასიათისაა, პრაქტიკულად შეუძლებელია.

**მესამე მითი:** კატარაქტისგან განკურება წვეთებით შეიძლება.

**სინამდვილე:** წვეთების შექმნის მრავალრიცხოვანმა მცდელობამ, რომელიც თითქოს ბროლის შემღვრევაზე გავლენას ახდენს, არ გაამართლა. არის მონაცემები, რომ კატარაქტის განვითარების რამდენადმე დამუხრუჭება შეუძლიათ, მაგრამ პრობლემას კარდინალურად ვერ ჭრიან.

**მეოთხე მითი:** კატარაქტის ოპერაცია მაშინ უნდა გაკეთდეს, როდესაც „მომწიფდება“.

**სინამდვილე:** ამ საკმაოდ გავრცელებულ ცდომილებას ოფთალმოლოგები მუდამ ეჯახებიან. ოდესღაც ასეთი მიდგომა გამართლებული იყო. დაავადებისგან გათავისუფლების ტექნიკური შესაძლებლობები ისეთი იყო, რომ ქირურგებისთვის ნამდვილად მოსახერხებელი იყო მომწიფებული კატარაქტის ოპერაცია, მაგრამ სადღეისოდ სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. კატარაქტის მკურნალობა ინდივიდუალურად უნდა გადაიჭრას. ყველაფერი დამოკიდებულია თავად პაციენტის შეგრძნებებზე.

**მეხუთე მითი:** ოპერაციის შემდეგ შეგიძლიათ სათვალე საერთოდ არ ატაროთ.

**სინამდვილე:** სადღეისოდ უკვე ამზადებენ მულტიფოკალურ ხელოვნურ ბროლებს, რომლებსაც შეუძლიათ როგორც შორს, ასევე ახლოს კარგი მხედველობა უზრუნველყონ.

# ყაბაყი ორგანიზმს აახალგაზრდავებს



ყაბაყი შესანიშნავად შეითვისება ორგანიზმის მიერ. მასში ბევრია სასარგებლო მიკროელემენტი, როგორიცაა: კალიუმი, თუთია და რკინა, ფოსფორი, ნატრიუმი, მაგნიუმი, ასევე დიდი რაოდენობითაა ორგანული მჟავები და ვიტამინები.

ყაბაყს აქტიური შარდმდენი მოქმედება აქვს, წყალმარილოვან ცვლას არეგულირებს და სისხლს წმენდს.

პექტინების მაღალი შემცველობის წყალობით, ყაბაყი სწრაფად შეითვისება და ორგანიზმიდან ნატრიუმის მარილები, ასევე ზედმეტი ქოლესტერინი გამოაქვს.

ეს ბოსტნეული ნაწლავების პერისტალტიკას აძლიერებს. ასე რომ, მისი რეგულარულად მოხმარებისას ზედმეტი წონა არ გემუქრებათ. გარდა ამისა, დაბალკალორიულია. 100 გრამი ქორფა ყაბაყი სულ 27 კკალორიაა.

ყაბაყში დიდი რაოდენობითაა ანტიმჟანგავები, რომლებსაც ორგანიზმზე გამაახალგაზრდავებელი მოქმედება აქვთ.

# სუფთა ჰაერი სუფთა წყალივით გვჭირდება

წყალში ბინადარი თევზების მსგავსად, ჩვენ, ადამიანები, ყოველი მხრიდან ჰაერის ზღვით ვართ გარშემორტყმულნი. ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი წერს: „ჰაერი პურია ფილტვებისთვის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მას ვსუნთქავთ და არ ვჭამთ. აზრად არავის მოუვა ბინძური პური ჭამოს. მაგრამ ამის მსგავსს ჩადის ის, ვინც მუდამ დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს. ამით თავს თანდათან იწამლავს“.

ნახშირორჟანგი შხამია ჩვენი სუნთქვის ორგანოებისთვის, ვინაიდან გულის მუშაობას აფერხებს და სისხლის მიმოქცევას ანელებს. მას ვსუნთქავთ არამხოლოდ შეშის, ნახშირის, ნავთის, ზეთის წვის დროს, არამედ სხვა ადამიანებთან და ცხოველებთან ერთ შენობაში ყოფნისას. სუფთა ჰაერი რომ ისუნთქოთ, ყველა ფანჯარა რაც შეიძლება ხშირად და დიდი ხნით გააღეთ. ერთი ფანჯრის ან ერთი კარის გაღება არასაკმარისია. აუცილებელია ურთიერთსაწინააღმდეგოდ განლაგებული ფანჯრების ან ფანჯრისა და კარის ღიად დატოვება.

სუფთა ჰაერი ერთ-ერთი მთავარი პირობაა კარგი სისხლის გამომუშავებისთვის. ამ უკანასკნელზე დამოკიდებულია ორგანიზმის ყველა ნაწილის ჯანმრთელობა, ჩვენი სულიერი მდგომარეობა და გონებრივი საქმიანობა.

როგორც თევზი ავადმყოფობს ქიმიური და ორგანული ნივთიერებებით დაბინძურებულ წყალში, სწორედ ასევე იტანჯება ადამიანი უსუფთაო ჰაერში. თავში აზრად არავის მოუვა, ნარეცხი წყალი დალიოს, მაგრამ ჰაერს, რომელიც ნარეცხზე სუფთა არ არის, სიამოვნებით სუნთქავს.

გახსოვდეთ, სუფთა, გრილი ჰაერი საუკეთესო სადეზინფექციო საშუალებაა მთელი ორგანიზმისთვის.



# სტომატიტს ხალხური რეცეპტებით უმკურნალეთ

სტომატიტის სხვადასხვა ფორმები არსებობს, მაგრამ ყველა მათგანს საერთო ნიშანი აქვს: პირის ღრუს ლორწოვანის სიწითლე, ახლომდებარე ქსოვილების შეშუპება, ლიმფური კვანძების გადიდება.

ხალხურ მედიცინაში სტომატიტის სამკურნალო ბევრი საშუალებაა.

ახალგამოწურული კომბოსტოს წვენი სანახევროდ გადადუღებული წყლით გააზავეთ და ლორწოვანი გარსის ანთების დროს პირში გამოივლეთ.

ღრძილებისა და ლორწოვანის ანთების დროს ეფექტურია კალანხოეს წვენის გამოვლება.

ალოეს ფოთოლი დაღეჭეთ ან მისი წვენი გამოივლეთ.

პირშუშხას ძირების წვენი სანახევროდ წყლით გააზავეთ და პირში გამოივლეთ. ან შეგიძლიათ პირშუშხას ძირების ნაყენით ისარგებლოთ. ის ასევე სასარგებლოა გინგივიტის და პაროდონტოზის დროსაც.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— მაწუხებს მაღალი წნევა. მასწავლეს გულზე ძაფით გაფცქვნილი კარტოფილის ჩამოკიდება (როგორც მძივის). უნდა გავიჩერო 15 დღე. რა შედეგი მექნება და თუ მიშველის?**

— გულზე კარტოფილის ჩამოკიდებით ჯერ არც ერთ ექიმს უცდია ჰიპერტონიული დაავადებების განკურნება. უმჯობესია, არტერიული წნევის მომატების მიზეზი გაარკვიოთ და შესაბამისად იმკურნალოთ. თუ თქვენ ყოველდღიურად წნევის დამწევ საშუალებას იღებთ, უმჯობესია, დღეში 3-4 კანიანად მოხარშული კარტოფილი მიირთვათ, რომ ორგანიზმიდან დაკარგული კალიუმის მარაგი შეივსოთ.

**— ასაკის მატებასთან ერთად თითქოს მომემატა ხალები. როგორ შეიძლება ამის შეჩერება?**

— ხალი კანის არასწორი პიგმენტაციაა, რომლის გალიზიანებაც ზოგჯერ არასასურველ შედეგს იძლევა. თუ გეჩვენებათ, რომ თქვენმა ხალებმა ფერი შეიცვალა, აუცილებლად დერმატოლოგს მიმართეთ. თუ ხშირად დადიხართ მზეზე, ხალების რაოდენობამ შეიძლება მოიმატოს.

**— მუდმივად მაწუხებს ცრემლდენა. დილით თვალები მაქვს დაწითლებული, თუ სასმელს ვსვამ, თვალები მტკივა. რა ვიღონო?**

— აუცილებლად მიმართეთ ოფთალმოლოგს. თქვენი სიმპტომებიდან შესაძლებელია წამწამის ტკიპა ან რომელიმე სოკოვანი დაავადება გჭირთ. აუცილებლად ჩაიტარეთ თვალის ლორწოვანას ნაცხის ანალიზი.

**— 20 თვის გოგონას ქრონიკულად დაეწყო თვალების შეშუპება. შარდსაც მცირე რაოდენობით გამოყოფს, მოემატა თმიანობა. ვის მივმართოთ? გვირჩიეთ რამე ხალხური მედიცინიდან.**

— სასწრაფოდ მიმართეთ ბავშვთა უროლოგს. თუ ბავშვი მცირე რაოდენობით შარდს გამოყოფს და თვალები უშუპდება, შეიძლება თირკმლის პათოლოგიაა. გირჩევთ, ექიმის კონსულტაციამდე ბავშვს არანაირი წამალი არ მისცეთ, შეიძლება მდგომარეობა დამძიმდეს.

**— თვალის გუგები გამიფართოვდა და მტკივა. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— თვალის გუგების გაფართოება შეიძლება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციურმა მოშლილობამ გამოიწვიოს. უმჯობესია, ეჩვენოთ ენდოკრინოლოგს. თვალის გუგების გაფართოება შეიძლება თვალში მიმდინარე ანთებითი პროცესის გამოც იყოს გამოწვეული.

**— მენსტრუაციული ციკლის დროს მუდამ ძალიან მტკივა თავი. რა ვუშველო?**

— მენსტრუაციული ციკლის დროს თავის ტკივილი პათოლოგიის მაჩვენებელი არ არის. მენსტრუაციული პერიოდი ქალის ორგანიზმში უამრავ ცვლილებას იწვევს. ამ პერიოდს ზოგჯერ ფეხმძიმობის სიმპტომები ახასიათებს. თუ თავის ძლიერი ტკივილი გაქვთ, შეიძლება მიზეზი ჰორმონალური ცვლილებებია. უმჯობესია, მიმართოთ გინეკოლოგს და ჩაიტაროთ შესაბამისი გამოკვლევა.

**— რა იწვევს მასტოპათიას?**

— მასტოპათიის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს. განვითარებულ ქვეყნებში მას საქმიანი ქალის დაავადებასაც უწოდებენ, რადგან ხშირად მისი გამომწვევი მიზეზი სტრესული სიტუაცია და ნერვიულობაა. მასტოპათიის მიზეზი შეიძლება აბორტი და დაგვიანებული მშობიარობა, სხვადასხვა გინეკოლოგიური პრობლემები გახდეს. თუ ქალს მენსტრუაციული ციკლის დროს ხშირად აქვს მკერდის შებერილობა, უცნაური ხასიათის ტკივილი, უკვე არსებობს რისკ ფაქტორი მასტოპათიის ჩამოყალიბების. 30 წლის ზემოთ ასაკის ქალმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩაიტაროს ექოსკოპიური გამოკვლევა როგორც სასქესო ორგანოების, ასევე სარძევე ჯირკვლების. სარძევე ჯირკვლებიდან თუ შეამჩნევთ ოდნავ გამონადენს, სასწრაფოდ მიმართეთ მამოლოგს. დროული მკურნალობა შედარებით მარტივია და თავიდან აგაცილებთ უამრავ პრობლემას.

**— ვარ 62 წლის ქალი. ბოლო 10 წლის მანძილზე მაწუხებს მაღალი წნევა. მოქმედებს მხოლოდ შარდმდენი წამლები. თუ არსებობს რაიმე ხალხური წამალი, რომელიც პრობლემის მოგვარებაში დამეხმარება?**

— მაღალი წნევა დაავადება არ არის. არსებობს მისი გამომწვევი დაავადებები, რომელთა საფუძველზეც ხდება სისხლის არტერიული წნევის მაჩვენებლის მომატება. მაღალი წნევის მიზეზი გულის იშემიური დაავადება, ნერვული, თირკმლის პათოლოგიები შეიძლება იყოს. პირველ რიგში, მისი გამომწვევი მიზეზი უნდა დადგინდეს და შესაბამისად დაიწყოთ მკურნალობა. სანამ გამოკვლევას ჩაიტარებთ, უმჯობესია, ყოველდღიურად მიიღოთ წნევის დასარეგულირებელი პრეპარატები, ეცადეთ წამლები დილით მიიღოთ. რაც შეეხება შარდმდენ საშუალებებს, მისი ყოველდღიური, უსისტემო გამოყენება დაუშვებელია, რადგან შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მიკროელემენტების მიმართ შიმშილი, კერძოდ კი, კალიუმის დაკარგვა. თუ გადაწყვეტთ, რომ მიიღოთ შარდმდენი საშუალება, მიირთვით კანიანად მოხარშული კარტოფილი. კარტოფილის პიურეში კალიუმი ფაქტობრივად დაკარგულია.

**— მყავს 22 წლის გოგონა, გადაიტანა ვირუსული დაავადება, რის შემდეგაც დაეწყო გულის წასვლა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მდგომარეობა თავისით გამოუსწორდა, მაგრამ ვამჩნევ, რომ ცუდად სძინავს. ვის მივმართოთ?**

— ვირუსული დაავადების გადატანის შემდეგ, ორგანიზმი კარგავს ბრძოლისუნარიანობას. პირველ რიგში, უნდა მოხდეს ორგანიზმის დატვირთვა მაღალკალორიული საკვებით, რომ გაძლიერდეს იმუნური სისტემა. შეიძლება თქვენს შვილს ვეგეტონევროზიც სჭირს. მიმართეთ ნევროპათოლოგს, რადგან გულყრა, გულის წასვლა არ არის სახუმარო და იგი უკვალოდ არ ჩაივლის. ღამით კი მიეცით მსუბუქი დამამშვიდებული საშუალებები.

**— ბავშვი არის 6 თვის. ერთი თვის ასაკიდან ახასიათებდა თავის უკან გადაქაჩვა, თვალის გუგების გაფართოება, შემდეგ ფეხის წვერებზე დგომა. მითხრეს, ქალაშიდა წნევის ბრალიაო. ახლა ტირილის დროს „ჩაბჟირდება“ ხოლმე. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— ბავშვის ნერვული სისტემა ყოველდღიურად იცვლება. ოდნავ არასწორმა მკურნალობამაც კი შეიძლება საკმაოდ მძიმე შედეგი გამოიწვიოს. გირჩევთ, ბავშვთა ნევროპათოლოგს მიმართოთ.

**— ვარ 40 წლის. პირველი ფეხმძიმობა მაქვს, აუცილებელია თუ არა საკეისროს გაკეთება?**

— საჭირო არის თუ არა საკეისრო კვეთით მშობიარობა, ეს მხოლოდ თქვენ და მკურნალმა ექიმმა უნდა გადაწყვიტოთ. თქვენი ასაკი მიეკუთნება იმ რისკ ჯგუფს, როცა ექიმთა დიდი ნაწილი ორსულს გეგმური საკეისრო კვეთის ჩატარებას ურჩევს, რომ პათოლოგიები თავიდან იყოს აცილებული. თუ თქვენ ორსულობა გქონდათ ნორმალური, არ გქონიათ მომატებული ტონუსი და ბავშვის მდებარეობაც არის ნორმალური, ექიმთან შეთანხმებით, შეგიძლიათ დაგეგმოთ ფიზიოლოგიური მშობიარობაც.

**— მაქვს ცხიმიანი თმა. რომელი შამპუნი გამოვიყენო?**

— ცხიმიანი თმა ყოველდღიურად უნდა დაიბანოთ. უმჯობესია, გამოიყენოთ მისთვის განკუთვნილი შამპუნები, რომელთა შერჩევა ინდივიდუალურია.

**— აუცილებელია თუ არა გლანდების ამოკვეთა, ხშირად დაჩირქებული მაქვს?**

— ე.წ. გლანდის ამოკვეთა დღეს აღარ წარმოადგენს პრობლემას. მისი მოშორება შედარებით უმტკივნეულოდ, ლაზერული აპარატითაც არის შესაძლებელი, მაგრამ ექიმთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ამოკვეთა საჭირო არ არის, თუ ანთებითი პროცესი კრიტიკულ ზღვარს არ მიაღწევს. გლანდების ამოკვეთა ზოგჯერ იმუნური სისტემის დაქვეითებას იწვევს.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

1. ტროპიკული დაბალი პალმა გიგანტური ფოთლებით; 2. ატლანტიკური ქაშაყის ბალტიკური ქვესახეობა; 3. თევზის ძვალი; 4. უქოჩრო თუთიყუში; 5. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 6. ქალაქი აფხაზეთში; 7. ვიწრო, თხელი ფიცარი; 8. წიგნის ან ჟურნალის საცდელი ეგზემპლარი; 9. პატარა ფეხსახსრიანი ცხოველი; 10. კორეული ავტომობილი; 11. ბილიარდის ჯოხი; 12. პატარა საწნახელი (კუთხ.); 13. ... ჟორდანია; 14. მამაკაცის საფულე; 15. სპორტული ნაგებობა ველო და მოტოსპორტში შეჯიბრებისათვის; 16. საავტომობილო სპორტის სახეობა; 17. დროშა; 18. გლებ პანფილოვის ფილმი; 19. დამხმარე თეორემა; 20 ... მატიე; 21. ჰონდურასის ფულის ერთეული; 22. რიტმული ტანვარჯიში; 23. კოსოვოს ადმ. ცენტრი; 24. ქალბატონი (ინგლისურად); 25. ცხენის კისრის ნაწილი; 26. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 27. დაცლილი ვაზნა; 28. „ოტელოს“ პერსონაჟი; 30. ინგლისური ხურდა ფული; 31. შინაური ცხოველი; 32. ველური ვარდი; 33. ზღვის ტალღა (ძვ.); 34. ჯოჯოხეთი, მოუსავლეთი; 35. პოეტი ... კუნანბაევი; 36. ... სეფიაშვილი; 37. ნარკოტიკი; 38. ქვეყნის შეიარაღებული ძალები; 39. ქალბატონი (ფრანგულად); 40. მიწის ფართობის საზომი ერთეული ინგლისსა და ამერიკაში; 41. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 42. ქალაქი ერაყში; 43. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 45. ადმინ. ერთეული საბერძნეთში; 46. მდინარე შვეიცარიაში; 47. ძვირფასი სახსოვარი; 48. აზრი, ჩანაფიქრი; 49. ხახის ლორწოვანი გარსის მწვავე ანთება; 50. იგივეა, რაც იჯარა; 51. ყურძნის ჩირი; 52. სამაგიდო თამაში; 53. მორიდებული მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისურენოვან ქვეყნებში; 54. იაპონური ავტომარკა; 55. ქალაქი რუსეთში; 56. თამასუქი ფულის მისაღებად; 57. სახუმარო შინაარსის მცირე საესტრადო პიესა; 58. მიმართვა მეფისადმი საფრანგეთში ძველად; 59. ფრანგი გრაფიკოსი, ფერმწერი, მოქანდაკე (1808-1879); 60. ო. თაქთაქიშვილის ოპერა; 61. მიწის ფართის საზომი ერთეული; 62. ადამიანის გარეგნობა; 64. რითაც ცხენს მართავენ.





**სიტყვა-კოდი**

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

ღრმა და ვიწრო ხევი, ხრამი





**წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები**

1. ალამი; 2. მერინოსი; 3. ავა; 4, არისა; 5. ლა; 6. ანატოლ; 7. ცირკი; 8. ენა; 9. ანეტო; 10. ცეცე; 11. ალო; 12. ბეი; 13. ალილუია; 14. მერაბ; 15. ბერეტა; 16. ესთეტიკა; 17. კილაძე; 18. ლავაში; 19. ტარანტელა; 20. ციგა; 21. კიოსკი; 22. თაგვი; 23. ანა; 24. ახ; 25. მაუგლი; 26. იდილია; 27. ლი; 28. კვარტა; 29. ლენა; 30. არქიელი; 31. გვარდია; 32. გარაჟი; 33. საქარინი; 34. ტოსკანა; 35. ემე; 36. აზრი; 37. ირიგაცია; 38. ადელი; 39. პაი; 40. ანანკე; 41. აიაზმა; 42. კონდახი; 43. ბაგირა; 44. ბიენალე; 45. „ალეკო“ 46. ჟერარ; 47. ფრიკადელი; 48. ალეკ; 49 სოლანა; 50. აბაკა; 51. არკა; 52. კრივი; 53. კაკუტა; 54. არაგვი; 55. ჩიკორი; 56. კოალა; 57. რქა; 58. სეანსი; 59. ეტი; 60. მანტო; 61. სამანი. **სურათებზე:** ხულიო იგლესიასი; ვალერი ლეონტიევი; ტოტო კუტუნიო; ალექსეი ჩუმაკოვი.

**კოდი: ლატვია**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. მეექვსე ნოტი
2. სამიანი ნარდში
3. სტადიონი ბრაზილიაში
4. შოთა... (ფეხბურთელი)
5. თხის ჯოგი
6. ვაჟიშვილი
7. შტატი აშშ-ში
8. ჭრელი, ქოჩორა ფრინველი
9. „ორმაგი“ სვლა ჭადრაკში
10. მომკილი თავთავის კონა
11. ქართული ჟურნალი
12. ამერიკული ავტომარკა
13. კეიტ ... (მსახიობი)
14. პატარა რესტორანი
15. მდინარის პატარა შენაკადი
16. დიდი, მოწნული ბოთლი
17. ... მერფი
18. თვითმკვლელი მფრინავი იაპონიაში
19. ... ჯაგერი
20. თალი
21. ჟორჟ სანდის რომანი
22. ლედი ...
23. ჩერნოგორიის დედაქალაქი






## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ტირანია; 2. ია; 3. ილი; 4. ნიანგი; 5. ამინ; 6. კარატე; 7. ტბა; 8. ტრიუმო; 9. აგა; 10. მან; 11. კარადა; 12. რუკა; 13. ლაგუნა; 14. ნიკ; 15. ინა; 16. აკრობატი; 17. ნეო; 18. ალ; 19. ასა; 20. კარეტა; 21. აჟიოტაჟი; 22. რა; 23. კურარე; 24. კუ. **სურათებზე:** ყელსაბამი; ბეჭედი; საყურე; ბიჟუტერია.



Cyan Magenta Yellow Black

# რა შევინახოთ საყინულეში



შეინახეთ ყველაფერი: ჩვეულებრივი პროდუქტებიდან დაწყებული უჩვეულო ნივთებით დამთავრებული.

**პური.** პურის ან ფუნთუშის გასაყინად საჭიროა ჰერმეტული საფუთავი. მაშინ ისინი 6 თვემდე შეინახება.

**მწიფე ბანანი.** არასდროს გაყინოთ ბანანი კანიანად — შეიძლება გასკდეს. გაყინეთ კანგაცლილი (გემოს ნაწილობრივ შეიცვლის).

**მზა კერძები.** მთლიანად ან სანახევროდ მომზადებული კერძები (ფარშირებული წიწაკა, კატლეტი, წვნიანი) გააგრილეთ, კონტეინერში ან პლასტმასის პატარა ღრმა თეფშებში გადაიტანეთ და საყინულეში შეინახეთ. სამი თვე ინახება.

**კოსმეტიკა.** თვალის კონტურის ფანქრები იშვიათად რომ გატყდეს და ქუთუთო არ დასვაროს, გამოყენებამდე 30 წუთით ადრე საყინულეში შეინახეთ. იგივე შეგიძლიათ გააკეთოთ ტუჩის ფანქრის შემთხვევაში, მაშინ კონტური მკაფიო იქნება.

**ხორცი და თევზი.** გაყინეთ მხოლოდ ახალი და კარგად გარეცხილი. გააშრეთ და ჰერმეტულ კონტეინერში მოათავსეთ. უმჯობესია, ხორცი და თევზი ნელა გაალღოთ მაცივრის თაროზე. პროდუქტში ბაქტერიების გამრავლება არ მოხდება.

**ყველი, ნაღების კარაქი, რძე, იოგურტი და უმი კვერცხი** გაყინვისთვის არ გამოდგება. სამაგიეროდ ნაღების კარაქისა და ყველის მაცივრის თაროზე კარგად გაციება დასაშვებია.

**ალკოჰოლი.** 40 გრადუსიანი სიმაგრის სპირტიანი სასმელები უშიშრად შეგიძლიათ საყინულეში შეინახოთ — არაფერი დაემართება. რაც შეეხება ღვინოს, ლუდს ან შამპანურს, ამ სასმელების ადგილი საყინულეში არ არის. გაყინვისგან გემოს შეიცვლიან, ხოლო ბოთლი გასკდება.

**ფრჩხილების ლაქი.** ფრჩხილის შეღებვის საშუალებები არა საყინულეში, არამედ მაცივარში ინახება, მაგრამ ლაქი ფრჩხილზე სწრაფად რომ გაშრეს, ასე მოიქეცით: საყინულე გამოაღეთ და იქ ხელისგულები 3 წამი გააჩერეთ. ლაქი წამში გაშრება.

**ფეხსაცმელი.** ფეხსაცმელს უსიამოვნო სუნი რომ არ ჰქონდეს (რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება გაჩნდეს), პოლიეთილენის პაკეტში მოათავსეთ და რამდენიმე საათი საყინულეში დატოვეთ.



# ნიგვზის უნიკალური თვისებები

კაკალი მცენარეული წარმოშობის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო პროდუქტია. თუ დილით 100 გრამ ნიგოზს შეჭამთ, ორგანიზმი საღამომდე დანაყრებული იქნება. კაკლის გული და ფოთლები მდიდარია C, $B_1$, B2 და PP ვიტამინებით, პროვიტამინით კაროტინით. მასში C ვიტამინი უფრო მეტია, ვიდრე შავ მოცხარში. 5 ცალ კაკალში ამ ვიტამინის დღიური ნორმაა. მასში ასევე ბევრია რკინა, კობალტი და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

ნიგოზი 74% ცხიმისა და 21% ცილისგან შედგება. მის შემადგენლობაში შედის ამინომჟავების ნაკრები, რომელთა ნახევარი ადამიანის ორგანიზმში არ სინთეზირდება. ნიგოზი კუნთების ძალას ზრდის და დაღლას ხსნის. ფიზიკური დატვირთვის შემდეგ სასურველია 3 ცალი ნიგოზი მიირთვათ.

ტიბეტური მედიცინის რეცეპტით, ყველთან და ქიშმიშთან შერეული ნიგოზი, ნერვული სისტემის მატონიზირებელი საშუალებაა. დაღლას და თავის ტკივილს ამცირებს, გულის კუნთს ამაგრებს.

ნიგოზი ათეროსკლეროზის საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. ნიგვზის 10 ლებანი და 2 კბილი დასრესილი ნიორი ერთმანეთს აურიეთ. 1 სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი მოასხით და მიღებული მასით ბუტერბროდი გააკეთეთ.

ნიგვზის ბალზამი ოპერციებისა და სტრესების შემდეგ აუცილებელია. მომზადების წესი: 100 გრამი ალოეს ფოთოლი (ერთი კვირით ადრე უნდა მოიჭრას) გარეცხეთ, წვრილად დაჭერით და 1,5 ჭიქა წყალი დაასხით. საათნახევარი დადგით. შემდეგ გაწურეთ და 500 გრამი დაქუცმაცებული ნიგოზი და 300 გრამი თაფლი დაუმატეთ. კარგად აურიეთ. მინის ჭურჭელში გადაიტანეთ, თავი მჭიდროდ მოუკარით და გრილ ადგილას შეინახეთ. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში 3-ჯერ, თითო სუფრის კოვზი მიიღეთ.

# დუკანის დიეტა



სანამ პრინც უილიამისა და კეიტ მიდლტონის სამეფო ქორწილი შედგებოდა, აგორდა ჭორი, რომ მომავალი პრინცესა და მისი დედა გახდომას ცდილობდნენ. მათ დუკანის დიეტას მიმართეს (ამბობენ, ჟიზელ ბანდჩენმა და ჯენიფერ ლოპესმაც გამოსცადეს ეს დიეტა).

დიეტა ფრანგმა ექიმმა პიერ დუკანმა შექმნა. ვნახოთ, რა გვჭირდება იმისათვის, რომ ფორმაში ჩავდგეთ:

## პირველი ნაბიჯი — შეტევის ფაზა

პირველი ნაბიჯი მენიუდან ნახშირწყლების სრული ამოღებაა. უნდა მივიღოთ რაც შეიძლება მეტი პროტეინი — კვერცხი, თევზი, ხორცი, ზღვის პროდუქტები. დუკანი ამბობს, რომ ეს ძალიან მარტივია, რადგან პროტეინი გვანაყრებს და შიმშილის გრძნობა აღარ გვაწუხებს. ეს ფაზა 2-დან 7 დღემდე გრძელდება (დამოკიდებულია იმაზე, რამდენი კილოგრამის დაკლება გსურთ).

## მეორე ნაბიჯი — მგზავრობის ფაზა

ამ ეტაპზე პროტეინები ნაწილობრივ უნდა ჩავანაცვლოთ მწვანე ბოსტნეულით. არჩევანი თქვენზეა, მიირთვით რომელი ბოსტნეულიც გინდათ და რა რაოდენობითაც გსურთ, მაგრამ აუცილებლად მიიღეთ პროტეინებიც. ამ ფაზაზე იმდენ ხანს გაჩერდით, რომ სასურველ წონას მიაღწიოთ.

## მესამე ნაბიჯი — შენარჩუნების ფაზა

ამ ეტაპზე რაციონში ამატებთ პურს, ერთ ულუფა ხილსა და ყველს. კვირაში ორჯერ კი შეგიძლიათ სადღესასწაულო სადილი მოაწყოთ და ნახშირწყლები მიიღოთ. ამ ეტაპზე რაც შეიძლება დიდხანს უნდა გაჩერდეთ, რათა ორგანიზმი შეეგუოს დაკარგულ კილოგრამებს და არ დაიწყოს სწრაფი მატება.

## მეოთხე ნაბიჯი — მუდმივი სტაბილიზაცია

უბრუნდებით ჩვეულებრივი კვების რეჟიმს, არანაირი შეზღუდვა კვებაში. ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოთ, კვირაში ერთი დღე შეტევის ფაზაზე გადახვიდეთ და მიირთვათ მხოლოდ პროტეინები — კვერცხი, ხორცი, თევზი და ა. შ.

# ეს იცოდით?

- ადამიანი, რომელსაც ბევრი ხალი აქვს, უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე ის, ვისაც ხალები ნაკლები ან საერთოდ არა აქვს.
- დაცემინების სიჩქარე 100 კმ/სთ-ს აჭარბებს.
- ტვინი გაცილებით აქტიურია ღამით, ვიდრე მთელი დღის განმავლობაში.
- ადამიანის ყნოსვის ორგანოს შეუძლია დაიმახსოვროს 50 ათასზე მეტი არომატი.

- პირველი ჩანაწერი ლოხ ნესის ურჩხულზე გვხვდება 565 წელს. ხელნაწერი დაცულია შოტლანდიის მთავრობის მიერ, რადგან მისი საშუალებით სახელმწიფო წელიწადში 40 მილიონ ფუნტს იღებს ტურიზმიდან.
- პირველი ცათამბჯენი (იმ დროისათვის) მსოფლიოში 1885 წელს აშენდა ჩიკაგოში. შენობა 10 სართულიანი იყო. მანამდე, მაქსიმუმი, 8 სართულიან შენობებს აგებდნენ.



Cyan Magenta Yellow Black

# ქართული ანეკდოტები



ხელოსანი იოსკა გამოძახებაზე მივიდა და სარეცხ მანქანას ათვალიერებს:
— ამასა, ქალბატონო, აქ ვერ გაარემონტებ, თან უნდა წავიღო და იქ, სახელოსნოში გავარემონტებ.
— მერე მე? — აიწკურა ქალი.
— შენი გარემონტება ჩერეზჩურ ძვირი დაჯდება, ქალბატონო.

— დასწყევლოს, ღმერთმა, ეს სიბერე და სკლეროზი.
— რა მოხდა, ნოშრევან?
— რა, კაცო და ერთი კვირის წინ 100 ლარი დამჭირდა და გერვასისთან მივედი სასესხებლად, წუხელ საღამოს კი მივუტანე ვალი.
— კარგად მოქცეულხარ და რაღა გადარდებს?
— რა და ახლა გამახსენდა, რო არ უსესხებია — არ მაქვსო...

❖ ❖ ❖

— მამი!
— ჰა...
— შენთანა ორი შეკითხვა მაქ.
— აბა, მიდი...
— 10 ლარ მამცემ? და მეორე — რატომ არ მამცემ, შენი შვილი არა ვარ?

❖ ❖ ❖

— მიღალატე ხომ, შე ბოზო?
— არა, ვინ გითხრა, ტყუილია!
— საპოჟნიკთან მიღალატე, ქალო?!
— ოოო, ეგ კი მართლა ტყუილია...

❖ ❖ ❖

ერთი გურული მეორეს:
— პაპიროსი მომეცი, რა!
— კაი ერთი, თუ ძმა ხარ, რაია, ბუჯო, ბოლოს და ბოლოს, გუშინწინ მთხოვე მოგეცი... გუშინ მთხოვე — მოგეცი, ამ დილას მთხოვე — მოგეცი, ახლაც მთხოვ... რას უშობი ამდენ პაპიროზს, ეწევი შე უპატრონო თუ რაია?!



— ოფიციანტ!
— გისმენთ.
— ერთი ქაბაბი, ერთი სოსისი, ერთი არაყი და ერთი ლუდი.
— კიდევ რას ინებებთ, ბატონო?
— დანარჩენი, რაც შენ გინდა.
— მე, ბატონო, ლორის მწვადი მინდა...

❖ ❖ ❖

ქუთაისელმა გადაწყვიტა, ახალგაზრდა ფარმაცევტი გოგონა გააღადაოს. შევიდა აფთიაქში და ეუბნება:
— ჩემო დაია, ნახვრეტებიანი ბუბლიკი გაქვენ აქანა?
— არა, ჩემო ძამია, — პასუხობს გოგო, — ეგი აფთიაქია და, თუ გინდა, ნახვრეტებიან პრეზერვატივს მოგცემ...

❖ ❖ ❖

ზესტაფონელი მეორე ზესტაფონელს:
— მასესხე ათი ლარი.
— ათი არ მაქ, ხუთი მაქ.
— კაი მაშინ, მასესხე მაგ ხუთი ლარი და რო ჩაგასესხებ, მეორე ხუთი მერე მასესხე... არ გამოდის ათი?!

❖ ❖ ❖

ახალშეუღლებული კაციჭამია ცოლ-ქმარი სადილს მორჩნენ. ქმარმა ასანთის ღერი დააძრო და კბილებს იჩიჩქნის:
— რაღაცა ეს ხორცი არ მომეწონა, ქალო, ძალიან ბებერი იყო ალბათ, სულ კბილებში ჩამრჩა...
— შენი ბრალია, — ეუბნება ცოლი, — სიდედრი, სიდედრი... არა უშავს, ხვალ შენი და დავკლათ...



— ჩემმა ქმარმა ცოცხალი ჭიანჭველები გადაყლაპა.
— რძიანი ჩაი დაალევინე?
— კიდევ რძიანი ჩაი მივართვა იმ გასაწყვეტ ჭიანჭველებს?! ნურას უკაცრავად! უკვე დარიშხანი დავალევინე ქმარს და ველოდები, როდის ამოწყდებიან.

❖ ❖ ❖

ორი მონადირე საუბრობს:
— ვთქვათ, ტყეში დათვი გამოგეკიდა, რას იზამ?
— რას ქვია, რას ვიზამ?! მოვუბრუნდები, ვესვრი თოფს და გავაგორებ!
— სულელი ყოფილხარ. მერე მისი ზურგით თრევა არ გინდა?! სახლამდე უნდა არბენინო და მერე უნდა ესროლო.

❖ ❖ ❖

— უფროსო, აქ მკვდარი კაცია, — რეკავს ოსი პოლიციაში.
— ეგ რა ქუჩაა?
— არ ვიცი, არსად აწერია, მაგრამ ახლა ამ მკვდარს ტაქსით რუსთაველზე გავიყვან და იქ ხომ მოაგნებთ?

❖ ❖ ❖

— ძვირფასო, — ეუბნება ცოლი ქმარს, — მე შენი დაბადების დღისთვის საჩუქარი გიყიდე.
— აბა, მაჩვენე, საყვარელო.
— ჩავიცვა თუ ისე ნახავ?



— მამი, წუხელ დემესიზმრა, ვითომ მილიონერი ქალი მევიყვანე ცოლად.
— აჰა, შვილო, მარჯვედ იყავი და ამაღამ დაგესიზმრება, რო იმ ქალმა ვერცხლისფერი „მერსედესი" გიყიდა... ჰე, დეიძინე დროზე!



დაქალები საუბრობენ:
— ჩემი ქმარი ისეთი მარჯვეა, რომ... სამზარეულოში ონკანი გაფუჭდა — თვითონ შეაკეთა, გაზი გაფუჭდა — თვითონ შეაკეთა.
— ჩემი სხვა რამეშია მარჯვე — საწოლში. ვაფშე არ მიშვებს სამზარეულოსკენ...

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**კლოდ იზნერი**

**დასაწყისი №24-34**

# მკვლელობა ეიფელის კოშკზე



ჟოზეფმა კარზე ბრახუნი ატეხა:

— ბატონო! ბატონო! გესმით ჩემი?

— რა ხდება? — აბუზღუნდა ვიქტორი.

— ქალია, საკმაოდ ლამაზი, თქვენი ნახვა უნდა. ასე თქვა, ვიცნობთო ერთმანეთს, შემოვუშვა?

— შემოვიდეს.

ვიქტორმა კარი გააღო და ნერვიულად მოისვა ულვაშზე ხელი. კიბეზე ტაშა ამოდიოდა. ქალიშვილი ოთახში შევიდა და კაცისკენ საკოცნელად გაიწია, მაგრამ ამ უკანასკნელმა სახე აარიდა. გაოცებულმა ტაშამ მხოლოდ ეს თქვა:

— არ მელოდი?

— არა.

ჩემი წერილი ნახე?

ვიქტორმა თავი დააქნია.

— საშინლად მოუცლელი ვარ. ჩემს განკარგულებაში ახლაც მხოლოდ ერთი საათია, — ტაშამ ხელთათმანები და შლაპა სკამზე დააწყო.

— შემოვლა კარგი იდეაა, — გულგრილად შენიშნა ვიქტორმა, — ერთი კითხვა ყოველთვის მაწუხებდა: გოიას „კაპრიჩოსი“ სად იშოვეთ?

— ეს რას ნიშნავს? თქვენობით რატომ მელაპარაკები? თუ დაგავიწყდა, ჩვენ შორის რაც მოხდა?

— არა, მაგრამ... მაინტერესებს, საიდან ასლი?

— ოსტროვსკისგან! ჩემი აკვარელების სანაცვლოდ რამდენიმე სურათის გადახატვის ნება მომცა. ვერ ვხვდები, რა ბზიკმა გიკბინა! ეს ცივი დახვედრა, ეს უცნაური შეკითხვები...

— ტაშა, შეიძლება გავგიჟდე! სიმართლე მითხარი — ვინ ხარ?

— თავად ვინ ხარ? ჩემთან რაღას მოცუნცულებდი, საყვარელი თუ გყოლია!

ვიქტორი მოიღუშა.

— გუშინ ოსტროვსკის სიკვდილის ამბავი რომ შევიტყვე, ძალიან ცუდად გავხდი, ქალაქში ვიხეტიალე, მერე კი შენთან მოსვლა გადავწყვიტე დასალაპარაკებლად. მაშინ დაგინახე, იმ ქალთან ერთად ფიაკრში რომ სხდებოდით. შენმა კომპანიონმა შემნიშნა, შეგიძლია შეეკითხო, რატომაც ვერ მიტანს. მგონი, ეშინია, არ მოგიტაცო, დაამშვიდე, ამგვარი მიზანი ნამდვილად არ მაქვს.

— შენთან რომ მოვედი, უარი არ მითხარი... — ჩაილაპარაკა ვიქტორმა.

— რატომ უნდა მეთქვა? ორივე თავისუფლები ვართ. სიამოვნება რატომ უნდა მოვიკლო?

— მართალია... რატომ? — ვიქტორის ტუჩები ქალისას შეეხო, რასაც საპასუხო რეაქცია მოჰყვა...

— დალევ რამეს? — შეეკითხა მამაკაცი.

— სიამოვნებით, — იყო პასუხი.

სამზარეულოში შესულმა ვიქტორმა წერილი შენიშნა, რომელიც ჟერმენას დაეტოვებინა და იტყობინებოდა, რომ მისი შავი რედინგოტი ქიმწმენდაში ჩააბარა, ოღონდ მანამდე ჯიბეებიდან ყველაფერი ამოიღო.

ვიქტორმა მაგიდაზე გასაღები შენიშნა, რომელიც დაკარგული ეგონა. ასევე დაინახა ცხვირსახოცი, გამოფენაზე შესასვლელი ბილეთი, ღილი და სპილოს ძვლის ის გატეხილი ნივთი, მარი-ამელიმ რომ მისცა. მან ჭიქაში მალაგა ჩაასხა, ტაშას გაუტანა და მოუბოდიშა, ცოტა ხნით ქვევით უნდა ჩავიდეო.

— ნება შენია, — გაიღიმა ქალიშვილმა.

ჟოზეფი თაროებზე წიგნების გადანაწილებით იყო დაკავებული.

— ბატონო, — მიმართა კიბეზე დაშვებულ ვიქტორს, — დღეს აქ ნამდვილი გობის უდაბნოა. შეიძლება მაღაზია 15 წუთით ადრე დავკეტო?

ვიქტორმა თავი დაუქნია, უკანა ოთახში გავიდა და ის კარადა გამოაღო, სადაც კენძი თავის რელიკვიებს ინახავდა. მის მიერ სიამიდან ჩამოტანილი ტატუს გასაკეთებელი ნემსებიდან ერთ-ერთი აიღო და მარი-ამელის ნაპოვნს შეადარა: ისინი წყლის წვეთივით ჰგავდნენ ერთმანეთს!..

ვიქტორი გამობრუნდა და ჟოჟოს ეტაკა.

— ის ქალი, ახლა რომ ჩემთანაა, ადრე თუ ყოფილა აქ?

— იყო და თქვენ გიკითხათ, გოიას წიგნს შემპირდაო. მუსიე მორიმ უთხრა, არ გვაქვსო და ისიც წავიდა. რამე ისე არ არის? არ უნდა შემომეშვა?

— ეს რომელ დღეს იყო? — სწრაფად შეეკითხა ვიქტორი.

— მოიცათ... ჰო, მუსიე ფრანსის დღეს!

— გუშინ?

— არა, გასულ ხუთშაბათს.

— მაგ ქალის თანდასწრებით კარადა გააღეთ?

— ჰო. აფრიკაზე რომ წიგნი გვაქვს, იმის ნახვა სურდა.

— თქვენ მის გვერდით იყავით?

— მუსიე მორიმ დამიძახა და ორიოდ წუთით გავედი.

— მანამდე აქ არ ყოფილა?

— არა. იმ დღეს პირველად ვნახე.

ვიქტორი ელვის სისწრაფით აიჭრა მაღლა:

— აღიარე! აღიარე, რომ ეს ყველაფერი შენ ჩაიდინე! — ეძგერა ქალს და ჭიქა ხელიდან გააგდებინა, — აქედან ნემსი შენ მოიპარე და ყველა შენ მოკალი! ოღონდ ამიხსენი, რატომ?! რატომ ჩაიდინე ეს?!

— გიჟი ხარ... არ მესმის, რაზე ლაპარაკობ... — ამ სიტყვებით ტაშამ სილა გააწნა ვიქტორს, თავის ხელთათმანებსა და შლაპას ხელი დაავლო და სწრაფად დატოვა იქაურობა...

ფილუმენა ლაკარელის იატაკის ჯოხი მოემარჯვებინა და სხვადასხვა ეპოქების საცხოვრებლებს ალაგებდა. ეს საქმიანობა, ცხადია, დიდად არ სიამოვნებდა და გულის გადასაყოლებლად თან სიმღერას აყოლებდა, თუმცა, ცოდვა გამხელილი ჯობია, სმენაში ნამდვილად მოიკოჭლებდა.

გამოქვაბულს რომ მიადგა, საოცარი სიცივე იგრძნო, მაგრამ რას იზამდა? მხნეობა მოიკრიბა და ნახევრად სიბნელეში შეაბიჯა.

— არის აქ ვინმე?

არავინ უპასუხა, ექოს გარდა.

ანაზდად ჯოხი რაღაცას რბილს წამოედო. ფილუმენა დაიხარა და... შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა: კედელთან მკვდარი ბარიტონი ეგდო, იგივე დანილო დუკოვიჩი, ასე რომ ესწრაფვოდა ოპერის სცენას...

ქალს გაბმული კივილის ხმა მოესმა და მხოლოდ რამდენმიე წამის მერე მიხვდა, ეს კივილი რომ მისგან მოდიოდა...

შუადღე ახლოვდებოდა. ვიქტორი, ჟოზეფის დასანახად, ვითომ რაღაცას წერდა, არადა სამელნე დახურული იყო, რაც ჟოჟოს არ შეუმჩნევია.

ვიქტორს მსახიობობა მობეზრდა, წამოდგა და ჟოზეფთან მივიდა:

— გაიხსენეთ, 24 ივნისს, პარასკევს, ნასადილევს, მუსიე მორი აქ იყო?

— ჰო, იყო, თან ზუსტად იქ იჯდა, სადაც ახლა თქვენ. როგორც მახსოვს, მუსიე დიუვერნიუასთან ერთად საღამომდე პატარა ნაშრომს წერდა, სათაურით „ბიბლიოთეკის სისტემატიზაცია“. თქვენ ახლა რას იწერთ?

— ცოტა მეხსიერებამ მიღალატა, ალბათ სიცხის გამო, — მიუგო ვიქტორმა, ბლოკნოტი ჯიბეში იტკუცა და გაიფიქრა: „ჯონ კავენდიშის სიკვდილის დღეს კენძი მაღაზიიდან არ გასულა“.

ამ დროს კარი გაიღო და მაღაზიაში ორი სუბიექტი შემოვიდა.

— რამბა! — შესძახა გაოცებულმა ვიქტორმა.

— რაღაც უნდა გითხრათ! — სენეგალელი შეშფოთებული ჩანდა, — ეს ჩემი მეგობარია, ბირამა. ქალაქს კარგად იცნობს და ვთხოვე, გამომყოლოდა.

ბირამამ ენერგიულად დააქნია თავი.

— მაღლა ავიდეთ, — შესთავაზა ვიქტორმა, — იქ უფრო თავისუფლად ვისაუბრებთ.

სამბამ ხელით ანიშნა მეგობარს, ქვევით დარჩენილიყო, თავად კი ვიქტორს გაჰყვა.

ვიქტორი სტუმარს სასტუმრო ოთახში შეუძღვა და დაჯდომა სთხოვა. ისიც დაჯდა, შეშინებულმა მიმოიხედა და პირზე ხელი აიფარა, თითქოს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ერიდებაო.

— აბა, გისმენთ, რა უნდა მითხრათ, — შეაგულიანა ვიქტორმა.

— ეს თქვენს მეგობარს, ოპერის მომღერალს ეხება.

— დანილო დუკოვიჩს?

— გუშინ, საღამოს, გამოქვაბულამდე მივყევი, ტანსაცმელი რომ გამოეცვალა. დიდხანს ველოდე, მაგრამ არ გამოდიოდა. მერე შიგ შევედი და ვნახე, მკვდარი რომ იყო.

— როგორ თუ მკვდარი? დარწმუნებული ხართ?

სამბამ ხმას დაუწია:



Cyan Magenta Yellow Black

— მგონი, მოკლეს, მკვლელმა კი მე დამინახა. მთელი ღამე არ მიძინია. ღამე სადგურში გავატარე, დილით კი ბირამა მოვძებნე. ამ ბარბაროსულ ქვეყანაში ჩემი შველა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

ვიქტორი ეჭვით მისჩერებოდა მოხუცს, აშკარად თავზარდაცემულს.

— იქნებ მუსიე დუკოვიჩი უბრალოდ ცუდად გახდა და...

— არა! — შესძახა სამბამ, — მკვდრების მეტი რა მინახავს!

— დაწყნარდით. გაზეთებს ვნახავ. თუ სიმართლეა, აუცილებლად ეწერება.

— ჩემი არ გჯერათ, — სამბა აშკარად ნაწყენი ჩანდა.

— მჯერა, მჯერა, უბრალოდ დარწმუნება მინდა, — ვიქტორი წამოდგა, — ახლავე დავბრუნდები...

ვიღაც ტიპს მაგისტრ ფელიქს დიუპანლუს თხზულებათა სრული კრებული ეყიდა და ჟოზეფი სიამოვნებით უხვევდა.

— ცოტაც და, საწყობში ჩავიტანდი, — წასჩურჩულა მან ვიქტორს, — გაზეთები დახლზეა, თუმცა საინტერესო ვერაფერი ამოვიკითხე, ორთავიანი ხბოს დაბადებას თუ არ ჩავთვლით.

— მაინც რას ელოდით? — ცივად შეეკითხა ვიქტორი, — ახალ მკვლელობას?

— რატომაც არა? — უაზროდ გაუღიმა ჟოჟომ.

ვიქტორმა გაზეთები გადაათვალიერა — იმ დღეს პარიზში არავინ მომკვდარიყო. ის მაღლა ავიდა. სამბა გაუნძრევლად იჯდა.

— არაფერია, — თქვა ვიქტორმა.

— ალბათ ჯერ არ უპოვიათ, — მშვიდობით, მუსიე ვიქტორ.

— რატომ — „მშვიდობით“?

— ამ ქვეყანაში რაღა გამაჩერებს? არ მინდა მომდევნო მსხვერპლი ვიყო.

— გეშლებათ. თუ მუსიე დუკოვიჩი მართლა მოკვდა, ეს უბედური შემთხვევა იქნება. ასე რომ, თქვენი შიში უსაფუძვლოა.

ისინი დაბლა დაეშვნენ.

— ჟოზეფ! — გასძახა ვიქტორმა ხელქვეითს, — ეს ბატონები ინვალიდების სახლამდე მიაცილეთ. აი, ფიაკრის ფული.

მარტო დარჩენილი ვიქტორი მაგიდას მიუჯდა და ფიქრებს მიეცა, რომლებიც, ცხადია, ამ უცნაურ მკვლელობებს (ნამდვილად?) ეხებოდა...

ყველა გამოირიცხა, ტაშასა და კენძის გარდა, თუმცა... ბოლომდე დარწმუნებული არც არაფერში იყო.

ანაზდად კარი გაიღო და მაღაზიაში გაზეთ „ელვას“ ფრიალით ჟოზეფი შემოიჭრა, რომელსაც, ვიქტორის გასაკვირვად, სამბა მოსდევდა.

— მუსიე ლეგრი, ეს უკვე კატასტროფაა! ქალაქი კი არა, ჯოჯოხეთია! — ჟოჟომ ვიქტორს გაზეთი გაუწოდა: — წაიკითხეთ და დარწმუნდებით, მართალი რომ ვარ!

ვიქტორმა გაზეთს დახედა:

მომდევნო მსხვერპლი!

ისევ ფუტკარი?

ეს უკვე მეტისმეტია!

დღეს დილით მადამ ფილუმენა ლაკარელიმ, ადამიანის საცხოვრებელთა ისტორიის პავილიონის დამლაგებელმა, მუსიე დანილო დუკოვიჩის გვამი აღმოაჩინა. პოლიცია კვალზე გავიდა...

— ახლა ხომ გჯერათ? — თქვა საბამ.

გაოცებული ვიქტორი ისევ და ისევ კითხულობდა ცნობას.

— უკვე მერამდენეა? მგონი, მეოთხე! — შესძახა ჟოზეფმა, — ასე თუ გაგრძელდა, ინგლისელებსაც გადავუჯოკრავთ!

— რას გულისხმობთ? — დაინტერესდა ვიქტორი.

— რას კი არა, ვის! ჯეკ მფატვრელს! — მიუგო აშკარად აუიტირებულმა ჟოჟომ.

— კაცმა რომ თქვენ გისმინოთ, შეჯიბრებასავით რაღაცა გამოვა, — ნაღვლიანად გაიხუმრა ვიქტორმა.

მაღაზიაში კლიენტი შემოვიდა. ჟოზეფი მას მიეახლა:

— რით შემიძლია გემსახუროთ?

ვიქტორი სამბას შეეკითხა:

— ჩემ გარდა, ეს ვინმეს უთხარით?

— არავის.

— ძალიან კარგი. ახლა შეგიძლიათ სამსახურში წახვიდეთ და მშვიდად დაელოდოთ, რა მოხდება.

— მკვლელმა თუ დამინახა?

— თქვენი მოძებნა არ გაუჭირდებოდა, ამიტომ ნუღარ ინერვიულებთ.



— მართლა, კინაღამ დამავიწყდა... იმას, ვინც გამოქვაბულში მუსიე დანილომდე შევიდა, აი, ეს დაუვარდა...

ვიქტორს გული აუძგერდა: მოხუცის ხელისგულზე სიგარის ნაწილი ოქროსფრად აკიაფდა.

— ეს რომელ საათზე იპოვეთ?

— საღამოს შვიდზე სავახშმოდ უნდა წავსულიყავით.

„მაგ დროს ტაშა ჩემთან იყო“, — გაიფიქრა ვიქტორმა.

— აბა, ჯერჯერობით, — მიაძახა მან სამბას და მაღაზიიდან გავარდა.

„ხუთი არა, ექვსი უკვე საეჭვოშია: პატინო, კავენდიში, ოსტროვსკი, მერენგა, კაპიუსი და დუკოვიჩი... ვინ დარჩა? ტაშა და... კენძი“ — ფიქრობდა გზად სწრაფად მიმავალი ვიქტორ ლეგრი — 30 წლის ულვაშა ერუდიტი და წიგნების მაღაზიის არცთუ მუყაითი გამყიდველი.

ტ ინოტიპის ხმაური იმდენად გამაყრუებელი იყო, რომ ვიქტორი ისიდორ გუვიეს მხოლოდ ხელის აწევით მიესალმა, მერე კი ანიშნა, მაღლა ავიდეთო.

— ანტონენ კლიუზელი აქაა? — შეეკითხა ვიქტორი, როცა მეორე სართულზე ავიდნენ.

— არა, — მიუგო გუვიემ, — შემიძლია რამეში დაგეხმაროთ?

— ეს არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ რაკი მნახეთ... აი, ის კაცი, ბატინიოლის ვაგზალში რომ დაიღუპა... მაშინ თქვენ თქვით, რომ...

— ჰო, — ტაშასთან ერთად, რომელმაც ბუფალობილის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მშვენიერი ჩანახატები გააკეთა. ეს გოგო ნამდვილი ტალანტია, შორს წავა. ასე რატომ ინტერესდებით?

— ფელეტონის დაწერას ვაპირებ, ამ ისტორიამ კი თავიდანვე დამაინტერესა, — ძალდაუტანებლად მიუგო ვიქტორმა, — თქვენი სიგარა რა მარკისაა?

— „ლონდონი“.

— ჰავანურია?

— არა, მაგრამ არც იაფია, გინდათ გასინჯოთ?

— საინტერესოა.

გუვიემ კარი შეაღო და შეაბიჯა, ვიქტორიც თან მიჰყვა.

— უნდა ვაღიარო, რომ ამგვარი სიამოვნება ჩემს ჯიბეს არ სწვდება, — შენიშნა ისიდორმა, — ჩვენი მომარაგებელი კლიუზელია, თან წამარიაჟებაც უყვარს — ჩვენმა შეფმა აღარ იცის, ამდენ სიგარას რა უყოს, რომელსაც კლიუზელი ჩუქნის.

გუვიემ ვიქტორს ყუთი გაუწოდა. ამ უკანასკნელმა ერთი სიგარა ამოიღო და ყუთი პატრონს დაუბრუნა.

— დიდ მაგიდასთან მარიუსი ზის, კლიუზელის ადგილი კი სეკრეტერია ფანჯარასთან, თუმცა სტატიების წერა უფრო კაფეში უყვარს.

— დანარჩენები სად არიან?

— ცერემონიაზე.

— რა ხდება?

— ერთ ქალს აგვისტოში ეიფელის კოშკში უმშობიარებია, ცხადია, თავისდაუნებურად. დაბადებულ გოგონას ავგუსტა-ეიფელინა დაარქვეს. ამის აღსანიშნავი ცერემონია ექვს საათზე პირველ პლატფორმაზე იმართება. ბედნიერ მშობლებს ფულად დოტაციას გადასცემენ, მიულოცავენ და ა.შ., მოკლედ, აურზაური არაფრის გამო. თუ გინდათ, აი, მოსაწვევი. ამგვარი ცირკი არ მაინტერესებს.

ოთახში მუშა შემოვიდა:

— მუსიე ისიდორ, მეძახდით?

— აი, ესეც აკრიფეთ, — გუვიემ მას ქაღალდის ფურცელი გაუწოდა.

— ისედაც გადავსება გვაქვს!

— ახლავე ვნახავ. მუსიე ლეგრი, მაპატიეთ. მალე დავბრუნდები.

მარტო დარჩენილმა ვიქტორმა ის კედლის პატარა კარადა გამოაღო, სადაც სიგარების ყუთი ინახებოდა და კარგად დააკვირდა. მას ცივმა ოფლმა დაასხა, არადა სწრაფად მიხურა და... ამ დროს გუვიეც დაბრუნდა:

— მართლა, რა უნდა მეთქვა. თქვენამდე აქ თქვენი კოლეგა იაპონელი იყო და ზუსტად იგივე კითხვები დამისვა.

— ბატინიოლის შესახებ?

— არა. აინტერესებდა, დანარჩენები სად არიანო.

ვიქტორი უცებ ვერ მიხვდა, ეს რას ნიშნავდა და როცა მიხვდა, სასწრაფოდ დაემშვიდობა გუვიეს და ფიაკრის დასაჭერად ქუჩაში გავარდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

# ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-34

www.facebook.com/Tinatinbonney

## თავი 5

აგონიამ გამიარა. რამდენიმე უძინარი ღამე და ავიყვანე თავი ხელში. მინდა კი ახალი ადვოკატი? კი, მაგრამ მე ჩემი თანხმობით ვთქვი ყველაფერზე უარი. სახლიც გავაყიდვინე. ვინ დამიჯერებს? თანაც იმდენად მეზიზღება გივი, რომ თუ ეს იქნება ჩვენი შეხების ბოლო შემთხვევა, დაე, იყოს ასე. იმდენი უქნია, ჩამხრჩვალა იმ თავის ფულში. ალბათ ველარასდროს ვენდობი ადამიანებს. განსაკუთრებით — მამაკაცებს. აუცილებლად ვიტყვი სიმართლეს, მაგრამ ჯერ ნინიას დავეხმარები. ახლავე რომ ვთქვა, არ გამომართმევს.

ვზივარ და გარეთ ვიყურები. მშვენიერი ამინდია. ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ. დედაჩემი აივანზე სარეცხს ფენს. მიშოს სძინავს. ერთი მესამედი არაყი და ორი მესამედი წითელი ფორთოხლის წვენი. ცოტა ყინულიც და პრაქტიკულად საუკეთესო საუზმეა. რას ფიქრობ, როცა ოჯახდები? რატომ იტყუებ თავს, რომ ბედნიერები იქნებით, სანამ სიკვდილი არ დაგაშორებთ? ყინულს ვიმატებ ჭიქაში. უეცრად რომ მოვკვდე, მაშინაც არ ინანებს გივი? სიკვდილი... მუდმივი სიმშვიდე... იქ მაინც ვნახავდი მამაჩემს. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ვერავინ გაბედავდა ჩემს დაჩაგვრას. ვაკეთებ დიდ ყლუპს და ვიმატებ ჭიქაში არაყს. ფეხებს სკამზე ვალაგებ და ჩემს ნაცრისფერ „ტაპკებს“ ვუყურებ. ისეთივე ნაცრისფერია, როგორიც ჩემი შინაგანი სამყარო. ჩემი არსებობის აზრი სადღაც გაიფანტა. მხოლოდ ბრაზი და ბოლმა დავრჩი. შხამიანი ენა გამიხდა და ჩემივე შხამის წვეთები მომიღებს ბოლოს.

ვაკეთებ მორიგ ყლუპს. ვისხამ სასმელს და სათითაოდ ვიმატებ პაწაწკუნტელა ყინულებს.

— მშვიდობაა? — მიშო გვერდით მიჯდება.

— კი, — ვეუბნები ღიმილით.

— მაშინ რატომ სვამ მარტო?

— ვისვენებ.

— რისგან?

— ყველაფრისგან.

— გახსოვს, რომ გვიან სიონში ავდივართ?

— შაბათი ხვალ არის.

— კი, მაგრამ დღეს ავდივართ, ხომ გითხარი.

— მითხარი?

მიშო წარბს სწევს.

— ეტყობა, მითხარი. კარგი, მე მზად ვიქნები.

მიშო მტოვებს და ვუბრუნდები ჩემს გაცრეცილ შინაგან სამყაროს.

მივბოდიალობ პეკინზე. პიცა მიმასწავლა მიშომ და მინდა, სახლში ავიტანო. მერე უცებ ჩავლაგდები და წავალთ. წყნარად მივსეირნობ, დრო საკმარისზე მეტია. ჯერ კიდევ შეზარხოშებული ვარ დილის შემდეგ.

— დეიდა, ცოტა ფულები მაჩუქე, რა, — მესმის მიწას ძლივს აცილებული, გათხვრილი ბავშვის ხმა.

ჯიბეში ვიყოფ ხელს. განა არ ვიცი, რომ ეს ბავშვი ერთი დიდი ბოროტი სისტემის ნაწილია, საღამოს ამ ფულს წაართმევენ და თვითონ პურს მიუგდებენ. მაგრამ ეს ხომ ბავშვია! ჯიბიდან ხუთლარიანს ვიღებ და ბავშვს ვაძლევ. მინდა, მალევე გავერიდო, რომ მისი გამოსახულება გაქრეს ჩემი გონებიდან და სხვა რამეზე გადავერთო. მახსოვს სტივენ კინგს „კერიში“ უწერია ასეთი ფრაზა: „ქუჩაში მთვრალი, გათხვრილი მამაკაცი მიდის და პატარა, გამოპრანჭული გოგონა მიჰყავს, რომელიც ტირის. ეს ის გამოსახულებაა, რომელსაც გინდა, თვალი აარიდო“.

— რას აკეთებ? — მესმის კაცის ხმა.

ვტრიალდები და ჩემ გვერდით მდგომ მაღალ ბიჭს ვხედავ.

— მე მეკითხებით?

— ამ ურჯულოებს რომ ეხმარები, წადი, ქართველებს დაეხმარე!

— ეს ხომ ბავშვია! — ვამბობ გაოცებული.

— ეს? — ფეხს ჰკრავს ბავშვს ისე, გეგონება, მის წინაშე უსულო საგანია.

შეშინებული ბავშვი კედელს ეკრობა და ფულს სახელოში მალავს. ჩემი აგრესია სრულ მობილიზაციაში მოდის და თვალები სისხლით მევსება.

— შე ნაბიჭვარო, აახვიე აქედან, სანამ პატრულს დავუძახე! — ვხავი.

— მე, მე... — ბორძიკობს ბიჭი.

— ჩქარა!

უკანმოუხედავად მიდის ჩქარი ნაბიჯით. რა დაგვემართა ქართველებს? როდის დაკარგა ქართველმა კაცმა სახე? ციგნის ბავშვი ისეთივე ბავშვია, როგორიც ყველა სხვა! ვიღებ ოც ლარს ჯიბიდან, ვაძლევ ბავშვს, თავზე ვეფერები და მისი დამშვიდებული სახის დანახვის შემდეგ მივდივარ. რატომ არავინ ზრუნავს უსახლკაროებზე? ნეტავ ზურა სად არის ახლა? ზურა ხომ ამას არასდროს იკადრებდა. როგორი განრისხებული ვარ! სიმწრისგან სულ მავიწყდება პიცა და პირდაპირ სახლში მივდივარ.

❖ ❖ ❖

ირაკლი იზმორება და საწოლიდან დგება. ნეტა ვინმემ იცოდეს, როგორ ეზარება სამსახურში წასვლა. მამამისი რომ არა, არც დაბრუნდებოდა ამერიკიდან. თავისუფლება ენატრება. ირაკლი სარკეს უახლოვდება და მაისურს იხდის. კაი ხანია, არ უვარჯიშია და უკმაყოფილოა თავისი სხეულით, თუმცა უმეტესობა ალბათ არ დაეთანხმებოდა. ის ლამაზია.

— დაბრუნდი საწოლში, — ჩაესმის ქალის ხმა.

— სამსახურში მაგვიანდება, — ამ ქალის წასვლის დროა.

— კაი, გეხვეწები, რა. შენი ბიზნესია ბოლოს და ბოლოს.

ირაკლი სააბაზანოში შედის და წვერის გასაპარსად ემზადება. იღება კარი და ახალგაზრდა მოდელი შემოდის. ირაკლი ყურადღებას არ აქცევს. გოგონა უნიტაზზე ჯდება.

— აუცილებელია ჩემი თანდასწრებით? — ირაკლი სახეზე სამართებელს ისვამს.

— აუ, ნუ ხარ, რა, მჟავე, — გოგონა წყალს უშვებს და გადის.

ირაკლი თავის გამოსახულებას აკვირდება. რატომ არ შეხვდა ერთი ნორმალური ქალი? ალექსანდრასთან გატარებული ღამე მართლაც ძალიან კარგი იყო და რაღაცა იზიდავს მასში გარეგნობის გარდა. რატომღაც უნდა, რომ ახლოს გაიცნოს. ირაკლი საპარსს წყალში ავლებს, რათა ქაფი მოსცილდეს. ნეტა ვინმემ იცოდეს, როგორ ეზარება ყველაფერი.

❖ ❖ ❖

ჩავეტენეთ „მინი ვენში“. პრაქტიკულად შაკოს კალთაში ვზივარ. თავზე იმდენი ბარგი გვაყრია, გეგონება, სამუდამოდ იქ უნდა დავრჩეთ. სოფიკოს ნათესავები მღერიან. გავგიჟდები!

— მაგარი ამბავი გველის, — მიჩურჩულებს შაკო.

— წინასწარ ნუ მიშლი ნერვებს.

— დაიკიდე, რა. ადრე შეგეძლო დაკიდება.

— ბიჭო, გახსოვს ბანაკში რომ ვიყავი ყმაწვილქალობაში და ბიჭი რომ მევასებოდა? სულ მაგაზე გიყვებოდი.

— თათარი ხო?

— ბერძენი! — კბილებში ვცრი.

— მერე?

— ისე ქართველი იყო, უბრალოდ ბერძნული გვარი ჰქონდა...

— და მერე?

— მოვძებნო მინდა.

— რა? — შაკოს თვალები უფართოვდება.

ავტომობილი ორმოში ვარდება და თავს ვურტყამ შაკოს.

— აუუ, აუუუ, აუუუ! — ზმუის.

— ბოდიში, — მომავალ კოპს ვისრეს.

— და რა გინდა იმ ბიჭისგან?

— მაინტერესებს, რას შვრება, როგორ არის.

— გარეკე სულ?

— არ შეიძლება ძველი მეგობრის ნახვა მინდოდეს?

— სრული სახელი გახსოვს?

— კი, ზურაბ სტეფანიდი.

— სტეფანოვი?

— რა სტეფანოვი! — აი, ისევ.

— კაი, გავიკითხავ. ინსტანციებში მყავს ძმაკაცები, იქნებ ამოვქექოთ სადმე.

— მადლობა, შაკუნა, — ვეხვევი.

— გავიგუდე ისედაც, გასწიე ტორები, — სიცილით მეუბნება შაკო.

თავს ვადებ ბეჭზე და ვტკბები სოფიკოს ნათესავების ზმუილსიმღერით.

ჩავდივართ სიონში. მშვენიერი კოხტა სახლია, ჩეჩმა-ტუალეტით. სტუმრები ეზოში იფანტებიან, ყველა საქმეს პოულობს. მე ჰამაკში ვჯდები და ვმშვიდდები. მიყვარს ბუნება და სიონში ულამაზესი ბუნებაა. შაკო მოდის და ჩემს ფეხებთან ჯდება.

— არ გშია?

— არა.

— მე მგელივით. იმედია, მალე გაშლიან სუფრას.

— მე უნდა დავეხმარო?

— არა, გოგო, იმდენი ქალია.

— ძალიან კარგი.

— ახლაც არ გინდა, მომიყვე გივიზე?

— რაა მოსაყოლი?

— რატომ გადაემტერეთ და ეს წლები რომ არ ჩანდი... მე მეგონა,



Cyan Magenta Yellow Black

ბედნიერი იყავი.
— თავიდან ვიყავი, მაგრამ მერე გავიზარდე... და მივხვდი, ვის გავყევი ცოლად.
— ისე, გახსოვს, გეუბნებოდი, ნუ ჩქარობ-მეთქი.
— მეუბნებოდი, მაგრამ მე არ გისმენდი. არავის ვუსმენდი.
— რაც იყო — იყო. ვერაფრით გამიგია, საერთოდ რა მოგეწონა მასში.
— უფროსი კაცები სულ მომწონდა. გახსოვს, სოფელში უფროსი ბიჭები ველოსიპედებზე რომ კატაობდნენ და ბებიაშენმა რომ არ დამსვა, წელზემოთ შიშვლები არიან და ხალხი რას იტყვისო, — მეღიმება.
— და ამით რა გინდა თქვა? რომ გივის სახით ოფიციალურად მოიპოვე ოფლიანი ზურგი?
— ფუუ, დეგენერატო! — ხმამაღლა ვიცინი.
— წამო, რა, რამე მაინც ვჭამოთ, — შაკო ფეხზე დგება.
მეც მაყენებს და სახლში შევდივართ. სუფრა თითქმის ბოლომდეა გაშლილი და ვუსხდებით. შაკო ხაჭაპურს ეტანება, მე კი სალათს ვილევ.
ქეიფი პიკზეა. სოფიკოს ბიძაშვილი ძალიან დათვრა. ბოლო ჭიქას რომ ვერ მოერია, თავზე დაისხა. იმედია, საჭმელს ტანში არ



შეიზელს. შაკოც ნასვამია. მე ფხიზლად ვარ. მიშო და სოფიკო არსად ჩანან. გაძვრა, ეტყობა, ძალით პატიოსანი წყვილი.
— ზღვაზე არ ავიდეთ? — მეკითხება შაკო.
— სადაა აქ ზღვა?
— ტბაზე მაშინ.
— ავიდეთ, ჰა.
ვდგებით და სუფრიდან ვიპარებით. გზა ჩაბნელებულია და შაკო მობილურით მინათებს. ძლივს ვაღწევთ ტბამდე და წყალთან ახლოს ვსხდებით.
— გავცურავდი, რომ არ დამელია.
— შენ შემოგევლე, გულს ნუ გაიხეთქავ!
— არა, ცივა, ტო, — შაკო თითს ყოფს წყალში.
ზურგზე ვწვები და ცას ვუყურებ. მოჭედილია ვარსკვლავებით. რა სილამაზეა! შაკო გვერდით მიწვება.
— რას უყურებ?
— შენი აზრით?
სიჩუმეა.
— შაკო?
სიჩუმე.
— შაკო! — ხმას ვუწევ.
— ჰაა... — ღმუის პასუხად.
— არ დაიძინო!
სიჩუმე. ესეც ბავშვობა. მთვრალი შალიკო და შეწუხებული მე. ბეჭზე ვადებ თავს და თვალებს ვხუჭავ. იმედია, არ გავცივდებით.

❖ ❖ ❖

ირაკლი ოფისში შედის. თანამშრომლები ღიმილით ესალმებიან. ის ხომ ყველას უყვარს. ირაკლი თავის კაბინეტში შედის და კარს კეტავს. აი, იგივე სიტუაცია, იგივე ხალხი, ყველაფერი იგივე. მას ხომ სამხატვროზე უნდოდა ჩაბარება, მაგრამ უფროსი მეტრეველის ბიჭი აუცილებლად ბიზნესში უნდა ყოფილიყო. აი, ამიტომაც ირაკლი თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებს უჰაერობაში ატარებს. კარზე კაკუნია და კაბინეტში მისი მდივანი შედის.
— ირაკლი, ისევ ნიცა რეკავს.
— მე არ ვარ, — ირაკლი ხელმოწერილ საბუთებს აწვდის.
— როგორც იტყვით, — კმაყოფილებით ამბობს მდივანი და გადის.
რა თქმა უნდა, რომ არ ეხატება აქტიური ნიცა გულზე. მდივანსაც ხომ აქვს, იმედია, ირაკლის გულის დაპყრობის იმედი. ირაკლის კი თავისუფლება უნდა. ოცნებად აქვს, ინდოეთში გადაიხვეწოს და იქ იცხოვროს, თავისთვის. უშუალოდ და უბრალოდ უნდა ცხოვრება. შორიდან ეს ალბათ არც ჩანს. ერთია ფაქტი, რომ თბილი ადამიანია, მიზანდასახულიცაა, მაგრამ ეს არ არის მისი მიზნები და სურვილები. ეს მამამისის გეგმაა, რომელსაც თვალდახუჭული მიჰყვება იმიტომ, რომ მისთვის ასე აჯობებს... ალბათ.

❖ ❖ ❖

ბაბლიკული ვიღვიძებ. შაკოს სძინავს. კიდე კაი, მგლებმა არ შეგვჭამეს. ყველაფერი მტკივა.
— აეთრიე, ვირო! — ვანჯღრევ შაკოს.
— რა ხდება? — თვალებს ახელს.
— სად გვეძინა, შეხედე!
შაკო ცდილობს, წამოჯდეს.
— აუ, ზურგს ვერ ვგრძნობ.
— ისე, რა ხედია... — მომწვანო ფერის ტბა ულამაზესად ირეკლავს მზის სხივებს.
— გასკდა თავი, რა დროს სილამაზეა.
— მაშინ არ დაგეძინა!
— აუ, რა ჩავა სახლში. ან რას იტყვიან, რომ მთელი ღამე არ ვიყავით.
— მეღადავები? რამეში უნდა მაღელვებდეს, რას იტყვიან სოფიკოს ნათესავები?
სიჩუმე. ორივეს ისტერიკული სიცილი გვივარდება.
— ადე, ადე, — შაკო ცდილობს, წამოდგეს.
მე უკვე ფეხზე ვდგავარ. ხელს მიყრის და ნელ-ნელა მივჩოჩავთ კიბისკენ.

❖ ❖ ❖

იდეალურად გაპრიალებული შავი ფეხსაცმელი. შავი კოსტიუმი და ნაცრისფერი ჰალსტუხი. ბოლომდე შეკრული თეთრი პერანგი. მამაკაცური აღნაგობა და გაპარსული წვერი. მოწესრიგებული თმის ვარცხნილობა. ფეხსაცმლის თასმებიც კი იდენტურად შეკრული. მას ყველაფერი იდეალურად უნდა ჰქონდეს. სარკეში ჰალსტუხს ისწორებს და კმაყოფილი იღიმის. ის მტაცებელია. ის ძლიერია.
— ფინანსური სფეროს დონ დრეიპერი, — კმაყოფილი ამბობს და ავტომობილის გასაღებს იღებს.
გზად მეზობელ ქალბატონს ესალმება და მის ბავშვს ლოყაზე ჩქმეტს. ის მეზობლებშიც კი პოპულარულია. მძიმე ნაბიჯებით უახლოვდება ავტომობილს და კარს აღებს. ბოლო გამოშვების „ტოიოტა ავალონში“ ჯდება. ავტომობილს ძრავს და ავტოსადგომიდან გადის. ცალი ხელით სიგარეტს უკიდებს, მეორით რადიოს რთავს. მან უნდა იცოდეს ბოლო ინფორმაცია. გზაზე მხოლოდ მწვანე ხვდება და მალევე მიდის სამსახურამდე. ავტომობილს აჩერებს და ლიფტით ადის ბოლო სართულზე.
ლიფტიდან გამოსვლისთანავე ეგებება მისი ასისტენტი, რომელიც ყავას აწვდის და თავდახრილი მისი დღევანდელი შეხვედრების შესახებ უამბობს. ასისტენტი არც უნდა უსწორებდეს თვალს, ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი.
თავის უზარმაზარ კაბინეტში შედის და სკამზე ჯდება. ის კმაყოფილია. ძალიან კმაყოფილია თავისი ცხოვრებით. ის უხეშია, მაგრამ ძალიან მიმზიდველი და მან ეს იცის. ლეპტოპს რთავს და საკონფერენციო ზარს ახორციელებს. პროექტორი ნათდება და კედელზე ორი მამაკაცი ჩნდება.
— დილა მშვიდობისა, მეგობრებო, — სავარძელში ჯდება.
— სალამი, — მამაკაცებიც უფრო კომფორტულად თავსდებიან.
— როგორ გვაქვს საქმე? ფინანსური მაჩვენებლები იწევს?
— ყველაფერი გადასარევად არის, — ამბობს საოცრად მშვიდად.
— ვყიდულობთ აქციებს? — კითხულობს ერთ-ერთი მამაკაცი.
— უდაოდ. ყველაფერი მოგვარებულია.
საუბარი გრძელდება და მას ყველაზე რთულ შეკითხვაზეც კი ამომწურავი პასუხი აქვს. კმაყოფილია. ის ყველაზე მაგარია. საკონფერენციო ზარი მთავრდება და ის თავის სკამს უბრუნდება. ის უდიდესი ბანკის პარტნიორი და ფინანასური დირექტორია. ამხელა კორპორაციის მართვა კი სახუმარო საქმე არ არის. იგი კარიერით ცხოვრობს. ტელეფონი რეკავს და ასისტენტი ატყობინებს, რომ მასთან მოვიდნენ. უდასტურებს, რომ შემოუშვას. ოთახში ქალბატონი და მამაკაცი შემოდიან. მამაკაცი ხელსართმევს და ქალბატონს აცნობს.
— გთხოვთ, დაბრძანდით, — უთითებს სავარძელზე.
შეხვედრა კარგახანს გრძელდება და შეთანხმება მიღწეულია, თუმცა რა გასაკვირია, ის ყოველთვის იღებს იმას, რაც სურს. სტუმრები ფეხზე დგებიან და წასასვლელად ემზადებიან. ის მაგიდიდან თავის სავიზიტო ბარათს იღებს და ქალბატონს აწვდის.
— ზურაბ სტეფანიდი? — ვნებიანი ღიმილით კითხულობს ქალბატონი.
— მზად ვარ, გემსახუროთ, — ცინიკურად იღიმის ის.
მას ყველაფერი შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე თვლის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში


Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# საომარი მდგომარეობა

ქმარი მყავს ზღაპარი. უფრო სწორად, ნამდვილი ზღაპრის გმირი, იმიტომ, რომ ზღაპარში მაცხოვრებს — უპრობლემოდ, უკონფლიქტოდ...

ჩემი უფლისწული, ჩემი ოქროსქოჩორა ბიჭი, ჩემი ფუნთუშა, რა თქმა უნდა, ქიშმიშიანი. ნება-ნება მივირთმევ, ვიზოგავ, რომ დიდხანს მეყოს, სიბერემდე, სიბერის იქითაც.

— მმმმ, რა გემრიელი ხარ, — ვეალერსები.

— მმმმ, შენ უფრო, — მეალერსება.

ჩემი ჭკუის, მხიარული. მივალ სახლში, ვთქვათ, სკოლიდან, ჩემი თინეიჯერი შვილის გამო გაგიჟებული პედაგოგების მორიგი შემოტევის შემდეგ და:

— დონთ ვორი, ბი ჰეფი (ინგლ. არ იდარდო, თავი ბედნიერად იგრძენი)... — დამიმღერებს ბოხი და ხავერდოვანი ხმით.

გაბუტვას დავაპირებ და:

— მითხარ, რად ხარ მოწყენილიიი... — ახლა გიტარას ჩამოჰკრავს, ჩამოაჟღრიალებს.

მე კი ქალი ვარ ბოლოს და ბოლოს, ხანდახან ჩხუბიც მინდა, ჩვეულებრივი, ოჯახური ჩხუბი, ბინის დაყოფა კონფლიქტის ზონებად დაყოფა, საძინებელთან სადემარკაციო ხაზის გავლება. აქეთ ის, იქით — მე. მოვიდეს, მეხვეწოს, შემოშვება მთხოვოს. თავი გავიგიჟო, წინააღმდეგობა გავუწიო, ის გაბრაზდეს და დამიპყროს. აპაპაპა, მსგავსი არაფერი! ჯერ ერთი, ამის გარეშეც მიპყრობს, ანუ ვიპყრობთ ერთმანეთს და მეორეც, ისეთ ფრაზას წამოისვრის, ისეთი სახით, სიცილი მივარდება და ვეღარ ვჩერდები — განიარაღებული ვარ.

ისევ თავად მაჩერებს.

— მმმ, — მეკრუტუნება.

— მმმ, — ვეკრუტუნები.

არა, რა! არ გამომდის კონფლიქტი და ომი. ზრდილობის გულისთვის მაინც. ამის გამო კი სირცხვილისგან თვალებში ვეღარ ვუყურებ ჩემს მეგობრებს, რომლებსაც მუდმივი საომარი მოქმედებები აქვთ. აი, მშურს, რომ დადგებიან და დაიწყებენ ტრაბახს. მაგალითად, მაო:

— დღეს ნიკას ვეჩხუბე, — გადმომხედავს ამაყად, — დავამხე თავზე ყველაფერი.

ან ნათია:

— გუშინ ტორნადო ვიყავი, — შემახარბებს, — აბა, რა ეგონათ! ვაფარე ერთმანეთს თაზო და ზიზი.

— ზიზიც, კაცო?! — ვეკითხები გაოცებული. ისეთი წყნარი დედამთილი ჰყავს და ისიც?!

თან მშურს, მშურს, ვკვდები შურით.

— აბა, რა, — წარბებს სწევს, — ხმას კი არ იღებდა, მაგრამ მაგან არ გაზარდა ასეთი? მაგან არ დამახვედრა? ეგ არ არის, სულ ხელს რომ აფარებს? ჰოდა ვაფარე კიდეც, — რითმავს ფაქტობრივად.

ან აზუნა:

— ისეთი ვუკივლე და გავაძუგძუგე უკან... — თავის ათასგზის წასულ და ამდენჯერვე მობრუნებულ ქმარზე ყვება განცხრომით.

და მე ამ დროს? არც არაფერი.

დავაპირებ ჩხუბს, დავფიქრდები:

— ვაიმე, რატომ უნდა ვიჩხუბო? მუშაობს? გადასარევ ადგილას, უცხოელებთან.ხელფასი არ მოაქვს? როგორ გეკადრებათ! საჩუქრებს არ ყიდულობს ჩემთვის? ჰმ, თან რამდენს ყიდულობს. საოჯახო საქმეებში არ მეხმარება? დიახ, დიახ, მეხმარება. ილანძღება? — აჰ, რა სისულელეა! იგინება? ოი, ოი, რას ბრძანებთ! ბავშვს ყურადღებას აქცევს? აბა, როგორ?! ვუყვარვარ? ძა-ლიან!

ჰოდა, რაზე უნდა ვიჩხუბო?

მაგრამ, აბა, ოჯახს კონფლიქტი ამაგრებსო თუ ყველა ოჯახშია კონფლიქტიო? სად არის კონფლიქტი? ფა-ფუ კონფლიქტი. დილას მარცხენა ფეხზე მინდა ავდგე და რას ვხედავ? რას და ფინჯანს ტუმბოზე. ესე იგი ყავა მზადაა და მე მელოდება. ჰოდა, ადექი, ბატონო, გინდა მარცხენა ფეხზე, გინდა მარჯვენა ფეხზე, კამათის მიზეზი აღარ მაქვს და მართლა გიჟი ხომ არ ვარ, ვიჩხუბო და ვიკამათო და აქეთ გორასა წიხლი ვკრა და იქით გორასა ძვრა ვუყო და ა.შ. და საერთოდ, გიჟი ხომ არ ვარ, ამ ყველაფერს სერიოზულად ვამბობდე. ნახევრად ხუმრობით, ნახევრად ხუმ-რო-ბით. ამას წინათ მანქანაც მიყიდა, წითელი ბაფთით დამახვედრა სადარბაზოსთან. გავედი და და-ვეცი!

— არაააააა! — ჩამოვეკიდე კისერზე.

— გაგიხარდააა? — დამატრიალა.

— ვაიმეეე! — ახლა მანქანასთან მივვარდი.

— ასწორეეებს? — დამიდგა ამაყად.

— მაგრაააად!— ჩავხტი მანქანაში.

— ჰოდა, შენიააა! — მომიჯდა გვერდით.

აი, მე კი, ასეთი ქმრის უუუსაყვარლეს ცოლს, ამ ჩემი გათხოვილი მეგობრების მშურს. და რაც უნდათ, ის უქნიათ, დაამხონ ქმრებს თავზე ყველაფერი, აფარონ ერთმანეთს ქმარი და დედამთილი, მიაძუგძუგონ ათასჯერ მობრუნებულები... რა, არ შეიძლება, ერთი განსხვავებული ოჯახიც იყოს? აი, უკონფლიქტო, რინგის და ბოქსის გარეშე, აი, ისეთი, როგორიც ჩემია.

— მსგავსი არაფერი გამიგია, მართლა სულ არ ჩხუბობთ? — უკვირს ნათიას.

— გეფიცები! — გულზე ხელს ვიდებ მე.

— ნუ, რა ვიცი, რა ვიცი, — ეჭვი ეპარება აზუნას.

— გეფიცები-მეთქი, — თავს ვიგიჟებ მე.

— ჰო, ხდება ხოლმე, — მამშვიდებს მაო.

აქაოდა, ეს რა დღეში ხარ, ასეთი ენერგიის პატრონი, ასეთი მოუსვენარი, ასეთი ცეცხლივით გოგო და არანაირი კონფლიქტი და ოჯახური ომიო.

— არადა რა ადრენალინია, რომ იცოდე, — ისევ მახარბებს აზუნა.

— ნუ, რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე? — ვწუხვარ.

— ვაიმე, მე კი ვგიჟდები თქვენს ოჯახზე, აი, ვგიჟდები, — ერთადერთი მეგობარი, ვინც ჩემს ოჯახზე გიჟდება, თათოა, ეგღა დარჩა გასათხოვარი ჩვენ შორის.

— ეგ იმიტომ, რომ ჯერ არ იცი, რას ნიშნავს, როცა კონფლიქტის მერე ქმართან ზავდები, — მოწყალედ ეუბნება მაო.

— აჰაა, — ეთანხმება ნათია, — აი, ეგ არის ფანტასტიკური. რომ ეჩხუბები, მერე რომ მოვა, მოგეფერება და შენ კი გაკანკალებს, მაგრამ რას გაკანკალებს, ბრრრ...

— და მე რომ ჩხუბის და აყალმაყალის გარეშეც მაკანკალებს და თან როგორ მაკანკალებს? — ვკითხულობ.

— უიმე, დაგვანებე თავი, რა! — მეუბნება ნათია, — შენგან არაფერი გამოვა.

არ მომკლა ამათმა მიწიერმა სამოთხემ და ფრთების ფათქუნმა? ამ დროს თუ მოვა ჩემი ქმარი:

— ვაჰ, გოგოები მოსულან, — სასწრაფოდ გიტარას აიღებს და წაუმღერებს, — სალამი, ჩიტუნებოოო...

და ესენი, ეს „სწერვები“, ეს კონფლიქტებისა და ომების მოყვარული მარშლები, გენერლები, პოლკოვნიკები, ანუ ჩემი მეგობრები, უცებ აკაკანდებიან:

აზუნა:

— ოთოოოო, ვაიმეე, შენ შემოგევლე, რა ბიჭი გვყავხაარ!

ნათია:

— ვაიმეე, შენისთანა სიძე არ გვყავს სამეგობროში!

მაო:

— ნუ, განძია, განძი, ჩვენი ოთო!

თათო:

— ოთო, მართლა რა გამორჩეულად კარგი გვყავხარ.

— აბა, რას მიირთმევთ, გოგოებო? — წაუღიღინებს ჩემი ქმარი, გიტარის აკომპანიმენტის თანხლებით, მერე გადმომხედავს, ხმას იბოხებს, ვითომ წარბს მიწევს:

— სუფრა არ გაშალე, ქალო?

— სუფრა არა, ფიანდაზი და ფარდაგი კიდევ, — მშვიდად ვეუბნები.

— მაშინ, რადგან არც სუფრაა, არც ფიანდაზი და არც ფარდაგი და სავარაუდოდ, არც იქნება, სადმე ხომ არ წავსულიყავით? — ისევ გიტარის აკომპანიმენტის თანხლებით ღიღინებს ოთო.

— ვაიმეეე, რა კარგი იქნებაა, წავიდეთ, რა, წავიდეთ, რააა! — ვეღარ წყნარდებიან აჟიტირებული გოგოები.

ჰოდა, მივდივართ ჩემი მანქანით. მე — საჭესთან, ოთო — გვერდით, გოგოები უკან.

— რა მძღოლი მყავს, ამას შემოვევლე, ხომ ხედავთ? — ჩემით ამაყობს ოთო.

გოგოები:

— ზღაპარიიი!

— და რა სიყვარულით მემსახურება, ხომ იცით? — აგრძელებს ოთო, — სადაც ვთხოვ, ყველგან მივყავარ, მერე მომაკითხავს და მოვყავარ. და მე არ უნდა დავუფასო?! არ უნდა მიყვარდეს?!

გოგოები:

— აბა, რააა!

— ჰოდა, ძალიან მიყვარს. აი, მაგრად მიყვარს! — სიყვარულს მიხსნის.

გოგოები:

— რა ბიჭი ხააარ!

ვიცი, არ ამხელენ, თორემ ძალიანაც შურთ ჩემი, დიახ! მერე ოთო ურეკავს მათ ქმრებს, ისინიც გვიერთდებიან და ვერთობით, ვხმაურობთ, ვიცინით და, რა თქმა უნდა, ვთვრებით: ცოლები — მსუბუქად, ქმრები — მძიმედ.

მეორე დღეს მირეკავენ გოგოები:

— ამ ჩემს ქმარს დალევა თუ არ შეუძლია, რატომ სვამს, არ მესმის! — ბობოქრობს მაო.

— ვაიმე, გეჩხუბა? — ვწუხდები მე.

— რაო? მეტი საქმე არ მაქვს! ეგ კი არ მეჩხუბა, მე ვეჩხუბე და გავამწესე ლოჯში. მაგისი ხვრინვის და კვნესის თავი სად მქონდა? — ამაყობს.

რეკავს ნათიაც:

— ამ ვაჟბატონმა სახლში გაგრძელებაც გადაწყვიტა და მეზობელი ლოთები ამოიყვანა.

— მერე? — ვეკითხები ინტერესით.

— რა მერე, რა მერე? მაგათ გავაჩერებდი სახლში?! ეგენი ხომ გავყარე და ესენი ვაფარე ერთმანეთს — ავთო და ზიზი, — ტონი აქვს ისეთი, აშკარად კმაყოფილია



Cyan Magenta Yellow Black

თავისი საქციელით.

— ზიზიც, კაცო?! — ისევ მიკვირს. რა უნდა ამ ზიზისგან, რას ერჩის?

— აბა, რა! დატრიალდა და სუფრის გაშლა დაიწყო. მინდოდა ახლა მე სახლში ლოთები და მათი სუფრა?

რეკავს აზუნაც:

— ჯერ ვეჩხუბე, მერე გავუშვი სამუდამოდ, — ამაყად მიცხადებს თავის ქმარზე.

— კი მაგრამ, ორი დღის წინ არ დაბრუნდა? — ესეც მიკვირს.

— მერე რა? როგორც დაბრუნდა ერთი ჩემოდნით, ისე წავიდა, ერთი ჩემოდნით, — მიხსნის.

ვაიმე, მე, ეტყობა, სხვა პლანეტაზე ვცხოვრობ. ან ჩემი ქმარია უცხოპლანეტელი. რა ჩხუბი, რის ჩხუბი, რა გაბრაზება, რის გაბრაზება... კი, ბატონო, სახლში რომ დავბრუნდით, მინდოდა დამეწყო: ასე რატომ დათვერი, შე საზიზღარო, შე არანორმალურო, ასეთო, ისეთო... მაგრამ ვინ მაცადა? მაცინა, მაცეკვა, მახითხითა, მეფერა, მეკრუტუნა, მეალერსა. მეც ვეფერე, ვეკრუტუნე, ვეალერსე... არადა, თან რომ მაინტერესებს როგორია ოჯახური კონფლიქტი? და ჩხუბის მერე შერიგებაზე ხომ ვოცნებობ პირდაპირ. სულ ტანში მბურძგლავს, ამ კადრებს რომ წარმოვიდგენ, თუმცა ბურძგლები ისედაც მაყრის, როგორც კი ოთო შემომხედავს, აი, რაღაცნაირად, დანისლულად, მარტო მე და მაგან რომ ვიცით, რა იმალება იმ გამოხედვაში... ბრრრ!..

— გეუბნები, შენისთანა ქმარი არავის ჰყავს დედამიწის ზურგზე, — ისევ გამიმეორა თათომ.

ჩემთან იყვნენ გოგოები, მორიგ მოგებულ შეტევებს განიხილავდნენ მთავარსარდლებივით. რუკა აკლდათ მარტო, ზედ მონიშნული გამარჯვების წერტილებით და წერტილებზე აღმართული დროშებით. მე კი ვიჯექი უხერხულად, თავჩაქინდრული, დეზერტირივით:

— ვაიმე, ჩვენთან ასეთი საინტერესო ამბები არ ხდება.

— არა, ოთოსთან რა პრეტენზია შეიძლება გვქონდეს? — გადახედა დანარჩენებს ნათიამ, — არავითარი! უბრალოდ ისაა, რომ ზოგადად არ მჯერა მშვიდი და უკონფლიქტო ოჯახების.

— ჰო, ეს რაღაც სხვა სფეროა, — ჩაფიქრდა აზუნა.

— დამდგარ წყალშიო თუ როგორ არის? — ანდაზა ბოლომდე ვერ გაიხსენა მაომ.

— გეყოფათ, რა! — ცეცხლი გახსნა თათომ, — რას გადაეკიდეთ ამ გოგოს, რატომ უნდა ეჩხუბოს, არ აძლევს ჩხუბის მიზეზს ეს კაცი და თან არ უყვარს ადამიანს ჩხუბი, არაა კონფლიქტური, ცოლი უყვარს, ხელისგულზე ატარებს...

— და ვინ აძალებს, რომ იჩხუბოს? — გაიკვირვა ნათიამ, — უბრალოდ არ მჯერა. ხომ მაქვს უფლება? მაქვს.

— ისე, სადაა ოთო? — მკითხა აზუნამ.

— თანამშრომელთან დავტოვე, გიტარით და ჩქარი ტაშით, — გამეცინა, — მერე უნდა მივაკითხო და წამოვიყვანო.

— აუუ, ჩვენც მივიდეთ, რაა, მეც მინდა ოთოს გიტარა და ჩქარი ტაში, — მოუნდა თათოს.

— მეეც, — აჰყვა აზუნა, მერე მაო, მერე ნათია.

— ოჰ, გინდათ, კარგია, — გავაჩუმე, — ეგრე სადაა, ქართველთან კი არაა, რომ ავდგეთ და მივადგეთ. ამერიკელთანაა, გენაცვალე, მხოლოდ თანამშრომლები არიან, რამდენიმე კაცი. გაგიჟდება.

— რა გინდა, თქვა, რომ მივიდეთ, ოთო გაგიჟდება და გაბრაზდება? — თვალები მოწკურა მაომ.

— ოთო კი არა, ამერიკელი, — შევუსწორე მე.

— კარგი, რა, ოთოც გაბრაზდება, აბა, რა. რომელ ქმარს ესიამოვნება, ცოლი თავისი დაქალებით დაადგეს და თანაც იქ, სადაც თავადაც სტუმრადაა, — მაოს უთხრა ნათიამ, მზერა ჩემკენ გამოაპარა.

— ოთო გაბრაზდება? — სიცილი ამიტყდა.

— რა თქმა უნდა, — აზუნაც აჰყვა გოგოებს.

— ვაიმეე, რა სისულელეა! — ისევ გამეცინა.

ამათ რა ჰგონიათ, სულ რომ მთელი კორპუსით მივადგე იმ ამერიკელს, ოთო გამბრაზებელი არაა. დამინახავს, გამიღიმებს, ჩამოჰკრავს გიტარას, ჩამოაჟღრიალებს...

— ისე, ნეტავ როგორია გაბრაზებული ოთო? და რომ გაგიბრაზდეს, შენ რას იზამ? წაეჩხუბები? — დამაყარეს კითხვები.

რაო? წავეჩხუბები? მივხვდი, სპეციალურად შემომიგდეს ეს აზრი, მაგრამ ჰოპ-ლა, დავიჭირე და ველარ ამოვიგდე თავიდან. მგონი, ჩხუბის საბაბი მეძლევა. ჰეი, აბა, მიდი, ახლა გამოჩნდება, რა მაგარი ხარ. ესენი როგორ უნდა ალაპარაკო. მიხვალ,



იჩხუბებ, მოხვალ. მოვა, მოგეფერება, გაგაკანკალებს... ბრრრ...

— წამოდით და ნახავთ, — წამოვხტი უცებ.

— ვინც არა? — ჩემზე წინ გაცვივდნენ და მანქანაში ჩახტნენ.

წავედით, მივედით.

— დაურეკავ? — მკითხა თათომ. მაინც მორიდებული გოგოა, უხერხულად იგრძნო თავი.

— თუ თავზე დადგომაა, თავზე დადგომა იყოს, — გავუცინე.

რაღა დავმალო და მეც მაინტერესებდა მოულოდნელი რეაქცია, ამერიკელის — არა, ჩემი ქმრის.

— რომელ სართულზეა? — მანქანიდან გადმოვიდა აზუნა. კორპუსს ახედა, — უიმე, რა ლამაზი კორპუსია, პატარა და კუწკუწა.

— ეტყობა, ახალი აშენებულია, — გადმოვიდა მანქანიდან მაოც, — მართლა რა პატარა და საყვარელია. აქ იქირავებდა ამერიკელი, აბა, ჩემს კორპუსში ხომ არა, გარმონივითააა გაშლილი.

შევედით და პირველივე კარზე დავრეკე ზარი. ძალიან საყვარელმა ბებომ გააღო კარი, მაგრამ რად გინდა, ვერ გავაგებინეთ, ვის ვეძებდით, პრინციპში, მეც ბევრი არაფერი ვიცოდი.

— აქ ვინმეს ნაქირავები თუ აქვს ბინა, ნაქირავები? — ჩაჰყვირა აზუნამ.

— კი, კი, ზუსტად ჩვენ ზემოთ, ისეთი კარგი ადამიანია, ისეთი გულისხმიერი, გაიხაროს, გამრავლდეს... — როგორც იქნა, გაიგო, რასაც ვეკითხებოდით.

— აჰა, უმარტივესად მივაგენით, — გადმოგვხედა აზუნამ, კიბეებზე ავიდა.

— რა მიგნება უნდოდა, კორპუსი ვიცოდი და აქ სულ, დიდი, დიდი, ათიოდე ბინა იყოს, ბოლოს და ბოლოს ყველას ჩამოვუვლიდით, — უკან მივყევი მეც, მერე აზუნას გადავუსწარი და კარზე ზარის დარეკვის უფლება ჩამოვართვი.

კარი ახალგაზრდა ქალმა გააღო. უჰ, რა წითური, ბურბურა თმა, რა მწვანე თვალები, ალბათ ირლანდიური სისხლი აქვს.

— ჰაიიი, — ერთად გავუცინეთ, მერე გოგოებს გადავულაპარაკე, — უყურეთ ერთი, რა კარგი გემოვნება ჰქონია მაიკს.

— გამარჯობა, — გვითხრა გაკვირვებით. ერთმანეთს გადავხედეთ.

— ვაიმე, ქართული იცით? — დავდნი.

— ქართველი ვარ და... — უფრო გაუკვირდა, — და ვინ გნებავთ?

— ალბათ შეგვეშალა, — ისევ გავუცინე, — ამერიკელს ვეძებთ, მაიკს, ამ კორპუსში აქვს ბინა ნაქირავები და ახლა თანამშრომლები ჰყავს სტუმრად. ხომ არ იცით, სად ცხოვრობს?

— ამერიკელი? მაიკი? — დაფიქრდა წითურთმიანი, — არა, ეგეთი აქ არავინაა.

— მანკაა, ვინააა? — გამოსძახეს.

ვაიმე! ვაიმე! ვაიმე! თავში ჩაქუჩიც მომხვდა, უროც და მეტეორიც დამეცა — ოთოს ხმა იყო!

— ვიღაც... — და სანამ ეს წითურთმიანი წინადადებას დაამთავრებდა, გვერდით გავწიე და სახლში გიჟივით შევვარდი. ვაიმე, სად მოვდიოდიიი! ეს რა დავინახეეე... ჩემი ძვირფასი ქიშმიშიანი ფუნთუშა აშლილ ლოგინზე ეროტიკული სიშიშვლით და თან გიტარა ხელში მაგ არამზადას!

— აუჰ! — დაიცეცხლა ჩემს დანახვაზე, ფერი წაუვიდა, გათეთრდა, გამწვანდა, წამოხტა, შარვალში ფეხი გაჰყო.

— აწი გინდ ჩაიცვი ეგ შარვალი და გინდ არა! — დავუყვირე.

მერე მივდექი, გავლანძღე, მიწასთან გავასწორე, ავუფეთქე ყუმბარები, იმ წითურსაც სნაიპერის ტყვიასავით ვესროდი სალანძღავ სიტყვებს. ეცადნენ ცეცხლის შეწყვეტას გოგოები, მაგრამ ვერ გამაჩუმეს. ვჩხუბობდი, მაგრამ რას ვჩხუბობდი... აბა, რას ვიზამდი?!

რა ტუტუცი ვარ! რა იდიოტი! ეს თურმე საყვარელთან გურგურებდა მტრედივით და თან მე მიმსახურებდა! მომყავდა და მიმყავდა, მიმყავდა და მომყავდა ჩემი ფეხით, უფრო სწორად, მანქანით! როგორ გამიბედა, როგორ გამიბედაა!

მერე გოგოებმა იმარჯვეს, გაიგიჟეს თავი, გამაკავეს, წამომიყვანეს...

— რა იომა, ნახეთ? — გადახედა დანარჩენებს აზუნამ, უკვე ჩემთან, სახლში, მაგიდის გარშემო ისხდნენ შტაბის წევრებივით.

— აბა, რა! მაგარი გოგო გვყავს! — შემაქო მაომ.

— კიდევ თქვენ გამაკავეთ, თორემ... ხომ დავცხე ზალპი და ზარბაზანი, — იხტიბარი არ გავიტეხე და ამაყად გადავხედე, დაახლოებით ისე, როგორც მოგებული ომის გენერალმა.

როგორც კი გოგოები წავიდნენ, თვალები ცრემლით ამევსო. თურმე რა ტყუილი ყოფილა ყველაფერი, მოჩვენებითი. თბილი სიტყვებიც, კრუტუნიც, ალერსიც... როგორ, როგორ შეეძლო ასე ეთამაშა, როგორ?!

„მორჩა! ვიწყებ ბრძოლას!“ — გადავწყვიტე გაბრაზებულმა.

ჩემი უკონფლიქტო ოჯახი კონფლიქტის ზონად გამოვაცხადე და სადემარკაციო ხაზი ბინის ზღურბლთან გავავლე, აქეთ მე ვარ გამაგრებული, იქით ოთო მოდის, კაპიტულაციას მიცხადებს. არ მჭირდება მაგის კაპიტულაცია! ჯერჯერობით ისევ საომარ მოქმედებებს ვაწარმოებ. როგორც გოგოები მეუბნებიან, არცთუ ისე ცუდად გამომდის.



Cyan Magenta Yellow Black

## გავიცნობ, ვუძებ

sms-ები
გამოაგზავნეთ
ოთხშაბათამდე.
sms-ის გამოგზავნის
ბოლო ვადაა შაბათი,
31 აგვისტო
17 საათი.

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ ლამაზ ქალს სამეგობროდ. ვარ 37 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 558164318
2. გავიცნობ 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, 175 სმ სიმაღლის. 593383099. თემო
3. ვარ მაღალი, ცისფერი თვალებით, სიმპათიური, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 44 წლამდე ლამაზ გოგოს. 555150300. მიხეილი
4. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, 26 წლამდე გოგოს. ვარ თბილისელი, ვცხოვრობ მარტო, მაქვს ბინა და სამსახური. 558473600. დათო
5. ვარ 50 წლის მამაკაცი ქუთაისიდან. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 557497135
6. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ დაოჯახებული, სასურველია იყოს 40 წლამდე. ვარ 29 წლის. 555195062. იკა
7. გავიცთნობ 30 წლადე გოგოს შეხვედრებისთვის. მომწონს პუტკუნა და სერიოზული გოგონები. 514130880. ნიკა
8. გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ, პუტკუნა გოგოს. 558556489. გურამი
9. ვარ 39 წლის მამაკაცი. გავიცნობ 25-35 წლამდე მხოლოდ ქალიშვილ გოგოს შეხვედრებისთვის. 558025049. გელა
10. გავიცნობ 55-60 წლამდე თბილისში მცხოვრებ მოვლილ ქალს. 558556489. ავთანდილი
11. შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ, 35 წლამდე, თბილისელ გოგოს. ვარ 38 წლის, სპორტული აღნაგობის, არამწეველი და არამსმელი, ვცხოვრობ მარტო. 599909457. გია
12. გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ ძალიან მოსიყვარულე მამაკაცი. 574070310
13. გავიცნობ ლამაზ, სექსუალურ 35 წლამდე ქალს, დასაქმებულს. ვარ 24 წლის, შავგვრემანი, ლამაზი ბიჭი 80/180, მიყვარს უფროსებთან მეგობრობა. 557428617. სანდრო
14. სამეგობროდ გავიცნობ 25-32 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის ქალს რუსთავში ან თბილისში მცხოვრებს. ვარ 26 წლის ბიჭი. 577474753. ლევანი
15. ვარ 25 წლის სიმპათიური მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ მხოლოდ თბილისელ, სასიამოვნო გარეგნობის გოგონას. 555005224
16. შეხვედრებისთვის გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ ქალს. 555340643
17. ვარ 41/182, თბილი და სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ ასევე 42 წლამდე სიმპათიურ ქალს შეხვედრებისთვის. 558137552. გიო
18. გავიცნობ მოწესრიგებულ, სუფთა და მიმზიდველ ქალს. ვარ თბილისელი, უცოლშვილო მამაკაცი. 558556340
19. ვარ 39 წლის მამაკაცი. გავიცნობ ქალიშვილ გოგოს შეხვედრებისთვის. 558025049. გელა
20. გავიცნობ 25-დან 30 წლამდე განათხოვარ, თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 557758723
21. შეხვედრებისთვის გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ, 36 წლამდე ქალს. ვარ 39 წლის მამაკაცი ქუთაისიდან. დამიმესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 557994113. ჯონი
22. გავიცნობ 29-დან 50 წლამდე ქალს ლამაზი შეხვედრებისთვის. 557678882
23. გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ 22-დან 38 წლამდე ლამაზ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 37 წლის, მაქვს სამსახური, ბიზნესი და ბინა შეხვედრებისთვის. 551224006
24. გავიცნობ 50 წლამდე სერიოზულ ქალს. ვარ 60 წლის, თბილისელი მამაკაცი. 557415803. ნოდარი
25. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ქალს. 557680016
26. გავიცნობ 50 წლამლე თავისუფალ, მოწესრიგებულ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 37 წლის თბილისელი მამაკაცი. 555704242
27. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს. ვარ 20 წლის. 598999703. თელავი
28. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 35 წლამდე სიმპათიურ ქალს. 557229949. ზურა
29. ვისაც აქვს სურვილი ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ, დამიმესიჯეთ. ვარ 43 წლის. 593226656
30. ვარ 35/180/83, ევროპული სტილის, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ შესაფერით, თბილისელ, არაშავგვრემან ქალს. 557317378
31. ვარ 172/33, ვცხოვრობ მარტო. მეგობრული ურთიერთობის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს. 555179655. ტატო
32. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამლე ქალს. ვარ 42 წლის მამაკაცი, 557961142
33. გავიცნობ 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი, 29 წლის მამაკაცი. 599307696. ზურა
34. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის, უმჯობესია იყვეს პოლიციელი. 551577725
35. გავიცნობ სულიერად ლამაზ, თბილ და მშვიდ ქალს. 555675264. ნიკა
36. ვარ 24 წლის, სპორტსმენი მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს. 558951387. ნიკა
37. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40-დან 60 წლამდე ქალს გურიაში ან აჭარაში მცხოვრებს, სასურველია იყოს ქვრივი ან მარტოხელა. ვარ 32 წლის, სიმპათიური ბიჭი, ვარ ყოფილი სპორტსმენი. 555353090
38. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მომხიბვლელ 40 წლის ასაკამდე ქალს. 598552405. ლევანი

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 66 წლის ქვრივი მამაკაცი, მაქვს ორსართულიანი ბინა, საუკეთესო ხეხილის ბაღით, ფუტკრით, პირუტყვით, ვცხოვრობ მარტო თიანეთის ბარ-სოფელში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50-დან 65 წლამდე ქალს. 555524122. შოთა
2. ვარ 185/82/38, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლამდე ქალიშვილ გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო
3. ვარ 43 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ქალს. 551181206
4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, ბინით უზრუნველყოფილ 45-დან 55 წლამდე პატიოსან ქალს. დამიკავშირდით საღამოს 8 საათის შემდეგ. 557688767
5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შიდა ქართლის რაიონიდან სოფლელ, პატიოსან, ლამაზ გოგოს. ვარ 30 წლის. 598224152
6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ქალს. ეროვნებით ვარ აზერბაიჯანელი, მაქვს საკუთარი სახლი. 557343697
7. გავიცნობ 35 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 593101628
8. ვარ თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 32 წლის ქალიშვილს, სიმპათიურს, გამხდარს. 558215498
9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილი ბუნების, მარტოხელა 60 წლამდე ქალს. ვარ 50 წლის, უბინაო, უცოლშვილო მამაკაცი. 555354757
10. დამეცუპა ცოლი. ვარ 70 წლის, მარტოხელა, ვცხოვრობ სოფელ მანავში. ვეძებ ისეთ ქალს, რომელსაც უნდა, ოჯახი ჰქონდეს. 558661705. ოთარა
11. ახალგაზრდა, სიმპათიური, მარტოხელა მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 558270100

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ სერიოზულ, ინტელიგენტ 38-50 წლამდე მამაკაცს. 557701130
2. გავიცნობ 40-დან 50 წლამდე ბათუმელ მამაკაცს შეხვერებისთვის. 593153455. თაკო
3. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, ვეძებ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069
4. ვიმეგობრებ ერთგულ, მოწესრიგებულ, დასაქმებულ მამაკაცთან, ტყუილების გარეშე. 557706460

## სხვადასხვა

1. მინდა, რომ მყავდეს კარგი მეგობარი. ვარ 36 წლის. 599425197. გიორგი

## მიყვარხარ, მენატრები

1. დე, ძალიან მენატრები და მიყვარხარ, იმედია, მალე ჩამოხვალ.

პაჩანიკა, როგორ ხარ, ჩემო უსაყვარლესო მეუღლევ, რაც გნახე მას მერე ცოტა უკეთ ვარ და იმედიანად. თავს გაუფრთხილდი და მეც გავიფრთხილდები. მიყვარხარ. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვენდომება. ჩვენ კარგად ვართ, არ ინერვიულო, მთავარია შენ იყო კარგად. მიყვარხარ, ჩემ გულში და სულში ხარ, მაინც რა ხარ ასეთი კარგი და საყვარელი. ჩემი ცხოვრება ხარ. მე და ბაკუნას გვენატრები ძალიან. გელოდები, სულ დაგელოდები. მიყვარხარ. წრიპა

## მადლობა

უღრმესი მადლობა დავით ტატიშვილის სახელობის კლინიკის ექიმებს, ბატონ გოგლა ახვლედიანს და ქალბატონ თამარ ზუბადალაშვილს, რომლებმაც სიცოცხლე გამიხანგრძლივეს. დიდი სითბოთი და პატივისცემით ელისაბედ ჭაბაშვილი

2017

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჩაიმე ან გამხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 31 აგვისტოს 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნებისმიერი, ჩემდ ან 3-ზე მეტ sms-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აცრისატისადმი მინერიტ ოთ ბაჩათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

← 6 მერე გადავწყვეტთ. თუ სააქციო საზოგადოება შეიქმნა, დაინიშნება დირექტორი, რომელიც წარუძღვება ამ ყველაფერს.

— **ბატონო ვასილ, ეს ხომ საქართველოა და ადამიანები ერთმანეთს სასიკვდილოდაც კი იმეტებენ, როცა განსხვავებული პოზიცია აქვთ. თქვენ კი ამბობთ, 3.000-ზე მეტი აქციონერი ვიქნებითო. როგორ წარმოგიდგენიათ ერთად ამდენი ადამიანის მიერ ისეთი კომპანიის მართვა, როგორიც ტელევიზიაა?**

— ანუ გინდათ, თქვათ, რომ ჩვენ ერთმანეთს დავხოცავთ?! ჩვენ არ ვგავართ სხვა ერებს, მაგრამ სააქციო საზოგადოებებით იმართება მსოფლიო ბიზნესის დიდი ნაწილი და ყველაფერი გამართულად მუშაობს. შპს-ები სულ რაღაც 15-20 წლის წინ საქართველოში არავინ იცოდა. დღეს კი გამართულად მუშაობენ.

**ვასილ მაღლაფერიძე: „საქართველოში სახელმწიფოს რომ არ დაეფარა რამდენიმე ტელეკომპანიისთვის რამდენიმემილიონიანი ვალი, ისინი გაკოტრდებოდნენ და ლიდერები იქნებოდნენ ის ტელეკომპანიები, რომლებიც თავიანთი ხარჯით არსებობენ".**

კერძო ჟურნალ-გაზეთის არსებობა 20 წლის წინ ნონსენსი იყო, მაგრამ დღეს არსებობს. სააქციო საზოგადოება გარანტიაა, რომ არ იქნება განხორციელებული გვერდითი და პოლიტიკური ინტერესები.

მედიაექსპერტების და ჟურნალისტების ერთი ნაწილი გაიძახის, რომ ტელევიზია ვერ იარსებებს საკუთარ შემოსავლებით და მას აუცილებლად სჭირდება დამატებითი შემოსავლები. უპრიანი იქნება, დაისვას კითხვა — როცა ტელევიზიაში დამატებითი შემოსავლები შემოდის, ამას მოჰყვება თუ არა დამატებითი პოლიტიკური შეკვეთები? რა თქმა უნდა, მოჰყვება. თუ დამატებითი შემოსავლის გარეშე ვერ იმუშავებ, ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური შეკვეთები უნდა შეასრულო. არის ტელეკომპანიები, რომლებიც ამ აზრს არ იზიარებენ. საქართველოში სახელმწიფოს რომ არ დაეფარა რამდენიმე ტელეკომპანიისთვის რამდენიმემილიონიანი ვალი, ისინი გაკოტრდებოდნენ და ლიდერები იქნებოდნენ ის ტელეკომპანიები, რომლებიც თავიანთი ხარჯით არსებობენ.

— **ლუბა ელიაშვილი ამბობს, ტელეკომპანიის აქციები არ იყიდებაო.**

— ჩვენი წამოწყება თუ განხორციელდება, არავის მოუტანს ზიანს და თუ არ განხორციელდება, მით უმეტეს. ასეთ ვითარებაში კი ვიღაც გამოდის და ამბობს, ამათ საქმე არ გამოუვათო. თუ ადამიანს გარკვეული ინტერესები არ აქვს, რა მისი საქმეა ასეთი განცხადების კეთება?! სააქციო საზოგადოება ფიქრობს, რაღაც ფორმით შეისყიდოს ამ ტელევიზიის გარკვეული კომპონენტები და გააგრძელოს ეთერში მუშაობა. ჩვენ ხომ არავის არაფერს ვუშლით? არ გვაქვს უფლება, ვილაპარაკოთ?! გადავკვეთეთ მათი ინტერესები თუ რაშია საქმე?! თქვენს ოფისთან რომ შეიკრიბონ ვიღაცეები და იძახონ, არაფრით გამოვა „სარკეო", ნორმალური იქნება?! ჩვენ ვმართავთ დისკუსიებს და ვიღებთ გადაწყვეტილებებს. გამოვა, გამოვა, არ გამოვა და ნუ გამოვა!


ვასილ მაღლაფერიძე

— **როგორც ირკვევა, 47 მილიონის მესამედზეა ლაპარაკი. რითი აპირებთ ამ თანხის გადახდას?**

— არავითარ მესამედზე არ არის საუბარი. ვინც ასეთ ინფორმაციებს ავრცელებს, მათთან კამათს არ ვაპირებთ.

— **ანუ გინდათ, პრემიერმინისტრს სთხოვოთ, დაგითმოთ აპარატურა საზღაურის გარეშე?**

— არა! უნდა ვიყიდოთ ისე, როგორც თქვენ მაღაზიაში ყიდულობთ რაღაცას.

— **რა ფასად ყიდულობთ და ვის აქვს ამხელა ფული?**

— პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, ამ ადამიანს ნამდვილად უნდა თუ არა გაყიდვა. შემდეგ, რას აფასებს. ეს ქონება ძალიან დიდია და ბევრი კომპონენტისგან შედგება. ჯერ უნდა ვნახოთ, ჩვენ რა გვჭირდება ტელევიზიის ასამუშავებლად. არანაირ თხოვნას არ ვაპირებთ ამ აპარატურის დათმობასთან დაკავშირებით. ეს ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. შეიძლება ამ ტელევიზიისგან რაღაცეები ვიყიდოთ და დანარჩენი — მაღაზიაში. ვნახოთ, რა გამოგვივა. ბატონი ბიძინას უფლებამოსილ პირს დაველაპარაკებით. შეიძლება ეს თავად პრემიერმინისტრიც იყოს. ყველას ვთხოვთ, ნუ ნერვიულობენ.

— **გავრცელდა ხმები, მთელი ეს ტექნიკა ბერას ტელევიზიას გადაეცაო. თქვენ თუ იცით ამის შესახებ რამე?**

— ჩემი საქმე არ არის, ადამიანი ვის გადასცემს თავის ქონებას!

■

ტელეჟურნალისტი შალვა რამიშვილი, რომელმაც „მე-9 არხი" მის დახურვამდე სულ რამდენიმე დღით ადრე დატოვა და „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის პიარკამპანია ითავა, „სარკისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრების შემდეგ „მე-9 არხს" დაუბრუნდებოდა. ახლა მისი პასუხი, მართალია, იგივეა, თუმცა მნიშვნელოვნად ბუნდოვანი. სამაგიეროდ შალვა სავსებით მკაფიოდ ხედავს, რომ სააქციო საზოგადოებას, რომელიც „მე-9 არხის" გადასარჩენად შეიქმნა, ტელეკომპანიის მართვისა არაფერი გაეგება და არც არაფერი გამოუვა.

— **შალვა, პრემიერმინისტრის განცხადებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ამბობდით, რომ „მე-9 არხს" დაუბრუნდებოდით. ანუ თქვენთვისაც მოულოდნელი იყო ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება?**

— ბიძინა ივანიშვილს პრემიერმინისტრის პოსტზე ყოფნისას მუდმივად აწუხებდა ეს არხი, რაც დემოკრატიული ქვეყნისთვის მისაღები არ იყო. დარწმუნებული ვარ, ის პროფესიონალები, რომლებიც იქ მუშაობდნენ, სამუშაოს იშოვიან. მედია თავისუფალია და პროფესიონალები ყველას სჭირდება.

— **ბიძინა ივანიშვილმა ყველა ერთ ქვაბში მოხარშა და არაპროფესიონალები უწოდა.**

— ყველასთვის არ უწოდებია, ზოგიერთის მისამართით თქვა.

— **როგორ ფიქრობთ, სააქციო საზოგადოებას გამოუვა „მე-9 არხის" მართვა?**

— არანაირი გეგმა არ აქვთ და არ ჰყავთ ხალხი, ვისაც ტელევიზია ესმის. არ აქვთ ტელევიზიის ამუშავების, განვითარების გეგმა. ისეთი ხალხი იკრიბება, ვისაც ამ სფეროში არ უმუშავია. ტელევიზიის ჟურნალისტად და პროდიუსერად მუშაობას კი არ ვგულისხმობ, არამედ მათ, ვინც ტელებიზნესი მეტნაკლებად, ყურმოკვრით მაინც იცის. როცა ასეთი არაპროფესიონალი ადამიანები რაღაცას აკეთებენ, რა თქმა უნდა, არაფერი გამოვა, მაგრამ ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

**შალვა რამიშვილი: „სააქციო საზოგადოებას არ ჰყავს ხალხი, ვისაც ტელევიზია ესმის. არ აქვთ ტელეკომპანიის ამუშავების, განვითარების გეგმა. ისეთი ხალხი იკრიბება, ვისაც ამ სფეროში არ უმუშავია. როცა ასეთი არაპროფესიონალი ადამიანები რაღაცას აკეთებენ, არაფერი გამოვა, მაგრამ ღმერთმა ხელი მოუმართოთ".**

— **რატომ ვერ ან არ გაიყიდა აქამდე ეს არხი?**

— ვერ გაიყიდა, რადგან ასე იოლი არ არის ამხელა ტელეკომპანიის გაყიდვა. ახლა სარფიანი წინადადებაა მესამედ ფასში გაყიდვა და ალბათ გამოჩნდება მყიდველი.

— **საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „მე-9 არხზე" დაბრუნებას რომ გეგმავდით, ახლა რას აპირებთ?**

— სადღაც აუცილებლად დავბრუნდები.

✓ რუსუდან ადვაძე

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

**წმინდანები**

# ჩვენი საქციელი გადამდებია, ამიტომ ჩვენი საქციელი უნდა იყოს კეთილშობილური

## ცხოვრება წმინდისა დიდმოწამისა თალალესი



არაერთხელ გვისაუბრია მოწამეებზე, რომელთაც არარად ჩააგდეს საკუთარი სიცოცხლე და ის ზვარაკად შესწირეს ქრისტეს და ქრისტიანობის სიყვარულს. ალბათ ყველამ ვიცით, რომ მათ ამას არავინ ავალდებულებდა. თუმცა ზოგჯერ ცხოვრების მიზანი იმდენად მტკიცეა და ურყევი, რომ ჩვენი ვაჟკაცობის გამოვლინება შესაძლებელია ჯანმრთელობის ან თუნდაც სიცოცხლის ფასადაც კი დაგვიჯდეს. სწორედ ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, რომელზეც საუბარსაც ახლა ვაპირებთ. იმ ფასეულობების შეურაცხყოფა, რომლებთან ერთადაც სიყრმიდანვე იყო აღზრდილი, მიუღებელი აღმოჩნდა წმინდა დიდმოწამე თალალესთვის, ის არც კი დაფიქრებულია, როცა სანაცვლოდ და ფასეულობების საპირწონედ მისი სიცოცხლე მოითხოვეს.

წმინდა დიდმოწამე თალალე დაიბადა ახალი წელთაღრიცხვის 283-284 წლებში ცნობილ ქალაქ-სახელმწიფო ლიბანში, ქრისტიანი მშობლების ვერუკიუსისა და რომილიას ოჯახში. მამა, ვერუკიუსი, ადგილობრივი თემის მღვდელმთავრად იხსენიება, დედა, რომილია კი, კეთილშობილებით აღსავსე დიასახლისი იყო. წმინდანი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა კეთილშობილებით, უდიდესი ინტერესით სწავლობდა საღვთო წერილს და ეკლესიაში მსახურების წეს-ჩვეულებებს. სიყრმიდანვე გადაწყვიტა, ყველა სხვა პროფესიებისგან გამორჩეული პროფესია, ექიმობა შეესწავლა და ამით განეხორციელებინა საღვთო წერილში ამოკითხული და ნასწავლი კეთილი საქმე, რომლითაც შეეწეოდა გაჭირვებულ ავადმყოფებს. დაემოწაფა ცნობილ მედიკოსებს და საუცხოოდ შეისწავლა ექიმის პროფესია, სახლში იღებდა ავადმყოფებს, ქრისტესმიერი სიყვარულით უმასპინძლდებოდა ყველა მათგანს.

წმინდა თალალეს სახლი გადაქცეული იყო ნამდვილ სასტუმროდ, როგორც მდიდართა, აგრეთვე ღარიბთათვის. უზომოდ ბედნიერი იყო, როცა ხედავდა გამოჯანმრთელებულ ავადმყოფებს, განსაკუთრებულ ყურადღებას და სითბოს უთმობდა გაჭირვებულ, ღარიბ ავადმყოფებს. ამას აკეთებდა უანგაროდ, უდიდესი სიხარულით. ამასთან ერთად, დაჯილდოებული იყო მოციქულებრივი მოღვაწეობით, რადგან წარმართები ერთმანეთზე მიყოლებით ინათლებოდნენ. მისთვის ავადმყოფის გამორჩევა წარმოუდგენელი იყო. ქრისტიანებს მოუწოდებდა, ცოდვას გაფრთხილებოდნენ და გაქცეოდნენ, სინანული გასჩენოდათ ჩადენილის გამო, ხოლო წარმართებს მოუთხრობდა ქრისტიანობის უტყუარობასა და ჭეშმარიტებაზე. ასე, ღვთისმოსაობით ცხოვრობდა წმინდა თალალე, რომელიც არასდროს არაფერს იშურებდა ავადმყოფების გამოსაჯანმრთელებლად.

ერთხელ გველისგან დაკბენილი ავადმყოფი მიიყვანეს წმინდანთან. თუ რამ გააჩნდა ამ ადამიანს, ექიმებთან სიარულში დახარჯა, თუმცა ამაოდ, რადგან საშველი არ ჩანდა, ის სასიკვდილოდ იყო განწირული. წმინდანმა უთხრა, აუცილებლად განიკურნები და ამასთან ერთი რამ მინდა გითხრა, იესო ქრისტესთვის შენი ავადმყოფობა ძალიან მარტივი რამ არის. ავადმყოფმა მიუგო: „თუ განვიკურნები ამ საშინელი სენისგან, მაშინ დავიჯერებ, რომ მართლაც ყოვლისშემძლე ყოფილა ქრისტე". წმინდა თალალემ გამოსახა ცხოველსმყოფელი ჯვარი მკერდზე ავადმყოფს და ქრისტეს სახელით გამოჯანმრთელება უსურვა. ის მაშინვე სრულიად გამოჯანმრთელდა. უზომოდ ბედნიერი კაცი უგალობდა და ჰმადლობდა ქრისტეს განკურნებისთვის. არანაკლებ ბედნიერი იყო თვით წმინდანი, რომელმაც იხილა არა მარტო ხორციელად განკურნება მისი, არამედ სულიერად შემობრუნებაც.

იყო ასეთი შემთხვევაც, როცა წმინდანის კოლეგა ექიმი ცუდად გახდა ისე, რომ ხმა წაერთვა, ლაპარაკი არ შეეძლო. ბევრ მკურნალს აჩვენეს, თუმცა — ამაოდ. ბოლოს, სასოწარკვეთილმა, წმინდა თალალეს მიაკითხა და სთხოვა განკურნება. წმინდანი მიუახლოვდა ავადმყოფ კოლეგას და ჰკითხა: „თუ გსურს, რომ დაგიბრუნდეს შენი პირვანდელი ჯანმრთელობა, მაშინ საჭიროა გწამდეს ქრისტე და თვითონ ის იზრუნებს შენ გამოჯანმრთელებაზე". ამის გაგონებაზე ავადმყოფი დავარდა წმინდა თალალეს ფეხებთან და ცრემლმორეულმა ძლივს გააგებინა წმინდანს, რომ სწამდა იესო ქრისტე მთელი გულით. ჰოდა, სასწაულმაც არ დააყოვნა, მალევე დაადგრა საღმრთო მადლი ავადმყოფს და გაუთავისუფლდა დაბრკოლებული ენა და ალაპარაკდა ისევ ისე, როგორც უწინ.

ერთხელ ერთ-ერთმა განკურნებულმა გაგზავნა წმინდა თალალესთან უსინათლო ავადმყოფი, რომელიც არამარტო ხორციელად იყო ბრმა, არამედ სულიერადაც, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა მის მდგომარეობას გამოჯანმრთელების თვალსაზრისით. მიუახლოვდა თუ არა წმინდანს, ჩაუვარდა ფეხებში და შეეხვეწა: „ამდენ ხანს ვიყავი გრძნეული და ბოროტეული, დღეიდან კი მსურს ნეტარების გზით ვიარო, რადგან იმ ცხოვრებისგან რაც მივიღე, თვითონაც ხედავ". წმინდანმა მიუგო: „მეგობარო, უფლის ყოვლისმხედველი თვალი ხედავს ყველა ჩვენგანის გულს და გრძნობას, ამიტომაც მას სთხოვე და აუცილებლად განგკურნავს". ბრმამ უპასუხა: „მწამს მთელი გულითა და სულით იესო ქრისტე". შეახო წმინდა თალალემ ხელები თვალებზე და მაშინვე, როგორც კი ჯვარი გარდასახა, ბრმა განიკურნა და ბედნიერებისგან გიჟივით ხტუნვა-თამაში დაიწყო, ადიდებდა ღვთის სახელს. ის სიკვდილამდე აღარ მოშორებია წმინდა მამას გვერდიდან.

წმინდანის სახელი ყველამ უწყოდა არამარტო ლიბანში, არამედ მთელ იმპერიაში და მის ფარგლებს გარეთაც. დიდმოწამემ გადაწყვიტა, ფეხდაფეხ შემოევლო მთელი იმპერია, რომ ადგილზე განკურნებულიყვნენ ადამიანები ხორციელადაც და სულიერადაც. მიაღწია ქალაქ ედესამდე, სადაც ასეულობით ადამიანი განკურნა ქრისტეს სახელით.

კეთილ საქმეს ყოველთვის თან ახლავს ბოროტის სიძულვილი, რომელიც ვლინდებიან სხვადასხვა ფორმით. ადგილობრივმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც იმპერატორის სამსახურში ირიცხებოდნენ, გადაწყვიტეს, ეს ამბავი თვით იმპერატორისთვის ეცნობებინათ, რომ მათ ქალაქში იყო მოსული ვიღაც, პროფესიით ექიმი და ქრისტეს სახელით იქმოდა სასწაულებს. მართლაც, შეატყობინეს იმპერატორს, სახელად ნუმერიანოსს, რომელიც, საუბედუროდ, ცნობილი იყო კერპების თაყვანისცემით. მას სძულდა ქრისტიანები და განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა. მთელ იმპერიაში დადიოდნენ მისი ქრისტესმოძულე მსახურები და გაუგონარი სისასტიკით უსწორდებოდნენ მორწმუნეებს. წმინდა თალალეც წარუდგინეს ედესის მთავარ ტივერიანოსს, რომელიც იზიარებდა თავისი ხელმწიფის ნუმერიანოსის შეხედულებას. მან წმინდა თალალე უმოწყალოდ, შეუბრალებლად აცემინა, თუმცა მოგვიანებით ჩათვალეს, რომ თალალე არ იყო ნორმალური, სრულ ჭკუაზე და გაუშვეს. უბრძანა ტივერიანოსმა, სადაც ჩემი ძალაუფლება ვრცელდება, ფეხდადგმული არ დაგინახო, თორემ ეს წამება მოგონილი იქნებაო. წმინდანიც გაერიდა ედესას, რადგან იქ თავისი საქმე უკვე ნაწილობრივ მოგვარებული ჰქონდა — აუწყა ადგილობრივებს იესო ქრისტეს შესახებ.

ედესიდან წამოსული კილიკიაში შეჩერდა, იმ მიზნით, რომ თან ავადმყოფებს მოარჩენდა და თანაც ქრისტეს რჯულს იქადაგებდა. მიადგა კილიკიას პატარა ზღვისპირა ქალაქ ეგეას, რომელიც დასახლებული იყო ბერძენი მიგრანტებით. მთელ ქალაქში ყველანი წარმართულ კერპებს ეთაყვანებოდნენ. ცნობისთვის: ეს არის ქალაქი, რომელშიც საეპისკოპოსო კათედრა იდგა და ქალაქის პირველი ეპისკოპოსიც იყო წმინდა მღვდელმოწამე ზინოვიოსი. კილიკიის მთავარმა თეოდოროსმა მალე შეიტყო თალალეს საქმიანობის შესახებ, რომ კურნავდა ყველას იესო ქრისტეს სახელით და ამბობდა, თვინიერ მისსა სხვა ღმერთი არ არსებობსო. მთავარს უთხრეს, რომ თალალე შეურაცხყოფდა მათ ღმერთებს და ამბობდა, თითქოს ისინი უსულონი და არაფრის მაქნისები არ არიანო. განრისხებულმა მთავარმა ბრძანა, თალალე მასთან მიეყვანათ, სურდა პირადად გასაუბრებოდა.

ხელ-ფეხშეკრული და ნაცემი თალალე მიიყვანეს თეოდოროსთან. ჰკითხა მან მოჩვენებითი სიმშვიდით, საიდან იყო და რა საქმიანობით იყო დაკავებული. წმინდა თალალემ უპასუხა: „ჩვენი მამული, საგამზრდელო, არის ფინიკია, ვარ თავისუფალი მშობლების შვილი, სახელი ჩემი არის თალალე, ჩემი საქმიანობა არის ექიმობა და ხალხის მკურნალობა, ვარ ქრისტიანი და ვემსახურები იესო ქრისტეს, როგორც მისი მოწაფე". ჰკითხა ისევ თეოდოროსმა: „ჩვენ ქვეყანაში როგორ მოხვდი?". წმინდანმა უპასუხა: „ქალაქიდან ქალაქში დავდივარ, რომ ვიქადაგო იესო ქრისტეს სარწმუნოება, რათა აღვკვეთო ქვეყნად წარმართობა და კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც არის სარწმუნოებრივი უმეცრება და ცრუსწავლება, ამიტომაც არაფერი არის იმაზე უფრო სათნო ქრისტესთვის, ვიდრე მისი საქმისთვის თავდადება". ამის გამგონე გაცეცხლებულმა თეოდოროსმა ბრძანა, წმინდანისთვის ფეხის კოჭები დაეხვრიტათ და ისე ჩამოეკიდათ თავდაყირა. ამით იმედოვნებდა მტარვალი, რომ შეეშინდებოდა წმინდანს და შეინანებდა სახალხოდ, თუმცა — ამაოდ, წარბიც კი არ შეუხრია.

ამის შემდეგ დაავალა მხედრებს, საქონლის ძარღვებთი ეცემათ წმინდანი, ვიდრე საქვეყნოდ არ მოიხდიდა ბოდიშს. ამჯერადაც არ გამართლდა მტარვალის ვარაუდი. ქრისტესთვის თავგადადებული წმინდანი სხვებისთვის გადამდები სიმშვიდით იტანდა ყველა იმ შეურაცხყოფას, რომელსაც თეოდოროსის მხედრები აყენებდნენ. როცა ნახა წმინდა მოწამის ურყევი სული, მაშინ მზაკვრულ ხერხს მიმართა მტარვალმა: „რა გზით ახერხებ, თალალე, ავადმყოფების განკურნებას, ოღონდ სიმართლე მითხარი, თუ გინდა, რომ ჩემი სიყვარული დაიმსახურო. თუ მათ კურნავ რამე მაგიური ძალით,

იქნებ მეც მასწავლო ამ მაგიური ძალის შესახებ და, თუ ღმერთების სახელით ჩადიხარ ამას, მაშინ მეც ვირწმუნებ, რომ მათ შეუძლიათ ყოველივეს განკურნება და არა — ქრისტეს ან იმ ჯვარს, რომელიც არის ყველაზე დიდი სირცხვილი მთელი კაცობრიობისთვის“. ეს და კიდევ ღვთის მგმობი უამრავი მაგალითი მოჰყავდა მტარვალს. წმინდანს გული უკვდებოდა, თუმცა არაფერს პასუხობდა, მხოლოდ უსმენდა. ბოლოს მაინც უთხრა: „მე არც მაგი ან ჯადოქარი ვარ და არც რაიმე მაგიური ძალით ვკურნავ ავადმყოფებს, არც შენი ღმერთების ძალით, რომლებიც არიან უსულონი, უსინათლონი, უსმენელნი, უგრძნობელნი კერპები, რომელთაც ეშინიათ იესო ქრისტეს სახელისაც კი, ძირსცვივიან და იმსხვრევიან. თუ გსურს, რომ შეიცნო, რა არის სინამდვილე და სინამდვილეში რომელი ძალით იკურნებიან ავადმყოფები, შეგიძლია მათ ჰკითხო თვითონ, თუ როგორ განიკურნენ და ისინი გიპასუხებენ. ისინი სხვა არაფრით განკურნებულან, გარდა სახელითა იესო ქრისტესითა და ძალითა ცხოველსმყოფელითა ჯვარისათა, რომელსაც შენ შეურაცხყოფ, ვინაიდან არ იცი, რომ ის ძე და სიტყვა ღვთისა, რომელიც სდევნის დემონებს, აჯანმრთელებს დავრდომილთ, სინათლეს ჩუქნის ბრმებს, აღადგენს მკვდრეთით, კურნავს ყოველგვარ ავადმყოფებს, ამ ყველაფერზე თვითონ მოგიყვებიან განკურნებულები, თუ მართლა ხარ დაინტერესებული“. ამის გამგონე ხალხი მშვიდდებოდა. მათ ეტყობოდათ, რომ სურვილი უჩნდებოდათ ქრისტიანობის აღიარების, რამაც კიდევ უფრო გააღიზიანა მტარვალი და დაუფარავი გახდა მისი აგრესია: „ახლავე დაგიმტკიცებ, თუ როგორ ტყუილად გაქვს ქრისტეს იმედი“. ამ სიტყვების შემდეგ თავისივე ხელებით შეეცადა წმინდა თალალე ეწამებინა, თუმცა, ჰოი საოცრებავ, მაშინვე წაერთვა ხელებში ძალა, გახდა სრულიად უმოქმედო, თუმცა ეს როდი შეიგნო, ჯარისკაცებს ანიშნებდა მათ გაეგრძელებინათ წმინდანის წამება. მათაც რკინით, ქვებით, ცეცხლით დაუწყეს წმინდანს წამება. წმინდა თალალე შეურყევლად იტანდა ყოველივეს, ვითარცა უხორცო.

ყველანაირი წამების იარაღი გამოიყენეს მის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ისევ თვითონ მიუგო წმინდანმა მტარვალს: „ნუ გგონია, რომ შემაშინებ შენი წამების ხერხებით, მირჩევნია, სული დავლიო ღვთისმოსაობით, ვინემ ვიცოცხლო ურჯულოებით, ეს არის ჩემი პასუხი. დანარჩენი კი შენ იცი“. ბოლოს ძალაგამოცლილმა მტარვალმა მეტი ვეღარაფერი მოიფიქრა, ბრძანა, ზღვაში გადაეგდოთ და რაც მოხდებოდა, მოხდებოდა.

წმინდა თალალე ტალღებს აქეთ-იქით მიჰქონდა, ისე, თითქოს მიწაზე მდგარიყო, მანაც აღაპყრო ხელები ზეცად: „მიითვალე ვედრებაი ჩემი, უფალო, როგორც ყოველთვის, რასაც კი ვითხოვდი, ყველაფერს მისრულებდი. ახლაც ამისრულე სათხოვარი და დაასრულე ჩემი ტანჯვა-წამება, რათა მალე გიხილო, უფალო“. სასწაულის მოლოდინში გაირინდა წმინდანი და, ჰოი საოცრებავ, დაწყნარდა ზღვა და წმინდანი, სპეტაკი სამოსით, ზღვამ ეგეას ნაპირზე მიიყვანა. გაიგო რა ეს მწვალებელმა, შიშნარევმა, ბრძანა, მასთან მიეყვანათ თალალე, რათა თავის თვალით ენახა ზღვის ტალღებს გადარჩენილი წმინდანი.

მაშინვე შეიკრიბა წამების ადგილას უამრავი წარმართი, ექიმებიც, კიდევ რამდენიმე უმადური ადამიანიც, რომლებიც სიკვდილს გამოსტაცა ხელიდან წმინდანმა და, ყველას გასაოცრად, თალალეს სიკვდილით დასჯა მოითხოვეს,

ჯალათმა მმართველმა უთხრა წმინდანს: „რას იტყვი, თალალე, ყოველივე ამაზე, რასაც ბრალად გდებენ?“. უპასუხა: „ღმერთი, რომელსაც მე ვეთაყვანები და მწამს, მე მიმაგრებს ზურგს და თუნდაც მთელი სამყარო იყოს ჩემ წინააღმდეგ, ვერაფერს დამაკლებენ, ამიტომაც, რადგან თქვენ ხელში მტოვებს, მოიქეცით ისე, როგორც თქვენ თვლით საჭიროდ, მე კი არ მაინტერესებს არც წამების სიმძიმე და არც სხვა არაფერი, გარდა ქრისტეს სიყვარულისა, ეს არის ჩემი პასუხი“. ამაზე ჯალათმა უთხრა: „ასე რომ, რადგან დემონთა და ზღვის ტალღებიდან განთავისუფლდი, მაშინ ახლა მე დავასრულებ შენ სიცოცხლეს ხალხის მოთხოვნის შესაბამისად“. მიაბეს ძელზე წმინდა თალალე და ბრძანა მტარვალმა, თავიდან ფეხებამდე გავარვარებული ფისი დაესხათ მისთვის, რომ დაფერფლილიყო ტანჯვით.

განაჩენის მოსმენისას წმინდანს ცრემლები წამოუვიდა ღაპაღუპით, რაც იყო მტარვალის მიმართ სიბრალულის ნიშანი. მას კი ეგონა, ეს იყო შიშის და სინანულის ცრემლები და გახარებულმა შესძახა: „დემონები გამოვიდნენ მისგან და ამიტომაც ნანობს მომხდარს, ამიტომაც ვალდებული ვარ, შევიწყალო“. მიუბრუნდა წმინდანს და უთხრა: „თუ აღიარებ, თალალე, ჩვენ ღმერთებს და მსხვერპლს შესწირავ, იცოდე, რომ ენით აუწერელი სიმდიდრით და პატივით დაგაჯილდოვებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი სიცოცხლით გაზღვევინებო“. წმინდა თალალემ უპასუხა: „არაფრად მიღირს არც შენი მოწყალე თვალით ყურება და არც შენი ცრუღმერთების ცრუ მსხვერპლეწირვა. სიმდიდრე და პატივი — ეს შენნაირი უსუსურებისთვის არის სასიხარულო, თორემ ჩემთვის დროებითი, წუთიერი და მიწიერი პატივი ქარის მონაბერ ნიავს ჰგავს“. ბოღმით და ბრაზით აღსავსე და თანაც შერცხვენილი უცქერდა უსუსური თეოდოროსი წმინდა თალალეს, რომელიც მორალურად გამარჯვებული იყო ხორციელად გამარჯვებულ მტარვალზე. მაშინვე გასცა განკარგულება მშიერი მხეცებისთვის შეეგდოთ წმინდანი და ამით დაესრულებინა ბოლოს და ბოლოს ეს უსასრულო ჯოჯოხეთი, მაგრამ ღმერთი როდი ტოვებს მისთვის თავდადებულთ. მხეცები, იმის ნაცვლად, რომ გაეწიწკნათ წმინდა თალალეს სხეული, კუდებს მიწაზე ათრევდნენ და ეთამაშებოდნენ წმინდანს. ამის ცქერა კი შეუძლებელი გახდა თეოდოროსისთვის. მან აზრაზე გამოაკრა სასიკვდილო განაჩენი და გაშლილი აზრა მთელ ქალაქში შემოატარა, რათა ყველას ენახა წმინდა თალალეს სასიკვდილო განაჩენი, ბოლოს სასახლის წინ, მიწაზე, დააგდო ამზრა და გაცოფებულმა ფეხებით გადაუარა, ნიშნად იმისა, რომ ყველაფერი დასრულდა და თვითონ სასახლეში გაბრუნდა.

ეს იყო ახალი სტილით 20 მაისი, როცა წმინდანს თავი მოჰკვეთეს და შემოსეს წმინდა თალალეს სხეული მოწამის უჭკნობი გვირგვინით. წმინდანის გარდაცვალების შემდგომ ქრისტიანების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. გამოჩნდნენ მასავით მოწამეობის, ქრისტესთვის თავგანწირვის მსურველებიც.

წმინდა თალალეს მოწაფეები იყვნენ მასავით ექიმი ასტერიოსი, სამხედრო მეთაური ალექსანდრე, სტერონი, ფილეგრიოსი, ტიმოთეოსი, თეოდული და მაკარია და კიდევ უამრავი სხვა, რომელთა სახელები უბრალოდ უცნობია ჩვენთვის.

გვეწეოდეს ყველა მათგანის ლოცვა-კურთხევა და მეოხება ყოველთა დღეთა ჩვენთა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ!

✓ **ქრისტესმიერი სიყვარულით,**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

# „ღმერთი აქ ან იქ კი არ არის, ყოველი ადამიანის სულის სიღრმეშია“

ბერმონაზვნობა რთული ღვაწლია. ის გულისხმობს წუთისოფლის უარყოფას და თავის ბოლომდე მიძღვნას ღვთისთვის. ერისკაცებში მრავლად მოიძებნებიან სკეპტიკოსები, რომლებიც ამ ღვაწლს ცინიკურად უყურებენ. თვლიან, რომ ადვილია განმარტოებით ცხოვრება და ცოდვებისგან თავის არიდება, რადგან საცთურიც ნაკლებია, როცა ერში ყოფნაზე უარს ამბობ. ზოგი კი საერთოდ ვერ ხვდება ბერმონაზვნობის არსს და დანიშნულებას. ამ თემის შესახებ იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

**— მამაო, ხშირად ამბობენ, რომ მონაზვნობა არცთუ რთული ღვაწლია, რადგან ცხოვრების ერთ და საკმაოდ უხიფათო წესს წარმოადგენს. რას გვეტყვით ამაზე?**

— არ იქნება მართებული იმის მტკიცება, რომ ჭეშმარიტ მონაზვნობას ცხოვრების მხოლოდ ერთი წესი წარმოადგენს. საუბარია იმაზე, რომ მონაზვნობა შეინარჩუნო ცხოვრების ნებისმიერ ვითარებაში. რა თქმა უნდა, ძალიან ადვილია მოტყუვდე და თავი ჩათვალო მიწაზე ანგელოზად, როცა არ გაგივლია მორჩილების, ქალწულების, სიმტკიცის ნამდვილი სკოლა, მაგრამ ეს უცებ არ ეძლევა ადამიანს.

ძველად იყვნენ მოღვაწენი, რომლებიც განცალკევებით, სრულ სიმარტოვეში ლოცულობდნენ, ფიზიკურად გარე სამყაროსგან სრულიად მოწყვეტილი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ საერთოდ არ ჰქონდათ ურთიერთობა გარე სამყაროსთან. მაგალითად, სერაფიმე საროველი, ერთი მხრივ, დაყუდებული იყო, მეორე მხრივ კი, მთელი ქვეყნისათვის და ყველა იმათთვის ლოცულობდა, რომელთა გასაჭირსაც ღმერთი აჩვენებდა. ეს არ იყო მარტოობა, ამ სიტყვის ჩვენებური გაგებით, როცა ადამიანი ჩაიკეტება და აღარავის ცნობს, აღარაფერი ესმის.

**— რას უკავშირდება ბერმონაზვნობის ისტორია?**

— სანამ ეკლესია იდევნებოდა, მონაზვნობა არ არსებობდა. ქრისტიანები იდგნენ წამების, სიკვდილის საშიშროების წინ. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ სიტყვა „მოწამე“, ნიშნავს „მოწმეს“, რომელიც სიტყვითაც და

**„ღმერთის სადმე ძებნა არ არის საჭირო, რადგან მას აქ თუ ვერ იპოვი, მაშინ ვერსადაც ვერ იპოვი, რადგან თუ შენი გული და გონება აქ დაკეტილი აღმოჩნდა მისთვის, ასევე დაკეტილ გულსა და გონებას წაიღებ, სადაც უნდა წახვიდე მის საძებნად“.**

საქმითაც ამოწმებს ქრისტესთვის თავის დადების მზადყოფნას, მაშინ ადვილი გასაგები გახდება, თუ რატომ დადგა დევნის შეწყვეტის შემდეგ ეკლესიის წინაშე საკითხი, ასეთ ახალ გარემოებაში როგორმე მოეძებნათ საგმირო, სამეუფო გზა. ეს ძალიან ძნელი გახდა, როცა ეკლესიის დევნას თავი დაანებეს და ბიზანტიის იმპერიამ ეს სარწმუნოება მიიღო. იგი გახდა იმპერატორის სარწმუნოება, ე.ი. იგი იმ ადამიანთა რელიგია, რომლებიც მიჰყვებოდნენ მის მაგალითს და ზოგჯერ არა — მის სარწმუნოებას.

მოწამეობის პერიოდის დამთავრების შემდეგ დაიწყო მონაზვნობა. გმირული სულის ადამიანებმა, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ მოდუნებულ და დასუსტებულ ქრისტიანობას, ამაქვეყნიდან განშორება იწყეს არა დევნის ან წარმართობის გამო, არამედ ისინი ტოვებდნენ ქრისტიანულ თემს, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენდა ქრისტეს სხეულს, რომელიც ქვეყნის საცხოვნებლად ჯვარზე გაეკრა. ისინი წავიდნენ უდაბნოში იმ ბოროტებასთან საბრძოლველად, რომელსაც საკუთარ თავში ხედავდნენ. წავიდნენ იქ, რათა დაპირისპირებოდნენ ადამიანურ უძლურებას, დარჩენილიყვნენ პირისპირ თავიანთ თავთან, დაეძლიათ ბოროტება არამარტო საკუთარი თავის, არამედ მთელი ქვეყნის გამო. როცა ბოროტი მარცხდება ერთ ადამიანში, ბოროტება მთელ ქვეყანაზეც მცირდება.

ადამიანი თუ უკუნეთში აანთებს სულ პატარა სანთელს, ის უკვე აღარ იქნება უკუნეთი, თუმცა შესაძლოა ეს ვერც ვერავინ შენიშნოს, →74


მამა გიორგი

მაგრამ სინათლის სხივი ბოლოს გაჰკვეთს სიბნელეს. და, აი, მონაზვნები მიდიოდნენ უდაბნოში, დგებოდნენ რა ღვთის პირისპირ, უღრმავდებოდნენ თავს და იმავდროულად ლოცვით, შინაგანი ღვაწლით სულ უფრო ღრმად და მეტად შეიცნობდნენ თავიანთ შემოქმედს, თავიანთ მაცხოვარს. ასეთი შეცნობით, ხედავდნენ მის უსაზღვრო მშვენიერებას, მის სრულყოფილებას, ჭეშმარიტებას, ჩაუქრობელ ნათელს. მასთან კონტრასტში კი ხედავდნენ თავიანთ თავს და სიმდაბლით განიმსჭვალებოდნენ იმიტომ, რომ ღვთის წინაშე მდგარი, მისი მშვენიერების მხილველნი, შეიცნობდნენ თავიანთ უღირსებას, ეთაყვანებოდნენ მას და იმავდროულად სწავლობდნენ უსაზღვრო თავმდაბლობას.

**— რა არის ბერ-მონაზვნის ჯვარი?**

— ჩვენ ვიცით ქრისტეს გზა. ჩვენ ვიცით, რომ ეს არის გოლგოთის გზა, ეს არის გზა ჯვარცმისა ქვეყნიერების გადასარჩენად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მონაზვნური ჯვრის ტარებაც პიროვნული ღვაწლი კი არ არის მხოლოდ საკუთარი თავის გადასარჩენად, არამედ ქრისტეს ჯვარცმასავით, არის სრულიად ეკლესიის ღვაწლი — მონაწილეობა მსოფლიოს გადარჩენაში. აღკვეცისას ადამიანი დებს აღთქმას, რომ არასდროს განეშორება მონასტერს. შესაძლოა ეს ეხებოდეს ფიზიკურ განშორებასაც, მაგრამ ამაში დევს უფრო ღრმა აზრი. საუბარია იმაზე, რომ ადამიანს არ შეუძლია გახდეს მონაზონი, ვერ განმტკიცდება სულიერად, თუ არ ესმის, რომ მან აქ ღმერთი

**„მორჩილება ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანი თანხმობაშია სინდისთან, ახლობლებთან, თავის ბედთან და იმ საგნებთანაც კი, რომლებიც მის გარშემოა".**

თუ ვერ იპოვა, სხვაგანაც ვერ იპოვის, რადგან ღმერთი აქ ან იქ კი არ არის, არამედ ყოველი ადამიანის სულის სიღრმეშია. ცოცხალ შეხვედრას ღმერთთან კი ადამიანი ლოცვით, ღვაწლით, მარხვით აღწევს.

პირველი პირობა, რაც ბერ-მონაზვნის წინაშე დგება, ეს არის სიმტკიცე. „გაიგე, იცოდე, რომ ღმერთის სადმე ძებნა არ არის საჭირო, რადგან მას აქ თუ ვერ იპოვი, მაშინ ვერსადაც ვერ იპოვი, რადგან თუ შენი გული და გონება აქ დაკეტილი აღმოჩნდა მისთვის, ასევე დაკეტილ გულსა და გონებას წაიღებ, სადაც უნდა წახვიდე მის საძებნად".

**— ცნობილია, რომ ბერ-მონაზვნების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა მორჩილებაა. რას გულისხმობს ეს?**

— მორჩილების ბევრ მაგალითს ვხვდებით წმინდანთა ცხოვრებაში. იყო ერთი მორჩილი, რომელიც უდრტვინველად ასრულებდა ყოველგვარ საქმეს და არ განსჯიდა, რის გაკეთებასაც უბრძანებდა მოძღვარი. იმ საქმესაც კი, რაც, ერთი შეხედვით, ჩვენთვის შეიძლება უშინაარსო ყოფილიყო, უსიტყვოდ, დაუფიქრებლად ასრულებდა, რადგან სულის სიღრმეში სწამდა, რომ ამ დავალებაში ჩადებული იყო აზრი. ადამიანი მხოლოდ მაშინ შეძლებს სულიერად ზრდას, თუ მთლიანად მიენდობა მოძღვარს. მორჩილება მდგომარეობს იმაში, რომ შეასრულო ყოველგვარი დავალება ჯერ უდრტვინველად, გარეგნული გამოხატვის და მერე შინაგანი დრტვინვის გარეშეც. ეს უცებ არ ეძლევა ადამიანს.

არსებობს ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ დაავალა მოძღვარმა მონასტერში მყოფებს დაეცინათ ახალმოსულისათვის, რომელსაც იგი აფასებდა და რომლის აღზრდაც

**„ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, ჩვენ როგორღაც გვიპყრობს და მონებად გვაქცევს. და როცა ვოცნებობთ, შევიძინოთ რამე, ცხოვრების მიზნად ვიხდით ამას და არ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ამ ოცნებებს. ამის გამო ზოგჯერ ისეც ხდება, რომ არ შეგვიძლია ღმერთთან მიახლოებაც კი, რადგან გვგონია, რომ უფრო დიდი საქმეებით ვართ დაკავებული".**

უნდოდა მისი შესაძლებლობების ფარგლებში. და, მართლაც, როცა იგი მივიდა ეკლესიაში, დაუწყეს დაცინვა: „შენნაირმა ადამიანმა როგორ გაბედა და ეკლესიაში ფეხი როგორ შემოდგა?". იგი გაეცალა მათ. როცა მოძღვარმა ჰკითხა, რას განიცდიდა, მან უპასუხა, რომ განრისხდა და ეს გინებით გამოხატა. ერთი კვირის შემდეგ იგივე განმეორდა. მაგრამ მორჩილი მთელი ამ ხნის განმავლობაში ფიქრობდა იმის შესახებ, რაც მოხდა და რაც მასში გამოიწვია მომხდარმა. ამიტომ, როცა იგივენაირად მოიქცნენ ეკლესიაში დამხვდურები, გამოვიდა და როცა მოძღვარმა ჰკითხა, თუ რას განიცდიდა, უპასუხა, რომ ახლაც განრისხდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. და როცა მესამედაც იგივე განმეორდა, იგი აღარ განრისხებულა. ეს იმის მაგალითია, რომ ადამიანს ასე თანდათანობით უმუშავდება უნარი, მოძღვრის იდუმალი სვლების გაგებისა და საკუთარი თავის აღზრდის.

მორჩილება არ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ დავალება ისმინო და შეასრულო ჯერ ძალის დატანებით, მერე კი მსუბუქად და ბოლოს — სიხარულით. მორჩილება მდგომარეობს იმაში, რომ ისმინო მთელი გულითა და გონებით, მთელი არსით იმის, ვინც გესაუბრება. საბოლოო მიზანი კი ის არის, რომ ადამიანმა ისწავლოს საკუთარი ხმისა და ღვთის ხმის მოსმენა, რომლითაც გვესაუბრება სახარება და რომელიც ისმის ადამიანის სულის სიღრმეში მდუმარებისა და ლოცვისას. ბერმონაზვნური მორჩილება თავდაპირველად სკოლაა, მერე — აღმოჩენა, ისეთი შინაგანი მდუმარებისა, რომელიც იძლევა საშუალებას, უსმინო და შეერწყა ცოცხალ ღმერთს.

**— ბერ-მონაზვნებისთვის ასევე აუცილებელია უპოვარების შეგრძნება. რას ნიშნავს უპოვარება?**

— უპოვარება არ არის დამოკიდებული სიღატაკეზე ან ქონებაზე. შეიძლება არაფერს ფლობდე, მაგრამ მთელი შენი არსებით ოცნებობდე სიმდიდრეზე, გსურდეს რაიმეს მოპოვება. უპოვარება მდგომარეობს იმაში, რომ არაფერზე იყო მიჯაჭვული და დამოკიდებული. პავლე მოციქული ერთ-ერთ თავის ეპისტოლეში ამბობს, რომ მან ისწავლა ცხოვრება საღარიბეშიც და სიმდიდრეშიც; მან ისწავლა ის, რომ არაფერს ებატონა მასზე.

გავიხსენოთ იგავი წოდებულებსა და რჩეულებზე. მეფემ შვილის ქორწინების გამო გამართულ წვეულებაზე მეგობრები მიიწვია. ერთმა უთხრა, რომ მიწის ნაკვეთი იყიდა და მის დასამუშავებლად მიდიოდა, ამიტომ ვერ მივიდოდა. ეს ადამიანი ფიქრობდა, რომ ის მიწის ნაკვეთი მას ეკუთვნოდა. სინამდვილეში კი იგი თავად ეკუთვნოდა ამ მიწის ნაკვეთს, რადგან არ შეეძლო მისგან მოწყვეტა, თითქოსდა ფესვები ჰქონდა მასში ჩაზრდილი და იგი უკვე აღარ იყო თავისუფალი, ამიტომ უნდა დარჩენილიყო და დაეთვალიერებინა თავისი ნაკვეთი. მეორემ უთხრა, რომ ხარები შეიძინა და საჭირო იყო მათი გამოცდა. ისიც ფიქრობდა, რომ იგი იყო ხარების მესაკუთრე, მაგრამ სინამდვილეში თვითონ იყო ხარებზე დამოკიდებული. მესამემ უთხრა, რომ თავადაც დაქორწინდა და ისე იყო ამ სიხარულით აღსავსე, რომ ვერ მივიდოდა, ვერ გაიზიარებდა სხვის სიხარულს. აი, მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება ადამიანი დამონებული, თავად კი ჰგონია, რომ იგი რაღაცის პატრონია.

ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, ჩვენ როგორღაც გვიპყრობს და მონებად გვაქცევს და როცა ვოცნებობთ, შევიძინოთ რამე, ჩვენც იგივე გვემართება, რადგან ცხოვრების მიზნად ვიხდით ამას და არ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ამ ოცნებებს. ამის გამო ზოგჯერ ისეც ხდება, რომ არ შეგვიძლია ღმერთთან მიახლოებაც კი, რადგან გვგონია, რომ უფრო დიდი საქმეებით ვართ დაკავებული. ეს ხომ საშინელებაა! საბოლოო ჯამში, უპოვარების საკითხს მივყავართ ღვთის ნეტარების პირველ მცნებასთან: „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა". ვინ არიან ეს „სულით გლახაკნი?". ესენი არიან ადამიანები, რომელთაც მთელი თავიანთი არსებით შეიცნეს, რომ მთლიანად დამოკიდებული არიან ღვთის სიყვარულზე, რომ მისგან გაჩნდნენ ამქვეყანაზე, მისგან მიეცათ ცხოვრება, სიხარული, უკვდავება.

**— დაბოლოს, რას ნიშნავს ბერმონაზვნური ქალწულება?**

— ქალწულება — რთული სიტყვაა. ქალწულება ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული მორჩილებასთან. ეს იმ ადამიანის მდგომარეობაა, რომელმაც მიაღწია სულიერ სრულყოფილებას, მთლიანობას, ისეთ შინაგან სიბრძნეს, რომელიც არ აძლევს საშუალებას, გადაიხაროს ღვთისაგან, გადაიხაროს სიწმინდისაგან, გადაიხაროს თავისი ადამიანური ღირსებისაგან, ე.ი. თავის თავზე ღვთის ხატების მსახურებისგან.

ქალწულება და მორჩილება ერთმანეთთან ახლოს მდგომი ცნებებია. მორჩილება ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანი თანხმობაშია სინდისთან, ახლობლებთან, თავის ბედთან და იმ საგნებთანაც კი, რომლებიც მის გარშემოა. ქორწინებისას ამას ცოლქმრულ ერთგულებას უწოდებენ. მეუღლენიც ისე უნდა იყვნენ ერთმანეთს შერწყმული, ისე უნდა ისმინონ ერთმანეთის, რომ საკუთარ თავზე კი არ იფიქრონ, ერთმანეთის სულს ჩასწვდნენ. აი, ეს არის ჭეშმარიტი მორჩილება, რადგანაც სწორედ ამით გამოიხატება თავის ისეთი უარყოფა, რაზეც საუბრობს მაცხოვარი ქრისტე: „თუ გინდათ შემომიდგეთ მე და ჩემი მოწაფეები გახდეთ, უარყავით თქვენი თავი, მოაშორეთ საკუთარ თავს მზერა და მომაპყარით იგი მე, ცოცხალ ღმერთს და თქვენს მოყვასს, რომელიც არის მომართული თქვენკენ ვედრებით, რათა ყურადღება მიაქციოთ, გიყვარდეთ, იზრუნოთ მასზე, თანაუგრძნოთ მას, შეიცოდოთ, გაახაროთ".

ქალწულებაზე როცა ვსაუბრობთ, იგი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ერთგულების ნათელ, ზუსტ გამოხატულებას. ეს არის სულის, გონების და თვითონ ადამიანის სისრულე. სიძვა მაშინ კი არ იწყება, როცა ფიზიკურად ხდება იგი, არამედ მაშინ, როცა სული თვალს მოაცილებს თავის სიყვარულს და მიაპყრობს გარშემომყოფთ.

უპოვარება ქორწინებაში იმაში კი არ მდგომარეობს, არაფერი გაგაჩნდეს, პირიქით, ქორწინებაში ადამიანი ვალდებულია, იზრუნოს მეუღლეზე, ბავშვებზე, მშობლებზე. უპოვარება ამ შემთხვევაში ნიშნავს, არაფერს ფლობდე საკუთარი თავისთვის, რათა ყველაფერი, რაც გაგაჩნია, წარმოადგენდეს სხვებისთვის საჩუქარს.

აქ უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ქორწინებაში არსებობს ტრაგიკული სამოღვაწეო განზომილებაც, როცა ადამიანმა თავისი თავი უნდა გადალახოს, დაძლიოს ბოროტება, თავისი შეზღუდულობა, გაიხსნას ქრისტეს ძალითა და მადლით. ასე რომ, ბერმონაზვნობაშიც და ქორწინებაშიც არსებობს როგორც მკაცრი ღვაწლ, ასევე დიდი სიხარულიც.

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black

# მამა გიორგი: „ნელ-ნელა ვეჩვევი იმ ფაქტს, რომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი“

მამა გიორგი (შენგელაია), სულ ერთი თვეა, რაც მღვდლად აკურთხეს. სვეტიცხოვლის ტაძარში მსახურობს, სადაც დიაკვნობის პერიოდი გაატარა. სამომავლოდ ახალი ეკლესიის აშენებას და იქ მოღვაწეობას გეგმავს. წმინდა მოწამე ბასილისკოს სახელობის ტაძარი თბილისში, სოხუმის უნივერსიტეტის ეზოში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე აშენდება. ამ კეთილ საქმეს სათავეში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა უდგას.

თავად მამა გიორგიც სოხუმელია. ამ ულამაზეს ქალაქში დაიბადა და გაიზარდა. 17 წლის იყო, როდესაც აფხაზეთის ძმათამკვლელი ომი დაიწყო და იძულებული გახდა, მშობლიური ქალაქი დაეტოვებინა. მთელი მისი ოჯახი რუსეთში წავიდა საცხოვრებლად. მერე კი განსაცდელი შეემთხვა, რომელმაც საბოლოოდ ტაძრამდე მიიყვანა და მოსკოვის წმინდა გიორგის ეკლესიის მრევლი გახდა. სწორედ ამ ტაძარში გაიცნო მომავალი ცოლიც. ოჯახის შექმნისთანავე კი სამშობლოში დაბრუნდა.

— **მამა გიორგი, პირველ რიგში, გილოცავთ მღვდლად კურთხევას, ღმერთმა მსუბუქად გატარებინოთ ეს მძიმე ჯვარი!**

— დიდი მადლობა! დიაკვნად სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მაკურთხეს 2012 წლის 17 მარტს. ჩემი მღვდლად ხელდასხმა კი წელს, 27 ივლისს, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, ასი ათასი მოწამის სახელობის ტაძარში მოხდა. ცერემონია ბოდბელმა ეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა (იაკობიშვილი) ჩაატარა.

— **გაიხსენეთ ის ემოციები, რაც მღვდლად კურთხევას ახლდა თან.**

— წესისამებრ, კურთხევის წინა ღამე სვეტიცხოველში გავათენე. დიაკვნად კურთხევის წინა ღამეც იქ გავატარე. ორივე — დიაკვნად და მღვდლად ხელდასხმა ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო. პირველი მაინც ყველაფერი განსხვავებულია, ამიტომ დიაკვნად კურთხევის წინა ღამეს საოცარი განწყობა მქონდა. ბედნიერი ვიყავი, რომ სვეტიცხოველში ლოცვაში ვათენებდი. ასევე მოხდა მღვდლად ხელდასხმამდეც. თვითონ ის წუთები, როცა მეუფე იაკობი ცერემონიალს აღავლენდა, საოცარი იყო, გადმოცემა მიჭირს. ძალიან ვნერვიულობდი. თანაც ამ დროს საიდუმლო ლოცვები იკითხება და ამ სიტყვების გაგონებისას შეუძლებელია ადამიანს გული არ აუძგერდეს. ეს ყველაფერი დიდი პასუხისმგებლობაა და ამავე დროს ძალიან დიდი პატივი.

**„რაც უნდა ბევრი ვიაროთ აქეთ-იქით, ეს ცხოვრება ლაბირინთია და საბოლოოდ მაინც ეკლესიამდე მივალთ. უკეთესია, თუ ამ ლაბირინთში დიდხანს არ იტრიალებ, რადგან ამ მძვინვარე ტალღებში ეკლესია ერთადერთი ნავია, რომელიც ადამიანს სავანემდე მიიყვანს“.**

მღვდლად ხელდასხმაზე იკითხება სულიწმიდის გარდამოსვლის ლოცვები, რომელსაც სამღვდელო კანდიდატს უკითხავენ. მთელი ცერემონიის დროს ხომ ვნერვიულობდი და იმ წუთებში გულმა ისეთი ფეთქვა დამიწყო, მეგონა, ვერ გავუძლებდი და გარეთ გავვარდებოდი. შემდეგ ჩემმა მეგობარმა მითხრა, მაგ დროს მაღალი ძაბვის ქვეშ იყავიო. მართლაც, ეს მომენტი ყველაზე ამაღელვებელია, როცა გრძნობ, როგორ გადმოდის შენში სულიწმიდა.

ამ დღიდან მოყოლებული ჩემში ბევრი რამ შეიცვალა. კაბის შემოსვის შემდეგ ცხოვრებაში ახალი ბარიერები გაჩნდა, რაც მანამდე არ მქონია, პასუხისმგებლობა მომემატა. ჯერ საწყისი ეტაპია, მხოლოდ სამი-ოთხი კვირაა, რაც მღვდელი ვარ, ვცდილობ, ისე მოვიქცე, როგორც სასულიერო პირს შეეფერება. მღვდლებს ყველა განსაკუთრებით გვაკვირდება და ჩვენი ერთი ნაბიჯიც შესამჩნევია. პატარა არასწორი ქმედებაც კი შეიძლება მრევლისთვის დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს, ამიტომ სასულიერო პირი ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ პატიოსნების, ადამიანურობისა და ქრისტიანობის მაგალითი იყოს.

— **როცა გადაწყვიტეთ, სასულიერო პირი გამხდარიყავით, გრძნობდით, რომ იყავით მზად იმ სირთულეებისთვის, რომელიც მოძღვრის ცხოვრებას ახლავს?**

— არ ვიცი. საერთოდ ადამიანი მსგავსი სირთულეებისთვის მზად არასდროს არის. მთლიანად უფალზე ვარ მინდობილი. როცა ადამიანი სასულიერო პირი ხდება, მისი და ღვთის ნების თანხვედრა უნდა იყოს. მე საკუთარი ნება ვაჩვენე და იმედი მაქვს, რომ ამ რთულ გზაზე ღმერთი აუცილებლად შემეწევა. ჯერ ახალი მღვდელი ვარ და უკვე ბევრი სირთულე შემხვდა, ნელ-ნელა ვეჩვევი იმ ფაქტს, რომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი და ჩემთან მოსულ ყველა ადამიანს უნდა დაველაპარაკო. ზოგს თავისი სიხარულის გაზიარება უნდა, ზოგს — უბედურების და ა.შ. როგორც შევძლებ, ყველა მათგანს უნდა დავეხმარო.



■ მამა გიორგი

**„მღვდლად ხელდასხმაზე სულიწმიდის გარდამოსვლის ლოცვები იკითხება. მთელი ცერემონიის დროს ხომ ვნერვიულობდი და იმ წუთებში გულმა ისეთი ფეთქვა დამიწყო, მეგონა, ვერ გავუძლებდი და გარეთ გავვარდებოდი. შემდეგ ჩემმა მეგობარმა მითხრა, მაგ დროს მაღალი ძაბვის ქვეშ იყავიო“.**

— **ამჟამად ისევ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მსახურობთ, თან ახალ ეკლესიას აშენებთ. მოგვიყევით, სად და როდის აშენდება ღვთის კიდევ ერთი სახლი.**

— ეს ტაძარი წმინდა მოწამე ბასილისკოს სახელზე შენდება. ფაქტობრივად, ის იყო პირველი მოწამე, ვინც ქართულ მიწაზე აღესრულა. ეს მოხდა 308 წელს აფხაზეთში, კერძოდ, კომანში. წმინდა ბასილისკო წარმოშობით პონტოს სამეფოდან იყო და შესაძლოა, გვარტომობითაც ქართველი ყოფილიყო. ის კომანში გადმოასახლეს, აწამეს და თავი მოჰკვეთეს. კომანამდე ისე ჩაიყვანეს, რომ ლურსმნებიანი ჩექმები ეცვა და ფეხებიდან სისხლი სდიოდა. საუკუნეების შემდეგ, საომარი მოქმედებების დროს, აფხაზი სეპარატისტების მიერ ნაწამებმა ბერმა ანდრიამ სიკვდილის წინ სწორედ ამ წმინდანს შეავედრა საქართველოს ერთიანობა. როგორც ცნობილია, მღვდელ-მონაზონი მამა ანდრია (ყურაშვილი) კომანში მსახურობდა და აფხაზებმა დახვრიტეს. ასე რომ, წმინდა მოწამე ბასილისკოს სახელი სულ გულში მიტრიალებდა, მამა ანდრიას საქციელიც მახსენდებოდა და მომივიდა იდეა, ამ წმინდანის სახელობის ტაძარი თბილისში აშენებულიყო.

— **ტაძრის აშენების ადგილიც აფხაზეთს ამიტომ უკავშირდება?**

— ეკლესია სოხუმის უნივერსიტეტის ეზოში აშენდება. საკმაოდ შემაღლებულ ადგილზეა და ლამაზი ბუნება, ფიჭვნარი და ცაცხვებია. აქ პირველად რომ მოვედი, სოხუმი გამახსენდა. ამიტომაც გადავწყვიტე, ტაძარი სწორედ აქ აშენებულიყო. რაც მთავარია, აქ მრავლად ცხოვრობს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ღვთის სახლის აშენება აფხაზეთთან სულიერი ხიდის გადების ნიშანი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვინდა, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ძმობა აღდგეს. ჩვენი ასე გაყოფა და გაუცხოება გარკვეული პირობების გამო მოხდა. ვთვლი, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ჯერ სულიერი კავშირი უნდა აღდგეს, შემდეგ კი ფიზიკური კავშირიც შედგება. ტაძარს სწორედ ამ მიზნით ვაშენებთ.

საინიციატივო ჯგუფში სამნი ვართ: მე, ელგუჯა ეხვაია და სულხან იზორია. ჩვენ, სამივე, სასულიერო აკადემიიდან ვმეგობრობთ. როგორც თბილისში, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ძალიან მოწადინებულია, ეკლესია რაც შეიძლება მალე აშენდეს.

ამ ადგილას, სადაც ტაძარი უნდა აშენდეს, ჯერ მხოლოდ ხის ჯვარია აღმართული, რომელიც წმინდა ქვებზე დგას. ეს ქვები ერთმა აფხაზეთიდან დევნილმა ქალმა გადმომცა, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს. ამაში სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ დამეხმარა. ეს ქალი შარშან კომანში ჩავიდა, წმინდა მოწამე ბასილისკოს საფლავი მოილოცა და საფლავიდან ქვები წამოიღო. ე.წ. სისხლიანი ქვებიც წამოიღო და სულ გააჩუქა. მე კი მხოლოდ ეს საფლავის ქვები შემხვდა, რომლებიც ასევე დიდი სიწმინდეა. კომანში იმ ადგილზე და იმ დროს, როცა წმინდა ბასილისკო აწამეს, წყარომ ამოხეთქა და ეს წყარო ახლაც მოედინება. მასში რაც ქვებია, ყველა სისხლისფერია. მორწმუნე ხალხი ამ ქვებს აგროვებს და სხვადასხვა →76

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ეკლესიაში ისე ინახება, როგორც დიდი სიწმინდე.

**— სოხუმელი ბრძანდებით. როგორი იყო ცხოვრება ამ ულამაზეს მხარეში, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას აღარ ეკუთვნის?**

— ჩემი თაობის ადამიანების ბავშვობა ძალიან არეული იყო. ჩვენს თავზე ბევრმა ომმა და უბედურებამ გადაიარა. მიუხედავად ამისა, სოხუმში ცხოვრება გამორჩეულად მახსოვს. კონტაქტი მაქვს ჩემს კლასელებთან, ბავშვობის მეგობრებთან. ყოველთვის საოცარი ნოსტალგია მაქვს იქაურობის მიმართ. მჯერა, რომ ერთ დღეს ჩვენს მშობლიურ კუთხეს დავუბრუნდებით. მე სულ აღვნიშნავ, რომ სოხუმელი ვარ. ის კი არა, ჩემი 6 წლის ბიჭიც, რომელიც თბილისში დაიბადა და გაიზარდა, თავს სოხუმელად მიიჩნევს. ვინმე რომ ჰკითხავს, საიდან ხარო, ამაყად პასუხობს, აფხაზეთიდანო. სოხუმის სიყვარული ჩემგან გადაეცა.

**— იცით, თქვენი სახლი სოხუმში ისევ დგას თუ არა ან ვინ ცხოვრობს იქ?**

— სოხუმში კერძო სახლიც გვქონდა და კორპუსის ბინაც. სატელიტით რომ ვუყურებ, ჩვენი სახლი ისევ დგას. ბინაში კი ჩვენი აფხაზი მეზობელი ცხოვრობს.

**— იქ ჩასვლის შესაძლებლობა არ მოგცემიათ?**

— აფხაზეთში ჩასვლა გალის მოსახლეობას უფრო უადვილდება. ერთ-ერთმა იქაურმა მითხრა, თუ გინდა, დაგეხმარები, რომ სოხუმში ჩახვიდეო. იქაურობა წარმოუდგენლად მენატრება, მაგრამ მაინც უარი ვთქვი. არ მინდოდა, ჩემს მიწა-წყალზე თავდახრილი შევსულიყავი. დღეს კი სხვა დროა და მეც სხვანაირად ვფიქრობ. სიამაყეს და პრინციპებს ყველამ უნდა ვძლიოთ. აფხაზებთან ურთიერთობა სიყვარულით უნდა აღვადგინოთ. ახლა თუ საშუალება მომეცა, სოხუმში აუცილებლად ჩავალ და ჩემი ბავშვობის ადგილებს მოვინახულებ.

**— რამდენი წლისა წამოსვლდით აფხაზეთიდან, როგორც დევნილი?**

— 17 წლამდე იქ ვიზრდებოდი. საომარი მოქმედებების შემდეგ კი დანარჩენი ოჯახების მსგავსად, ჩვენი ოჯახიც ლტოლვილობაში აღმოჩნდა და რუსეთში წავედით. მოსკოვში 10 წელი ვიცხოვრეთ. უმაღლესი განათლება იქ მივიღე. პროფესიით ეკონომისტი ვარ. წმინდა გიორგის ეკლესიის მრევლი ვიყავი. მომავალი მეუღლეც ეკლესიაში გავიცანი და დავქორწინდით. რუსეთში ველარ გავძელი და ცოლის შერთვიდან 2 თვეში საქართველოში ჩამოვედი. მას შემდეგ აქ ვცხოვრობთ. სამივე შვილი საქართველოში შეგვეძინა. 2007 წელს სასულიერო აკადემიაში ჩავაბარე და სწავლის დასრულებისთანავე დიაკვნად მაკურთხეს.

**— როგორც ჩანს, ეკლესიასთან თქვენი დაახლოება მოსკოვში ცხოვრების პერიოდს დაემთხვა.**

— დიახ. 12 წლის ასაკში მოვინათლე, ანუ საკმაოდ გვიან. პატარაობიდან მქონდა ლოცვების მიმართ ინტერესი. სახლში საგულდაგულოდ ვინახავდი პატარა ბროშურებს, სადაც ეს ლოცვები ეწერა. რუსებს ასეთი გამოთქმა აქვთ — კაცს სანამ უბედურება არ დაატყდება, მანამდე პირჯვარს არ გადაიწერსო. ჩემს შემთხვევაშიც ზუსტად ასე მოხდა. მოსკოვში ცხოვრებისას დედაჩემი ძალიან ავად გახდა და ხელიდან გვეცლებოდა. ერთადერთი ლოცვა, რაც ზეპირად ვიცოდი, „მამაო ჩვენო" იყო. საკმაოდ დიდხანს ვიდექი ხატებთან და „მამაო ჩვენოს" ვიმეორებდი. იმ მომენტში გამოთიშული ვიყავი ყველაფერს და ვლოცულობდი. მჯეროდა, რომ დედას მხოლოდ ასე ვუშველიდი... მეორე დღეს მე, მამა და ჩემი და ქართულ ტაძარში მივედით უფლისთვის მადლობის სათქმელად.

წმინდა გიორგის ეკლესიაში ადრეც მივდიოდით ხოლმე, მაგრამ მხოლოდ სანთელს ვანთებდით, ეკლესიური ცხოვრება ჩვენთვის უცხო იყო. იმ დღის შემდეგ კი ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა. იქ დაგვხვდა ქართული სამწყსოს მაშინდელი წინამძღვარი მამა მიქაელი (ქადაგიშვილი), რომელმაც ძალიან თბილად მიგვიღო. მას შემდეგ ეკლესიური ცხოვრება დავიწყეთ. მალე დედაც კარგად გახდა, ვაზიარეთ. ქართული მრევლი სწორედ მაშინ იწყებდა ჩამოყალიბებას. როგორც იცით, საქართველოდან რუსეთში მოძღვრებს რამდენიმე წლით გზავნიან. მამა მიქაელის შემდეგ მამა შიო (მუჯირი) გამოგზავნეს და ის გახდა ჩვენი მოძღვარი. დღეს ის



■ ადგილი, სადაც ეკლესია აშენდება

**„მარიამს ძილის წინ ასეთი შეკითხვა დავუსვი: „გინდა, რომ შენი მამა მღვდელი იყოს?" ნახევრად ძილმორეულმა კითხვა შემომიბრუნა: „შენ გინდა?" ვუპასუხე, რომ მინდოდა. მან კი მითხრა: „მაშინ ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა"... იმ პერიოდში სერიოზული არჩევანის წინაშე ვიდექი, პასუხს ვეძებდი და ეს პასუხი ჩემი ქალიშვილის პირით მივიღე".**

მეუფე შიოა, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი. მამა შიო ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო და ხშირად გვსტუმრობდა. 2 წლის შემდეგ მოსკოვში მამა მაქსიმე (ჭანტურია) გამოგზავნეს (ამჟამად თბილისში წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარია). ეს მამაო დღესაც ჩვენი ოჯახის მოძღვარია.

**— წელან ახსენეთ, რუსეთში ველარ გავძელი და სამშობლოში დავბრუნდიო. ეს უცბათ გადაწყვიტეთ თუ ნელ-ნელა ემზადებოდით ამ ნაბიჯისთვის?**

— ჩემთვის რუსეთში ცხოვრება ძალიან რთული იყო და მუდმივი ნოსტალგია მქონდა. ნებისმიერი ქართული სიტყვა, ლიტერატურა და თუნდაც ერთი პატარა ქართული კენჭი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამავდროულად — მტკივნეული. მოსკოვში ქართული ეკლესია ერთადერთი კუნძულივით არის. თითქმის ყველა ქართველი ემიგრანტი ამ ტაძარში ვიკრიბებოდით. იქ ქართული კულტურის, ენის დიდი სიყვარული და სამშობლოს მონატრება ჩქეფს. როცა დავოჯახდი და ჩემი პატარა ოჯახის უფროსი გავხდი, საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე. ჩემი და და მშობლები მოსკოვში დარჩნენ, მაგრამ მალე ისინიც დაბრუნდნენ. ჩემმა დამაც მოსკოვში შექმნა ოჯახი. იქ მცხოვრებ ქართველზე იქორწინა, რომელიც ასევე წმინდა გიორგის ტაძარში გაიცნო.

**— სასულიერო გზაზე შედგომის სურვილი როგორ მოგწიფდა თქვენში?**

— მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ სასულიერო ცხოვრების დაწყებაზე არ მიფიქრია, ინტერესი კი ყოველთვის მქონდა. მართალია, ეკლესიის მრევლი ვიყავი, მაგრამ ეს თითქოს საკმარისი არ იყო. ამ გზისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი სასულიერო აკადემიაში ჩაბარება იყო. ეს გადაწყვეტილება ჩემი მოძღვრის, მამა მაქსიმეს (ჭანტურია) კურთხევით მივიღე. ამის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში თითქოს ყველაფერი სხვა გზაზე გადაეწყო.

ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც არავისთვის მაქვს მონაყოლი. სასულიერო აკადემიას რომ ვამთავრებდი, არჩევანის წინაშე დავდექი. ვფიქრობდი, იყო თუ არა ღვთის ნება, რომ მე სასულიერო პირი გავმხდარიყავი. ერთხელ, საღამოს, ჩემი მარიამი იძინებდა. მაშინ 4-5 წლის იყო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძილის წინ ასეთი შეკითხვა დავუსვი: „გინდა, რომ შენი მამა მღვდელი იყოს?" მარიამმა, ნახევრად ძილმორეულმა, კითხვა შემომიბრუნა: „შენ გინდა?" მე ვუპასუხე, რომ მინდოდა. მან კი მითხრა: „მაშინ ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა". გაოცებული დავრჩი, იმდენად არაბავშვურად მიპასუხა. ეს შემთხვევა ღვთის ნებად ჩავთვალე. შეიძლება ვინმეს ეს ხიბლში ჩავარდნა ეგონოს, მაგრამ მართლა ასე ვფიქრობ. იმ პერიოდში სერიოზული არჩევანის წინაშე ვიდექი, პასუხს ვეძებდი და ეს პასუხი ჩემი ქალიშვილის პირით მივიღე.

**— თქვენი ოჯახისთვის ეს გადაწყვეტილება მისაღები აღმოჩნდა?**

— ჩემი ოჯახი ძალიან კარგად და მშვიდად შეხვდა იმ ფაქტს, რომ სასულიერო პირი გავხდი. ბავშვებმა კაბაში შემოსილი პირველად რომ მნახეს, ისეთი განწყობა ჰქონდათ, თითქოს სულ ასეთი ვიყავი. მათგან გაუცხოება ან მსგავსი რამ არ მიგრძვნია. მათ ნაცვლად გაკვირვებული მე დავრჩი და ვიკითხე კიდეც, რატომ არ გიკვირთ, კაბაში რომ ვარ-მეთქი.

**— თქვენს პატარა ოჯახზეც გვიამბეთ. ვინ არის თქვენი მეორე ნახევარი, რამდენ შვილს ზრდით?**

— ჩემი მეუღლე არის ნანა სიხარულიძე. ეკლესიის წიაღში შევხვდით ერთმანეთს, შევიყვარეთ და ვიქორწინეთ. ის მხოლოდ 16 წლის იყო, როცა ცოლად შევირთე, მე კი — 26-ის. უმაღლესი განათლება საქართველოში მიიღო. სასულიერო სემინარიასთან არსებულ საღვთისმეტყველო ინსტიტუტში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩააბარა. შემდეგ მესამე შვილი შეგვეძინა და სწავლის გაგრძელება ველარ შეძლო. მარიამი 8 წლის არის, ცოტნე 6 წლის, ანა კი — 2 წლის. მათი გაზრდა მარტოს გვიწევს, ამიტომაც ჩემი მეუღლე მთლიანად ოჯახის მოვლა-პატრონობით არის დაკავებული. ესეც არანაკლები საქმეა, რასაც აკეთებს. ღმერთმა ქნას, ჩვენი შვილები ღირსეული ქართველები გაიზარდონ.

საერთოდ, ყველა ქართველს ვუსურვებდი, რომ ტაძრისკენ მისასვლელი გზა დროულად მოეძებნოს. როგორც თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიებაში" ვერიკო ანჯაფარიძის გმირი ამბობს, მართლაც, რა საჭიროა გზა, თუკი ის ტაძრამდე არ მიდის. რაც უნდა ბევრი ვიაროთ აქეთ-იქით, ეს ცხოვრება ლაბირინთია და საბოლოოდ მაინც ეკლესიამდე მივალთ. უკეთესია, თუ ამ ლაბირინთში დიდხანს არ იტრიალებ, რადგან ამ მძვინვარე ტალღებში ეკლესია ერთადერთი ნავია, რომელიც ადამიანს სავანემდე მიიყვანს.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

# ლაბირინთი



გაიკვლიეთ
გზა
ლაბირინთში

# გააფერადეთ







Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# ყვავილი ტყავისგან

ასეთი ყვავილის გაკეთება სულ რამდენიმე წუთშია შესაძლებელი. მთავარია, გქონდეთ ტყავის ნაკუწები, წებო, ღილი ან მძივი და გულსაბნევის სამაგრი ან ჩვეულებრივი ინგლისური ქინძისთავი.

ქაღალდისგან გამოვჭრათ ოთხი სხვადასხვა ზომის, ექვსფურცლიანი ყვავილის ტრაფარეტი. ტრაფარეტების მიხედვით გამოვჭრათ ტყავი, სასურველია ერთი ძირითადი ფერის სხვადასხვა ტონალობა. ყველაზე პატარა ყვავილს დავაკეროთ ან დავაწებოთ ღილი ან მძივი. ყველაზე დიდს — გავუყაროთ ინგლისური ქინძისთავი. შემდეგ ყველა ყვავილი თანმიმდევრობით დავაწებოთ ერთმანეთს.

სულ ესაა. **გისურვებთ წარმატებას!**

✓ ლელა ცუცქირიძე




**წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 1 | 9 | 8 | 5 | 2 | 3 | 6 |
| 6 | 3 | 5 | 4 | 7 | 2 | 9 | 8 | 1 |
| 2 | 9 | 8 | 3 | 1 | 6 | 7 | 5 | 4 |
| 5 | 7 | 4 | 6 | 2 | 8 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 8 | 9 | 7 | 4 | 3 | 5 | 6 | 2 |
| 3 | 2 | 6 | 5 | 9 | 1 | 4 | 7 | 8 |
| 9 | 1 | 2 | 8 | 3 | 7 | 6 | 4 | 5 |
| 8 | 5 | 7 | 2 | 6 | 4 | 1 | 9 | 3 |
| 4 | 6 | 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 2 | 7 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 3 | 8 | 2 | 5 | 9 | 4 | 1 |
| 8 | 4 | 2 | 3 | 9 | 1 | 6 | 7 | 5 |
| 5 | 9 | 1 | 7 | 6 | 4 | 2 | 3 | 8 |
| 4 | 2 | 6 | 5 | 8 | 7 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 3 | 8 | 9 | 4 | 2 | 5 | 6 | 7 |
| 7 | 5 | 9 | 1 | 3 | 6 | 8 | 2 | 4 |
| 9 | 6 | 5 | 4 | 7 | 3 | 1 | 8 | 2 |
| 3 | 1 | 7 | 2 | 5 | 8 | 4 | 9 | 6 |
| 2 | 8 | 4 | 6 | 1 | 9 | 7 | 5 | 3 |

## ეს იცოდით?

❖ ცნობილი ინგლისელი მწერალი არტურ კონან დოილი მთელი ცხოვრება დარწმუნებული იყო, რომ მითური არსებები რეალურები იყვნენ, მათ შორის — ციცქნა ფერიები.

❖ არტურ კონან დოილს ცუდი ურთიერთობა ჰქონდა არანაკლებ გამოჩენილ თანამემამულე მწერალთან, ბერნარდ შოუსთან, რომელმაც ერთხელ არტურის ცნობილ გმირს, შერლოკ ჰოლმსს, ნარკომანი და ისეთი ადამიანი უწოდა, ვისაც არც ერთი სასიამოვნო თვისება არ გააჩნია.

❖ ფრინველებს, რომლებიც თბილ ქვეყნებში არ მიფრინავენ, რეზიდენტებს უწოდებენ.

❖ გველებს შეუძლიათ 3 წელი იძინონ ისე, რომ საკვები არ მიიღონ.

❖ კოალა წყალს არასოდეს სვამს.

❖ შინაური კატა „სახლიდან“ 600-800 მეტრ მანძილზე შორს არასოდეს მიდის.

❖ ყველაზე იშვიათ ხედ მსოფლიოში ყავის ჯუჯა ხეა მიჩნეული. მისი ერთ-ერთი ეგზემპლარი ლონდონის სამეფო ბოტანიკურ ბაღში იზრდება. დღესდღეობით მისი სიმაღლე 13 სანტიმეტრამდე აღწევს.

❖ ყველაზე დიდი ატმის ნაყოფი 1984 წელს დაფიქსირდა დიდ ბრიტანეთში. მისი წონა 411 გრამს შეადგენდა, ხოლო დიამეტრი — 30,4 სანტიმეტრს.

❖ იულიუს კეისარმა ახალი წლის აღნიშვნა 1 იანვარს იმიტომ გადმოიტანა, რომ ამ დღეს ახალარჩეული კონსულები მოვალეობის შესრულებას იწყებდნენ.

❖ მსოფლიოში ყველაზე გრძელი ანბანი კამბოჯელებს აქვთ, მასში 74 ასოა.

❖ 1977 წლის 13 ივლისს ნიუ იორკში 52 წუთით გამოირთო ელექტროენერგია, რის გამოც მატერიალურმა ზარალმა მილიარდი დოლარი შეადგინა.

❖ დომინიკის რესპუბლიკაში დღემდე ფულს საქონლის ასაწონად იყენებენ.

❖ არაბულად სიტყვა „კაიფი“ სადილის შემდეგ დასვენებას, სასიამოვნო უსაქმურობას ნიშნავს.

❖ ძველ საბერძნეთში იყვნენ სპეციალური მხატვრები, რომლებიც კურტიზანებს მაკიაჟს უკეთებდნენ და მათ „პორნოგრაფები“ ერქვათ.

❖ ჩინეთში საქორწილო რიტუალის დროს საქმრო და საცოლე ერთმანეთს ჩაის უძღვნიან. ეს ტრადიცია ჩინელების რწმენიდან მოდის. მათი აზრით, ჩაის ბუჩქი გადარგვას ვერ იტანს, ამიტომ ოჯახიც მუდმივი იქნება.

❖ მსოფლიოში პირველი ეროვნული პარკი 1872 წელს შეიქმნა აშშ-ში.

❖ პირველი მონოთეისტური რელიგია ძველ ეგვიპტეში წარმოიშვა.

❖ პირველი ტელევიზორი დამზადდა 1934 წელს გერმანიაში, შემდეგ გავრცელდა საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკაში.

❖ ცისფერთვალა ადამიანები ყველაზე მგრძნობიარენი არიან ტკივილის მიმართ.

❖ დაბადებისას ადამიანის ტვინში უკვე არსებობს 14 მილიარდი უჯრედი და ეს რიცხვი აღარ იზრდება. პირიქით, 25 წლის შემდეგ ყოველდღიურად 100.000-ით მცირდება.



Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

# კლასიკა ხალიჩაზე და ეროტიკა სცენაზე — ემტივი-ს მოდა

25 აგვისტოს ნიუ იორკში მსოფლიო შოუბიზნესის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. ბერკლის საკონცერტო დარბაზში ემტივი-ს ჯილდოები დარიგდა. ამ დღეს თითქმის ყველა პოპულარული მომღერალი ესწრებოდა — კეტი პერი, ლედი გაგა, მაილი საირუსი, სელენა გომესი და სხვა ვარსკვლავები ჯერ წითელ ხალიჩაზე პოზირებდნენ, შემდეგ კი სცენაზე სამადლობელ სიტყვებს ამბობდნენ.


■ კეტი პერი

ემტივი-ს წითელი ხალიჩა ყოველთვის განსაკუთრებულია. ოსკარის ცერემონიასთან შედარებით აქ ვარსკვლავები უფრო თამამად ჩაცმულები ჩნდებიან.თუმცა წლევანდელი ტენდენცია განსხვავებლი იყო. რატომღაც მომღერლებმა მეტწილად კლასიკური სამოსი აირჩიეს — გრძელი კაბები, კულულებად დახვეული თმები, ძვირფასი სამკაულები და, საერთო, ჯამში გლამურული ატმოსფერო.

21 წლის მომღერალ სელენა გომესს „ატელიე ვერსაჩეს“ გრძელი კაბა ეცვა, რომელსაც ძალიან სექსუალური ჭრილი ჰქონდა. 32 წლის მომღერალი ტეილორ სვიფტი კი ჰერვინ ლაგერის კლასიკური შავი კაბით მივიდა, რომელზეც პრადას ფეხსაცმელი ეცვა და შავი თვლებით გაწყობილი სამკაულები ეკეთა.


■ მაილი საირუსი


■ სელენა გომესი


■ ტეილორ სვიფტი



■ ლედი გაგა

27 წლის ლედი გაგამ ტრადიციას არ უღალატა და საღამოზე გოთიკურ სტილში გამოწყობილი გამოცხადდა. 28 წლის კეტი პერი კი მხეცის იმიჯში შეიჭრა. გარდა იმისა, რომ ვარსკვლავს წითელ ხალიჩაზე ვეფხვისებური ქსოვილის კაბა ეცვა, კბილებს ბრილიანტის თვლები უმშვენებდა, რომლებზეც ახალი ალბომის სახელი — „როარ“ ეწერა. ბევრს ეგონა, რომ კეტი რომელიღაც მხეცს ასახიერებდა.

20 წლის მაილი საირუსმა დოლჩე და გაბანას ვინტაჟური კოსტიუმი აირჩია. კენი ვესტი ცერემონიალზე ცოლის, კიმ კარდაშიანის გარეშე გამოჩნდა. ახალნამშობიარევი კიმი მოვლენებს აქტიურად ადევნებდა თვალს და „ტვიტერზე“ დაწერა კიდეც: „საღამოს ყველაზე მაგარი გამოსვლა ჩემს საყვარელ კაცს, კენი ვესტს ჰქონდა“.

წითელ ხალიჩაზე არ გამოჩენილა 25 წლის მომღერალი რიანა, რომელიც ხალიჩის გვერდის ავლით შეიპარა დარბაზში. მომღერალს სადღესასწაულო არაფერი ეტყობოდა, მას ჯინსი და თეთრი მაისური ეცვა. 31 წლის ჯენიფერ ჰადსონი კი დიორის შავი ტყავის ქვედატანით გამოჩნდა.

ცერემონიალი ლედი გაგამ გახსნა, რომელიც სცენაზე დედიშობილა გამოვიდა, მხოლოდ ნიჟარები უფარავდა გარკვეულ ადგილებს. მაილი საირუსმა არანაკლებ ცეცხლოვანი შოუ დადგა, ის სცენაზე ბიკინიში გამოვიდა. საერთოდ, შოუს სასცენო ნომრები ეროტიკულობითა და სითამამით გამოირჩეოდა.

**წლევანდელი ცერემონიალის გამარჯვებულები:**

**წლის კლიპი** — ჯასტინ ტიმბერლეიკი, „მირორ“.
**საუკეთესო შემსრულებელი მამაკაცი** — ბრუნო მარსი.
**საუკეთესო შემსრულებელი ქალი** — ტეილორ სვიფტი.
**საუკეთესო პოპ-კლიპის ავტორი** — სელენა გომესი.

## ევა ლონგორია ისევ მარტო დარჩა

38 წლის ევა ლონგორიას ახალი სასიყვარულო გატაცება, რომელსაც იგი სერიოზულად აღიქვამდა, დასრულდა. 34 წლის ერნესტო არგუელოსთან რომანი 4 თვეში დამთავრდა, არადა ყველაფერი უფრო სერიოზულად ჩანდა. ევა მზად იყო, გაკოტრებული მილიონერის გვერდით ეცხოვრა, მაგრამ იდილია მაინც არ შედგა. ლონგორია ბევრს მუშაობს ლოს ანჯელესში სხვადასხვა პროექტებზე, ხოლო ერნესტო — მაიამიში. სწორედ ამ გრაფიკმა შეიწირა მათი ურთიერთობა. არადა სულ ცოტა ხნის წინ ერნესტოს სიყვარულის გამო ევამ ცნობილ მექალთანეს, ჯორჯ კლუნის უთხრა უარი.



■ ერნესტო არგუელო და ევა ლონგორია

ევამ და ერნესტომ ერთმანეთი ტელეშოუზე „ვეძებ სიყვარულს“ გაიცნეს, სადაც ევა პროდიუსერი იყო და უცოლო, პერსპექტიულ და სიმპათიურ მამაკაცებს არჩევდა. ერთ-ერთი მათგანი თავისთვისაც მონახა. საყვარელ კაცთან დაშორებას ევა დიდად არ განიცდის, ის დარდს ესპანეთის სანაპიროზე იქარვებს.

## 2013 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელები

მოდის სფერო თავის შემოსავლებით უკვე სერიოზულ კონკურენციას უწევს შოუბიზნესის სხვა სეგმენტებს. ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, მოდის ინდუსტრიაში ჰონორარები სულ უფრო იზრდება, ამიტომაც 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელის სიას ჟიზელ ბანდჩენი 42 მილიონი დოლარით მოექცა სათავეში. ყველაზე ძვირადღირებულმა მოდელმა ეს შემოსავალი სარეკლამო კონტრაქტებით, ფოტოსესიებით და ყველა იმ ბიზნესიდან მიიღო, რომელიც მოდასთანაა დაკავშირებული.


■ მირანდა კერი


■ ჟიზელ ბანდჩენი

მიუხედავად ამისა, მოდელს აღიზიანებს მის ქონებაზე საუბარი, რადგან სოციალურ ქსელში ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა: „მადლობა, რომ გიყვარვართ, მაგრამ ნუ შეეცდებით ჩემი ფულის თვლას, ეს მე თვითონაც არ მიყვარს“.

ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელებს შორის ასევე მოხვდნენ მირანდა კერი — 7,2 მილიონი დოლარით, ადრიანა ლიმა — 6 მილიონი დოლარით, კეიტ მოსი — 5,7 მილიონი დოლარით.


სილქნეტი
SILKNET
Silk SPORT HD
BARCLAYS
PREMIER LEAGUE
პრემიერ ლიგის თამაშები
ექსკლუზიურად Silk Sport HD-ზე
მხოლოდ სილქტივის აბონენტებისთვის, ინგლისის
პრემიერ ლიგა, 17 აგვისტოდან, ახალ არხზე!
Silk TV
Find us on: facebook
2 100 100
www.silknet.com
ინტერაქტიული ტელევიზია